



# მნათობი



7-8

---

2000

# მნათობი



პერიოდული  
ბუნებისმეტყველების  
მეცნიერებათა

წელიწადი 76-ე

№ 7-8

2000 წელი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ორგანო

## შინაარსი

### ინტერვიუ

თამაზ ბაჩიჩია – აღამიანი, კულტურა, ერი 3

### კოეზიკა, კრეატივი, დრამატურგია

მალვა ბაკურაძე – ლექსები 8

ნიკა შინგელია – ჭრელი ცხოვრების მგზავრები. ზღაპარი 14

ხათუნა ნულაძე – ლექსები 41

მვანცა აბდულაძე – ჯერ მხოლოდ ცხრაშობი წლისა ვარ... მოთხრობა 42

ბესო ხვედელიძე – ანეკდოტი. პიესა 55

ბასა ჯანიკაშვილი – ჩვენს ეზოში. პიესა 60

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მონა ზონიძე – ჯვარცმული ფიქრი 72

დავით პაიჭაძე – მიხაკო წერეთლის „ყოველნების განთავისუფლება  
და ეროვნულობის პრინციპი ითხოვს კავშირსა და  
ანტანტასთან“ 77

ზურაბ თავაძე – 80-20 საუკუნე – რატროსკაპტიზა და დღევანდელი 93

ანდრო ბაჩიძე – ოსიკ მანდელშტაიმის უცნაური მოგზაურობა 96

დავით ანდრიაძე – სამოთხეში დაბრუნება 98

### ფაქტები, მოგონებები

მარი აბრამიშვილი – ნაწყვეტები... ნაწყვეტები... 106

იბ. მე-2 კვ.

**შინაარსი**  
(გაგრძელება)



**მეცნიერება**

მერი ინაძე – ძველი კოლხეთის სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის პრობლემისათვის	111
ნატო პატარიძე – პირველი მონოგრაფია ილია ჭავჭავაძეზე	116
ენვერ ბარათელი – არსენ ივალთოელი – ძარბაზის მოღვაწე და მოაზროვნე	119

**თვალსაზრისი**

მერი ცუცქერიძე – შემწყნარებლობა, როგორც აღმზიანთა ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა	124
--	-----

**რეცენზია**

აკაკი ბენაძე – ბარდასულ დროთა გაუწყობელი	128
--	-----

---

---

მთავარი რედაქტორი  
თამაზ ზილაძე

სარედაქციო საბჭო:  
მარიამ აბიაშვილი  
ანდრო ბუაჩიძე  
აკაკი მინდიაშვილი  
მანანა მიქელაძე  
მზია შატბერაშვილი  
ვაჟა ჩორდელი (პ.მგ. მდივანი)

---

---



## ადამიანი, კულტურა, ერი

ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი  
ესაუბრა ფილოსოფოს თამაზ შავეჩიძეს

- ბატონო თამაზ, ზოგადი საკითხით დავიწყებ. რა შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის ყოფის თავისებურებად? რა თვისებით შეგვიძლია განვასხვავოთ ადამიანი ცხოველისაგან?

- ადამიანს მრავალი თავისებური, გამორჩეულობის მიმნიჭებელი ნიშანი აქვს, მათგან მხოლოდ ერთ არსებით ნიშანს გამოვყოფ. კარგად დავაკვირდეთ: ცხოველისათვის მთავარია ზრუნვა საკუთარ სიცოცხლეზე. ცხოველის ყოველ სახეობას აქვს თავისი გრძნობის ორგანოები, თავისი ინსტინქტები - მიზანშეწონილი ქცევის უნარები. ცხოველი ამჩნევს მხოლოდ იმას და შემოქმედებს მხოლოდ იმაზე, რაც მისი სიცოცხლისთვისაა მნიშვნელოვანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცხოველის ყოველ სახეობას აქვს თავისი გარემო: ფრინველს - თავისი, თევზს - თავისი, მგელს - თავისი და ა. შ. ამგვარად, თუ ვიცით ამა თუ იმ სახეობის ცხოველის აგებულება, გვეცოდინება მისი გარემოც. ცხოველი კარგადაა შეგუებული თავის გარემოს, ამიტომ ამბობენ, რომ ბუნების „მზა“ პროდუქტია. სულ სხვაგვარია ადამიანი. ის ღარიბია ინსტინქტებით. მისი გრძნობის ორგანოები არა მხოლოდ იმას ამჩნევენ, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია, არამედ სიცოცხლისათვის ნეიტრალურ საგნებსაც. მოკლედ, ადამიანი არ არის ისე დეტერმინირებული ბუნების მიერ, როგორც ცხოველი. მას უნება ინსტინქტობის მეშვეობით არ კარნახობს, თუ როგორ იმოქმედოს ამა თუ იმ პირობებში. რადგან ბუნება დუმს, უნდა „ილაპარაკოს“ თვითონ ადამიანმა. ამისათვის კი უნდა პქონდეს ცხოველისაგან განსხვავებული აგებულება, სტრუქტურა. მართლაც, თუ ცხოველის სტრუქტურაში უმაღლესია ფსიქიკის, სამშვიველის

საფეხური, ადამიანი ფსიქიკის „ზემოთ“ კიდევ ერთ საფეხურს ფლობს. უფრო ზუსტად - მისი ორგანოა პერსონალური გონი. ადამიანი თავისუფალია ბუნების შემოქმედებისაგან; ამიტომაც თავისუფლად უნდა ქმნიდეს. ის თავისუფალია ორი აზრით, უარყოფითით - რაიმესგან და დადებითით - რაიმესთვის. თავისუფალი ქმნა, შემოქმედება არის ძირითადი თვისება, რომელიც ადამიანს ყველა არსებულისგან განასხვავებს. პერსონალური გონის მეშვეობით ადამიანი ქმნის სრულიად ახალი საგნების სამყაროს - კულტურას, „მეორე ბუნებას“; ის, რაც ბუნებამ ადამიანს დააკლო, უნდა შექმნას თვითონ ადამიანმა გონით განდევნილებების რეალიზაციის გზით.

- ბატონო თამაზ, რა არის კულტურა? როგორ განსაზღვრავდით ამ ცნებას. რა განსხვავებაა კულტურასა და ცივილიზაციას შორის?

- ბუნება განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების მხოლოდ ერთ ნაწილს. მეორე ნაწილის განმსაზღვრელი თვითონ ადამიანია. ამ დებულების ნათელსაყოფად მოვიყვან მარტივ მაგალითს: ადამიანი, როგორც ბუნების შვილი, უნდა გამოიყვებოს, და საგულისხმოა ის, რომ საკვების მოპოვების, დამზადების და მიღების ნებს თვითონ ადამიანი ადგენს. ეს მაგალითი გამოდგება კულტურის განსაზღვრისათვის. ამ ცნებას უფრო ხშირად ფართო აზრით იყენებენ. კულტურა ფართო მნიშვნელობით ყოველივე იმის ერთობლიობაა, რაც ადამიანის თავისუფალი მოქმედების, შემოქმედების შედეგია. ამ შემთხვევაში „კულტურა“ და „ცივილიზაცია“ ასევე ფართო გაგებით, ემთხვევა ერთმანეთს. ადამიანი იწყება მხოლოდ იქ, სადაც იწყება ასე გაგებული

კულტურა ან ასე გაგებული ცივილიზაცია: ადამიანი იმით განსხვავდება ცხოველისაგან, რომ ცხოველი ცხოვრობს მხოლოდ ბუნების სფეროში, ადამიანი კი ცხოვრობს ორ სფეროში — ბუნებისა და კულტურის სფეროში. ადამიანი ვერ იარსებებს, თუ არ შექმნა ხელოვნური იარაღები, ხელოვნური საგნები, თუ არ დაუმატა ისინი ბუნებრივ საგნებს. ხშირად ისმის კითხვა: ნუთუ ადამიანი ყველაფერი ცვალებადია, ნუთუ ადამიანში არ შეიძლება რაღაც უცვლელის პოვნა? ადამიანი ხომ სწორედ ადამიანია და არა ნიანგი ან ვირთხა? რა არის მისი ეს უცვლელი არსება? ჩემი პასუხი ასეთი იქნება: ადამიანის უცვლელი არსება სწორედ შემოქმედებაა, ე. ი. ცვალებადი საგნების, ახლის შექმნის უნარია. ადამიანი ქმნის ისეთ ფენომენებს, რომლებსაც ბუნებაში ვერ იპოვით — მაგალითად, ტანსაცმელს, სახლს, ტაძარს, მეცნიერებას, მწერლობას, ზნეობრივ ნებსებს, რელიგიას, სახელმწიფო წყობას. ადამიანის არსება სწორედ შემოქმედებაა, რომლის ნაყოფი ტრადიციად იქცევა და თაობიდან თაობას გადაეცემა. ასე იქმნება ადამიანთა ისტორია. მე აღვნიშნავდი კიდევ ერთ გარემოებას: ადამიანი ქმნის კულტურას, მაგრამ ამავე დროს კულტურა ქმნის ადამიანს — როგორცაა კულტურა, ისეთია ადამიანი, არცერთ პიროვნებას არ ძალუძს გადააბიჯოს თავის კულტურას. ყოველი ბავშვი ეზიარება თავისი ერის ენას, ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს: ენა ადამიანის შექმნილია, მაგრამ ბავშვის ნინაშე „ძვეს“ როგორც ასათვისებელი ობიექტური საგანი. ასევეა კულტურის სხვა ფენომენებიც.

რადგან კულტურა განსაზღვრავს ადამიანის ცხოვრების რაობას, საესებით გამართლებულია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ, ვთქვათ, I საუკუნის ადამიანი თანამედროვე ადამიანისგან, მაშინ, როდესაც I საუკუნის მგელი ან ვირთხა თანამედროვე მგლის ან ვირთხის იგივეობარითია. რაც შეეხება „კულტურისა“ და „ცივილიზაციის“ ცნებათა სხვაგვარ გამოყენებას, უნდა ითქვას შემდეგ: შენგვლერმა ამ ორი მდგომარეობის განსასხვავებლად დროის ცნება შემოიტანა: ყოველ კულტურას ე. ი. შემოქმედებას გარკვეული დროის შემდეგ მოსდევს ცივილიზაცია — შემოქმედების კედომის, გახვევების

პერიოდი. ამ კულტურისა და ცივილიზაციის წყალგამყოფია დრო. ერქმუნული

მაგრამ ხშირად ცნებებს „მედიტა“ და „ცივილიზაცია“ ერთი და იმავე დროის სხვადასხვა ფენომენების მიმართ იყენებენ. ასეთ შემთხვევაში ცივილიზაცია გაგებულია, როგორც წმინდა პრაგმატული, უტილიტარული, მომხმარებლური მნიშვნელობის მქონე ფენომენი — მაგალითად, თანამედროვე კომფორტაბელური სასტუმრო ან სახლი, მანქანა ან თვითმფრინავი. ცივილიზაცია, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, აღნიშნავს ყოველივე იმას, რაც ადამიანის „გარეგან“, „სხეულებრივ“ მხარეს ემსახურება. კულტურა (ცხადია, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) ცივილიზაციისაგან განსხვავებით ადამიანის „მაღალი“, „სულიერი“, „გონითი“ ინტერესების მსახურია. შეიძლება ადამიანი იყოს ცივილიზებული, — მაგრამ ყოველგვარ კულტურას მოკლებული. თანამედროვე ეპოქის ნაკლი სწორედ ისაა, რომ ძალიან ხშირად ცივილიზაცია, რომელიც საზოგადოების განვითარების მხოლოდ საშუალებაა, წარმოდგება, როგორც საზოგადოების მიზანი: ვერ გაიგებ ავტომანქანა ემსახურება ადამიანს, თუ ადამიანი — ავტომანქანას, ტექნიკა — ადამიანს, თუ ადამიანი — ტექნიკას.

ადამიანი თავისუფლების, თავისუფალი ნების მფლობელია. სწორედ ამიტომ მას ძალუძს მოიქცეს თავისებურად: ცივილიზაცია, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, აიყვანოს მაღალ რანგში, უფრო მეტიც — უარყოს ზნეობრივი ნებსები და, როგორც დღევანდელი გვიჩვენებს, გახდეს ნამდვილი ქურდი, კორუფციის მიმდევარი, ხელოვნება განიხილოს როგორც გართობა და ა. შ. მეორე მხრივ, თავისუფალი ნება საფუძველია გარკვეული დადებითი ქცევებისა; ადამიანს და მხოლოდ ადამიანს შეუძლია უანგაროდ შეიმეცნოს, ობიექტურად აღიქვას საგანი, ისეთად, როგორც ის არის თავისთავად; იყოს სავსებით „დაუინტერესებელი“, ე. ი. არ აინტერესებდეს ხელოვნების ფენომენის მომხმარებლური მხარე, იყოს უანგარო ეთიკური ქცევისას. ეს, ასე ვთქვათ, გნოსეოლოგიური, ესთეტიკური და ეთიკური უანგარობა ყოველი ადამიანის შესაძლებლობაა. მე ვიტყვადი, რომ ადამიანი ამ შესაძლებლობათა არსებობითაც განსხვავ-



ედება ცხოველისაგან. ამ შესაძლებლობათა რეალიზება კი ადამიანს ნამდვილ ადამიანად აქცევს.

— ბატონო თამაზ, თქვენ ერთმანეთისგან განასხვავებთ კულტურა და ცივილიზაცია. ჩემი აზრით, კულტურა (ცხადია, ვინორ მნიშვნელობით), როგორც რალაც ზოგადი ფენომენი ქვეყანაზე არ არსებობს. არსებობენ ეროვნული კულტურები — რუსული, გერმანული, ფრანგული, ესპანური, არსებობს ქართული კულტურა. რას იტყვით ამ კულტურების ურთიერთმიმართების შესახებ? და რაც მთავარია, კიდევ ერთი: ხომ არ უშლის ხელს კულტურა, ერთქვართ, ენათა სხვაობა, ერების დაახლოებას?

— დიახ, ზოგადი კულტურა არსებობს მხოლოდ კონკრეტული კულტურების სახით. თქვენ გაინტერესებთ საკითხი ამ კულტურების ურთიერთმიმართების შესახებ: ხომ არ უშლის ხელს კულტურათა სპეციფიკა ერების დაახლოებას.

— მე ქართული კულტურის წარმომადგენელი ვარ. სწორედ კულტურის ფენომენი — ზნეობა გვეუბნება, „რომ ადამიანი უნდა იყოს შემწყნარებელი, ტოლერანტი. ბუნებით ადამიანი აგრესორია, ძალაუფლების მოსურნეა, ყოველივე „უცხო“ მტერია. შემწყნარებლობა ყოველი პიროვნების თავისუფლების, შენგან განსხვავებული რიტუალის, ნების, საერთოდ სხვა კულტურის აღიარებას გულისხმობს. მე სიხარულს მგვრის ის ფაქტი, რომ ქართველთა საბელოვანი მეფე დაეით აღმაშენებელი ტოლერანტი იყო. ტოლერანტობა ქრისტიანობის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. ქრისტიანობა შემწყნარებლობის გარეშე წარმოადგენელია. გავიხსენოთ ქრისტესა და პეტრეს შორის გამართული საუბარი. პეტრეს აინტერესებს რამდენჯერ უნდა მიუტევოს მან თავის ძმას? იქნებ შვიდჯერ. იესოს პასუხი ასეთია: „მე არ გეუბნები შვიდჯერ-მეთქი, არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ“ (მათე, მ. 21-22).

უნდა ითქვას, რომ ისტორია იცნობს ადამიანებს, რომელთა აზრით, ეკობრობობა, გერჯერობით, მრავალ კულტურას, ე. ი. მრავალ ენას, მრავალ სარწმუნოებას, მრავალ ზნე-ჩვეულებას და ა. შ. მოიცავს, მაგრამ დადგება დრო, როცა იარსებებს მხოლოდ ერთი კულტურა,

ერთი ენა, ადამიანები იცხოვრებენ იგივეობრივი ნესით. *ქრმმმმმმმმმმ* ლენინიზმის თეორია *ქრმმმმმმმმმმ* ასეთ შერწყმას ქადაგებდა. ნებისმიერ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეიძლება ასეთი აზრის ამოკითხვა. ვთქვათ, ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში ვკითხოთ: „ერების შერწყმა ობიექტურ-ისტორიული აუცილებლობაა. ამიტომ ამ პროცესის ხელოვნური დაქარების ყველანაირი ცდა უნააღმდეგება მარქსიზმ-ლენინიზმს, რომელიც გვასწავლის, რომ ერების შერწყმის ყველა პირობა არსებობს მხოლოდ სრული კომუნიზმის დროს. ასევე გაუმართლებელია ამ პროცესის ხელოვნური შეჩერების ცდები. ორივე მათგანი უპირისპირდება ერების შერწყმის პროცესის მეცნიერული წარმართვის ლენინურ მოთხოვნას“ (ქსე, ტ. 4. 1979. გვ. 190). ერების შერწყმა! კულტურების შერწყმა! წარმოვიდგინოთ რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ან გალაკტიონის გენიალური პოეზია რა იქნებოდა ამ თეორიის თარგზე რომ გამოჭრილიყო? იქნებოდა კი საერთოდ? მარქსიზმის კლასიკოსებამდეც ბევრი ფიქრობდა, რომ კაცობრიობა წარმოადგენს სხვადასხვა კულტურას, ერს, სხვადასხვა რელიგიას. მათ ზედაპირქვეშ ეგულებოდათ ზოგადი ადამიანი — ადამიანი, როგორც ასეთი — სწორედ ის იყო ყველაზე ლირებულის. ამიტომაც ფიქრობდნენ, რომ მოვა დრო და კულტურათა განსხვავებული მხარეები მოისპობა, იარსებებს მხოლოდ ერთი მსოფლიო კულტურა, ერთი მსოფლიო ენა, ერთი მსოფლიო ადამიანი. ეს შეცდომაა.

ჩვენ ვიზიარებთ რადიკალურად განსხვავებულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ის გარემოება, რომ ადამიანი ეკუთვნის გარკვეულ ხალხს — სულაც არ არის ზედაპირული დახასიათება. ადამიანი არსებითად, სუბსტანციურად არის თავისი ხალხის წარმომადგენელი. ერთი მსოფლიო კულტურა, ერთი ენა არასდროს იარსებებს.

— ბატონო თამაზ, რას იტყვით ქართულ კულტურაზე, როგორია ქართული ენის, ქართული მწერლობის, ქართული ფენომენის თქვენული შეფასება?

— ქართული კულტურის შესახებ მსჯელობისას დღეს არსებობს ორი

უკიდურესობა. ერთი თვალსაზრისის მიხედვით ყველაფერი, რაც ქართულია, ვთქვათ, ქართული ენა, განსაკუთრებულია, სხვა ენებზე აღმატებულია. მსოფლიო კულტურა თავის მიღწევებს არსებითად ქართულ კულტურას უნდა უმადლოდეს. ასეთი თვალსაზრისი, რა თქმა უნდა, ღიმილისმომგვრელია.

მეორე უკიდურესობა ცდილობს ქართულ კულტურაში მხოლოდ ნაკლოვანი მხარეები აღმოაჩინოს. ესაა ეროვნული ნიჰილიზმის შოზიცივა. ერთმა ჩემმა ნაცნობმა საზოგადოებას ამცნო, რომ რუსეთში მხოლოდ აფერხებდა პოეზიის წინსვლას, მეორე ამტკიცებს, რომ ბარათაშვილი და გალაკტიონი არ არიან ნამდვილი პოეტები, მესამე შიროვნების აზრით, ქართული სუფრა ჩამორჩენილია, რადგან მას არ ახლავს სექსი (?). მოკლედ, დღეს მოდურია ყოველივე ქართულის გინება.

ქართული ფილოსოფოსი ზურაბ კაკაბაძე წერდა: „სახეებით ამქარაა, რომ ეროვნულ კულტურათა თავისებურებებისა და სხვადასხვაობის ნაშლა და დაკარგვა, მათი ნიჰილირება, ანუ ერთ საერთო „საშუალო“ კულტურად შერწყმა კაცობრიობის კულტურის უკიდურეს გაღარიბებასა და, მაშასადამე, აუნაზღაურებელ ზარალსა და დანაკლისს მოახდენს“. ზურაბ კაკაბაძეს ასეთი მაგალითი მოჰყავს: კაცობრიობისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება „ქართული, რუსული, ნეოპოლიტიანური ხალხური სიმღერების განუმეორებელი თავისებურებანი რომ დაკარგოს და მხოლოდ ის შემოგვრჩეს, რაც მათ შორის საერთო და „საშუალო“.

ეროვნული კულტურა, განსხვავებული ენები, კი არ უნდა მოისპოს, არამედ უნდა განვითარდეს მომავალში. ადამიანი, როგორც ასეთი, არ არსებობს და არც იარსებებს. არსებობს და იარსებებს გერმანელი, ფრანგი, ესპანელი, რუსი, ქართველი და ა. შ. არსებობს და იარსებებს მხოლოდ კონკრეტული ფორმები ზოგადი ადამიანისა. ფაქტია: ერები ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებიან – განსხვავების მიუხედავად ერებს შორის ერთიანობაა, გარკვეული სახის კავშირია. საერთოდ ერთიანობა, სწორედ განსხვავებულთა ერთიანობაა, იგივეობრივთა ერთიანობაზე საუბარი აბსურდია. ერები შეიძლება წარმოვიდ-

გინოთ, როგორც ერთი თავიგულის სხვადასხვა ყვაილები. ცენტრში მყოფილს თავისი ფერი, სუნი, მხატვრობა აქვს, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, ის ემსახურება თავიგულს – კაცობრიობას. ყოველი ცალკეულიად თავისებურად იმზირება ზოგადი, ყოველი კულტურა გარკვეული ნუსით იმეცნებს, ითვისებს, წვდება სამყაროს მთელს, თავის უცვლელ ადგილს პოულობს სამყაროში. ენა სამყაროს სავანთა უბრალო ლექსიკონი კი არ არის, არამედ სამყაროს თავისებური ხედვაა. რაც ქართველისთვის „მრავალმარლვაა“, ის რუსისთვის «Идея-рожище»-ია. გადაიტანეთ ეს განსხვავება სამყაროს სხვა სავანებზე და კარგად იგრძნობთ ყოველი ენის ღრმა რაობას, ხედვათა თავისებურებას. კაცობრიობის კულტურათა პროგრესს მათი იგივეობა კი არ განსაზღვრავს, არამედ ამ კულტურათა, როგორც სამყაროს წვედომათა, შემეცნების საშუალებათა შემდგომი განვითარება. ყოველი კულტურა სხვა კულტურებში პოულობს თავის დასარულებას.

შემწყნარებლობას კულტურათა სწორედ განსხვავების დროს აქვს ღრმა აზრი. თუ კულტურებს ბოლოს შერწყმა ელის, შემწყნარებლობის ფასი ძალიან მცირეა, დროებითია. შენ, როგორც ადამიანმა უნდა შეინყნარო, ე. ი. დაუშვა, გაიგო შენგან განსხვავებული ენა, რელიგია, სიმღერა, ცეკვა, რიტუალი, ჩვევა; ერთი სიტყვით, შენგან განსხვავებული კულტურა. ესაა შეწყნარების ნამდვილი რაობა.

საუბარი ქართული კულტურის უპირატესობაზე თუ ნაკლებზე ეხება კულტურის ვინაო ცნებას: გონით ფენომენებს, მაგალითად, ხელოვნების ნიმუშებს: რომანს, ლექსს, მოთხრობას, სიმღერას, ცეკვას, მეცნიერებას ან რელიგიურ-ზნეობრივ ნესებს.

ეტყობა, ქართული კულტურის მაგინებელნი ბუნებამ არ დააჯილდოვა საჭირო გემოვნებით, ამიტომ შე ისინი მეცოდებიან და არა ქართული კულტურა. ეფერმ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრინი, მთანმინდელეები უეჭველად დაამშვენებდნენ ნებისმიერი ქვეყნის მეცნიერებას. გასულ საუკუნეში მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი და გაბრიელ ეპისკოპოსი (გერასიმე ქიქოძე) არიან ავტორები შესანიშნავი ფილოსოფიური



ნიგნებისა. მე მომისმენია ღრმა ფილოსოფიური შინაარსით დატვირთული საუბრები შალვა ნუცუბიძისა და სერგი დანელიასი, კოტე ბაქრაძისა და საელე ნერეთლისა, დიმიტრი უზნაძისა და ანგია ბოჭორიშვილისა. ყოველი მათგანის შემოქმედება ამდიდრებს ქართულ ფილოსოფიურ კულტურას.

**— როგორ შეაფასებდით თანამედროვე კულტურის ძირითად ტენდენციებს? რას იტყვოდით ამ ზოგადი კულტურის და ქართული კულტურის ურთიერთობაზე?**

— შუა საუკუნეების ადამიანის მზერა ღმერთისკენ არის მიმართული. ამ ეპოქის ადამიანი სულიერებით სავსეა. გავიხსენოთ თუნდაც ქართული მწერლობის ცნობილი გმირები: შუშანიკი, აბო, გრიგოლ ხანძთელი, რუსთაველის პოემის პერსონაჟები...

ახლა სხვა დროა. დღეს ტექნიკის არნახული განვითარების ეპოქაა. დღეს ადამიანს ემსახურება უამრავი რამ — ჩქარი მატარებელი, ფეშენებელური

გემი, უსწრაფესი თვითმფრინავი, სხვადასხვა ტიპის ავტომანქანები, ტექნიკური განვითარებას არ შეიძლება დაემატოს არ მოეხდინა ადამიანზე. ძალიან ხშირად ფიქრის, ფერების, „ლირიკის“, „რომანტიკის“ ადგილს იკავებს შიმველი საქმე, „ფიზიკა“. პომეროსის, შექსპირის, რუსთაველის სამყარო შეცვალა გართობამ — შემთხვევითი როდია, რომ ადამიანთა უმრავლესობა ასეა გატაცებული სერიალების ცქერით. თანამედროვე ადამიანი უფრო „Homo faber“-ია — მწარმოებელი, ვიდრე „Homo creator“-ი — შემოქმედი. ის მინიერი, ყოველდღიური ინტერესების მონაა, აქედან ძალადობისა და სექსის კულტი.

ამგვარი, მე ვიტყვოდი, ანტიპუმანური გატაცებების დაძლევა შესაძლებელია არა რაღაც „კოლექტიური“ ღონისძიების მეშვეობით, არამედ თავისუფალი საზოგადოების შექმნით. დაე, ყოველმა ადამიანმა თვითონვე გადაწყვიტოს თავისი ბედი: ძალით ვერცერთ ადამიანს ვერ ნაართმევ „Homo faber“-ობას.





შალვა ბაქრაძე

## კეთილი ადამიანები

ქალაქი სადაც დავეფუძნე დიდი ხანია აღარ არსებობს  
ყოველდღიურად მოგონილ საგნებს ვეხებით  
მოგონილ ადამიანებს ვზედავთ  
და მოგონილი ბგერები გვესმის  
ერთმანეთია ის დიდი სიტყვა ქალაქის შექმნა რომ ჩაგვაგონა  
და სიყვარულმა დაგვაგებინა ერთმანეთისკენ მავალი გრძელი ქუჩები

ქუჩების გასწვრივ შენობებია  
და შენობებში რა გამოლევს საწოლ ოთახებს  
იქ იგონებენ ერთმანეთისთვის ახალ ვესტებს  
ახალ ტყვილ სიტყვებს  
ახალ სიცოცხლეს  
და მოგონილ ღმერთებს ჰგვანან

ქალაქი სადაც დავეფუძნე მშვიდ ყურეს ჰგავს უხასრულო  
ოჯახში  
აქ ყველა კაცი ნაესადგურია და ხომალდი შორეული  
ნაოსნობიდან დაბრუნებული  
სიყვარული რომ შეუზარდა კიდურებზე მიდიებივით  
და მათი სული ისე ახლოა როგორც წყალი ზეირთსაქცივიდან  
როგორც მუსიკა ყურმოყრული მეტროს დერეფანში  
და მათი სული ისე თბილია როგორც წვიმა იელისის ბოლოს  
როგორც მტრული ცივ პურს რომ კნეკავს უსახლკარო მოხუცის  
ზელისგულიდან

ქალაქი სადაც დავეფუძნე დიდი ხანია აღარ არსებობს  
ყოველდღიურად მოგონილ საგნებს ვეხებით  
მოგონილ მიწას ებარავთ  
და წყალს ვუსხამთ მოგონილ ნერგებს  
შემოდგომამზე ვიღებთ მოხაეალს ბედლებს ვეხებით და  
გემრიელ კერძებს ვაშხადებთ  
რათა შემდგომ აუღელვებლად მივაშუროთ საწოლ ოთახებს  
და მოგონილ ღმერთებად ვიქცეთ

## მტკვარი

ამ მდინარეში ყველა თევზი ჯადოსნურია  
და ქართულად თავისუფლად საუბრობს  
გრიმამუილის და იეთიმ გურჯის ლექსები იცის ზეპირად  
ღუღუჭზე უკრავს და ბაიათებს მღერის  
სადილადა აქვს

პური ყველი ცოტა მწვანელი და თუნგივით წითელი ღვინო  
 დილაადრიან ფანჯრებს ალბს და ქალაქის ძველისძველ და  
 მღვრიე პერს ისუნთქავს  
 ხალამობით პირჯვარს იწერს და გამწვნსა სთხოვს  
 ღამე მშვიდობით გაუთენოს  
 ამ მდინარეში ყველა თევზს დიდი გული აქვს  
 და ნაცნობ ხიდთან მიახლოებულს ყოველთვის პულსი  
 უბშირდება  
 სულპირველად ხომ ამ ხიდზე გაყოცე

**მხალრობელი ვიტაულები**

ტყეში მიყვლილი ფრინველები მონკაეშირის მალაზიაში  
 განაგრძობენ სიყვდილს  
 ტყავის ჩექმები სანადირო თოფები საფანტი და შუშის თვალები  
 ცნობისმოყვარე ქალაქელებს უამბობენ დარღვეული წრებრუნვის  
 ამბავს  
 ხობობის მტრედის გნოლისა და იხვის სულეები ვერ შორდებიან  
 საკუთარ ცხედრებს და გაყინული ნისკარტიდან გალობენ  
 მათთვის ვისაც არ ესმის  
 და ვერ ხედავს ბუმბულს მიღმა გულისშემძცველ ბამბას და ნახერხს

მოდი წაუღეთ მონკაეშირის მალაზიაში  
 გადავიხადოთ მცირე თანხა  
 შევიძინოთ წეროს ფიტული  
 და მივართვათ საფვარულ ქალს  
 ნიშნად მარადი სიყვარულისა  
 და უპბღროთ  
 აის ვაზაფხულზე დაბრუნებით არ გაგახარებს  
 და შემოდგომით თბილ ქვეყნებში არ გაფრინდება  
 შენთან იქნება სამუდამოდ როგორც სიყვდილი  
 და ნახერხისფერ ღამამ წუთებს გაგიხანგრძლივებს

დილაადრიან მკედარ სიმღერებს იმღერებს შენთვის  
 საკუნეს არ მოგთხოვს წყალს არ დალევს შენი თუფშიდან  
 მხოლოდ ოთახის სიმყუდროვით აივსებს ჩინახეს  
 და თვალებიდან ჩემს სიფვარულს ამოგაყენკავს

წვეულებაზე ნათესაეებს მოიპატივებს  
 შაშვეს და ხობებებს მონკაეშირის მალაზიიდან  
 ისინი ჩაით გამოთბარ სუფრას მიუსხდებიან  
 და საკუთარ თავს სამეგობროდ გისახსოვრებენ

კვლავინდებურად ეფვარები ოჯახის წევრებს  
 ვერ შეამჩნევენ შენში რამე განსაკუთრებულს  
 რადგანაც მხოლოდ მე მიუხედეები რომ გაიხარდე  
 და იმ მგალობელ ფიტულად რომ გადაიქცევი“

## მსგავსება



თქვენ ცხოვრობდით  
და გულებში გიგანტური საამქროები მუშაობდნენ  
მატარებლები ღმუილით უახლოვდებოდნენ სადგურებსა და გვირაბებს  
ნავსადგურებში ტანკერებით ღუზებს უშვებდნენ  
და ხომალდები ვარსკვლავეთში მიფრინავდნენ კოსმოდრომიდან

მე კი ვიდექი

თქვენ ცხოვრობდით  
და ჯანსაღ მზრუნვე ღრუბლიანი ზეცა გესვენათ  
წყიმით ებრძოდით მზიან დღეებს  
და წარღვნის ფაშს მზის იმედი არ გიყვებოდით  
მარჯვე ხელებით დულაბს ზეღდით ცათამბჯენთათვის  
და ღამით მათი მკერდებიდან თეთრი მთვარე ამოდიოდა  
ერთმანეთთან მისასვლელად ქუჩებს აგებდით  
და შემდეგ ქუჩებს უწოდებდით ქალაქის ძარღვებს  
და ამ ძარღვებში მხოლოდ ხისხლი ედინებოდა  
ხისხლი სიცოცხლის მაწველებელი

მე კი ვიდექი

თქვენ ცხოვრობდით  
ყოველდღიურად გაუბრძოდით ერთმანეთს  
და უერთმანეთოდ წუთსაც ვერ ძლებდით  
საპირისპირო სქესისაგან იწვდიდით სხეულს  
და სიყვარულს მწიფე ვაშლივით ატკბარუნებდით  
შემდეგ შვილები იბადებოდნენ  
და ხედებოდით რომ სიყვარული სიცოცხლეა სხვა არაფერი  
და წერდით ლექსებს  
გრძელ გრძელ ლექსებს გაზაფხულზე და მწვანე ფოთლებზე

მე კი ვიდექი მშვიდი

თქვენ ცხოვრობდით  
და გწამდათ ღმერთი მეგობრობა ერთგულება და სხვა მრავალი  
გუძინათ მშვიდად  
და ძილის წინ უძღურებას  
უსასრულო სამყაროსადმი  
ლოცვით  
ტუთთა ცმაცუნით წარმოთქმული სიტყვებით გამოხატავდით  
და რწმენა იყო ოქროს ხაწმისი  
სიცოცხლის ხეზე დაყიდული  
და მას იცავდა უძღურება – გველეშაპი მარად ფხიზელი  
და რწმენა იყო ციხე-კოშკი შიშის გალაენით შემოსაზღვრული  
და იქ მყოფნი მუდამ გრძნობდით გულის სიღრმეში  
რომ არც რწმენა და არც ღმერთი არ არსებობდა  
რომ რეალური იყო მხოლოდ სიყვარულის დაკარგვის შიში

შემდეგ ეს შიში ძლიერდებოდა და ამტკიცებდით  
რომ ღმერთი თავად სიყვარულია

მე კი ეიღექი მშვიდი მშვიდი

თქვენ ცხოვრობდით  
და თვალები უზარმაზარი უშუქარი ნაპრაღი იყო თქვენს სხეულებზე  
რომლებიც მიწას ირეკლავდა  
და თქვენთვის მიწაც მიწა იყო სხვა არაფერი  
რომელიც მხოლოდ გასაზრდობებდათ და საბოლოოდ გულში გიყრავდათ  
და თქვენ კედლებოდით  
და სიყვდილამდე უთვალაყვარ იბადებოდით

მე კი ეიღექი მშვიდი მშვიდი  
მაგრამ მახსოვდა ცა  
ჯერ კიდევ მაშინ როდესაც იგი ჩვილი იყო შეტუპური  
და თვალები დღევანდელზე ცისფერი ჰქონდა

#### სიყვარულის კონსტიტუცია

ჩვენ გვაქვს უფლება  
შვეალოთ ერთმანეთის გულის კარი  
ყოველ დილით და ყოველ საღამოს

ჩვენ გვაქვს უფლება  
შვეალოთ ერთმანეთის გულის კარი  
ყოველ წუთს და ყოველ წამს

ჩვენ გვაქვს უფლება  
გამოვიდეთ სიტყვებიდან და  
ერთმანეთის თვალელებში გადაეხახლდეთ

სიტყვებს უფლება აქვთ  
ამოვიდნენ გულიდან და სიყვარულს შეეკედლონ

სიყვარულს უფლება აქვს  
იყოს მალლა ძალიან მალლა ვარსკვლავთა შორის

ვარსკვლავებს უფლება აქვთ  
ანათონ ჩემთვის და შერთვის

მე და შენ უფლება გვაქვს  
შვეხვით ერთმანეთს მოცახცახე თითებით  
და ეიფოთ მზესთან ძალიან ახლოს

შენ უფლება გაქვს  
გაიქცე და გჭონდეს იმედი რომ დაგედევნებს



ეროვნული  
ცენტრი

და შექნება შენი შეჩერების იმედი  
მოვალ და გვეწყო  
გაქვს უფლება გაიქცე ან განურღვე  
ან გქონდეს იმედი რომ დაგაბრუნებ  
მაგრამ შენ ამ დროს გეცოდინება რომ იმედი მაქვს  
და შეუცდები გამიცნო უს იმედები  
სწორედ ამიტომ არ განურღვები  
და აქედან გამომდინარე  
წოველივე დაეარგავს მხრს  
და მომინდება გაიქცე  
ან დავიძინო  
ან მოვკვდე  
ან მქონდეს უფლება შეგებლულო უფლებები  
ან მქონდეს იმედი რომ წველაფერი შენ უკვე იცი  
და გარბიხარ იმ მიზეზით  
რა მიზეზითაც შენს გაქცევას მე ვისურვებდი

მე მაქვს უფლება  
ვისურუო ის რაც სხვისია და არასოდეს გახდება ჩემი  
რადგან სურვილი დაუფლებას სულაც არ ნიშნავს

შენ გაქვს უფლება  
ისურუო ჩემი ხელები ან ეთქვათ ტუჩები  
მაგრამ ამავე დროს იცოდე რომ ვერასოდეს გახდება შენი  
ვერც ხელები და ვერც ტუჩები  
რადგან სურვილი სიყვარულზე მაღლა არა დგას

შენ გაქვს უფლება  
გიყვარდეს და არ გარბოდე

მე მაქვს უფლება მიყვარდეს ის რაც ასე მსურს  
რაც სხვისია და არასოდეს გახდება ჩემი  
და აქედან გამომდინარე  
უფლება მაქვს  
მოგიაზლოვდე  
ხელისგულით ფრთხილად შევეხო ხახვს რომელიც მე არ შეკუთვნილი  
თითები მშვიდად შევაცურო თმაში რომელიც მე არ შეკუთვნილი  
გაგზადო ტანზე  
და გაგრძნობინო როგორ ხდება შენი ის რაც არ შეკუთვნილია  
და გაგრძნობინო რომ  
უფლება მაქვს  
იყო ყველაზე ბედნიერი  
უფლება მაქვს  
გიყვარდეს და არ გარბოდე

მე მაქვს უფლება  
შემოვიდე შენს თვალბში  
წოველ წუთს და წოველ წამს

შენ გაქვს უფლება  
გეპარებოდეს ჩემში ეჭვი მაგრამ ამავე დროს იცოდე  
რომ მთელი ძალით შევეცდები ეს ეჭვები ქარს გავატანო

მე მაქვს უფლება  
ყოველ დღით გავიღვიძო შენ გვერდით  
და მძინარეს შუბლზე გაგოცო

ჩვენ უფლება გააქვს  
მომაეალი არ გვექონდეს და მხოლოდ დღევანდელი დღით  
ვიცოცხლოთ

ჩვენ უფლება გააქვს  
დღევანდელი დღე საუკუნედ და მარადისობად ვაქციოთ

ჩვენ უფლება გააქვს  
გვიფარდეს ერთმანეთი და ვიყოთ მზესთან ძალიან ახლოს



## ქრელი ხმოვების მგზავრები

ზლაკარი

### თავი პირველი

ის საკვირველი ამბავი, რომელსაც ახლა ვიამბობთ, დიდი ხნის წინათ მოხდა. ერთ უკიდევანო ზღვაში უშველებელი გველემაში ბინადრობდა. სიდიდესთან ერთად თვალისმომჭრელად ლამაზიც გახლდათ. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე ფიქრობდა, როცა კისერმოღერებული ვასცქეროდა ზღვაზე უსასრულოდ გაკლაკნილ წითელ სხეულს, რომლის ზედა ნაწილიც მწვანე და ფოლადისფერი ქერცლით ჰქონდა შეჯავშნული.

— თქმა არ უნდა, უსაზღვროდ დიდი და არაჩვეულებრივად ლამაზი ვარ! — აღტაცებას ვერ ფარავდა საკუთარი თავით მოხიბლული ზღვის ურჩხული და გახარებული ცას შეჰყვილებდა, თითქოს მისგან მოელოდა თავისი სიდიადის აღიარებას. ცა კი აინუნშიც არ აგდებდა. მისგან განსხვავებით, შორს, მთის მწვერვალზე მდგარი, თავქოჩორა მწყემსი, კომბალს მუქარით გააქნევდა და უყვიროდა: ეპეი, ღორმუცელავ, მალე შენთვისაც მოვიცილი, ამ კომბლით სამუდამოდ ჩაგაჩუმებო. გაბრაზებული ურჩხული გაიფიქრებდა, — ერთხელაც იქნება ჩამივარდები ზელში და შენს კომბლიან-ცხვრებიანად შეგახრამუნებო. ასე გრძელდებოდა ეპემიდან ჯამამდე, საუკუნეების მანძილზე, თუმცა მუქარის აღსრულებას არც ერთი ჩქარობდა და არც მეორე.

იმ დროისათვის, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ურჩხულს, ზლაპრული მადა ჰქონდა, შიშხილს ვერაფრით იოკებდა. ამიტომაც იყო, ერთიანად ნთქავდა ტვირთით და ადამიანებით სავსე ნაეებს, გემებს, ვეებერთელა ხომალდებს. ხომალდები რა სახსენებელია, — ზოგჯერ თვით კუნძულებს, თავის სოფლებიან-ქალაქებიანად, სტომაქში გადაუძახებდა.

გადიოდა დრო. გველემას ასაკი ემატებოდა, მთამომავლობას კი ვერ ტოვებდა. ამის გამო, ზოგჯერ ისე მოიწყ-

ენდა, ცხვირწინ ჩაველილ ხომალდებსაც კი გულგრილ მზერას გააყოლებდა.

ერთ დღეს, ჩვეულებისამებრ, ზღვაზე განოლილმა ურჩხულმა, შორს მეკობრეთა შავალმიანი გემი შენიშნა. უყურა, უყურა და უცებ აზრად მოუვიდა, გემზე მყოფი ხალხი თავის შემკვიდრებად აღეზარდა. — ეს რა ჭკვიანური რამ მომაფიქრდა, სად ვიყავი ამდენ ხანს?! — ჩაილაპარაკა დიდად კმაყოფილმა და სიხარულისაგან ახარხარდა. მისი გულ-გვამიდან გამოსულმა პაერის ნაკადმა ზღვა საშინლად ააბობოქრა, ისე, რომ ვეებერთელა ტალღები მეკობრეთა გემს წუთი-წუთზე გადააბრუნებდა. ურჩხულმა მზიარულება შეწყვიტა, ღონე მოიკრიბა და უშველებელი კუდი ფრთხილად შემოახვია დასალუჟად განწირულ გემს. მალე, ლამის ღრუბლებამდე ასწია და ახედა. გემზე მყოფი ხალხი სანყალობლად აღრიალდა. გველემამა, რამდენადაც შეეძლო, ალერსი გაურია ხმამ:

— რა დღეში ხართ, გვრიტებო, რა გაქოთქოთებთ, დამშვიდდით!

ადამიანები გაოცებისაგან დადუმდნენ. მერე დიდ, ოქროსეშვებიან ღორზე შემომჯდარმა ცალთვალა კაცმა ხმის კანკალით ჩამოსძახა:

— დიდებულო, ყოვლად ვეებერთელა! არ დაგვლუპო, რა! მე, ხომ ხედავ, ავადმყოფი კაცი ვარ, საკუთარი ფეხით სიარული მიჭირს... ექიმმა, თავს გაუფრთხილდით... — სიტყვა ვერ განაგრძო, ისე მწარედ ატირდა, ოთხკუთხა უღვაში დაუმრგვალდა. სხეები ზრიალით აყენენ. გველემაში ვითომ შენუხდა, — დაწყნარდით, კაცებოო, დაუყვავა და გემი ზედ ცხვირწინ, ტალღებზე, ფრთხილად დასვა. მერე სულ დაითაფლა: — მინდა იცოდეთ, მეგობრებო, მე გულით ნაზი არსება ვარ, ჭიანჭველასაც კი არ ვანყენინებ, აქეთ თუ არ მიკბინა... რა ვქნა, ასეთი ხასიათი მაქვს... ახლა კი და-



მშვიდდით, გამხიარულდით და მომიყვით, ვინა ხართ, საით გაგინევიათ... ერთი სიტყვით, ტკბილად დავილაპარაკოთ, კარგით, გენაცვალეთ?

გემზე მყოფებმა ერთმანეთს გადაურჩულეს, - არც ისე ცუდადაა საქმე, როგორც გვეგონაო. ამ იმედიანმა გადალაპარაკებამ, ღორზე შემომჯდარი ცალთვალა შეაგულიანა და ენის ბორძიკით გაეცნო ურჩხულს:

- ქალბატონო გველეშაპო! მე ხოსრომქვია. ამ გემის კაპიტანი და მთავარი მეკობრე გახლავართ...

- ყოჩაღ, ყოჩაღ! - გამხმნევა ურჩხულმა, - განაგრძე, გისმენ!

- კარგი, არაფერს დაგიმალავთ! პატიოსნად ვიტყვი - ცალთვალას გადარჩენის იმედი გაუჩნდა. - გემი პირამდე გავსებული ნაძარცვი თვალმარგალიტით, სურსათ-სანოვავით, ტყვეებით... სხვა უამრავი სიმდიდრით. ეს ყველაფერი თქვენნი იყოს! სულით და გულით გჭუწნით!

- რად მინდა, რო... - გაოცდა ურჩხული.

მეკობრემ იფიქრა, ალბათ ეცოტავაო და შელაღადა:

- ეს ჭრელი, ოქროსეშვებიანი ღორი, მე რომ ვზივარ, ძვირფასი ოთხფეხია. ჯან-ტახო მქვია. მართალს არ ვამბობ, ტახუნია? - ჩაეკითხა ღორს. - ნამდვილად ჯან-ტახო მქვიაო, - დასტურის ნიშნად დაიღრუტუნა ღორმა. აღტაცებულმა კაპიტანმა ხელები გაშალა, - აი, ხომ ხედავთ, რა ჭკვიანია! ძველად, ერთ ხელმწიფეს ნავართვი. იმ დროს, ეს ტახი პანანინა გოჭი იყო, თანაც საყვარლად ჭყვიროდა...

- ოო, ჭყვირილი არ მიყვარს, - ჩაურთო გველეშაპმა, - მერე, მერე?

მეკობრე შემფოთდა, - ეს იმ დროს ჭყვიროდა, როცა პატარა იყო და ჭკუა არ მოეკითხებოდა. ამჟამად სულ არ ჭყვირის, სამაგიეროდ, ისეთი ჭკვიანია, გავკვირდება, რა გინდა, ამან რომ არ იცოდეს?.. ესეც თქვენი იყოს! ერთგულად მოგემსახურებათ... ბოლოსდაბოლოს, თუ ინებებთ, ვახშმად შეჭამთ.

გველეშაპს უნდოდა ეთქვა, ამისთანა საძაგლობას როგორ ჩავიდნენო, რომ წყენისაგან ახროტინებულმა ჯან-ტახომ მხედარს ასძახა:

- მაგის შესაჭმელად მიმეტებ, ამის ღორსი ვარ შენგან?

- ვიხუმრე, სულელო! - ნაბლაღვე ად გაიცინა ხოსრომ. ტახოს ქერზე ხელი გადაუსვა, თან, ის ერთი საღმრთო მსოქმე პაჭუნა ურჩხულს. აქაოდა, ღორს კითხავს, შეჭამენ თუ არაო.

გველეშაპს ტახოს შეჭმაზე უფრო დიდი მიზანი ჰქონდა, გადაწყვიტა, კიდევ უფრო გაემყარებინა თავისი კეთილი სახელი და ჯან-ტახოს ასე მიმართა:

- ნუ ღელავ! ცხადია, იხუმრა შენმა პატრონმა, თუმცა, ასეთი რამ ხუმრობითაც არ უნდა მაკადროს! - ყასიდად განანწყინდა გველეშაპი, - აკი გასაგებად ვითხარით, რომ კეთილი არსება ვარ მეტსაც გეტყვით, მე ჩემს სულსა და გულს ვთავაზობთ, ვცდილობ გასიაშოვნოთ, გაგახალისოთ, თქვენ კი რაღაც სულელური საჩუქრები გინდათ მომიგდოთ, თანაც უშნოდ იცრემლებით, კანკალებთ... აი, მითხარით, როგორ მოვიქცე, რომ გიყვარდეთ?, გინდათ, იმდენ თვალ-მარგალიტს მოგცემთ, სიხმრადაც რომ არ გინახავთ!

- ჩენი გზით გაგვიშვი, სხვა არაფერი გვინდა, პატივცემულო! - ნამოიძახა გემბანზე მდგარმა ერთ-ერთმა მეკობრემ.

- გაგვიშვი, მაღლი მოისხი. - აყაყანდნენ სხვებიც.

გველეშაპმა ვეებერთელა, მთისტოლა თავი სინანულით გააქნია, მერე თქვა: - ყური მიგდეთ, ძვირფასებო... თქვენ, როგორც ჭკუადამჯდარი კაცები, ალბათ ხედავთ, რომ მე არც ისე ცუდი ვინმე ვარ, როგორც ზღაპრებში სწერენ. განა ასე არ არის?

- ჭეშმარიტად, ბატონო!.. ნამდვილს ამბობთ, ნამდვილს! - მოისმა პასუხად. ნასიამოვნებმა გველეშაპმა განაგრძო: - პოდა, კარგებო, ამ აქოჩრილ ზღვაში ნანნალს არ გირჩევენიათ, ჩემისთანა გულკეთილ არსებასთან დარჩეთ? თანაც იცოდეთ, არ მოგაკლდებათ ოქრო და ვერცხლი, თაფლი და პური, ვაშლი და მსხალი, ბანანი და ანანასი, ფოჩიანი კანფეტებიც უღევად გექნებათ... რალა გინდათ, დარჩით, მემსახურეთ და მეც ცივ ნიავს არ მოგაკარებთ!

სიჩუმი ჩამოვარდა. ყველაფერს ელოდნენ, ამას კი არა. ცოტა ხნის მერე ურჩხულმა დაასკვნა: - მაშასადამე დუმილით შეთანხმებით, მართლაცდა რა სჯობია სიამტკბილობით ცხოვრებას? განა მართალს არ ვამბობ?





— სწორია, მართალია! — იხუვლა ხალხმა.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ წესი და რიგი სჭირდება ყოველი საქმის მოგვარებას. ამიტომ გიცხადებთ: ჩემი სამოთხისმაგვარი ქვეყნის გამგებელ-გუბერნატორად ვნიშნავ ძაან ჭკვიან კაცს, მეკობრეთა კაპიტან ხოსროს. მიესალმეთ, მეკობრებო!

გემზე ყოფინა და ტაშისცემა ატყდა. ზოგს საქმის კეთილად შემოტრიალება უხაროდა. ზოგს — კაპიტანის გაგუბერნატორება. თავად ხოსროს კი ერთიც და მეორეც. ის ახლა, ღორზე ამხედრებული, მტერზე გამარჯვებული მთავარსარდლის იერით ღებულობდა მილოცვებს. კარგა ხნის მერე ტაში ჩაცხრა. გველესამა მოისურვა თავის ციხე-კოშკებში მცველების ჩაყენება. ამის თაობაზე გუბერნატორს განუცხადა. მანაც ფიცხლავ შეკრიბა ათი რჩეული მეკობრე, რომელთა ათისთავად მელოტი ყაჩალი, სახელად ბაჯა დანიშნა. სანამ ახლადგამწესებული მეციხოვნეები ნაპირზე გადავიდოდნენ და ტყვიანი გორაკის იქით აღმართული კოშკებისკენ დაიძვებოდნენ, ურჩხულმა მჭექარე ხმით გადასძახა მათ: რკინის მკენეტელი კაცებო! თუ გინდათ სახელი და დიდება მოიხვეჭოთ, ღირსეულად უნდა ალასრულოთ თქვენი ვალი იმ ჩვენი ძვირფასი სახელმწიფოს წინაშე, რომელიც ეს-უესა იქმნება! მეციხოვნეო! გახსოვდეთ, ჩემს სტომაქში მღებარე სახ-

ელმწიფოდან გამოქცეულ ყოველი სულდგმული ჩვენი საერთო მტერია! ასეთები შეიპყარით, მტერებო! და გვეივით დაეღუჭავ, რაც შეეძლება! მტერებო, ანუ გარედან მოსულებს, როგორმე თვითონ შევნიშნავ და მოუვუვლი!

ამ სიტყვებმა გემპანზე მყოფი ზოგიერთი ადამიანი ძლიერ ჩააფიქრა, თუმცა შიშისაგან კრინტი არ დაუძრავთ. ბოლოს, გველესამმა ხოსროს მიმართა, თუ შეამჩნიე, პირლია ვარ, ვგრევე მძინავს, მაგრამ ახლა უფრო დიდზე გავალებ პირს თქვენს საპატივცემულოდ და გემს შიგ შევაცურებ. ცოტა ხნის მგ ზავრობის მერე ჩემს სახელმწიფოში აღმოჩნდები. ნამეტანი მდიდარი ქვეყანაა, სხვიანი გადმოცემით ვიცი. შენ, როგორც გუბერნატორმა, ხალხი დააბინავე, ნესრიგი დაამყარე და უკანვე მობრუნდი. ერთი ზღვისპირა სახელმწიფოს დასაწყობად ანუ გასაბედნიერებლად უნდა ნახვიდე.

— მესმის! — სამხედრო ყაიდაზე ხელი შუბლთან მიიტანა გუბერნატორმა.

— პოდა, ძალიანაც კარგი. ახლა კი უნდა დავიძინო. დამალა გონებრივმა მუშაობამ! — გველესამმა თვალები დახუჭა. იმავდროულად გორაკზე აღმართულ კოშკებს ქვემოთ, — მარჯვნივ და მარცხნივ, ლაშების კუთხეებში, შავად პირდაღებული გვირაბები გადიდდა. შიგ შევარდნილმა წყალმა გემი თან გაიტაცა.

### თავი მეორე

გველესამის ხახაში ტვირთით და ადამიანებით საუსე გემი ხმაურით გაუჩინარდა.

ქვა-ღორღიან ნაპირზე მდგარმა მეკობრეებმა ხელედი მოიჩრდილეს და პირს, ტყის იქით აღმართულ კოშკებს ახედეს, უკმაყოფილოდ თავები გააქნიეს. ძალიან არ უნდოდათ ახალ სამსახურში ჩადგომა, მაგრამ ურჩხულის შიშით ჩუმად იყვნენ. ბოლოს, ერთმა ნვერგაბურძგნილმა მეკობრემ გაბედა:

— ძმებო, არაფერი გვესაქმება იმ შავად გარუჯულ კოშკებში. სანამ დროა, შევეკრათ ტივი და გავიქცეთ აქედან...

ამის თქმა იყო და მელოტმა ბაჯამ მათრახი გადაუჭირა მას, თან დააყოლა, — ესეც შენ, ბრიყვო!

ნვერგაბურძგნილმა იყვირა, ამას არ შეგარჩენო და დანა იძრო, მაგრამ ამხა-

ნაგებმა გააკავეს. ამ ჩოქოლში ბაჯა კოშკებს ზემოთ, მთასავით ნამოგრაგნილ სახეზე, დახუჭულ თვალებს შესცქეროდა. რა დარწმუნდა, გველესამს მწვიდად ეძინა, შევბით ამოსუნთქა და ხელქვეითებს მიუბრუნდა: — კიდევ კარგი, არაფერი გაუგია, თორემ შტრისას, ჩვენ საქმე დაგვემართებოდაო.

— მართალი ხარ, მართალი! — დაეთანხმნენ მეკობრეები.

— პოდა, მართალი რომ ვარ და თქვენზე ჭკვიანი, იმიტომაც დამნიშნა გუბერნატორმა ათისთავად. კეთილი ინიებთ და დამემორჩილეთ, თუ გინდათ მხრებზე თავები შეგრჩეთ! ხელქვეითებს საითთაოდ მიაცქერდა, მერე განაგრძო, — ახლა კი, ყოფილო მეკობრეებო, ამჟამად გველესამის მეციხოვნეო, მომყევით, ნინ კოშკებისაკენ!...



ათისთავი რაზმთან ერთად ურჩხულის ნიკაპზე ნამოქოჩრილი ტყისკენ გაემართა;

ტყეში შესულთ ბაჯამ უბრძანა, დანები მოემარჯვებინათ, რათა მტაცებელი მხეცებისაგან თავი დაეცვათ. ასეც მოიქცნენ. ტყულიად კი შიშობდნენ, — იმ უღრანში მხოლოდ წერილ-წერილი ნადირები ბინადრობდნენ. ისინი, დანებ-მომარჯვებული კაცების დანახვაზე, დაფეთებულები გაიქცნენ. მათგან განსხვავებით, მაიმუნები თავხედურად იქცეოდნენ, მანჭვა-გრეხვით ტოტიდან ტოტზე დაბტოდნენ და თვლებგაფაცოცებულ კაცებს თავზე ნაირნაირ ხილს აყრიდნენ, ასე რომ, ზოგიერთ მათგანს შუბლზე კოპიც კი ამოეზარდა.

კარგა ხნის სიარულის შერე, რაზმი ტყიდან გამოვიდა და რქოვანი საფარველით დაფარულ ზღუდეზე ავიდა. ზღუდე, სინამდვილეში ურჩხულის ქვედა ტუჩი გახლდათ. იქიდან ნესტიან, ბაყაყებით საესე ხევი ჩავიდნენ, რომლის ვაკოლებზეც, ერთმანეთისგან მოშორებით, კომკები იდგა. რაზმელები ერთ-ერთ მათგანს მიუჯალოვდნენ. ვაკოცებულები ხელით სინჯაოდნენ აქა-იქ გახერხტილ, ნაპრალეში ჩამუქებულ შენობას. უკვირდით, რომ ჩვეულებისამებრ ქვით და კირით არ იყო ნაგები. მოგვიანებით მიხვდნენ, მათ წინ ნამდვილი კომკი კი არა, ძელის კბილი იყო აღმართული, თანაც ქიანი, სამკურნალო...

კაცებმა კომკის გარედან თვალთვრებით გული იფურეს. შერე, მოზრდილი ბერული იპოვეს და შივ ღრუში შევიდნენ, პოდა, გაკვირებისაგან ყველამ ერთად ამოიხალა. იქაურობა უზარმაზარ, მაგრამ ათასგვარი ნაგვით საესე დარბაზს წარმოადგენდა. შრომასთან მწყრალად მყოფ ნამეკობრალეებს ეს ამბავი არ მოეწონათ, კარგა ხნის აქნიეს თავები. ბოლოს, ბაჯამ თქვა: — არაფერია, წელი არ მოგწყდებთ! ჯერ ერთი კომკი მოვანსრივით, ავეჯით გავანყოთ, შერე დანარჩენებო. სხვა რა გზა ჰქონდათ, ხელები დაიკაპინეს... და საქმეს შეუდგნენ.

ახლა, ის ნვერგაბურძნელი ნამეკობრალი სრულებით არ ფიქრობდა ტყით გაქცევაზე. მეტიც — კმაყოფილებისგან ხელებს იფშენებდა, თვალებს ეშმაკურად ჭრუჭრავდა: — შეფეხებით ვიცხოვრებთ, ძმებო, ძან გავვიმართლა. მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს...

— რა იყო, კაცო, არ იტყვი? — ყურები ცქციტეს მეკობრეებმა.

— რა და ამ გველემმა შენაწინა კბილების დილა-სალამოსაგან რისიკი გეხება რომ გვიბრძანოს, ნამდვილად დიდი ჯაფა დაგვადგება.

— ეს რა თქვა, კაცო! — აბარხარდნენ მეციხოვნენი.

— აბა, აბა ასეთი ხუმრობა მეორედ არ გავიგონო! — მათრახი შემართა ბაჯამ. — საქმეს მიხედეთ!

კაცებმა მუშაობა განაგრძეს, თან ხმამალა დასცინოდნენ გველემას, ბაჯას, ხოსროს... მართლაც რომ მშვენიერ გუნებაზე იყვნენ ყოფილი ყაჩაღები.

ახლა ურჩხულის ხაბაში გაუჩინარებულ გემის მგზავრებს მივებრუნდეთ. თავიდან, მათ, კომკის მცველებისაგან განსხვავებით, სრულებით არ ეხუმრობოდათ. მეტიც, — ქალები მოთქეამდნენ, კაცები იცრემლეზობდნენ. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ურჩხულმა მოატყუა და ბნელი სტომაქისკენ გზას გაუყენა. გუბერნატორი ცდილობდა მათ გამხნეებებს, გაიძახოდა, — ცოტა მოითმინეთ და სამოთხისმაგვარ ქვეყანაში მივალთო, თუმცა ამისა თვითონაც ნაკლებად სჯეროდა. კარგა ხნის შერე, შიმშილისა და დაღლილობისაგან გასაყვათებული მეკობრეები და მათი ტყეები ძილად მიეგდნენ.

უცებ გემბანზე ვილაცამ გიჟივით იღრიალა: — გაიღვიძეთ, ადამიანებო, გათენდა, გათენდაო. ყვირილზე ნახევრად მძინარე ხალხი ზეზე ნამოიჭრა, გაიხედეს და... მეტისმეტი აღელვებისაგან ერთმანეთს გადაეხვივნენ, კოცნიდნენ, ცეკვავდნენ.

რა მოხდაო იკითხავთ?

მოგახსენებთ. შორს, მთის თავზე დაკიდული უფერული მზის შუქზე ჩანდა ნინ გამლილი ქალაქი უამრავი ქუჩებით, სასახლეებით, მოედნებითა და პარკებით. ამ ყველაფრის დანახვისას ღორზე ამხედრებული ხოსროც ძლიერ აღელდა. მათრახს პაერში ამზუილებდა და გაჰყვიროდა: ძმებო, კარგებო, შეხედეთ, დატკბით!. აი, ამ ქვეყნის გუბერნატორი გახლავართ მე, დიადი ხოსრო ანუ ხოსრევანი იქვეც კი არ გჯეროდათ ჩემი!... ახლა რას იტყვით, უმეცარნო, ჭირიმე თქვენნი!... ასე, ხოსროს სიტყვების რაზარუბში, ხალხის ცეკვა-თამაშში გემმა ნავსადგურში ღუზა

ჩაუშვა. ნაპირზე გადავიდნენ, იქ იყაყანეს, იხმაურეს და გადაწყვიტეს, ერთად დაეთვალთვინებინათ ქალაქი.

ფართო, ქვაფენილით მოკირწყლულ ქუჩას გაუყვანენ და მალე ლამაზი ნაგებობებით დამშვენებულ მოედანზე აღმოჩნდნენ. რას არ ნახავდით აქ — სასახლეებს, საცხოვრებელ სახლებს, დუქნებს, ქარვასლებს... მოედნის ზემოთ ნაშობართული კლდიდან ჩანჩქერი გადმოკიდულიყო და, ქალაქოტში მოქცეული, იქვე, ულამაზესი პარკის შუაგულში მიედინებოდა. მასზე გადებული იყო გიშრით, ლალით, ფირუხით ნაგები თაღოვანი ხიდები. წყლის გასწვრივ უზარმაზარი, არნახული ჯიშის ხეები იდგა, მათ ძირას, თანაბარ მანძილებზე, ვილაცის ჯადოსნურ ხელს, დაბალი, თეთრი მარმარილოს შადრევნები ჩაერიგებინა, რომლებიდანაც ნაირფერი სითხე გადმოდიოდა. უახლოეს ყვითელ შადრევანთან მისულებმა ფორთოხლის სუნი იგრძნეს. მერე, ერთმა ცნობისმოყვარე კაცმა სითხით თითი დაისველა და ენით გალოკა.

— ღმერთო ჩემო! ეს ხომ ფორთოხლის წვენია! — აღმოხდა თვალეზვართოებულს და შადრევანს დაენაფა. იმედროულად, გვერდით ჩადგმულ შადრევანს გადაფოფრილმა ერთმა ყოფილმა მეკობრემ სიხარულისაგან შეჰკივლა: მარწყვის წვენი, გუფიცებით! ბავშვობის მერე არ დამიღვევია, ძმებო!.

ხალხი ჯერ დაიბნა, მერე თვილ-ზივილით შადრევნებს შეესია. რიგრიგობით სვამდნენ კივის, ანანასის, ყურძნის, ალუბლის და კიდევ ვინ მოთვლის, რის წვენს არა. თან ნასიამოვნებნი გაიძახოდნენ: — ღმერთო, რა გემრიელია, ნამდვილად ჯადოსნურ სამყაროში მოვხვდითო.

ტახო-ლორზე ამხედრებული ხოსრო ერთხანს გაოგნებული შეჰყურებდა ხალხს. ჯერ იფიქრა, დამცინიანო, მერე მიხვდა, ცდებოდა. მასაც მოუნდა წვენების გასინჯვა, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა და გაგულიხებულმა იღრიალა: — რა უნაბავებოვით იქცევით, თქვე გაუზრდელებო! ვინმემ რომ გნახოთ, ხომ მომეჭრა თავი! ფუჰ!

ამ შეძახილმა ყველა გამოაფხიზლა. ერთმა ყოფილმა ტყვემ შეპბედა:

— სად გინახავთ, ბატონო, ასეთი საოცრება?... გასინჯეთ და დარწმუნდებით, რომ მართლაც საუცხოო წვენებია.

— გირჩევთ ანანასისა გასინჯოთ. — საქმიანად დატრიალდა დაგველული მეკობრე. მერე ზურგნასტიდგმ პრლდის ჭიქა ამოიღო, მოვარდისფორ-ქარვისფერი წვენით აავსო და ხოსროს მიაერთა. ყველა მას მიაჩერდა, აინტერესებდათ, რას იტყოდა. მან კი ზრდილობიანი, დარბაისელი კაცოვით სვენებ-სვენებით მიირთვა, ამკარად მოენონა. თუმცა ხეჰფულად გამოაცხადა:

— ფინაჩების შეზავებულ ლიმონათსა ჰგავს... ზედმეტი შაქარი მოსვლიათ! ერთი ხელში ჩამაგდებინა ამის დამაზადებელი? უჰ! — მათრახი მედიდურად შემართა გუბერნატორმა, მაგრამ მოულოდნელობისაგან ჰაერშივე გაუშეშდა.

რა მოხდა? რა და თვალი ჰკიდა ფერდობზე მდგარი თუთიდან ჩამოსულ შავ, თმახუჭუჭა, მოკლემარვლიან კაცს, რომელიც თვალებს აფახულებდა. ყველა მას მიაჩერდა. ბოლოს, სიწუმე ხოსრომ დაარღვია: — ვინ ხარ, კაცო, შენ, აქ რა გინდაო?! — მიმართა უცნობს.

— აბორიგენი ვარ, ბატონო, — უპასუხა შავმა კაცმა და ინტერესით შეათვალიერა ჯერ ხოსრო, მერე ლორი.

„ეს კიდევ რას ნიშნავს?“ — გაიფიქრა გუბერნატორმა და სქელი ნარბები შეჰყარა. თმახუჭუჭა მიხვდა, ვერ გაუგეს და განმარტა: — ადგილობრივ მაცხოვრებელს აბორიგენი ჰქვია. ბოდიში, თქვენ ვინ იქნებით? — მე... ამ სოფელ-ქვეყანის გამგებელ-გუბერნატორი ვარ, ესენი დღეიდან აქ მაცხოვრებელი ხალხია. შენ კი რა გქვია, ბოდიში? — ვიცო... —

— გაშვავებს ეს კაცი! — ჩილაპარაკა ხოსრომ და ფან-ტახოს ჰკითხა, შენ რას ფიქრობ ამ ყველაფერზეო? ტახომ, — აბა რა ვიცი, პირდაპირ გაოცებული ვართ.

გუბერნატორი კარგა ხნით ჩაფიქრდა. ხელქვეითებმა მისი დუმილით ისარგებლეს და შავკანიან ვიტაას კითხვები დააყარეს: აქ როგორ მოხვედო? ამინდები და მოსავალი როგორი იცისო და ასე შემდეგ. აბორიგენი შენუხდა, — ყველამ ერთად არ იყაყანოთ. უცებ ხელის ოსტატური მოძრაობით მონითალო ბუხანკალი დაიჭირა, პირში გადაუტახა და ვითომც არაფერიო, განაგრძო: — დიახ, მოკლედ გეტყვით. პაპაჩემისაგან გამოვივინია — უხსოვარ დროში ჩვენი წინაპრების კუნძული ქარბორბალამ ძირიანად მოთხარა და ამ სამოთხეში გადმოავდო, რაც შეეხება ამინდ-



ებს, თავიდან ამ მხრივ ვერ იყო კარგად საქმე, მერე, ჩვენი ტომის ბრძენკაცებმა მოიფიქრეს და ოქროსგან მზე გამოჭედეს, ვერცხლისგან — მთვარე. იმ დღიდან ე, ვგერ, მთის წვერზე მონაცვლეობით ვკიდებთ მზეს და მთვარეს...

— მოსავალი მაინტერესებს, ვიტაკო, მოსავალი! — მოუთმენლად შეანწყვეტინა ერთ-ერთმა ყოფილმა ტყვემ.

აბორიგენმა ხელები გაშალა, — კაცო, თუ რამის დათესავ, ყველაფერი ამოვა, მაგრამ რა საჭიროა, ტყეში ყველაფერი მზამზარეულიაო.

— ეეჰ... ხელი ჩაიქნია იმ მოუთმენელმა, ალბათ ყოფილმა გლეხკაცმა, — ჩემი ამბავი, რომ ვიცო, თონხას ვერ მოვიძლი, არადა —, ყველასათვის სასაცილო გავხდებო.

— ჩუმაღ! ხმა არ გავიგო თქვენი! — ნამოძახა უცებ გუბერნატორმა, ეტყობა რალაც მოაფიქრდა, წარბშეკრული ვიტკიას მიაჩერდა:

— შენ აქ მარტო ცხოვრობ თუ?..

— რატომ მარტო! თექვსმეტნი ვიქნებით, ყველანი შავები. ამჟამად მთაში ავიდნენ, პურმარილზე, დროის გასატარებლად. მე ვერ წავედი, ცოტა შეუძლოდა ვარ, არადა ისეთი გემრიელი ხოჭოჭუნები იცის ჩვენში...

— აჰა, ჰა! არ გამაზონო! — შეანწყვეტინა ხოსრომ. — ახლა ყური მიგდე, ბოძია... ტყეში ცხოვრება და ხოჭოჭუნების ყლაპვა არაა მოსანონი საქციელი. დღეიდან, არა ხვალიდან, ადამიანურად უნდა იცხოვროთ. ნადი ტყეში და შენი ძმაკაცები გამოიყვანე, ხვალ დილიდან სამსახურში ჩადგებით.

— რაში გვჭირდება?... უწყინა შავკანიანს.

— ხმა, კრინტი! — შესძახა გუბერნატორმა და იმ სანყალს შიშველ ზურგზე მათრახი გადაუჭირა, — ხომ არ გგონია ვილაც ტომის ბელადს ელაპარაკები! გაგანადგურებ ნამში!... ხვალ დილიდან სამსამად, მწყობრი ნაბიჯით ივლით წინ და უკან დღისითაც და ღამითაც. მორიგეობით, რასაკვირველია. ამ ქვეყანაში თქვენ იქნებით წესრიგის დამცველები. რაზმის უფროსად შენ გინმნავ. თუ თავს გამოიჩენ, ჩინსაც მოგცემ და ბრჭყვიალა მედალსაც დაგკიდებ. გესმის თუ არა?

— მესმის! — ჩაილულულა ვიტაკი. ხოსრომ, — არა ძმაო, ასე შიშველად ვერ ვიქნებო. ალთ, სამხედრო ყონდაზე უნდა ივლით, რაკოო. მერე მონდომებით აუხსნა, როგორც ესაუბრა. სამწყობრო ნაბიჯით სიარულის აუცილებლობაც განუმარტა. აბორიგენი ნიჭიერი შეგირდი აღმოჩნდა. თვითონ განსაჯეთ: როცა გუბერნატორმა უთხრა, შეგიძლია ნაბიჯიდეო, მხედრულად გაჯგვიშულმა, სამწყობრო ნაბიჯით ტყისკენ გასწია. თან იძახოდა: ერთი-ორი, ერთი-ორი...

— ყოჩაღ, ბიჭო! შორს ნახვალ შენ! — გაამხნევა ხოსრომ. მერე ქვეშეკრულმებს მიუბრუნდა: — ნადით, ბინებში მოენყვით თქვენს გემოზე. მცე ცოტას დავისვენებ და მერე უფროსთან გავემგზავრები. როცა იქიდან დავბრუნდები, აგიხსნით, როგორი წესით და რკივით ვიცხოვრებთ ამ ძვირფას სახელმწიფოში. ნადით ახლა... შო, მართლა, იმ სასახლეში მე უნდა ვიცხოვრო. — მოედანზე მდგარი ყველაზე დიდი სასახლისაკენ გაიშვირა თითი, — იქ არავინ გაბედოს შესვლა!

ხალხი ნამში დაიშალა. ჯან-ტახომ გუბერნატორს უჩურჩულა, ტყეში რკოს საქმელად შევალ, თორემ ნამეტანი მომშივდაო. პატრონმა ნება დართო, — ოლონდ ყურადღებით იყავი, არავინ დაგინახოსო. — ხმადაბლა დაატანა და ძირს ჩავიდა, ფეხებდაბრეცილი, კოჭლობით გაემართა სასახლისკენ. ჯან-ტახო ტყეში გაიქცა.

უნდა გითხრათ: ხოსრო და ტახო იმიტომ ჩურჩულებდნენ, რომ არ უნდოდათ ვინმეს გაეგო ანენაბა, ღორი რომ რკოს მიერთმევდა, რადგან ხოსრომ მას პატარაობიდანვე არაჩვეულებრივი, ბრძენი არსების სახელი დაუგდო და ეშვებიც ოქროთი დაუფარა. აქაოდა, ჩვეულებრივ ღორზე შემოჯდომა არ მუკადრებო.

საკმაო ხნის მერე, დასვენებული გუბერნატორი და დანაყრებული ჯან-ტახო ნავსადგურისკენ მიემართებოდნენ. გემზე მათ ერთგული მენიჩბებიც ელოდნენ. როგორც გახსოვთ, გველემშაპის ბრძანებით, ხოსრო რომელიღაც სახელმწიფოს დასაპყრობად უნდა წასულიყო.

**თავი მასამ**

გემი შეუსვენებლივ მიაპობდა ტალღებს. ირგვლივ წყვდიადი ჩამ-

ონოლილიყო. ხოსრო გემბანზე ნამონოლილ ჯან-ტახოს გვერდით, მუხის

სავარძელში იჯდა და მომავალ ლაშქრობაზე ფიქრობდა. შიგადაშიგ მენიჩბეებს უყვიროდა: ხომ ხედავთ, ნიავე არ იძვრის, აფრებს ნიჩბები მიაშველეთ... ჩქარა მიმიყვანეთ გველეშაპთან, ქვეყნების დაპყრობა მწყურიაო. ბოლოს, როგორც იქნა, ურჩხულის ყბასთან ლუზა ჩაუშვეს. გველეშაპი ძველი ნაცნობივით მიესალმა გუბერნატორს და პკითხა: — როგორ მოგეწონა ჩემი ქვეყანაო. იმან, ნამდვილად სამოთხეა, ოღონდ ვერ გამოვიდა, ის ობრები ამხელა სიკეთის ღირსი რატომ გახადეო. გველეშაპმა ჩაიციინა და უპასუხა:

— ჩემს სტომაქში იმათ საკუთარი შვილებივით აღეზრდი შენი დახმარებით, ჩემო ხოსროვ... მიმიხვდი, რისი თქმაც მინდა?

გუბერნატორმა თავი დაუქნია, თუმცა ვერაფერსაც ვერ მიხვდა.

— შე, როცა იქნება, მოგვედები, — ხოლო ის ჩემი აღზრდილი შვილები, ცხადია, გარეთ გამოვლენ. ოღონდ როგორც ჩემი საქმის ღირსეული გამგერძელებლები... მიმიხვდი, არა?

— კი, თავისუფლად, — ამჯერად რალაც იგუშვანა გუბერნატორმა. თავისი საზრიანობით კმაყოფილმა ურჩხულმა განაგრძო: — იმისათვის, რომ ნამდვილი გველეშაპები აღეზრდოთ, მათ არ უნდა იცოდნენ, რას ნიშნავს მზე, სითბო, სიყვარული, მუსიკა... სამაგიეროდ, მძღღრისად უნდა იცხოვრონ! დიახ! სტომაქის პატივისცემა მთავარი უნდა იყოს მათთვის. მიმიხვდი, გუბერნატორო?

— ნამდვილად... დიახ, ბატონო! — როგორც იქნა, მიხვდა ცალთვალა და გაიციინა.

— სტომაქი და ნესრიგი! აი, რა არის მთავარი ჩვენს სახელმწიფოში, მაგრამ ის ხალხი, რომლებზეც აღზრდა-განათლება არ გასჭრის, სახრჩობელაზე უნდა ჩამოქიდიო... — დაასრულა გველეშაპმა.

— რასაკვირველია, შე უკვე ჩამოვყავალივხე ნესრიგის დამცველთა რაზმი. მათ გარეშე სახელმწიფო წამში დაინგრევა, — თავდაჯერებულად წარმოსთქვა ხოსრომ.

„ნამდვილად ჭკვიანი კაცია, ღირსია ნაეახალისო“, გველეშაპმა კუდით ზღვის ფსკერიდან რკინით შეჭედილი კიდობანი ამოიღო, ზედ გემბანზე ხრიგინით დაავდო და თქვა: ახალგაზრდობაში ოქრო-ვერცხლით დატვირთული

ესპანელთა სამეფო გემი გაგლეჯე, მაგარი საგნები უკანვე გადმოუყარე... ახლა გახსენი ეგ ყუთი, დარწმუნებული ვარ, რაიმე საშენო საქუქარო იქნება.

ხოსრომ მენიჩბეებს კიდობანი გაახსენებინა. შიგ ძვირფასი ნივთები, თვალმარგალიტი, ოქროს ფულები, ასევე ოქროს მედლები აღმოჩნდა. გველეშაპმა მოწყალედ განაცხადა, ეს ყუთი გემზე გქონდეს. ფული და თვალ-მარგალიტი საჭიროებისამებრ გამოიყენე, ხოლო ათი კარგი მედლით შენი ეატაკური მკერდი დაიმშვენეო.

— გმადლობთ, პატივცემულო! — სიხარულისაგან ცას ენია გუბერნატორო.

ურჩხულმა განავრძო: — ჯან-ტახოს ერთი დიდი მეთალი ჩამოქიდე. მეციხოვნეებსაც თითო-თითო დაურჩივე, თორემ ეწყინებათ. ოღონდ ლაშქრობიდან რომ დაბრუნდები, მერე. ახლა კი ყურადღებით მომისმინე... ე, ეგერ, მაღალ მთებში მდებარე სახელმწიფო უნდა დაიპყრო. უფრო სწორად, იქ მცხოვრები ხალხი აქ მომგვარე. ჩხუბით და აყალმაყალთ კი არა, ტკბილი სიტყვით და ეშმაკობით. ამან თუ არ გაჭრა, მაშინ ძალა იხმარე.

— კი, ბატონო, — თავი დახარა და მეტისმეტი ერთგულების ნიშნად ხელები მკერდზე მიიღო ხოსრომ.

— ჰო, მართლა... იმ მთაზე ხანდახან ვილაც ბიჭი გადმოდგება, კომბალს ატრიალებს და მემუქრება, კუდს მოგაჭრი და ყბებს დაგილენავო, წარმოგიდგენია? ხოსრომ გაცოცდა, დაუჯერებელი ამბავიაო. ჯან-ტახომ კი, გიყი ყოფილაო, თქვა და კუდი გაატკოა.

— არ ვიცი, გენაცვალე, არ ვიცი, მე კი გულს მიხეთქავს და ... — თავი მოისანყლა ურჩხულმა. — იცი, იქნებ აქ მომგვარო ის ბიჭი? თუ ვერ დაიჭირე, ვინმე მაგისი ახლობელი მაინც მოიყვანე. მაგ კომბლანი, ეტყობა, ისეთი ხასიათისაა, ძებნას დაუნყვებს და აქ მოგვადგება. მერე ჩემზე იყოს, როგორ დაეჭაქვიანებ. აბა, შენ იცი, გუბერნატორო! ის სახელმწიფო ხალხისაგან გაათავისუფლე, მერე მეზობელ ქვეყანას მივადგეთ, და ასე მივყვეთ, სანამ ხალხისაგან არ დაიცლებო გარეთა ქვეყნები.

— მივდივართ! — ნამოიძახა ხოსრომ და მენიჩბეებს ანიშნა, ლუზა ამოეღოთ, აფრები გაეშალათ. უცებ გველეშაპს მიუბრუნდა: — ბოდიში, სულ მავინყებ-



ოდა მეკითხა, როგორ უნდა მოგმართოთ, პატივცემულო?!

– სახელით, უბრალოდ, – თავმდაბლურად განაცხადა ურჩხულმა, მაგრამ მაშინვე ჩაფიქრებულმა განაგრძო: – რამდენი საუკუნეა ვცხოვრობ და სახელი კი არა შევია. მაინც რა საჯობია მერქვას? როგორ ფიქრობ?

ხოსრო მოულოდნელობისაგან თვალის პაჭუნს მოჰყვა, მერე თქვა, – ეგ ცოტა საპასუხისმგებლო საქმეაო. ჯანტახომ, მართლაც რომ საპასუხისმგებლო საქმეა, მაგრამ მაინც ვიტყვი თუ შეიძლებაო. „თქვი, მედალოსანო!“ – ნაახალისა გველემაჰმა. ღორმა დინგი ასწია – თქვენ ისეთი კეთილი, ნაზი გული გაქვთ, გულნაზი უნდა გერქვათ.

– აი, ბრძენი ღორი, ყოჩაღ შენ! მართლაც, რომ მშვენივრად ეღერს, დედოფალთა-დედაფალი – გულნაზი; რაც მთავარია, სახელი ჩემს ხასიათს გამოხატავს. ათასი მადლობა, ძვირფასო, ჯანტახო. ახლა კი ვასწავთ.

გემი დაიძრა.

**თავი მეოთხე**

რამდენიმე დღის ცურვის მერე ხოსროს გემმა ამწვანებულ ნაპირთან ღუზა ჩაუშვა. აქედან იწყებოდა ის სახელმწიფო, რომლის მცხოვრებითა დამორჩილება და მოშავალ გველემაჰებად აღზრდა ჰქონდა განზრახული ზღვის ურჩხულს.

ნაპირზე გადასულ, დანებთან და მუბებით შეიარაღებულ მენიჩბეებს ხოსრომ უთხრა, შორიახლო გამოყევით, თუ საჭირო იქნება, მომხმარებთ და ბილიკს დაადგა. მალე მეჩხერ ტყეში შევიდნენ. აქედან ჩანდა, შორს, ტაფობზე გაშენებული ქალაქი.

გუბერნატორი და ჯანტახო მშვენიერ გუნებაზე იყვნენ. იმედი ჰქონდათ, გველემაჰის დავალებას პირნათლად შეასრულებდნენ. ეს კი ურჩხულისგან ახალი ჯილდოების მიღებას ნიშნავდა. დიდი გზა არ ჰქონდათ გავლილი, რომ წინ გრძელწერა, ბოხოზიანი კაცი შემოხვდათ. ის ბურჯინით და ფუთებით ახოხოლავებულ ვირს მიუძღოდა. წვეროსანმა ოქროსემშვენიანი ღორის დანახვაზე ბოხოზი მოიხადა, შედგა და უნებურად ჩაილაპარაკა: რა ლამაზია ეს დალოცვილიო.

– ემანდ რას ჩურჩულებ, კაცო? – კითხა ხოსრომ. სიამოვნებით გაიფიქრა,

ხოსროს ერთი სული ჰქონდა, მეგრდი ჯილდოებით დაემშვენებებოდა და ღუზაზე ბრჭყვიალა შედგებოდა და საიმიედოდ მიიმაგრა. ერთიც, ვერცხლის ჯაჭვით ღორს კისერზე ჩამოჰკიდა. პატარა ზომის მედლები და ფული ჯიბეში ჩაიყარა. იფიქრა, ყოველთვის გამომადგებაო. ბოლოს პატარა, ვერცხლის საყვირი აიღო და ჩაბერა... ისეთი მჭახე და ძლიერი ხმა ჰქონდა, მოენონა, ისიც ჯიბეში ჩაიფიქრო. ბოლოს ღორს ვადაულაპარაკა:

– დაგვიფასდა შრომა. ახლა ორივენი მედალოსნები ვართ.

– კი, ნამდვილად, – დაეთანხმა ჯანტახო, ისე, რომ მზეზე აბრჭყვიალებული მედლისთვის თვალი არ მოუცილებია. კმაყოფილი გუბერნატორი სავარძელში ჩაჯდა და დასაპყრობი ქვეყნის მალალ მთებს წარბს ქვემოდან გახედა. უცებ რალაც მოაფიქრდა და ერთ-ერთ მენიჩბეს უბრძანა, მეკობრეთა ალამი ანძიფან ჩამოსენი და მის ადგილზე ვარდისფერი ჩამოკიდეთ. ხელქვეითმა მამონვე შეასრულა ბრძანება.

ჩემმა მედლებმა თავბრუ დაახვიო და მხარი ისე შეარხია, ჯილდოები ააჩბარუნა. ცდებოდა გუბერნატორი, უცნობი ჯანტახომ დააინტერესა.

– გამარჯობათ, ჩემო ბატონო! – ზრდილობა გაიხსენა ბოხოზიანმა, მაგრამ მაშინვე დაივიწყა და სულსწრაფად განაგრძო, – მე პარმენს ვარ, მთელს სახელმწიფოში ცნობილი ვაჭარი... მოწყიდეთ ეგ ღორი ერთ ქოთან ოქროდ.. ორი იყოს!... – პასუხის მიღებამდე ღორს ქეჩოზე ხელი გადაუსვა და მიუაღერსა: ლუტუ, ლუტუ, ლუტუ-

– ხელი აიღე! – შეუბღვირა ჯანტახომ.

– დედა! ეს რა ფეთიანი ყოფილა? – ეწყინა პარმენს, – ვეფერები, სხვა ხომ არაფერი!

ხოსრომ – თავი დაანებე, ცოტა ფიცხიო, – უთხრა და მხარზე ხელი მეგობრულად მოუთათუნა. ცბიერი გუბერნატორი ფიქრობდა, – კარგი იქნება, ვაჭრის ნდობა მოვიპოვო და მისგან სახელმწიფოს ამბები გავიგოთ, პოდა, ძველი, კარგი ნაცნობივით გაუშინაურდა, – შენ კი, ჩემო პარმენ, ნამდვილად სანაქებო ვირი გყავს, ჭკვიანი, დიდყურა, ღონიერი... მაინც რამდენ ტვი-

რთს ზიდავს ეს დალოცვილი... — ვერმა ყურები დააპარტყუნა, თითქოს მადლობის ნიშნად, თუმცა გუბერნატორს ყურადღება არ მიუქცევია, კეთილმოსურნედ განაგრძობდა: პარმენ ბატონო! ახლა ამ ცხოველებს თავი დაეანებოთ და მითხარი, როგორი მეფე გაყავთ, ხალხი როგორ ცხოვრობს, აღებ-მიცემობის საქმეც მაინტერესებს...

ვაჭარმა ხელი ჩაიქნია:

— ღარიბულად ვცხოვრობთ, ჩემო ბატონო, გვიჭირს. რაც შეეხება მეფეს, არა ვეყავს.

გუბერნატორმა გაკვირვებისაგან მარცხენა ნარბი შეათამაშა. პარმენი ყველაფერს წერილად მოუყვა: თურმე, დიდი ხნის წინათ, როცა ზღვიდან გველემამა პირველად ცას შეჰყვილა, მეფეს გული გაუსკდა. მის შემდგომ ყოველი მეფე გველემასის ყვილის გაგონებისთანავე შინისაგან კვდებოდა. არადა ხმები დადის, — განაგრძო ბოხოზიანმა, — ის გველემასი სულაც არ არისო ბოროტი, პირიქით, ვინც მისი ერთაგულია, ძვირფასად აცხოვრებსო. ეს ამბავი ურჩხულის ქვეყანაში ნამყოფ კაცს უთქვამს.

— მართალიც უთქვამს! — გაუხარდა გუბერნატორს.

— ნამდვილად! — დაუდასტურა ლორმა. გუბერნატორმა განაგრძო, — მე თვითონ იმ ქვეყნიდან მოვდივარ, ჩემო პარმენ, ის კი არაა მართალი, თითქოს გველემასი იყოს. არა, გენაცვალე, ძალზე კეთილი მდებარია, გულნაზი პქვია.

— ალბათ, ეს ჯიშინანი ღორიც იქაურია? — ფიქრიანად თქვა ვაჭარმა და ჩუმად თხოვა, — მომიყიდე, რა?

— რა ოხრად გინდა! — ნამოიძახა ხოსრომ, — შენ, ჩემო ძმაო, კარგი კაცი ჩანხარ, მომეწონე. ამიტომ ღორს კი არა ვუყებერთელა ქარვასლას გაჩუქებ, სოფელად გაქცევ გულნაზის ქვეყანაში.

— მართლს ამბობ? — თვალები დაუმრგვალდა პარმენს.

— მაშ, ტყუილს ხომ არ ვიკადრებ მედლებიანი გუბერნატორი. საღამოს ქალაქის მოედანზე ვიქნები... ბლომად ხალხი მთხოვს ნაყვანას. შენც გაგიყოლებ, ოღონდ იჩქარე, თორემ გემზე ადგილი არ შეგხვდება.

— აჰ, როგორ გამახარე, დაჰკა ხელი! ხოსრომ ხელზე ხელი დაჰკრა. პარმენი აღმუქდა: — გავიქცევი, სოფლის დაქნებიდან ჩემს ფარჩა-ატლასებს

მოვხიკავ და იქ დავყოფი. ნასვლადააპირა, ამ დროს ხოსრომ ნამოიძახა: — ნარჩინებულო, პარმენ! მომეყიდე სოფელადგარო და ქარვასლას ნასვლადააპირა!

ვაჭარმა სიამოვნებისაგან ისე გაილიშა, სულად დაგრეხილი, ჩამოფარცხული უღვაში გაუსწორდა. გუბერნატორმა განაგრძო: — რჩევა მინდა გკითხო: აი, იმ მალაღმთაზე კომბლიანი ბიჭი რომ დგას ხოლმე, გულნაზის სამოთხეში მინდა წავეყვანო. ისეთი ხმა აქვს, ეტყობა, კარგი მუშა დადგება, შენ რას იტყვი?

— აბა, რა გითხრა... — ჩაფიქრდა ვაჭარი, — ეგა მწყემსია, ტანტრე პქვია. მაგის მამა-პაპაც მწყემსები იყვნენ. სხვათაშორის, როგორც კი გველემასი, ბოდიში, გულნაზი დაიყოვლებდა, მეფეები შიმისგან იხოციბოდნენ, როგორც უკვე მოგახსენე. ამ ტანტრეს წინაპრები კი კომბალს იქნეოდნენ და იმუქრებოდნენ, ისევე როგორც ახლა იქცევა ტანტრე. ეტყობა, სიგიყე ძველთაგან მოსდგამთ. ახლა თვითონ განსაჯე, ნაიყვანო თუ არა!

— ცუდი ბიჭი ყოფილა ტანტრე, არ წავეყვან! — ჩაილაპარაკა ხოსრომ.

— შფოთისთავების ნაყვანა არ შეიძლება! — მხარი აუბა ლორმა.

ამ დროს პარმენს ჯან-ტახოს ფეთიანობა დაეინყებოდა და მიუალერსა, — შენი ჭირიმე, ლუტუნია, შენი...

ღორმა თვალების ბრიალით შეანყვეტიანა: — ეშვებზე ავაგებ, შენი!.

— გეყოფა, ლორმა! — დატუქსა ხოსრომ, — მეერ ნაღვლიანად მიმარბა ვაჭარს, — სიმართლე გითხრა, მაგ კომბლიანი ბიჭის ბედით შენუხებულნი ვარ, ვინმე აბლობელი, გულით საყვარელი არა ჰყავს მაგ უბედურს, ტყუა რომ დაარიგოს?

— კი, ერთი ჩერჩეტი საცოლედ ჰყავს, ფოხეფინა პქვია. აქეთ რომ მოვდიოდი, ბილის გადღაღმა ვნახე, ტიროდა. თურმე დედინაცვალს გამოუგდია ქოხიდან. მე რა მაგის თავი მქონდა, საქმეზე შეჩქარებოდა.

ხოსრომ გაიგო, რაც აინტერესებდა და საჩქაროდ დაემშვიდობა პარმენს. ცოტა რომ იარა, ღორს უთხრა:

— კარგად აენყო ჩვენი საქმე, ის ვილაქ ფოხეფინა გულნაზის მიუყვანოთ და დიდად გავახარებთ, იმიტომ, რომ ტანტრე გავოს ძებნას დაუნყებს და დღეს თუ ხელ გველემასს მიადგება... — ის კი დაღეჭავს — ჩაურთო ლორმა და



სირბილზე გადავიდა. კარგა ხნის მერე ხოსრომ ბილიკის გასწვრივ ერთი დიდთავა მელოტი კაცი დაინახა. მას სახეზე ღრმა ფიქრები აღბეჭდვოდა, თან გაიძახოდა: ავილო თუ არ ავილო, ავილო თუ არ ავილო, და ჯოხით ძირს დაგდებულ ფოთლებს სინჯავდა.

ხოსრო ჟოხეფინას ნახვას ეშურებოდა, მაგრამ იმ დიდთავას საქციელმა ისე გააკვირვა, ჯან-ტახოს გაჩერება სთხოვა. უცნობს გამოელაპარაკა და გაარკვია, რომ ის კაცი, სახელად, კუკურია, თავის თავს ღრმა ფილოსოფოსს უწოდებდა, თუმცა თანაქალაქელები მენაგვედ თვლიდნენ.

— თქვენ თვითონ განსაჯეთ, ბატონებო, მენაგვე ვარ თუ მოაზროვნე, ფილოსოფოსი! — ცხარედ წამოიძახა კუკურიამ. — აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ მთელი ჩემი შეგნებული და შეუგნებელი ცხოვრება ტემშარიტიბის ძიებას მიუძღვენი და ამ სიბერეში დაუასკენი, რომ ბუნება, როგორც ასეთი, ემოციონალურ-ელიფსურ, ობიექტურ-კვადრატულ დახმარებას საჭიროებს ჩვენგან. სიტყვაში „ჩვენ“ მხოლოდ ტემნაირად მოაზროვნე თავებს ვგულისხმობ.

— სწორია ეს კაცი, თუმცა ჯერ მხოლოდ ნაწილობრივ ვაიგე, — გაოგნდა ხოსრო. ლორმაც, თანხმობის ნიშნად, თავი დააქნია.

კუკურიამ გატაცებით განაგრძო: — თქვენთვის გასაგები რომ იყოს ჩემი აღმოჩენის ქვაკუთხედი, მარტივად აგიხსნით... აი, თუნდაც ჩემს ფეხებთან დაგდებულ ჭადრის ფოთოლს ფილოსოფიურად შევუჭვრიტინოთ. — დიდთავა ფილოსოფოსმა, ჩაიშულა და ფოთოლს თითი დაადო, — როგორც ხედავთ, მწვანეა. ხმელი, რომ იყოს, მისი ჩამოვარდნა არ გაგვიკვირდებოდა, ვიტყვით, რომ კანონზომიერი პროცესი მოხდა. მაგრამ ეს ხომ ნედლი, ცოცხალი ფოთოლია, მეგობრებო? იბადება კითხვა: რატომ ჩამოვარდა? რატომ ჩამოვარდა-მეთქი, რატომ!? — განწირული ხმით იკითხა კუკურიამ და ციცხლოვანი მხერა მიაპყრო ხოსროს.

— რა იყო, შე კაცო, უარესებიც ხდება... — დაიწურჩულა ფერნასულმა გუბერნატორმა და გვერდზე გაიხედა. სჯობს ამ კაცს ვავეცადო, გაიფიქრა. ასეც იზამდა, მაგრამ გახელებულმა

დიდთავამ რა იგრძნო, მსმენელეპი ხელიდან მეცლებიანო, *ჭარქნ წყნე* ხელი ჩაავლო, — მაშასადამე, *ჭარქნ წყნე* აგრძობთ მწვანე ფოთლის ფილოსოფიურ შეჭვრიტინებას. შედეგად ვასკენით, რომ არაკანონზომიერ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ეს კი ვეებერთელა შეცდომაა! დიახ, ზოგიერთი მოაზროვნე ფოთოლს, როგორც ბუნების შეცდომას, აიღებს და თოფრაში მოათავსებს, — თვალსაჩინოებისათვის ფილოსოფოსი ასეც მოიქცა და განაგრძო — შე გულებოთ, რომ სულელურად მოიქცა ის ვილაცა, რატომ? შენ გეკითხები, ლორ! აბა თუ მივასსებ? — შე თავი დამანებე! — აიჯაგრა ჯან-ტახო. კუკურიამ ყურადღება არ მიაქცია, აღტიკინებული ცალ ფეხზე შეხტა და აზრის განვითარებას მიჰყვა; ის ვილაცა, განუვითარებელი თავი, იმიტომ მოიქცა სულელურად, რომ ვერ ჩასწვდა კანონზომიერების სიღრმეებს. ამას კი არასახარბიელო შედეგი მოჰყვება... პრაქტიკულ ასპექტიმ დაგისაბუთებთ: ეთქვათ, სამსახურიდან შინ ბრუნდება დაღლილ-დაქანცული ჭიანჭველა ან რომელიმე არსება. ჰოდა, გზაში ნვიმა ნამოუნია. იმ საბრალოს თან ქოლგა არ აღმოაჩნდა და თავმესაფარს დაუნყო ძებნა, მაგრამ ვერ იპოვა, ინატრა, ერთი კარგი ჭადრის ფოთოლი, მაგრამ სად ნახავდა, ვილაც სულელმა ის ხომ თოფრაში მოათავსა? მაშასადამე, ჭიანჭველა აფორიაქდება, დასველდება, შეიძლება გაცივდეს კიდეც და ეს ყველაფერი იმიტომ რომ მე, ამ შემთხვევაში, როგორც ჩერჩეტმა მოაზროვნემ, ფოთოლი ავილე! მაშასადამე, არ უნდა ავილო. — ამ სიტყვებზე მოაზროვნემ მწვანე ფოთოლი პირვანდელ ადგილას დადო. ახლა რაც შეეხება ემოციონალურ-ელიფსურ, ობიექტურ-კვადრატულ ჩარევებს ბუნების კანონზომიერებაში, ეს უფრო რთულია, მაგრამ თანდათან გაიგებთ...

— საკმარისია. თქვენ ნამდვილი ფილოსოფოსი ხართ... — წამოიძახა ლორმა, — ნავიდეთ ხოსრო,

გუბერნატორმა ეჭვიანად იკითხა, — თოფრაში რომ გაქვთ, ის ფოთლები რა მოსაზრებით აიღეთო.

— ისინი გამხმარი, სიფრიფანა და გახერტილებია. ნვიმის ერთი ნეეთიც რომ დაეცეს, დაშლის, დაარღვევს და არც



ერთი სულიერის თავშესაფრად არ გამოდგება. აი, ამ მწვანე ფოთოლს ავიღებ.. როცა გახმება.

— რთული გზა აგირჩევია, ძმაო! — ლამის ატრიადა ხოსრო, — შენ თუ ასე მიპყვევი... ეპე, ჰე; ამხელა შრომას რას აუხვალ, ადამიანო!... რატომღაც დაბეჩავებული, გაოგნებული ჩანდა გუბერნატორი. კუკურია ამაზე თავმდაბლად უპასუხა:

— რა ექნა, ჩემო ბატონო, ვილაცამ ხომ უნდა აკეთოს საქმე? ეს ვილაცა მე ვარ! სწორედ მე ვაშენებ იმ საძირკველს, რომელზედაც სხვები სახლს ააგებენ...

ხოსროს სახეზე სისხლი მოანვა, ფიცხლად შეაწყვეტინა:

— იცი რას გეტყვი მე, შენ, კუკურია?... ოოხ, შენ ასაშენებლად სახლს კი არა, აშენებულ სასახლეს გაჩუქებ. შენისთანა მოაზროვნე კაცი ქვეყნის საუნჯეა... შენ იქნები ჩემი სახელმწიფოს მთავარი ფილოსოფოსი! — აქ ხოსრომ გადმონია, ფილოსოფოსის თავი მკერდში მაგრად ჩაიკრა და ჩაკოცნა, თან ყვირილით დაატანა — ჭირიმე შენი! მიყვარს მოაზროვნე ხალხი, მწვანე ფოთლებიც და ფილოსოფიური შეჭერიტინებაც. შენ გენაცვალე მე! — გუბერნატორმა ხელი ჩამოართვა ფილოსოფოსს. მერე ოფლით დაცვარული შუბლი ცხვირსახოციტ გაიმშრალა. თან გაუგებარი ხმები ამოსდიოდა პირიდან. ჯან-ტახოც მღელვარედ ხროტიუნებდა და რეტდასხმული ადგილზე ტრიალებდა. კარგა ხნის მერე, როგორც იქნა, ხოსრო დაიმუდგდა და განაცხადა: კუკურია, დიდი ხანია კარგ ფილოსოფოსს ვეძებ ჩემს დიად სახელმწიფოში სამოღვაწეოდ. იქ შე შეფე არა, მაგრამ გუბერნატორი კი ვარ. სალამოს ქალაქის ცენტრში მოდი და ნაგეყოლებ, შენ იქ დიდი მოაზროვნის ტიტული და ძვირფასი სასახლე გელოდება, მედლებიც — რასაკვირველია, გესმის, კუკურია? ხალხს და სახელმწიფოს სჭირდება შენი აუნონავე სიბრძნის გაცნობა. ვაღიმებული მოაზროვნე თავდახრილი ისმენდა ხოსროს სიტყვებს და გული სიბარულით ევსებოდა. ბოლოს გუბერნატორი დაემშვიდობა ფილოსოფოსს და გზას დაადგა. გულში ამბობდა: — საჭირო კაცია. როცა ვინმეს დასჯა მომინდება, ამ დიდთავას მოსმენას მიეუსჯი... ჯან-ტახოს ფიქრის თავიც არ ჰქონდა, უკანმოუხედავად გარბოდა. გეგონებოდათ, მოსაკლავად მისდევნო.

ქალაქამდე ჯერ კიდევ შორს იყო. გუბერნატორმა მათვე მოჰმადლა ერთი ისეთი კაცი შენიშნა, რატომღაც გზაზეც იტყვიან — არც მალაღონა, არც დაწალი, არც მახინჯი, არც ლამაზიო. მას მხარზე თასმებიანი ქალამნები და ნალები ჰქონდა გადაკიდებული. ხოსრომ ღორს გადმოსძახა, სალამ-ქალამის დრო არა გვაქვს, რაც უნდა გითხრას, არ შეჩერდეთ. უცნობს გვერდზე ჩაუარეს. იმას საუბრის გაბმა არც უცდია, ჩაფიქრებული მიდიოდა. სამაგიეროდ, ხოსროს გულმა არ მოუთმინა და მიადახა: გამარჯობა — გაგმარჯოს! თუ კაცი ხარ უზრდელობაში არ ჩამომართვა, ძალიან მეჩქარებო.

ჩაფიქრებული კაცი სახტად დარჩა, რატომღაც ღორის სიდიდით გაკვირვებულმა მიადახა: — ეგ ღორი აქაური არ იქნება, არა?

— იქაურია, იქაური, ჯან-ტახო ჰქვია! — ყვირილითვე უპასუხა ხოსრომ, — შენ კი ალბათ, აქაური მენალე ხარ, მაგრამ თუ გინდა, იქაური გახდები. . პასუხს არ დაელოდა, ისე განავრძო, — სალამოს ქალაქის მოედანზე მოდი, დუქანს გაჩუქებ. — მე ექიმბაშიც ვარ, უცხოელო, ფეხებს ვმკურნალობ, ფეხებს, ბაჩა მქვია.

— ძალიანაც კარგი! ჩემი დახმარების იმედი გქონდეს! იმიტომ, რომ მეც და ტახოსაც შენი სახე მოგვეწონა! — ამ სიტყვებზე ხოსრო თვალს მიეფარა.

— რა? რა თქვა ამ კაცმა?... რა სახე მაქვს ამისთანა... — თავი მოიქექა მენალემ და ჩაფიქრებულმა გზა განავრძო.

ჯან-ტახო ქომონი-ხროტინით მიაჩაქრა აქებდა. ქალაქამდე არც ისე შორი მაინძილი იყო. ხოსროს სანყალობელი სლუკუნი მოესმა და გაფაციცებულმა ღორს ქეჩოზე მოქაჩა. ისიც შეჩერდა. დინჯით ბუჩქის ხშირი ტოტები გადასწია. დაინახა მუხის ძირას მჯდარი ჩამოკონკილი, ოქროსფერთმიანი გოგონა, რომელსაც თავი მუხლებში ჩაერგო და ტიროდა.

სწორედ ეს იყო ჟოზეფინა, მწყემსი ტანტრეს საცოლე. მას დედინაცვალი ჰყავდა, სახელად მარგო, თუმცა თავის თავს მარგარიტას უწოდებდა და სხვებისგანაც მოითხოვდა ასე მიემართათ. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დედინაცვალს გერი გულზე არ ეხატებოდა. განსაკუთრებით ქმრის გარდაცვა-



აღების მერე მოუხშირა ჟოზეფინას ნეალებას. ერთი სული პქონდა, თავიდან მოემორებინა გოგო, თვითონ კი ვინმე თვალსაჩინო და ახოვან კაცზე გათხოვილიყო. მიზეზს ეძებდა დედინაცვალ გერის სახლიდან გასაგდებად, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა იმიტომ, რომ ჟოზეფინა მის ყოველ ბრძანებას პირნათლად ასრულებდა. ბოლოს მარგარიტა იმდენად გაბოროტდა, რომ ნაცარში ერთი მუჭა ფეტვი ჩაყარა და გერს აუშარდა, რატომ ჩაგიყრიათ, ახლავე მარცვალ-მარცვალ აკრიფე, თორემ სახლიდან გაგაგებო. გოგონამ უსიტყვოდ ჩაიშხლა და ფეტვის მარცვლების ამოღებას შეუდგა. დედინაცვალს ეს ამბავი სულაც არ ეჭაშინია, გერს უღრიალა, დიდბანს უნდები, შე უქნარავ, რისთვის გაჭმეე პურსო. ესეც არ იყო, შენს გემო ვერ ვთხოვდებო და სულ მუჯღუგუნების კვრით გამოავდომ ქობიდან. აცრემლებული საწყალი გოგო ჭიქრიდან გასული არ იყო, რომ ქობის თავზე შემომჯდარი თავისი გაზრდილი თეთრი მტრედი მხარზე დააფრინდა, ნისკარტით ლოყაზე გაეხახუნა, მივალერსა. აქაოდა, ნუ გეშინია, შენს თავს არავის დავაჩავგვრინებო.

ამ ჭკვიანი, კეთილი მტრედის მეშვეობით ტანტრე და ჟოზეფინა ერთმანეთს ბართებს უგზავნიდნენ ხოლმე, ის გაბლდათ მათი გულის შესაიდუმლე.

მტრედის ერთგულებამ გოგოს შეება მოჰგვარა. გადაწყვიტა თავისი ამბავი ტანტრესთვის შეეტყობინებინა. მოფარებულში თავი დაიგულა და ბართე დაუწერა, დედინაცვალმა ქობიდან გამომაგო და ჩვენი მუხის ძირას გელოდებო. ქალაღი ნერილად დაკეცა და მტრედს ძაფით ფეხზე შეაბა. ისიც მთებისკენ გაფრინდა. იქ ტანტრე ცხვრებს მწყემსავდა.

ჟოზეფინა დათქმულ მუხასთან მივიდა. იქ ტანტრეს მთელი დღე ელოდა, მაგრამ არც ის ჩანდა, არც მტრედი, ამიტომაც ტროლდა საბრალლო.

ხოსრო და ტაბო ერთხანს მდუმარედ უთვალთვალებდნენ ჟოზეფინას. მოულოდნელად გუბერნატორი პატარა ბიჭვით აღრიალდა: ვაი, ვაი, ეს რა უბედურებაა, კაცოო, მეტი არ შემძლია ამ საცოდაობის ყურება.. ამ სიტყვებზე სახტად დარჩენილ გოგოს მიუახლოვდა, კაცთან ერთად ღორიც გაუგებრად

ჩლიფინებდა და თავს აქეთ-იქით აქნევდა. გუბერნატორმა ცხვირზე ხელს დაკრემლევი მოინმინდა და ვთვალს მიმწერა: მითხარი რა გაგჭირვებია, რით დავაგებმაროთ, თორემ შენი საცოდაობით გული ცუდად მიხდება. ჟოზეფინას არ უნდოდა ეპასუხა, მაგრამ ხოსრომ იმდენი ქნა, იძულებული გახდა, ყველაფერი ნერილად მოეყოლა... თხრობა რომ დაამთავრა, გუბერნატორმა გოგოს ნდობის მოსაპოვებლად უთხრა: — ვიცნობ შენს ტანტრეს, მშრომელი და პატროსანი ბიჭიაო. შე ვალდებული ვარ მის მოსვლამდე შენი თავი არავის დავაჩავგვრინო. ახლა შემოაჯექი ღორს და ქალაქში ნავიდეთო.

— რას ამბობთ! ტანტრეს აქ დაველოდები, — მორცხვად ჩაილაპარაკა ჟოზეფინამ. — აბა რას ამბობ! მის მოსვლამდე ტურამ რომ შეგჭამოს ამ მგელმა, რა თვალთ შევხედო იმ კაცს. ნამო, ნამო, ნუ გერიდება! — ხოსრომ ხელი შეაშველა ჟოზეფინას და ღორზე შემოისევა. ჯანტაბო დაიძრა. ხოსრომ გოგოს ალერსით უთხრა, ქალაქში რომ მივალთ, გამახსენე, კანფეტებს და ნითელკობლებიან კაბას გიყიდიო. დარცხვენილი ჟოზეფინა ასეთ მოპყრობას ჩვეული არ იყო, თანაც ისეთი კაცისაგან, რომელსაც მკერდი უამრავი მედლით პქონდა დამშვენებული. ამიტომაც, ერთიანად ანითლებული, ხმას არ იღებდა.

ტყიდან გამოდიოდნენ, როცა ჯანტაბო გაჩერდა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: საცა საშართალია, წესით მე უნდა ვიყო გუბერნატორი, იმიტომ, რომ ჭკვიანი ვარ... — კისერზე ჩამოკიდებული მრგვალი მელაღი გააქან-გამოაქანა და განაგრძო — ეერ ხედება ეს ფეხებდაბრეცილი, რომ ასეთ ხალხს ფოჩიანი კანფეტებითაც იყიდი, გაყიდი და ისევ იყიდი... შეიარაღებული ხალხი კი ზედმეტ საზრუნავს გაგიჩენს... ხოსრო მოლოშული სახით დააცქერდა გუბერნატორობის მოსურნე ღორს და ძლიერ გაბრაზდა, მაგრამ მიხვდა, ის მართალს ამბობდა. თავი შეაბრუნა და შორსმყოფ შეიარაღებულ მენიჩბეებს უბრძანა: ნადით, გემზე ადით, იქ დამელოდეთო.

ამ სიტყვებისთანავე ღორს მათრახი გადაუჭირა და აჩუ ცხენოო, — შესძახა. იცოდა, ტახოს ცხენთან შედარება სწყინდა, ამიტომაც მისთვის გული რომ

მოეკლა, ცხენობით მიმართა, ღორისა და კაცის საუბარმა ჟოზეფინა საგონებელში ჩააგდო, მაგრამ სიმორცხვის გამო ვერაფერი პკითხა. იჯდა თავისთვის და ნითელკოპლებიან კაბაზე ოცნებობდა.

### თავი მესუმი

ტახო-ღორმა ქალაქში შესასვლელი, რკინით შეჭედელი ტიშკარი, დინგის კვრით შელო და შედგა. ხოსროს პკითხა, საით წავიდეთ. იმან არ იცოდა და ჩამოსკუპებულმა ჟოზეფინამ მისანავლა მოედინისკენ მიმავალი გზა. ცოტა რომ გაიარეს, ხოსრომ, როგორც გამოცდილმა კაცმა, ყურადღების მისაქცევად ჯიბიდან საყვირი ამოიღო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, ჩაპბერა: ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... როგორც მოსალოდელი იყო, ქუჩა წამში აივსო ცნობისმოყვარე ხალხით. ისინი უკან გაპყენენ უცნაურ თავყრილობას.

ჯან-ტახო მშვენიერ გუნებაზე დადგა. მისი ოქროსფერი ეშვების და მედლის ელვარება ხალხს მოკრძალებით ალავსებდა. ამას გრძნობდა პირუტყვი და კმაყოფილებისაგან ღრუტუნებდა.

გუბერნატორი ხოსრო გაჯგიმული იჯდა. ერთ ხელში მათარახი ეჭირა, მეორე, ვაშლილი ხელით ხალხს მოწყალედ ესალმებოდა, თანაც დიდი ძალაუფლების მქონე კაცის მედიდურობა ენატა სახეზე.

იქვე მდგარი ჟოზეფინა, მართალია, ერთობ ჩამოკონკილი გახლდათ, მაგრამ ბედნიერებისგან მორცხვად იღიმებოდა.

ცალთვალა გუბერნატორი ქალაქის ცენტრში, მოედანზე აღმოჩნდა. აქ ბლომად ხალხს მოეყარა თავი. ისინი ხოსროს ელოდნენ. საქმე შემდეგნაირად იყო: ცოტა ხნის უკან ვაჭარმა პარმენმა თავისი დუქნის წინ საქონლით სავსე ტომრები და სკივრები ერთმანეთზე აახოხოლავა. ცნობისმოყვარეთ განუმარტა, მალე ჯიშთან ღორზე შემომჯდარი გუბერნატორი მოვა და სამოთხისმაგვარი ქვეყანაში წამიყვანს სხვა ჭკვიან კაცებთან ერთად. ვაჭარს ფილოსოფოსი კუკურია და მენაღე ექიმბაში ბაჩა მიემატა, მათაც გამგზავრებაზე დაიწყეს ლაპარაკი. იმ ნუთიდან აგორდა საკვირველი ამბავი ზღაპრულად მდიდარი ქვეყნის შესახებ და ელვის უსწრაფესად მთელს სახელმწიფოს მოედო. თვით

მალე ქალაქის ვალდებით მივიდნენ. ფუტკრის სკასავით იყო კრებული იქაურობა. „ცოტა ხანში აქ დაემთხვების ჭაჭანებაც არ იქნება. ყველას ურჩხულის სტომატისკენ გავუყენებ გზას — გაიფქრა გუბერნატორმა.“

მიყრუებული სოფლებიდანაც კი ჩამოვიდნენ გამგზავრების მსურველები. ცხადია, ყველას არ ჰქონდა იმედი, რომ უცხო ქვეყანაში წავიყვანდნენ, მაგრამ ოცნებობდნენ კი! თანაც, ოქროსმშვენიანი, მედლიანი ღორის და მისი პატრონის ნახვაც აინტერესებდათ.

ხალხი კრძალებით გზას უთმობდა თავადებულ ღორს, რომელიც მოედნის შუაგულისკენ მიემართებოდა. უცებ ერთმა ფეხშიშველა ქოსამ, სტუმრების ყურადღება რომ დაემსახურებინა, ცივი მითი შეჰკივლა: გზა, გზა დაუთმინე დიდ ადამიანს, ფეხებში ნუ ებლანდებით ძვირფას ცხოველს, თქვე ქონიანებო და უღვაშიანებო... და წარმოუდგენელი რამ მოიმოქმედა, — იღლიაში ამოჩრილი ძვირფასი სპარსული ხალიჩა ფეხებთან გაუშალა ჯან-ტახოს. მერე, ნელში მოხრილმა, ხელემა ფართოდ გაშალა, — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენო იმედოლო დიახ, ასე წარმოთქვა.

ღორი გაჩერდა, ფიქრობდა ხალიჩაზე გავიარო თუ არაო. ეს შეყვონება საკმარისი აღმოჩნდა, ხოსროს ეშმაკობისათვის მიემართა; იმ ქოსას, ხალხის გასაგონად, ერთობ მკაცრად უთხრა: რას გავს, კაცო, შენი საქციელი! მთელი ქვეყნიერება გულმონწყალე და თავმდაბალ ადამიანად მიცნობს. ესაა ჩემი სიდიადე შენ კი აქ რალაც ხალიჩა გამიშალე, იმასავით, აი... — უცებ თვალის პკიდა მოშორებით, ტომრებთან მდგარ ვაჭარ პარმენს, დიდთავა კუკურიასთან, მენაღე-ექიმბამ ბაჩასთან ერთად და რიხით განაგრძო, — ჩემს თავმდაბლობაზე ლეგენდები დადის, თუ არ გჯერათ, პკითხეთ პარმენს, კუკურიას, ბაჩას! ბოლოსდაბოლოს, ამ ოქროსფერთმიან ჟოზეფინას!...

საქციელნამხდარი ქოსა ხალიჩის ასაღებად დაიხარა, რომ ვიღაც კუჩიანმა, შაოსანმა დედაკაცმა ხალხი მოთქმაგოდებით გაარღვია და ხოსროს შეღალადა:

— დიდო ბატონო, ჩვენო მამავ და მეფე, იმდენად ვერ გავკადნიერდები,



შენს ძვირფას ქვეყანაში ნაყვანა ვთხოვო. მცირე შემწეობა კი მსურდა – ვთხოვ ჩემი ობლებისათვის... შიათ, ბატონო, შიათ!.. – ქალმა ზურგს უკან დამალული ბავშვები ნინ გამოაგდო – მაკა, შვილო, ნუ გრცხვენია, შენც, ბესოია, ეჩვენე ბიძისა...

თავდახრილი ბავშვები მორცხვად იდგნენ: ვოგო ჭუჭყიან ნანნავს აწვალეუბდა. ბიჭს ხელები ზურგზე შემოედო და მოკლე პერანგიდან მუცელი გამოებზიკა. ჭიპის გასწვრივ ვილაცას ნახშირით მიწებრა: „ეს ჭიპია... ამის დანახვაზე ჯანტანობ სიცილ-ხრილით ამოიღრუტუნა: მიყვარს ჭუჭყიანი, თმააზურძგნული და ჭიპგამოშვერილი ბავშვებიო..“

არავის არ გაუცინია. მეტიც – სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხს დიდად აინტერესებდა, ქვრივის თხოვნაზე გუბერნატორი რას მოიმოქმედებდა, ხოსროს თავის გამოჩენის სამოალება მიეცა და რა შვილი იყო, რამე შემოიღოა. ჯიბიდან ხურდა ფული ამოიღო, დახედა და ქვრივის მიუბრუნდა: აგერ ვერცხლის ფული, ბავშვებს ბუბლიკები უყიდე. მალე ჩემს ქალაქში წაგიყვანთ, იქ კი ყველაფერი თავსაყრელად გექნებათ! – ხოსრომ ქისა ქალს მიანოდა. იმან გამოართვა და გულში ჩაიკრა. თან სიხარულისაგან ატირებულმა ნამოიძახა, შენი ჭრიმე ბატონო, დარატომლაც ღორს აკოცა თავზე. ამის მერე ხოსრო ნაცნობ ვაჭარს, ფილოსოფოსს და მენაღეს შეგობრულად გამოელაპარაკა. ვაჭარს სთხოვა, ერთი ყუთი კანფეტი და ჟოზეფინასთვის რაიმე-ჭიორფასი სამოსელი ნისიად მომეციო. პარმენმა, ახლავე, ბატონო, და ტომრებს მივარდა, იქიდან კანფეტები ამოიღო და გუბერნატორს მიანოდა. მერე ზანდუკიდან დიდი ზომის დრაფის პალტოც გამოაძვრინა, კოხტად დაკეცა და ღორს კისურზე დაადო. ამაზე პატარა ზომის და ამაზე ძვირფასი ამ სახელმწიფოში არ იმოვებო, – თქვა ჟოზეფინამ, – ამ ზაფხულში პალტო რად მიწაო, გაიფიქრა, მაგრამ მაინც მადლობა გადაუხადა გუბერნატორს. ანითლებულმა სიმორცხვებს სძლია და დააყოლა: – თუ შეიძლება დუქანში მოვიზომავ?

– კი, მამა, კი, გენაცვალე. ერთად შევიდეთ დუქანში. ოღონდ ჯერ კანფეტებს დაუორიგებ ბავშვებს, – ხოსრომ ყუთიდან ბლუჯა-ბლუჯად ამოიღო

კანფეტები და ხალხს გადაუყარა. შეიქნა ერთი ზედახორა, დიდად და მსტრუსს ყველას უნდოდა, რაც მსტრუსს მსტრუსებზედროდა. იმ რია-რიაში ჟოზეფინამ თვალი ჰკიდა უმცროს მეგობრებს – გოგინა და ბროლინას, დაუძახა და კანფეტები მიანოდა. ერთი სული ჰქონდა მათთვის ნაჩუქარი პალტო ეჩვენებინა.. მაგრამ ამ დროს ვილაც ფაშვამა, ნითელკაბიანი, ელაში ქალი ყვირილით გაემართა ხოსროსაკენ: ამას აქ რა უნდა, ხალხო! მეგონა ქალაქიდან წავიდა, ეს კი სად შემოსკუპულა, ახლავე თმით ვათრევო. ალბათ, მიხვდით, ის დედაკაცი მარგარიტა-მარგო გახლდათ, ჟოზეფინას ავი დედინაცვალე. ის გერს მიეჭრა, თავისი დანაქანების შესასრულებლად, მაგრამ ჯანტანობ დინგით მოიგერია. ეს ისე უცებ მოხდა, ხოსრო ბრინჯივით დაიბნა. როცა გაიგო, ვინც ბრძანდებოდა, ჟოზეფინას ხელი მოხვია, დედინაცვალს კი ალერსიანად მიმართა: დამშვიდდით, მშვენიერო ქალბატონო და ამიხსენით, რამ შეგანუხა?

მარგარიტა ასეთ მოპყრობას ჩვეული არ იყო, დარცხვენილმა ჩაილაპარაკა: – რა დამამშვიდებს მე უბედურს ამ გომბიოს ხელში... დარწმუნებული ვარ, თქვენთან მიჩვილა! აქედანვე იცოდეთ, ამ სასიკვდილემ თვითონვე ჩაყარა ფეტვი ნაცარში.

– ნუ გადამრევთ, რა გვეფეტვება ამ დარბაისზე ხალხს! – უქმყოფილოდ დაიხროტინა ღორმა, ხოსრო კი ამშვიდებდა: ნუ ლელავთ, ქალბატონო, ყველაფერი მოგვარდება. ჩხუბსა და აყალმყალს, კი უნდა მოერიდო, რადგან დასწულდები, ჩამიჩივით დატყენები, აფსუსია, გამლილ ვარდასა ჰგავხარ.

– უიშე, რა დროს ჩემი ევტეობა? – დაიმორცხვა მარგო-მარგარიტამ, თუმცა ნანილობრივ – ერთი თვალით მტრულ მზერას არ აცილებდა ჟოზეფინას. მეორეთი – გუბერნატორს ნახად შესცქეროდა. ელაში იყო, აცა-ბაცა გაურბოდა მზერა. დედინაცვლის სიტყვებზე ხალხმა ერთმანეთს საიდუმლოდ რალაც გადაუჭურჩულა, მაგრამ რა, ნამდვილად არ ვიცო. ამასობაში ხოსრომ ხმადაბლა უთხრა: თქვენისთანა თვალსაჩინო ქალს ჩემს სახელმწიფოში პატივი და დიდება არ მოაკლდება, ჩვენმა კაცებმა იციან სილამაზის ყადრიო. ამჯერად ნითელკაბიანი დედინაცვალი გუბერნატორს

ორივე თვალთ სასოებით მიაჩერდა. თან დაიწურჩულა: — მთელი ცხოვრება უცხო ქვეყნების ნახვას ეოცნებებოდა... მაგრამ, ეჰ, თვალთ დაუდგეს გაჭირვებას:

— რახან ასეა, — ნარბები აჯგომა ხოსრომ, — ბავშვობის ოცნებას აგი-სრულებ და ნაგყვან. ახლა კი ბოდიში, არ მცალია.

ხოსრომ, დუქანში შევიდეთო, ღორს ჩაულაპარაკა და ისიც დაიძრა. უცებ ვი-ლაც გრძელკაბიანმა ქალმა ხოსროს ხა-ლათზე ხელი მოატანა, თან ვითომდა იდუმალი ხმით უთხრა: კარგო კაცო, გინდა შენი ბედი გითხრა? პატივი და დიდება არ მოგაკლდება. ბანქო ხელში შეათამაშა, შიგ ჩაიხედა და სულნასულად განაგრძო: — ნყალს უფრთხილდი და ქოჩორა ბიჭს.

— მერე, მერე მიმკითხავე! — შეანყეუ-ტინა ხოსრომ და დუქანში შელაჯა. მკითხავემა, ასიამ, ბრახიანად მიაძახა: თმაქოჩორა ბიჭს უფრთხილდი, თმაქოჩო-რასაო. პალტოს მოსაზომად დუქანში შევიდნენ. ვაჭარმა ჟოზეფინას სარკის ნატეხი გამოუძებნა. გოგო თეჯირს მიეფარა და პალტო ჩაიცვა. კაცები და ღორი კარებთან დადგნენ. აქაოდა, ჩვენი არ შერცხვესო. ჟოზეფინა სარკის წინ დატრიალდა, სარკე რად უნდოდა! აშკა-რად დიდი ქქონდა. ის იყო, ვახდა დააპო-რა, რომ იატაკის მოზრდილი ხერვლიდან ნაცნობი ვირთხა, სახელად ღალუღია ამ-ოძვრა და შეუბრალებლად მიახალა: სარკე რალად გინდა, ვერა ხედავ, რო დიდი გაქვს, როცა ყიდულობდი, თვლები სად გქონდაო!

— უი, შენა ხარ, ღალუ! — გაუხარდა ჟოზეფინას. — როცა დიდი გაეიზრდები, მაშინ ჩავიცმევ... ამას მოველები, შენ კი რა გეშველება, ღალუ, პარმენა ვაჭარი დუქანს კეტავს, შენ სადღა ნახვალ?

ამის თქმა იყო და ხოსროც შემოვიდა, თან ღორთან დანყებულ საუბარს განაგრძობდა...

ყველა უნდა ნავიყვანოთ. არც ერთი არ უნდა დაეტოვოთ. გველემპაჰს ძლიერ გაუხარდება.

— გაუხარდება რომელია! — დაეთანხ-მა ტახო. — მარტო ჟოზეფინას მიყვანის-თვისაც კი დაგვაჯილდოებს...

ამ სიტყვებმა თავზარი დასცა გოგონას, ძვირფასი პალტო ხელიდან გა-აგდო და კარისკენ გაიქცა, რათა ხალხი გაეფრთხილებინა მოსალოდნელი საფ-

რთხის გამო, მაგრამ კარში შეეჯება პარ-მენს, რომელიც ის ნუფრად მუდღუდა და ორივე ძირს გაგორდა. ხოსრომ მხეხვა, რომ გოგომ ტახთან საუბარი მოისმინა და საქციელნამდარი ძირს ჩაშოვიდა, გოგოს ხელები გადაუგრიხა და პარმენს უყვირა, ახლავე გალია თუ არ მომიტანი იცოდე, ქარვასლას ვერ ეღირსებო. შე-ფუცხუნებული პარმენი მალე ოქროს გალიით დაბრუნდა. მერე ხოსროსთან ერთად ჟოზეფინას პალტო ძალად ჩააცვა და იმ გალიაში შეაგდო. ახვნი-ვებული გუბერნატორი ღორს მოაჯდა, გალია წინ დაიდო და ატირებულ ჟოზეფინას დაემუქრა, — შენი ხმა არ გა-ვიგო, თორემ სულს ამოგართმევო. ღორმა კარისკენ გაიწია, რომ მოფარებ-ულიდან ღალუღია ვირთხა გამოვიდა და რაც შეეძლო ხმამაღლა შეაყვირა — არ გაბედოთ გოგონა ნაყვანა!

გუბერნატორმა თვლი აჭიდა თუ არა ვირთხას, იკვილა: არ გაბედო მოკარებო და დაბრეცილი, დახუთული ფეხები ღორს თავზე შემოაწყო.

უნდა გითხრაო, რომ ხოსროს ამ ქვეყ-ნად ყველაზე მეტად ვირთხებისა და თავგების ეშინოდა, თუმცა თვალის დაუ-ხამხამებლად შეეძლო ადამიანი მოეკლა. ღალუღია ვირთხა მიხედა, მედლებიან კაცს მისი ეშინოდა და უთხრა: არც მოგეკარები და არც არაფერს დაგიშავებ, ოღონდ ეგ გოგო გაათავისუფლეო.

— რაო? რას მუუბნება, ტახო, უთხარი რამე! — აფორიაქდა ხოსრო და მათრახი შემართა. ღორი ამ შემთხვევაში პატრონზე უფრო გამბედავი აღმოჩნდა, დუქმორეულმა ვირთხას შეუტია — ჭკუით იყავი, თორემ ეშვებზე აგაგებ, შე ქეცი-ანო, შე დუქნის პარაზიტო — ასეთ მწ-არე-მწარე სიტყვებს ისროდა ხანდახან ტახო ღორი. ვირთხა გაჩუმდა, თუმცა უხმოდ უკან გააყვია ღორს, რადგან არ უნდოდა გაჭირვებაში მარტო მიეტოვებინა ჟოზეფინა, ახსოვდა, შიმშილობის დროს პარმენისგან დამალულად საკეე-ბს აძლევდა... ერთი სიტყვით, ჯან-ტახო დუქნიდან გაიქცა. სანამ ხალხი ოქროს გალიაში ჩასმული ჟოზეფინას დანახვას გაიოცებდა, განაცხადა: — თადარიგის კაცი ვარ, ეს ობოლი გოგო ვინმემ რომ არ მომტაცოს, იმიტომაც გალიაში ჩავსვი, ასე უფრო გულმშვიდად ვიქნებო. ახლა კი ნაპირისკენ ვავსნოთ, ოღონდ იცოდეთ, ყველა მსურველს გემი ვერ დაიტევს



და არ გენყინოთ. დარჩენილებს მომავალ წელიწადს წავიყვანო. ასე განგებ თქვა: იცოდა, ეს ხერხი გაჭრიდა და ყველა მოისურვებდა გამგზავრებას. ასეც მოხდა: იმოფენა ხალხი ლამის სირბილით დაადგა გზას. აქამდე გაჩუმებული ჟოზეფინა უცებ ატირდა. ხოსროსი ემინოდა, მაგრამ მაინც შესძახა: — შეჩერდით, ხალხო, ღორს და მის პატრონს გველემპათან მიუყვართ ჩასაყლაპად.

ამის თქმა იყო და ბურქებიდან ღალღალი ვირთხა გამოვარდა: — ეპყეი, არ გესმით, ყრუებო!... სიკვდილთან შესახედრად გარბიხართ, რეგვენებო!...

### თავი მეექვსე

მგზავრებმა ნაპირზე მოიყარეს თავი. გუბერნატორმა გემზე მყოფ მენიჭებებს უბრძანა, კიბე ჩამოეშვათ და მსურველებს ასვლაში დახმარებოდნენ.

ყველა ერთად მიანყდა ვინრო კიბეს, ისე, რომ ლამის აყირაუდა ის ვეებერთელა გემი.

მაღე ნაპირზე კაცოშვილის ქაქანება არ იყო. გასამგზავრებლად ასული ხალხი გემბანზე და ტრიუმში რომ არ დაეტიო, ანძებზე ამერა. თვით ვირთხა იძულებული გახდა იქამდე აფოფხებულიყო, სადაც ვარდისფერი ალაში ფრიოალებდა.

ხოსრო თავის ვერცხლის საყვირს წამდაუნუმ აქყვიტინებდა, თან ყასიდად იხუნებოდა, ანძებიდან ჩამოდით, თორემ ჩამოვარდებით, კისერს მოიტეხთ და რაღა მემველებო, გაისადაც მოვალ და ნაგიყვანთო. ხალხს გაისამდე ლოფინი არ სურდა და ამიტომ არც ძირს ჩამოდიოდა. სხვა რა გზა იყო, ლუზა ამოიღეს, აფრები აუშვეს და გემიც დაიძრა.

ხოსრო თავის მუხის სავარძელში ჩაჯდა. ფეხები, იქვე მიწოლილ ტახოს ხმირჯაგარში შეკყო, რათა თბილად ჰქონოდა. მუხლებზე ოქროს გალია დაიდო, რომელშიც ჟოზეფინა მობუზული იჯდა და თქვა: — კარგია, რომ პალტო გაცვია, რადგან მაღე ქარბორბალა ამოვარდება, შენ კი არ შეგცივდებაო. ანძებზე ამძვრალ ხალხს ახედა და განავარძო, — იმ უბედურებს კი ამალამ ზვიგენები შეჭამენ.

— კი, ნამფილად შეჭამენ, — დაეთანხმა ღორი და გაიფიქრა, სანამ ზღვა აირევა ცოტას წავუძინებ, ნამეტანი დაღლილი ვარო და თვალები დახუჭა.

მათი ხმა იმ აცეტებულ ხალხს სრულებით არ გაუგია. რომც გეგეგუ, უფუფუჯრ დაუჯერებდნენ, რადგან უცნაურ ტყუილი ერჩიათ მნარე სინამდვილეს, ეს ყველაფერი კარგად იცოდა გუბერნატორმა და ნარბიც არ შეუხრია. ეგ იყო მხოლოდ, გალიაში ხელი შეკყო და ჟოზეფინას თმა მონიქნა, თან დააყოლა, ქუელით, ჩერჩეტო. გოგონამ მეტისმეტი მწუხარებისგან ტირილი შეწყვიტა. იცოდა, ტანტრეს მეტი ვერაფერ უშველიდა, ის კი არ ჩანდა. მაღე ნაპირს მომდგარი გემი გამოჩნდა და ხალხი იქითკენ გაიქცა.

ჟოზეფინას ეგონა, ყოველივეს მის შესასწინებლად, განზრახ ამბობდნენ, არადა ამ შემთხვევაში ხოსრო და ჯანტახო მართლები იყვნენ. ისინი მთელი ცხოვრება ზღვაზე დაცურადნენ და გამოცდილებით იცოდნენ, როდის როგორი ამინდი იყო მოსალოდნელი. ასეც მოხდა: ჯანტახომ ჩათვლემა ვერ მოასწრო, ხოლო გუბერნატორმა ფეხების გათბობა, რომ ქარბორბალა ამოვარდა და ის ვეებერთელა გემი ნაფოტივით დაატრიალა... აჰ, ცუდი ამბავი მოხდა, მოსაყოლადაც კი საშინელია... ამას კი ვიტყვი: ანძებზე ამძვრალ ხალხს ზუსტად ის ბედი ენია, რასაც ღორი და მისი პატრონი ამბობდა... ერთადერთი, ღალღალი ვირთხა გადაარჩა. ის ხომ ადამიანებზე ბევრად მსუბუქი იყო, თანაც ქუა იხმარა და ვარდისფერ ალაში ისე კობტად გაეხვია, ჰამაქში გახლართული გეგონებოდათ.

დილით ქარიშხალი ჩაწყნარდა და გემშიც ჩვეულებრივად განავარძო გზა. კარგა ხნის მერე ზღვაში აღმართული მთა გამოჩნდა. შეუჩვეველი თვალისთვის დიახაც რომ მთა იყო. გამოცდილი ხოსროსთვის კი — გველემპაი. გუბერნატორმა შორიდანვე ამცნო დედოფალ-ურჩხულს გამარჯვებით დაბრუნება — საყვირს ისეთი ძალით ჩაბერა, რომ ცაში ფრინველები აირივნენ, ზღვაში თევზებს შეეკრათ სუნთქვა. თავად გულნაზის, საყვირის ხმაზე გაეღვიძა. რა თვალის კიდა ხალხით დატვირთულ გემს, როგორც ჩვევად ჰქონდა კმაყოფილების დროს, ცას შეკვივლა... მაგრამ, მაშინვე, შეცბუნებულმა შორს, მთისკენ გაიხედა, ეგონა კომბლიანი ბიჭი

მუქარით გამოეხმაურებოდა. ის კი არ ჩანდა. იმ დროს ტანტრეს გველეშაპისთვის არ ეცალა. თუ რატომ, მალე შეიტყობთ.

არ გასულა დიდი დრო, რომ გემმა ურჩხულის ყბის ნაპირას ღუზა ჩაუშვა. გუბერნატორმა სკივრიდან შედღები ამოიღო და ღორზე შემომჯდარი, ჟოზეფინასთან ერთად ნაპირზე გადავიდა. იქიდან ტყიან აღმართს აუყვა.

ხოსრომ გადანყვიტა, გულნაზის ბრძანების თანახმად ბაჯა და მისი რაზმელები დაეჯილდოვებინა. მერე გველეშაპთან მალულად გაება საუბარი. არ სურდა გემზე მყოფთ, ქარიშხალს რომ გადაურჩნენ, მათი ნალაპარაკევი მოესმინათ. ხომ შეიძლება სტომაქში შესვლაზე უარი ეთქვათ? მართლაც რომ ნინდახედული და გამოცდილი კაცი ბრძანდებოდა გუბერნატორი.

კომკებთან ასულმა ხოსრომ მეციხოვნეებს შუბლზე ხელის მიტანით გულნაზის მადლობა გამოუცხადა და ტაშის ვრიალში სათითაოდ ჩამოურიგა მათ ოქროს მედლები.

ყველაფერ ამას უსიტყვოდ გასცქეროდა ჟოზეფინა და თავი სიზმარში ეგონა.

დაჯილდოების მერე ბაჯამ და მისმა რაზმელებმა კოშკის ძირას, ჩრდილში, პურმარილი გაშალეს. ძვირფასი თევზეული, ნანადირევი და ნაირნაირი ხილი ამშვენებდა სუფრას. რა გინდოდა, სულა და გულა ყველაფერი ისეთი მადისაღმძვრელი ჩანდა, რომ ჟოზეფინამაც კი მიირთვა. დანაყრებულებმა ცოტა შეისვენეს და გველეშაპის თვალისკენ აუყენენ ზხას. საღ კლდესავით აღმართულ ცხვირის ძვალთან, ხეების ჩრდილში, ხოსრომ ტახო და ჟოზეფინა დატოვა. თვითონ თვალისკენ გასწია. ასე იმტიომ მოიქცა, რომ გოგოს გველეშაპის დანახვაზე გული არ ნასვლოდა. თვითონ მარცხენა თვალის ქუთუთოსთან ლოდზე ნამოჯდა და გულნაზის ჩურჩულით მოახსენა ლაშქრობის შედეგები. ჟოზეფინას და ტანტრეს ამბავიც არ დაიფიქრა, რითაც დიდად აამა გველეშაპს. ბოლოს გულნაზიმ უთხრა, ჟოზეფინას აღსაზრდელად მენ გაბარებ თუ კარგად ვანრთვნი, ჩემს პირდაპირ მემკვიდრედ, მომავალ დედოფლად დავასახელებო. ტანტრე კი, ალბათ გოგონას გამოსხნას შეეცდება, მაგრამ მე შევიპყრობ და

ხელ-ფეხს მოვაჭამ, მერე კი მენ ნაიყვანე და ხალხის დასენაჩად სეხრქობელაზე ჩამოკიდეო.

— კარგი იქნება, კი — შოქმონა ჯანზრახვა ხოსროს და ჰკითხა, ახალი ქვეყნის დასაპყრობად როდის გავემგზავროო.

— ეს ხალხი დაბინავე და მერე ამოდი. რაც მალე ნახვალ, მით უკეთესია, — უპასუხა გველეშაპმა.

ხოსრო ნამოვიდა. გულნაზი ჩურჩულებდა, თან ჟოზეფინას შესცქეროდა. გოგონას კი ეგონა, მის შორიახლო ვეებერთელა შავ გვირახს დაედო ხახა. ბოლოს ჟოზეფინა მიხვდა, გველეშაპი ხახასთან იმყოფებოდა და შიშისაგან ისე შვამცივნა, იმ სიცხეში პალტოში გაეხვია. მალე ხოსრო დაბრუნდა და ყველანი დაღმართს დაუყვინენ. არ გასულა დიდი დრო, რომ გემი ურჩხულის სტომაქისკენ დაიძრა.

ქალაქს უახლოვებოდნენ. გემზე მყოფი ხალხი სიხარულისაგან ამღერდა და აცეკვდა. მოგვიანებით, როცა შადრევნებად მომჩქეფარე ტკბილი ხილის ნვენები და ბალებში დაკრეფილი ყოველნაირი ხილი იგემეს, ლამის შეიშალნენ... მაგრამ ყველაფერს აქვს სახლვარი. ისინიც დამშვიდნენ, დადინჯდნენ. მერე მათზე ადრე მისულ ხალხს გაეცვენენ, გამოელაპარაკნენ და გაუკვირდათ, რომ დამხვედურებს მაინცდამაინც არ უხაროდათ გველეშაპის ლამაზ ქვეყანაში ცხოვრება. მიზეზი ეს გახლდათ: როგორც გახსოვთ, ადრე ხოსროს მეკობრეები და ტყვეები იქაურობის ხილვით დიდად აღფრთოვანდნენ, მაგრამ ორიოდ დღეში სიხარული გაუქრათ, რადგან მიხვდნენ, სტომაქში სხვას ყველაფერს რომ თავი დაუვანებოთ, მზე და მთვარეც კი ხელოვნური, უსიცოცხლო და მოჩვენებითი იყო. მათ ცის კამარაზე გაბრწყინებული ნამდვილი მზე და მთვარე მოეხატრათ.

ქალაქის დათვალეერების მერე ხოსრომ პირობა შეასრულა და ვაჭარ პარმენს ქარვასლა აჩუქა, ფილოსოფოს კუკურიას სასახლე და დიდი მოაზროვნის ტიტული, მენაღე-ექიმამა ბაჩას — სახელოსნო. სხვებს ნება დართო, რომელ ბინამიც სურდათ, იქ ეცხოვრათ. ამ სიტყვებზე ხალხმა ტაში დასცხო. ზუსტად ამ დროს მოედინიდან ნაბიჯების ხმა მოესმათ. გუბერნატორმა გაიხედა და...



თვალეებს არ დაუჯერა — თეთრ შარვალ-ხალათში გამოსწყობილი აბორიგენი ვიტიკო სამწყობრო ნაბიჯით მოემართებოდა. უკან, ასევე სამწყობრო ნაბიჯით მოყვებოდა ორი შავი კაცი, ოღონდ მათ ნელზე ვინრო ზოლად ჰქონდათ შემოხვეული თეთრი ნაჭერი.

გაოცებულ ხოსროს აღტაცების შეძახილი აღმოხდა: — ყოჩაღ შენ, ვიტული, ყოჩაღ! — მისკენ გაემართა და თქვენ ნარმოიდგინეთ, გადააკოცნა. მხედრული ნესისამებრ მიესალმა და ისევ აკოცა. ამის მერე განზე გაიხზო და გამოელაპარაკა. თურმე ძალაუფლების სიტკბონაგვებზე ვიტვიას თელი ღამე უფიქრია თავის გარეგნულ იერსახეზე, ხალხს რომ შორიდანვე შეენიშნა ნესრიგის დამცველი და მისი შორიდება ჰქონოდა, თეთრი შარვალ-ხალათის ჩაცმა გადაუნყვეტია. თანაც ხოჭოჭუნების ჭამა აუკრძალავს, როგორც საკუთარი თავისთვის; ასევე ხელქვეითებისთვისაც.

— ყოჩაღ, ყოჩაღ და კიდევ ყოჩაღ! — ლამის ღრიალებდა ხოსრო, — დღეიდან ამ ქვეყნის პოლიცემისტერი და მთავარი ჯალათი შენ იქნები, ვიტკო!... მაღე, იმედია, ბევრი საქმე გამოგიჩნდება. ახლა კი საზრიანობისათვის გაჯილდოვებ, — ამ სიტყვებისთანავე უნიიდან ერთი ოქროს მედალი ამოიღო და აბორიგენს გულზე ჩაშოკდა.

იგრიალა ტაშმა, ფრიად ხანგრძლივმა, მჭუხარემ, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული, ტაშსაც, რასაკვირველია, პოდა, უკვე მედალოსანმა აბორიგენმა მოვალეობის შესრულება განაგრძო. „ერთი-ორი“, „ერთი-ორის“ ძაბილით წინ გაუძღვა რაზმელებს.

გუბერნატორი ხალხს მიუბრუნდა: — ხედავთ როგორ დაეჯილდოვებ? იმიტომ რომ ნესრიგის მოყვარული და უფროსობის პატივისცემელი კაცია! მედალიც როგორ უხდება?... ასე არ არის, ქალბატონო მარგარიტა?

— დიხ, დიდებული ვაჟკაცია! — ჩაიღმილა დედინაცვალმა.

ხოსრომ ეშმაკურად ჩაულაპარაკა: — შენზე თქვა გამლილი ვარდით მშენიერიო... მაგრამ კარგი. ნადით, ბინებში მოუნყვით და დაისვენეთ. ხვალეიდან ახალ, ბედნიერ ცხოვრებას შეუდგებით.

ხალხი ხმაურით დაიშალა. ყველა საუკეთესო ბინის დასაპატრონებლად გაიქცა. იმ გზიასში ჟოზეფინამ თავისი

მეგობრები გოგია და ბროლისა შენიშნა და ორივეს თხოვა, მის მეზობლად წესდნარათ, რაზეც სიამოვნებით დათანხმდნენ. ხოსროს ხელშეწყობით, სასახლის პირდაპირ მდებარე სახლში ოთახებს დაეპატრონენ. მერე ხოსრო ატატებული გალიით სასახლეში შევიდა. ჯან-ტახომ კიდრო იხელთა და ტყეში გაიქცა რკოს საჭმელად. დაღლილი ხოსრო ტატზე წამოწვა და მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. გალიაში მყოფმა ჟოზეფინამაც თვალები მილულა, მაგრამ ამ დროს კარის ღრიჭოდან ღალულია ვირთხა შემოვიდა. გოგონამ თვალეები ჭყიტა. ვირთხამ, რუშად იყავიო, ანიშნა და რურჩულით ჰკითხა: — კატა ხომ არ მყავს შენს ბატონს?

— არა მგონია, არ დამინახავს, — რურჩულითვე უპასუხა ჟოზეფინამ.

ვირთხა დამშვიდდა. მერე მოჰყვა თურა ნვალეებით იმგზავრა, როგორ მოსდევდა ფეხდაფეხ, მისი კვალი რომ არ დაეკარგა. ანი არა გვიშავს, ერთად ვიქნებით ჭირსა და ლხინში, — დაასრულა კეთილმა ვირთხამ და გაიხედ-გამოიხედა. კუთხეში მოზრდილი ხვრელი შენიშნა — ნავალ, დავისვენებ, თორემ ფეხზე ძლივს ვდგავარ. თუ გაგიჭირდეს, დამიძახე.

— კარგი, ღალული, მადლობელი ვარ შენი! — უთხრა ჟოზეფინამ და მოხერხებულად მოენყო. ვირთხა ხერეღში გაუჩინარდა.

დღეით ხოსრო სალამურის ხმამ გამოალეიდა და სწრაფად წამოდგა,

— ვინ უკრავს? — ისეთი სახით იკითხა, თითქოს კბილი სტკიოდა.

— გოგია უკრავს, — უპასუხა სევედინად ჟოზეფინამ, — იქ ჩვენს ქალაქშიც დილაობით სალამურზე დაკვრით აღვიძებდა ხოლმე ბროლისას.

ნარბშეკრულმა გუბერნატორმა სარკმელში გაიხედა. ჟოზეფინა მართალი აღმოჩნდა. გაახსენდა გველეშამ გულნაზის დარიგება თურა ხერხით აღეზარდა ადამიანები სანიმუშო ურჩხულებად... პირველყოვლისა, ეს ნიშნავდა ადამიანთა ურთიერთისყვარულისა და ვართობა-თავშესაქცევების აკრძალვას. ამ საქმეს აქედანვე უნდა მიეხედო, — გაიფიქრა გუბერნატორმა და ბრძანება-აკრძალვის ნერას შეუდგა. როცა დაამთავრა, კმაყოფილმა ხელეები მოიფშვინტა, — ქვას გახეთქავს ისეთიო, — ჩაილაპარაკა. მერე, ჟოზეფინა გალიიდან გამოუშვა და თითის ქნევით უთხრა: აქედან ფეხი არ მოიცვალო, თორემ ვიტყავს



რაზემელები დაგვიტყვიან. რაც დაგვირდება, ყველაფერი აქაა. ე, გვერდით ოთახში სამზარეულოა და შენს თავს თვითონ მიხედეთ. თუ კარგად მოიქცევი, მოსამსახურეს აციყვან. აბა, ტკუით იყავი, მე უნდა ნავიდე!

— სად მიდიხართ, ბოდიში? ან როდის დაბრუნდებით? — იკითხა ჟოზეფინამ.

— გარეთ გავალ. ამ ჩემს ბრძანებას მოსახლეობას გავაცნობ, — ხოსრო თავის ნაწერს დასწვდა. გოგონას ჩოხედა — შენც უნდა იცოდე, დღეიდან ჩვენს ქვეყანაში ვერძალად ცეკვას, სიმღერას და სხვა მხიარულ გასართობებს. ასევე სიყვარულს, გესმის? გოგო, სიყვარული, როგორც გვირგვინი სისულელისა, სასტიკად იკრძალება... — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს იატაკის ხერელიდან ღაღულა ვირთხა გამოვარდა და გაბრაზებულმა შესძახა:

— რაო? რა სისულელეს ბოდავ, ადამიანი!

ხოსრომ ვირთხის დანახვისთანავე, ვაიძე დედაო — იკივლა და ტახტზე აფოფხდა — არ მოშეკარო. არ მოშეკარო, თორემ ვიტიას დაუძახებ და სახრჩობელაზე ჩამოგვიდებს!

— დედა, ეს რა მშობარა და ფბუკიანი ყოფილა? — ჟოზეფინას მიუბრუნდა ღაღული. მერე ხოსროს ახედა: — ნუ გემონია, გუბერნატორო, არაფერს ვერჩი, ბოლოსდაბოლოს ერთ ოჯახში გვინევს ცხოვრება!.. მაგრამ გაფრთხილებ, პირადად მე მუსიკაზე ვგიჟდები, მალე ტუჩის გარშინს ვიშოვი და თვითონ დაეუკრავ. შენ კი ამბობ, მუსიკა უნდა აგკრძალო. ფიქრადაც არ გავილო, გაფრთხილებ! ახლა კი დაგტოვებთ. ახალ ბინაში უამრავი საქმე მაქვს, — თქვა და სოროში შეძვრა.

ხოსრო ტახტიდან ძირს ჩამოფორთხდა. დარცხვენნილმა, თავდახრილმა, ნაჩხაპნი აილო და ოთახიდან გავიდა. იფიქრა, ვიტიას ვეტიყვი, ვირთხა მოკლასო, მაგრამ მაშინვე უარყო ეს აზრი,

გულში თქვა — ხალხმა რომ გვიტოვოს ვირთხის მეშინია, ღირსება შემივლახებო.

„სხვა ხერხს უნდა მივიძებნო, მაგრამ რას?“ — მწარედ ჩაფიქრდა გუბერნატორი. იფიქრა, იფიქრა და გამოსავალიც იპოვა: კატა, კბილბასრი ფისო, სჭირდებოდა. სიხარულისგან გუბერნატორმა პაერში მათრახი გაამხუილა და ჩაილაპარაკა: — აქამდე როგორ არ მომაფიქრდა? ხეალ-ზეგ სალაშქროდ რომ წავალ, ერთს კი არა, ათ კატას მოვიყვან და ვაჩვენებ სიერს ღაღულია ვირთხას. კმაყოფილმა სადარბაზო შემოსასვლელთან მდებარე ოთახის კარზე დააკაკუნა, ჯან-ტახო გააღვიძა, ზედ შემოაჯდა და ქუჩაში გავიდა.

ბაზრის მოედანზე მისულმა ხოსრომ საყვირის ჩაბერა, ბლომად ზალხი შეყვარა და თავისი ბრძანება გააცნო, შეკრებილთ გონათ, გუბერნატორი ხუმრობდა, მაგრამ როცა ვიტიას უბრძანა — გიტარები, სალაშურები, ვიოლინოები თუ სხვა საკრავები საჯალათო კუნძზე ნაჯახით დაჩეხეო, ერთხანს შეფიქრიანდნენ, მერე გუბერნატორს მომხრები გამოუჩნდნენ და აყაყანდნენ. ამ მხრივ განსაკუთრებულ მონდომებას მარგარიტა-მარგო იჩენდა: ხოსროს და განსაკუთრებით შავი ვიტიას ხათრით არა თუ აკრძალვის სარგებლიანობას უხსნიდა ხალხს, ქუჩაში სამწყობრო ნაბიჯით სიარულიც კი დაიწყო, თუმცა შავი პოლიციეისტერის ყურადღება მაინც ვერ დაიმსახურა. ვიტია დამჯერე კაცი იყო, უფროსის ბრძანებას სიტყვისმუხურუნებლად ასრულებდა. მაშასადამე, სიყვარულზე ფიქრი არ შეეძლო. იმავე დღეს გუბერნატორი ახალი სახელმწიფოს დასაპყრობად გაემგზავრა. ამ ლაშქრობიდან ხოსროს განზრახული კქონდა კატები ჩამოეყვანა, რათა მის სახელმწიფოში ვირთხების სახსენებელი გაეწყვიტა.

### თავი მესამე

სანამ ხოსრო გველემშაპთან მივა, ჩვენ თეთრ მტრედს, სახელად კესარიას მივუბრუნდეთ.

როგორც ვახსოვთ, ავი დედინაცვლის მიერ სახლიდან გამოგდებულმა ჟოზეფინამ ტანტრეს ბარათი მისწერა, რომელშიც თავის მდგომარეობას ატყობინებდა და სთხოვდა, მასთან მისულიყო.

მერე ქალაღდი მარჯვედ დაკეცა და ფრინველს ფეხზე შეაბა. კესარია მაშინვე მთისკენ გაფრინდა. მან კარგად იცოდა ტანტრეს ადგილსამყოფელი, რადგან ადრეც არაერთხელ გაუნევირა ამგვარი სამსახური შეყვარებულთათვის.

ჯერ კიდევ ძალზე პატარა იყო მტრედი, როცა ქუჩაში ფრთადამა-



უბული იპოვა ჟოზეფინამ. გოგონამ მაშინვე ქოხში წაიყვანა. უაქიმა, დაპაურა და გამოზარდა. სახელად კესარია დაარქვა. მადლიერი, ბუნებით კეთილი ფრინველი გოგონას ერთგული მეგობარი, მისი შესაიდუმლე გახდა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ კესარია მხოლოდ და მხოლოდ ჩვეულებრივი მტრედი გახლდათ, ყოველგვარ ზღაპრულ თვისებებს მოკლებული, მას არც საუბარი შეეძლო და არც რაიმე ჯადოქრობა, მაგრამ ეს ზელს არ უშლიდა, სიკეთე სიკეთით გადაეხადა.

ერთი სიტყვით, ამ ჩვეულებრივმა მტრედმა იფრინა, იფრინა და ცხრა მთა გადაიფრინა. მეათე მთას რომ მიუახლოვდა, ქვემოთ ჩაიხედა და თეთრ ცხენზე შემოჰქდარი ტანტრე დაინახა. შორი-ახლო ცხერის ფარა ძოვდა. იქვე, ხევეში უამრავი დახოცილი მგელი ეყარა. „აღბათ ტანტრემ დახოცა ის სამაგლები, — გაიფიქრა კესარია მტრედმა და მწყემსოსკენ გაფრინდა.

სწორედ ფიქრობდა ფრინველი. რამდენიმე დღის უკან იმ, მეათე მთის მგლებმა გადაწყვიტეს, ტანტრეს ცხერებისთვის ყელეები დაეღადრათ. შუალამისას განზრახვის აღსასრულებლად გასწიეს. ფარეხამდე ჯერ კიდევ არ იყვნენ მისულები, რომ მეცხვარის ძაღლმა შეაჰჩინა და ყუფა ატეხა. ტანტრე მაშინვე წამოხტა, კომბალს ხელი დასტაცა და ვეფხვივით დატრიალდა. სულ ცოტა ხანში თითქმის მთელ ხროვას მუსრი გაავლო, ხოლო გადარჩენილებმა საზარელი ყმუილით ტყეს შეაფარეს თავი. კმაყოფილმა ტანტრემ გაიფიქრა, ისეთი დღე ვაყარე, მეტჯერ არ მაკადრებენ უკადრებელსო, მაგრამ შეცდა. მგლები და საერთოდ მტაცებელი ცხოველები დაიხბა, რომ უკადრისად იქცევიან, იმიტომაც არიან მტაცებლები. ცოცხლად დარჩენილებმა მტკიცედ გადაწყვიტეს: დახოცილი ძმაკაცების ჯაფერი უნდა ამოვიყაროთო და ახლომახლო მთებში მობინადრე მგლები შეყარეს. ერთმანეთით გულმიცემული ნადირები ყვითელ თვალებს აბრიალებდნენ, ბასრ კბილებს აკრაჭუნებდნენ და თამამად გაძიხობდნენ:

— ეპეი, კომბლიანო, თუ ვაგაკი ხარ გაგვიმარდიო.. მალე შენი და შენი ცხერების ძვლებით გადავათუთრებთ მინდორსაო.

ხმაურზე ძალეი გამოვიარდა, მაგრამ იმდენ კილალესილ მგელზე უკან ვერ წავიხდებოდა — საწყალი ნამჭედი მგელი ტანტრე ლრიანცელე გამოქვაბულიდან ტანტრემ გამოიხედა — და რა ნახა ცუდად იყო საქმე, ბევრი არ უფიქრია, მაშინვე ცხენს მოახტა და კომბალი დაატრიალა. მალე ირგვლივ სისხლის ტბორი დადგა, მაგრამ მხეცები უკან დახეუას არ აპირებდნენ, პირიქით — საშინელი გავებით უტყედნენ. ახლა ნამითაც არ შეიძლებოდა ყურადღების მოდუნება. არადა, ამ დროს ტანტრეს გველეშაპის ყვირილი მოესმა.. ეს ის დრო იყო, როცა ურჩხულმა თვალი ჰკიდა ხოსროს მიერ მოყვანილ ხალხს, რომლითაც საესე იყო გემი. ურჩხულმა ყვირლზე მთიდან მუქარიანი პასუხი ვერ გაიგონა... როგორც ნახეთ, ტანტრეს მისთვის არ ეცალა. იმ ფიცხელ ბრძოლაში მწყემსმა გაიფიქრა: ჩემი წინაპრების არ იყოს, აღბათ მეც ზარმაცი ვარ, რადგან აქამდე ვერ მოვიცალე გველეშაპს გავსწორებოდი, მაგრამ არა უშავს, ამით რომ ამოვნყვიტავ, მერე ურჩხულისთვისაც მოვიცილიო. და კიდევ უფრო მეტი შემართებით განავრძო ბრძოლა. სამი დღე შეუსვენებლივ ხოცავდა მგლებს. ბოლოს, უკანასკნელი ნადირი ხევეში მოისროლა და მუხლიდან ოფლი მოინმინდა, რომ მზარზე კესარია მტრედი დააფრინდა. ბარათი წაიკითხა და თავისთვის ჩაილაპარაკა: ეტყობა ჟოზეფინას სიცოცხლე გაუშნარა დედინაცვალმა, თორემ არ დამობარებდით. მერე მტრედს ნისკარტზე თითით მიუალერსა: — ეპ, ჩემო კესარია, ლაპარაკი რომ შეგეძლოს რომელიმე ზღაპრული ფრინველივით, ყველაფერს წვრილად მომიყვებოდი.. მაგრამ რა გაენყობა, ახლავე ნაიფით და ყველაფერი გავარკვიეთ. შენ გაფრინდი, მეც მალე მოვალ.

მტრედი მიხვდა, რასაც ეუბნებოდნენ და მალლა აიჭრა. ტანტრე ცხენს მოახტა.

პირველი, რასაკვირველია, კესარია მიფრინდა ქალაქში. იქ ვერც ერთი სულღერი ვერ ნახა და მობუზული, შემინებული ტყისკენ გაფრინდა. ბილიკის გასწვრივ, მუხის ძირას, დაელოდა ტანტრეს. ის იყო ტანტრეს და ჟოზეფინას შეხვედრის ადგილი. მწყემსიც იქ მივიდოდა. კარგა ხნის მერე ტანტრემ ცხენი მოაჭენა. კესარია მაშინ

ნვე მხარზე შეაფართქალდა, გამწვანებული აღულუნდა, თითქოს მისგან ითხოვდა მომხდარის ახსნას. მწყემსმა იგრძნო, რაღაც რიგზე ვერ იყო და შეშფოთებული, ფრინველთან ერთად, ქალაქში შევიდა, იქ ლამის ყველა ქუჩა დაიარა, მაგრამ ვის ნახავდა? გოგონებამ რომ გაუარა, მიხვდა, ვისაც შეეძლო ამ ბოროტების ჩადენა და გამმაგებულმა ნაპირისკენ გააქროლა ცხენი. იქ პირუტყვი თავისუფლად ვაუსეა. თვითონ ნავეში ჩაჯდა და ზღვაში შესცურა. მტრედს სთხოვა, უკანვე გაფრინდო, მაგრამ ის ვიუტად არ შორდებოდა.

ტანტრე შესამე დღეს მთასავით აყუდებულ მძინარე გველემასს მიუახლოვდა. ნავე მოფარებულში დააბა, თვითონ ნაპირზე გადავიდა. დაფიქრდა, თუ როგორ მოქცეულიყო. ცოტა ხნის მერე გადანივციტა — თუკი ურჩხულს ის იმდენი ხალხი ჩაყლაპული არ ჰყავდა, მაშინ მასთან ბრძოლას სხვა დროისთვის გადადებდა. ახლა მთავარი ჟოზეფინას და ხალხის პოვნა იყო. ბევრი იფიქრა და ბოლოს ქალაღდის ნაგლეჯზე დანერა: „ჟოზეფინა, სადა ხარ? მიპასუხე, ტანტრე.“ ბარათი გაკეცა, მტრედს ფეხზე შეაბა, თან შეეხენა, ურჩხულის სტომაქი კარგად მოეწხრიკა და შავად დაღებული გვირაბისკენ, ურჩხულის ხახისკენ მიუთითა. გონიერი ფრინველი მიხვდა, რასაც სთხოვდნენ, — ბარათის ფეხზე შებმა მისთვის ნიშნავდა ჟოზეფინა ეპოვნა. მასაც არ დაუყოვნებია. მალე გულნახის ხახაში გაუჩინარდა. ტანტრე კომკებისკენ გზას დაადგა. დრო რომ არ დაკარგვოდა, გადანივციტა, იქაურობა დაეხვერა.

ამასობაში კესარიას მტრედი მთელი სისწრაფით მიფრინავდა. გზად გველემასთან მომავალ ხოსროს გემს გადაუფრინა. ბოლოს, როცა აბორიგენებმა მთის ნვერზე ოქროს მზე დაკიდეს, ქალაქს მია-

ღნია. იქაურ ქუჩებს, სახლებს რრრ გადაუფრინა, ადამიანთა ნაცნურჭი ზნუნუნუნ შენიშნა და სიხარულისგან მარჩჩჩჩჩ შეშალა ფრთები. ქუჩაში მყოფმა ხალხმა შეამჩნია რალაცით გახარებული მტრედი. ბევრმაც იცნო თავიანთი სამშობლოს ფრინველი და გული სასიამოვნოდ აუძგერდათ. კარგად ენიშნათ მტრედის გამოჩენა. იქ ჩაყვანილთაგან ბევრს უკვე მობეზრებოდა სტომაქში ყოფნა და თავიანთი სამშობლო ენატრებოდათ. ქუჩის თავზე ფრენისას უცებ სასახლის სარკმელი გაიღო და იქიდან სიხარულით ატყცებულმა ჟოზეფინამ დაუძახა: — კესარია, ჩემი კესარია, აქა ვარ!

გოგონა და ერთგული ფრინველი დიდხანს ეალერსებოდნენ ერთმანეთს. ჟოზეფინამ მეგობარი დააპურა, მერე ბარათის უკანა გვერდზე მიანერა: „გველემასის სტომაქში ვართ. გელოდები. ჟოზეფინა“. კესარიამ ერთი დაიღულუნა და ტანტრესკენ გაფრინდა.

ამ დროისათვის ტანტრემ კომკები დაზვერა და დაასკვნა, რომ იქ მცირერიცხოვანი რაში იყო განლაგებული. მაგათ ადვილად მოვერევიო, გაიფიქრა და ძირს, ნაპირისკენ გაემართა. უცებ ცაში მტრედი შენიშნა. კესარიამაც დაინახა, დაბლა დაეშვა და მხარზე დააფრინდა. მწყემსმა ჟოზეფინას ბარათი ნაიკითხა და გაციტებულმა გაიფიქრა, ამდენი ხალხის ჩაყლაპვა როგორ მოახერხა ამ გველემასმაო, მაგრამ ჩემი ბრალია, აქამდე რომ არ დავუკარგე ჭამა-ყლაპვის მადაო. მერე მტრედს სთხოვა, ქალაქში გაფრინდი, იქ დაგველოდეო. კესარია მიხვდა, რასაც ეუბნებოდნენ, მაგრამ არსადაც არ გაფრენილა. ან კი რა უნდოდა ადამიანებისგან დაღლილ ქვეყანაში. იქვე, ყველაზე მაღალ ხეზე შემოჯდა მოწყვნილი. კომკებისკენ მიმავალ ტანტრეს მანამ ვასცქეროდა, სანამ თვალს არ მიეფარა.

## თახი ბარბა

ტანტრე ყიფინითა და კომბლის ქნევით მიინედა კომკებისაკენ. ერთი სული ჰქონდა, იქაურობა ნაცარტუტად ექცია, მერე გველემასის სტომაქიდან ხალხი გამოეყვანა. ნესტიან, ბაყაყებით სავსე ხეეს მიუახლოვდა თუ არა, მორიგე მეციხოვნემ შენიშნა და ამხანაგებს საშველად უხმო. ტანტრემ არ დაახანა, კომკში შეიფრა და აღრიალებული მეცი-

ხოენე სათოფურიდან ძირს ჩამოავდო. ყვირილზე დანარჩენებმაც გაიღვიძეს და დანებმომარჯვებულები ტანტრეს წინ დაუდგნენ.

— შაიტ, თქვე გველემასის მონელო! როგორ არ გრცხვენიათ, ურჩხულს რომ ემსახურებით. მე თქვენ გიჩვენებთ სეირსაო! — შესძახა მწყემსმა და განუყრელი კომბალიც დაატრიალა. — შოდა, გინდ დაო-



ჯეროთ, გინდ არა, ყოფილი მეკობრეები თვალის დახამხამებაში გაიფანტნენ და ნრუწუნებოვით საგანგებოდ მონყობილ სამალავებში დაიმალნენ. ასე სამარცხვინოდ იმიტომ მოიქცნენ, რომ კარგა ხანია ბრძოლას გადაეჭვივნენ, თანაც ჭამა-სმისგან ბურთოვით ჩამრგვალებულებს მკლავი არ ერწოდათ. მეციხოვნეთა ამ საქციელისაგან ტანტრე სახტად დარჩა. თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და იხვენებოდა – გამოდით, დამენახვეთ და არაფერს გერჩითო, ისინი არ პასუხობდნენ. ტანტრე მათმა საქციელმა ისე გააბრაზა, რომ კომქვე იძია შური, იმდენი ურტყა კომბალი დაჭიანებულ კბილებს, ერთიანად დაღუნა. მერე ის ნანგრევები გრიალ-ხრიგინით წყალში ჩაცივდა და სტომაქისკენ მიმავალი გზა ისე ჩაიხნათა, გემებს ამკარა საფრთხე შეექმნა.

ამ ვაი-უშველებელში, ცხადია, გველემამა ვაილიძა. კბილები და ყელი რამ ამტკივაო, გაიფიქრა და ჩიფჩიფით ნამოიძაბა: რა ხდება, რა უბედურებაა, რა აუღამყოფობა შემეყარა, ასე ცუდად რომ შეიქცნო. საიმედოდ დამალულმა მეციხოვნეებმა პასუხი არ გასცეს, რადგან ამით თავს ვაცხემდნენ. ამასობაში ტანტრე კომქის ერთ პატარა ნამსხვრევში ჩაიშალა. იმედი ჰქონდა, როცა მას ვერ ნახავდნენ, მეციხოვნეები სამალავიდან გამოვიდოდნენ, ტანტრე დაიჭურდა და მათგან შეიტყობდა თუ როგორ მისულიყო სტომაქში. ამასობაში გველემამი ტკივილისაგან აკენესდა, თან ბაჯას და მის რახმელებს უხმოზდა. უცებ მათი გვირაბიდან გემი გამოჩნდა, წყალში ჩაყრილ კომქების ნამსხვრევებს გვერდი ფრთხილად აუარა, და ნაპირს მოადგა. ეს ხოსროს გემი გახლდათ. ტანტრემ გაიფიქრა: მაშასადამე, გემით ან ნავით შეიძლება სტომაქში ჩაღწევაო და თავისი ნავით გამგზავრება გადაწყვიტა, რომ უცრად გემბანზე მდგარმა ხოსრომ შეპყვირა: ათისთავო ბაჯავ! ეს რა ხდება, ზღვა ისეა ჩახერგილი, გემი კინალამ დამემსხვრა.

სანამ მეციხოვნეები სამალავებიდან გამოვიდოდნენ, გულნაზიმ ბებერივით დაიჩიფიფა: რა ხდება, გუბერნატორო, რა უბედურებაა ჩემს თავსო. ხოსრომ – მე ეს ნუთია მოვედი, თვითონაც გაკვირებული ვარო და სამალავიდან გამომძვრალ ბაჯას მიაჩერდა. საქციელნამხ-

დარმა ბაჯამ დარცხვენიტ განაცხადა – ერთი თმაქოწორა, გიტი ბუჭე, რაფე ფაქქესხა და კომქები დავინგრეოდვოდნაზე და ხოსრო მიხვდნენ, ვინც იყო ის გიტი კაცი და ერთდროულად შკითხეს: ახლა სად არისო, ბაჯამ – დარწმუნებული ვარ, ნანგრევებში მოყვა და დაიღუპაო.

– ჯანდაბა, მაგ ოხერტიალს! მე რა მეშველება? ასე უკბილო ხომ ვერ ვიქნები, თანაც ყბა საშინლად მტკივა, – დაღონდა გულნაზი.

ყველა ჩაფიქრდა. არ იცოდნენ, რა ერჩიათ გველემპისათვის. უცებ სიწუმე ჯან-ტახომ დაარღვია:

– თუ ნებას დამრთავთ, მე ვიტყვი, მაგ საქმეს როგორ მოველება...

– ოხ, შენი ჭირიმე, ბრძენო ტახუნიავ! – გაუხარდა გველემპს. ოღონდ ამ უბედურებას გადამარჩინე და პატივისცემა ჩემზე იყოს!

ჯან-ტახოს, მეტი სიღარბაისლე რომ მიეცა თავისი თავისთვის, ერთხანს ჩაფიქრდა, მერე დინჯად განაცხადა:

– მე ვფიქრობ, კაი, გამოცდილ შკითხავს უნდა მიემართოთ.

– აი, ქკუსის კოლოფი, სიბრძნის სკივრი... – აღფრთოვანდა გულნაზი, ისე, რომ ცოტა ხნით ტკივილიც დაავიწყდა. მერე ხოსროს მიუბრუნდა: – გუბერნატორო, შენი სალაშქროდ ნასვლა უნდა გადავდოთ. ახლა საჩქაროდ შკითხავი მომიძებნე. ახალი კბილები მინდა ამომივიდეს...

– კი, ბატონო! – უხალისოდ დაეთანხმა ხოსრო. მას იმედი ჰქონდა, სალაშქროდ ნასვლა და ხალხთან ერთად კატებზეც მოიყვანდა. გუნებაში ხელი ჩაიქნია, ჯანდაბას – მერცე მოვესწრებო, და გემბანზე თავის სავარძელში მოკალათდა. სანამ გემი დაიძვრებოდა, გველემამა განაცხადა: ტახო-ლორი ჩემთან დარჩეს, ნამდვილად ქვეიანია და მინდა გვერდით მყავდესო. ამის გაგონებაზე ხოსრო დაიღრიჯა. ღორის გარემქე გადაადგილება უჭირდა, მაგრამ უარს ხომ ვერ ეტყოდა იმხელა ურჩხულს? ჯან-ტახომ კი გაიხარა, ხოსროს დინგი ნიშნისმოგებით აუქნია და გემიდან გადავიდა. ქომინ-ბროტინით აუყვა გველემპის თვალისკენ მიმავალ ბილიკს.

გუბერნატორის გემი სტომაქისკენ დაიძრა.

ამ დროს ტანტრეც გამოძერა სამალავიდან. იფიქრა, ახლა ალიაქოთის დრო არ

არისო და მალულად ძირს, ნაპირისკენ გაემართა. იქ, თავის ნაეში ჩაჯდა და სტომაქისკენ გასწია. ცოტა ხნის მერე ხოსროს გემი უკან გაყვა. ის ნელა მიცურავდა, რადგან წყალი, როგორც უკვე იცით, კომკების ნამსხვრევებით იყო ჩახერგილი.

კარგა ხნის მერე მწყემსმა ქალაქს მიაღწია. მალულად ასია მკითხავს შეხვედა და დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყო, როცა გუბერნატორი გველემაპისთვის მკითხაობას სთხოვდა. მერე ტანტრემ ვიტულისა და მისი რაზმელებისაგან მალულად, ხალხის ასაბოზოქრებლად შემზადება დაიწყო.

შუალამით გუბერნატორი დაბრუნდა ქალაქში. გემიდან ჩამოსვლისთანავე ასია მკითხავი იხმო. ხოსრომ აუხსნა, გულნაზის თავს დატეხილი უბედურება და სთხოვა კარგად ემკითხავა. ასია მამინვე ენის რატრატს მოჰყვა, თავის ხელობას აქებდა, ტრაბახობდა. ბოლოს ქვაფენილზე დაჯდა და სანთლის შუქზე ბანქო გაშალა, ერთხანს იბუტბუტა, თავი დიდხანს აქნია და განაცხადა: პატივცემულო გუბერნატორო, გულნაზი რომ გამოჯანმრთელდეს, თანაც ახალი

კბილები ამოუვიდეს, საქირრა თავისი მეციხოვნეები როგორმე ცნებულან და ზღვაში სამჯერ ზღადაცხეურნოს. ტკივილი მაშინვე გაუვლის, ერთ კვირაში კბილებიც ამოუვან.

— აჰ, ეს რა მითხარი! — შესძახა ხოსრომ და გაიფიქრა: „მე რომ შევატყობინო ეს ამბავი გველემაპს, იქ ამბავი დატრიალდება, მტრისას!.. ის ზღვის ჯიბგირები იტყვიან, რომ მე განგებ მოვუნყვე ეს ამბავი და უუჭველად მომკლავენ, სჯობია, თვითონ ასიამ უთხრას. თანაც ვიტყვიან და მის კაცებს გაუყოლებ, აყალმაყალის შემთხვევაში ნესრიგს დაიცავენ. ხოსროს საკუთარი ნინადადგა თავადავე მოენონა, მერე ვიტულის გულნაზისთან გამგზავრება უბრძანა, თან დააყოლა: — გველემაპმა თუ მეციხოვნეთა დაღეჭვა გადაწყვიტა, იმით კი სიკვდილი არ ისურვეს, შენ თვითონ დახოცეო. აბორიგენმა მხედრული წესისამებრ ხელი შუბლზე მიიღო და მკითხავთან და რაზმელებთან ერთად გემზე ავიდა. ხოსრო სასაბლისკენ გაემართა. ფეხები სტკიოდა ამდენი ხნით ზეზე დგომით, თან ისეთი დაღლილი იყო, ტახტზე ნამონოლისთანვე ხერინვა ამოუშვა.

### თავი მესხე

ხოსროს ვარდისფერალმიანი გემი ოსტატურად უქცევდა გვერდს წყალში აღესილი კლდეებივით აღმართულ კომკთა ნამსხვრევებს. ბოლოს, როცა ნაპირს მიუახლოვდა და ხალხმა ნაპირზე გადმოსვლა იწყო, წყლის დინებამ ვეებერთელა ძვლით გვერდი შეუღენა გემს და იგი ნელ-ნელა გადაფერდდა. ახმაურებული მგზავრები ნაპირზე მაინც უხიფათოდ გადავიდნენ. გემის დაღუპვას რას დაეძებდნენ, თვითონ გადარჩნენ და მზიარულად ყაყანებდნენ. ხმაურზე ჯან-ტახომ ჩამოსძახა: — ცოტა ჩუმად ილაპარაკეთ, გულნაზიმ მთელი ღამე თერთად გაათენა, ახლახან ჩაეძინაო. მაგრამ გველემაპს არ ეძინა. ავად-მყოფობამ ისე გათანგა, ოხვრა-კენესის თავიც არ შექონდა. ამიტომაც ეგონათ, რომ ჩაეძინა. ახლა იმედგაცრუებულმა გულნაზიმ ნამოიკვნესა: — არ შიძინავს, არა!.. გუბერნატორო, მიშველე რამე, თორემ გიკვდება შენი გულნაზი. ვიტყვამ მოახსენა: გუბერნატორმა მე, როგორც ქვეყნის პოლიციმისტერს, აქ მოსვლა

მიბრძანა, რადგან არეულობაა მოსალოდნელი. ასია მკითხავიც გამოიყარა. აი ისიც — ვიტულიმ ნინ გამოიყვანა ქრელკაბიანი დედაკაცო.

— მამ მიმკითხავე, ქრელკაბიანო! ოლონდ მომარჩინე და ... ველარ დაასრულა გველემაპმა, რადგან ტკივილმა შემოუტია.

ასიამ ძველი, კეთილი ნაცნობივით გაუღიმა, — კი, გულნაზი, კი, ისე კარგად გიმკითხავებ, კმაყოფილი დარჩები. ასია ჩაცუცქდა და ბანქო გაშალა. მერე ერთი აილო და გველემაპს დაანახა. — აი, გენცვალე, რა ძვირფასი კარტი ამოგივიდა. ეს შენი ბეფია, მალე შენისთანა ბუმბერაზ არსებაზე გათხოვდები... ქორნილი საარაკო გექნება.

„ალბათ მომესმა,“ — გაიფიქრა ურჩხულმა და ღორს ჩაეკითხა: — რა თქვა მაგ ქალმა?

— რა და მალე გათხოვდებით და კარგ პურსაც ვჭამთო.

გულნაზი ისე ახარხარდა, ტკივილი გადავიწყდა — ვის ვუნდივარ ასეთი



უკბილო... შენ კი გაქრი, შე მუდრეგო, მენა... კარგა ხანს იჩიფრფა და იხრიალა გველეშაპმა. ბოლოს დადინჯდა, – შენ ის მითხარა, ასია, ჩემს ავადმყოფობას რით უშველო, ეს მაინტერესებს..

– მაგასაც ახლავე ვეტყვი! – შესცინა მკითხავმა. ბანქოს ქაღალდებს დააცქერდა. კარგახანს იბუტბუტა, თვალები აქეთ-იქით ატრიალა და ნარმოსთქვა: საკმაოდ კარგი ამბავია.. ნამდვილად გამოჯანმრთელდები...

– ამოშაქრე, დროზე! – მოთმინება დაეკარგა გველეშაპს.

– ახლვე, ახლავე, – ასიაშ ბაჯას და მის მგვობრებს ვახედა, – რომ არ ვეტყინოს, ქალბატონო გულნაზი, თანაც ახალი კიჭები ამოგვიდეს, შენი მეციხოვნეები კარგად უნდა დაღუჭო და სამჯერ ზღვაში გადააფურთხო... ამ სიტყვებისთანავე, როგორც იტყვიან, სამარისებული სიჩუშე ჩამოეარდა. უცებ ათისთავი ბაჯა აღრიალდა, არ მინდა დაღუჭვა, არ მინდაო, ხოლო ვიტყამ თავის ხელქვეითებს უბრძანა, ახლავე დაიჭრეთ ეგ მშვიშარა კაცებიო.

ვიტყოს რაზმელები ბრძანების აღსასრულებლად გაიქცნენ, მაგრამ მეციხოვნეებმა იმ შავი ხალხის ხელით სიკვდილს ზღვაში დახრჩობა ამჯობინეს, თავით გადაეშენენ. გველეშაპი ხელქვეითების საქციელმა ძლიერ გაანაწყენა. ლამის ტირილით სთხოვა მკითხავს, მიშველე რამე, თორემ გადავირევიო.

– ნუ ღელავ, ახლავე ჩახეხედავ კარტში, – ჭრელკაბიანმა მკითხავმა მოიმარჯვა ბანქოს ჭუჭყიანი ქაღალდები... და ეშმაკურმა აზრმა გაუელვა... გველეშაპს დარბაისლურად მოახსენა: – კარტი ამბობს, გულნაზიმ პოლიცემისტერი ვიტია და მისი რაზმელები დაღუჭოსო. აბორიგენები ადგილს მიელურსმენენ.

– დროზე ახლა! – მოუთმენლად ნამოიძახა გველეშაპმა, – თუ ჩემი პატივისცემა გაქვთ, ნინა კბილებთან შეჯგუფდით და ნელ-ნელა დაგვლქავთ..

ვიტული და მისი რაზმელები ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ. ამიტომ

გაბრაზებულმა ურჩხულმა ჯან-ტახოს გადასძახა: როგორც ვხედავ, *მეტიც მტკიცეა* არ უნდათ ჩემი გულისთქმე *მეტიც მტკიცეა* მომხმარე, ეშვებით დაგლიჯე ეგ ოხრები, მე კუდი ვჯახ მოუჭირე, რომ არსად გავგვეტყნენო. ჯან-ტახო ელის უსწრაფესად მონყდა და გაიქცა ბრძანების აღსასრულებლად. თვითონ გველეშაპმა, რადგან ავადმყოფობამ დააუძღურა, კუდი გაჭირვებით ავრავნა. შეეცადა აბორიგენები ალყაში მოექცია, მაგრამ ისინი გონს მოვიდნენ და ზღვაში გადაეშენენ. იქ გემიდან გადმოვარდნილი გრძელ მორს გარდღივარდმო ხელები ჩასჭიდეს და სტომაქისკენ მოუსვეს. გველეშაპს მათი დაჭერის იმედი გადაეწურა და უიმედოდ აღრიალდა. თან ასია მკითხავს შველას თხოვდა. ის კი ამ დროს ტყუში კანფეტის ხეზე იჯდა, ტკბილ ნაყოფს შეექცეოდა და ფიქრობდა, სტომაქიდან გამოსულ ხალხს აქ დაველოდებო. როდის-როდის, გველეშაპს ტკივილი ჩაუცხრა და ღორს უხმო:

– ვხედავ, ჩემი ერთგული ხარ. ამიტომ დღეიდან შენ იქნები ჩემი პირველი მინისტრი.

– უპ, ძალიან კარგი... – ერთი შეხტა ღორი და უჭყინად იკითხა: – ეგ პირველი მინისტრი ვებერნატორზე დიდია თუ პატარა?

– რა თქმა უნდა დიდია... რაც შეეხება ვებერნატორ ხოსროს, იგი სტომაქში შეასრულებს თავის მოვალეობას... ხანდახან სალაპქროდ ვავგზავნი. შენ კი ზედ ჩემს ცხვირწინ მეყოლები. ხალხს სტომაქში მიიპატივებ ტკბილი სიტყვით, ძილის წინ ზლაპქრებს მომიყვები.

– კი, ზლაპქრების მეტი რა ვიცი..

– ჩემს ჯანმრთელობაზე უნდა იზრუნო, ტახო! ყურადღებით იყავი. იქნებ რომელიმე გემზე კარგი მკითხავ-ჯადოქარი ენახოთ. გემები კი გამოივლიან, აბა, რა იქნება.

– უპ, როგორ გამახარეთ. კარგი ყოფილა მინისტრობა! – აღტაცებას ვერ მალავდა ჯან-ტახო. მართლაცდა, ხუმრობა ხომ არ იყო, ღორი პირველი მინისტრი გახდა.

## თავი მათი

ვიცი, გეხსომებათ – ხოსრომ პოლიცემისტერი ვიტია და მკითხავი ასია გველეშაპთან რომ გაისტუმრა, სასახლეში წავიდა და დაიძინა. დღით სალამურის ხმამ გამოალეიდა და ჟოზუფინას მოუბრუნდა:

– ისევ ის თავხედი ბიჭია?

– დიახ, გოგია უკრავს.

– მე მაგას ვასწავლი ჭკუას! – შესძახა გაბრაზებულმა ხოსრომ, ნაშოდგა და მათ-რაბის ქნევით კარისკენ გაემართა. იმავე ნაშს სოროდან გამოსული ვართხა ფეხებში გაებლანდა და კისრისტეხით გარეთ გაეარ-

და. ამ დროს ჟოზეფინამ გოგვიას ფანჯრიდან გადასძახა: თავს უშველე, გუბერნატორი შენს საცემად მოდისო, და თვითონაც გარეთ გაიქცა.

ხოსრო გოგვიას სახლისკენ კოჭლობით გარბოდა. უცებ კიბიდან ბიჭიც დაეშვა და პირისპირ შეეჩება გუბერნატორს, იმან ნააქცია, ზედ დააჯდა და მათრახის ტარით ცემა დაუწყო. ვინ იცის, რას დამართებდა საწყალ ბიჭს, რომ ამ დროს ქუჩაში გამოსულმა ჟოზეფინამ ნამოიძახა: არიქა, ღალული, ზემოდან მოუარე, მაგრად უკბინე ამ ვერანასაო. გუბერნატორი იმნამსვე აღრიაღდა: არ ქნა, ღალული, არ მიკბინო, ღალუ! — თან შიშისაგან მოიხედა. ესეც საცემარისი აღმოჩნდა, გოგვიას დრო ეხელთა და ტანტრე, ტანტრე ძახილით სადღაც გაიქცა. ნირნამხდარმა ხოსრომ გოგონას შეუბღვირა:

— მომატყუე, არა? კარგი, ნავიდეო ახლა სახლში და იქ ვასწავლო ტყუას.

— არსადაც არ მოვდივარ, ისედაც დიდხანს ვიყავი შენი ტყვე! — ზურგი შეაქცია ჟოზეფინამ. ასე გაბედულად იმიტომ იქცევოდა, რომ ტანტრეს იმედი ჰქონდა. ჯერ კიდევ წინა დღეს ყური მოაქრა, მწყემსი ქალაქშია და ხალხს სტომბიქიდან გასასულელად ამზადებსო.

— მამ არ მემორჩილები, არა? — ცალყბად იკითხა გუბერნატორმა და პასუხს არ დაელოდა, — გოგონას მაჯაზე ხელი წაველო და გაათრია.

— ვაიმე, მიშველეთ! — თვალები გააცვცა ჟოზეფინამ. მოშორებით ქუჩის კუთხეში თავმჯყრილი ხალხი შეჩურჩულდა. მათ შავქოჩორა, მხარზე კომბალგადებული ტანტრე გამოეყო და ჟოზეფინასკენ ნამოიდა. შორიახლო გოგია იდგა. თვალებანიტებული ჟოზეფინა ადგილზე შეხტა: — ტანტრე, ჩემი ტანტრე მოდის!

ხოსრომ თავქოჩორა ბიჭს მტრულად გახედა და გოგონას ხელი უშვა. მერე, ვითომც აქ არაფერიო, სასახლისკენ გაემართა, მაგრამ შიშისგან მუხლები მოეკვეთა და ქუჩის გასწვრივ, ლომის ქანდაკების ძირას ჩაიკეცა. ისე მოიკუნტა, გვეგონებოდათ რომელიმე ჭუჭრუტანაში დამალვა გადაუნყვეტიაო.

ჟოზეფინა და ტანტრე ერთხანს მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს. მერე მწყემსმა თქვა: მინდოდა შეხვედრისას განსაკუთრებული საჩუქარი მომეძღვნა, მაგრამ გოგვიამ შემბატყობინა, მედლებიანი კაცი განუხებდა და მეც მოვედ... არა უშავს, მოგვიანებით მიიღებ იმ საჩუქარს. აქ ჟოზეფინას ეშმაკურად

თვალი ჩაუკრა და ხოსროს გასაგონად განაგრძო, — გავიგე, გუბერნატორ ხოსროს დაუტყვევებიაო. ახლა სადმანაა და რა უნამუსო, ისა!

— სიცილით მოკედები, რომ გავიგო, — ეშმაკობაში აძვეა ჟოზეფინა, გუბერნატორი ჭიად იქცა, მუხლები ჭიად! მომავალში გველემპაი სურს ვახდეს:

— ეგ ფრიად საინტერესოა, — ხოსროსკენ გაიხედა ტანტრემ, — ერთ რამედ ღირს ალბათ მისი ნახვა. იქნებ მოვძებნოთ, ნავიდეოთ.

მკლავგადახვეული ტანტრე და ჟოზეფინა ხოსროსკენ გაემართნენ. თავზე რომ დაადგნენ, ჟოზეფინა ტანტრეს მიუბრუნდა: — აგერ, ვილაც კაცი ნამონოლია. იქნებ იცის მუხლები ქვის ადგილსამყოფელი? — ეციბლება, — მწყემსი დაიხარა და ხოსროს ჩაეკითხა, — კეთილი კაცო, ხომ არ გინახავს ერთი ნებვის ჭია, ყოფილი გუბერნატორი?

ხოსრო მიხედა, ასე თავის მოკატუნება არ შეიძლებოდა და ნამოჯდა. ვითომ შამინლა დანახა ტანტრე. ნაძალადევი გულითადობით მიესალმა და ანუნუნდა: ბოდიშო, ჩემი ბატონო, სიბერეს რა ვუთხარი, თორემ ასე ქუჩაში ხომ არ ვეგდებოდი... — ნამოჯდა და ქვემოდან ახედა თმაქოჩორას, ავადმყოფი და მოხუცი ვარ, ყველასთვის სიკეთე მინდა, მაგრამ არ ესმის ხალხს... ბოდიშო, თქვენ ვინ იქნებით?

— თავის მოკატუნება ვერ გიმველის, ნებვის ჭიავ! — შესძახა ტანტრემ და კომბლით უბიძგა. მერე ირგვლივ შეყრილ ხალხს თვალი მოავლო და განაგრძო, — შეხედეთ ამ გოდორს, ამან დაგამონათ, ამის გემინიათ ზოგ-ზოგებს, სირცხვილი თქვენს... ვისაც გულით უნდა სამშობლომ დაბრუნება, ამ მოედანზე მოგროვდეს. მე ამასობაში სოფლებს დაივილი და შევეკოთხები ხალხს, გველემპის სტომბიქი მაძლარ მონებდა ცხოვრება სურთ თუ ღარიბებად დარჩნა საკუთარ სამშობლოში...

ამ სიტყვებზე ტანტრემ და ჟოზეფინამ ხალხში გზა გაიკლიეს.

თვალს როცა მოეფარნენ, გუბერნატორმა იღრიალა: — ამ გიქ ბიჭს არ დაუჯეროთ, თორემ სანანებელი გაგიხდებათ! მალე ვიქტია მოვა და სახრჩობელაზე ჩამოგკიდებთ. ახლა კი დაიშალეთ, ნადით!

ისინი არ იძლებოდნენ. გალიზიანებულმა ხოსრომ გულის გადასაყოლებლად ქალაქის ბაღს მიაშურა. იქ წვენიები მიორთვა. უცებ წინ ღიღინით მომავალი მენაღე ბაჩა შემოხედა. ხოსრომ დაუყოვნებლივ მათ



რახი გადაჰკრა და დასტყვილა: — ღიღინებ, არა? მე შენ ვიჩვენებ მზიარულებას...

კაცმა თავი ჩაქინდრა, ვითომ თავის საქციელს ნანობდა. სინამდვილეში სხვანაირად იყო საქმე: ცოტა ხნის უკან ტანტრენი შეხვდა, სხეულებთან ერთად და სტამბატიდან გამოსვლაზე მოილაპარაკეს. ამიტომაც გახლდათ მშვენიერ გუნებაზე. ხოსრომ იფიქრა, თავის საქციელს ნანობსო და მალე აღმართული მათრახი ძირს დაუშვა. იმავე წამს ბაჩას ექიმბამობა გაახსენდა და ჰკითხა: — კაცო, შენ ხომ ექიმბაში ხარ? იქნებ ფეხები მომირჩინო, ნამეტანი შემაწუხა. ბაჩას უმაღლესმაკურნი აზრი დაეხდა, იცოდა, ხოსროს ვირთხის ემინოდა და ასე უთხრა:

— მე სამკურნალო ჩექმებს ვკერავ, იმას რომ ჩაიციმე, მაშინვე მორჩები. თანაც ქარზე უსწრაფესად ირბენ. ოღონდ ჩექმა ვირთხის ტყავისგან უნდა შეიკეროს.

ეს ამბავი არ ექაშნიკა ხოსროს. — კარგი, ვთმობ ტყავსო, — ჩაილაპარაკა, გულში კი თქვა, ვიტანს მოსვლას დავგელოდები, მოუაკვლევინებ ღალატის და ჩექმაც შექნებაო. მერე ბაჩას დამდურებულებით გამორდა, ტყემლის წვენი დალია და ბოლთის ცემას მოჰყუა, მაგრამ მალე ფეხები ასტივდა და სასახლეში დაბრუნდა. ღალატის რომ არ გავგო, ჩემად მივიდა ტახტთან და ნამონა. შუაღამე იქნებოდა, როცა ისე ძალიან ასტივიდა ფეხები, ყირას გადადიოდა. გამთენიისას ტკივილმა უკლო და ფიქრებმა გაიტაცეს. ნარმოიდგინა ვითომ ღალატის სთხოვა ტყავი. მან წამსვე გაიძრო, კოხტად დაკეცა და მიართვა. გუბერნატორმა ჩექმები შეიკერა, ჩაიცვა და ისეთი ნეტარება იგრძნო, თითქოს ღრუბლებთან დაფრინავდა... ღამენათვეი, ძალღონეგამოლეული, უნებლიეთ ფიქრიდან ხმამალა ლაპარაკზე გადავიდა; აი, რას ამბობდა: ღალუ, ღალუღალი, ვიცი, რომ ისვენებ, მაგრამ უნდა გაგაღვიძო... არ მინდოდა შენუხება, მაგრამ შენს იქით გზა არა მაქვს... ახლავე გეტყვი, რაც მჭირდება. თუმცა ვერ მინდა იცოდე, რომ დიდ პატივს გცემ და მიყვარხარ. მართალია, სიყვარული აკრძალულია ჩვენში, მაგრამ გამოწაკლისი შეიძლება. პო, მართლა, თუ გინდა, ტოჩის გარმონს გიყიდე და ზედ დაუკარო. ოღონდ სხეებს ნუ დაანახებ, ხომ იცი, ათასგვარ კუდს გამოაბამენ. თანაც გულნახის ყურამდე რომ მივიდეს ეს ამბავი, ნამდვილად გამაფუჭებს, ჩამომაქვეითებს. შენც ჩემად დაუკარი. ახლა ერთი სათხოვარი შემიხრულე, თუ ჩემი სიყვარული გაქვს — შენი

თავი გამატყავებინე. სამკურნალოდ მჭირდება, ტყავი... ამის თქმა იცხადებს მწიფე ვირთხამ გამოყო თავი. ტრეზნატი წყნარ მოსულმა გუბერნატორმა იყვირა: არა, ღალუ, არ მიკბინო, ამის თქმა არ მინდოდაო! ტახტიდან ნამოხტა და ოთახში სირბილს მოჰყვა.

ღალუღალი მისკენ მიიკაკეებოდა, თან გაოცებული ამბობდა: სულელი, ნამდვილი სულელი! ტყავი მონდომამ! თუ კარგია, საკუთარი ტყავი გაიძვრე.

— ბოლოში, ღალუღალი, აკი ვითხარი, უნებურად ნამოხტა, — ეკვდება აწყდებოდა ხოსრო.

— უნებურადო? აი, ახლა გიკბენ კი არა, ძვლებიანად დაგხრავ, — ვირთხამ თვალები დაუბრიალა გუბერნატორს. ისეთი გამხეცებული ჩანდა, ნამდვილად შეჭამდა. ხოსრო მიხვდა, ცუდად იყო საქმე, და კარში გავარდა.

ქუჩაში ამ დროს დიდი ამბები ხდებოდა: ტანტრენი და ჟოზეფინას სოფლები ჩამოივლონ და სამშობლოში დაბრუნების მსურველი უამრავი ხალხი მოეყვანათ. ქალაქელებიც ბლომად მოგროვდნენ. იმ დროს როცა ვირთხისგან დაშინებული ხოსრო ქუჩაში გაიქრა, ტანტრე ხალხს აფრთხილებდა:... იცოდეთ, სამშობლოსკენ მიმავალი გზა მეტისმეტად ძნელია. არ გეგონოთ, აგერ გემს მოეყვანებთ, ჩაცხადებით და გავემგზავრებთ. არა! ხომ ხედავთ, წყალი ჩაბერგილია გველეშაპის კბილებით ნამსხვრევებით. მეტსაც გეტყვი: ჩვენ ნაპირ-ნაპირ, სიბნელესა და გაუვალ ქაობებში მოგვინვეს გზის გაკვალვა. ჩემი შეტყობით, ოცდახუთი წელიწადი მანც მოუწადებით აღთქმულ ადგილას მისვლას და დამკვიდრებას, ისეთი ქვეყნის ამწენბას, სადაც კაცი კაცს ემგვანება და ქალი ქალს, უმცროსს უფროსის რიდი ექნება, ადამიანს ადამიანი ეყვარება და ერთმანეთს სასიკეთოდ არ გაიმიტებენ, სადაც შური და ბოროტება ვერ იბოგინებს. თუ მოვინდომებთ, შეგვიძლია ერთ დიდ ბაღნარად ვაქციეთ ჩვენი საცხოვრისი. სამშობლოც გვექნება და თავისუფლებიც ვიქნებით, მაგრამ ამას, როგორც ვთქვი, დიდი დრო და ყვობა დაჭირდება. ახლა თვითონ გადაწყვიტეთ, ვინ მოინახრით და ვინ რჩებით... ამ სიტყვებზე ხალხი აზღრიალდა, უმრავლესობა წასვლის მომხრე იყო, ნაწილს ადგილიდან დაძვრისა ემინოდა.

უცებ, მათი ყურადღება ზღვაში მორებს ჩაჭიდებულმა ვიტიკომ და მისმა რაზმელებმა მიიპყრეს. მალე ისინი წყლიდან ამოფ-



ორთბდნენ და ქუჩას დაადგნენ. მათ კვალ-დაკვალ მოაყვია ჩაძირული გემის ფიცარზე შესკუპებული ჯან-ტახო, რომელიც გულწინის გამოევზაუნა იმის შესატყობად თუ რა ხდებოდა სტომაქში მომწყვდეულ სამოთხისმაგვარ ქვეყანაში. გუბერნატორმა ხოსრომ მათ დანახვაზე გაივივით უღრიალა: პოლიცემისტერო ვიტია! გიბრძანებ, ახლავე დაიჭირო შფოთისთავი ტანტრე და სახრჩობელაზე ჩამოკიდო!... მწყემსმა კომპალი მოიმარჯვა, თუმცა მისი დატრიალება არ დასჭირვებია. ვიტკოს გუბერნატორის სიტყვებით თითქოს არც გაუგია, — უკანმოუხედავად მიდიოდა. ხოსრო ახლა სასონარკვეთილებისაგან თხოვნაზე გადავიდა: იმ ქოჩრიან ბიჭზე გუბნები, ვიტია! დროზე დაიჭირე, თუ გინდა ახალი მედლებით დაიმშენო მკერდი... ბიჭო!

ამჯერად აბორიგენმა მოიხედა და მკაფიოდ, ყველას გასაგონად იყვირა:

— ერთ მსუქან ხოჭოქუნადაც არ მიღირს არც პოლიცემისტრობა და არც შენი მედლები, დამანებე, თუ კაცი ხარ, თავი! — მერე თეთრი მარვალ-ხალათი გაიხადა, დაკუჭა და ხოსროს თავში ესროლა. ვიტია შებრუნდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ სწორედ ამ დროს პაერი მარგარიტა-მარგოს კიელიმა გაკვეთა:

— ვიტული, ვიტულიყო, დამელოდე, შენთან მოვდივარ. — აბორიგენმა მოიხედა და დედინაცვალს მკლავებში ჩაუვარდა.

— ნაყვარება, — დაასკვნა ტანტრემ და ქოზეფინას ხელი ხელში ჩასჭიდა. — დავიძრათ, ხალხნო! — ყველას გასაგონად დასჭექა მან. უცებ მხარზე კესარია მტრედი დაასკუპა. ლოდინით გაბეზრებული, მათ შესახვედრად მოფრენილიყო.

ასე იყო თუ ისე, მოედანზე შეკრებილი ათასი ტყუის, ხასიათის თუ ზნის ხალხი დიდხანს ბჭობდნენ ნასვლა-დარჩენაზე. ბოლოს ყველანი ერთ აზრს დაადგნენ — როგორმე გასულიყენენ სტომაქიდან. დაიჭრნენ... გველეშაპის სამფლობელოში მხოლოდ ხოსრო და ჯან-ტახო დარჩა. ამ დროს, თითქოს ტანმა უგრძობო, ქუჩაში ლაღული ვირთხა გამოცუნცულდა და რომ მიხვდა, რაც ხდებოდა, ვაი-უშველებელი ასტეხა: არ დამტოვებ, მეც თქვენთან მოვდივარო, მაგრამ შორს ნასულებს ხმა ვერ მიანვდინა. პოდა, ერთი მოხედა ხოსროს და მის გვერდით მდგარ

ჯან-ტახოს: — ნამდვილად აქაა თქვენი ადგილიო, — მიამახა დე გრეჭტუნა!

გავიდა დრო, სტომეჭუნაქმეჭუნებული უამრავი ხალხი გველეშაპის ყბის ზედაპირზე მოექცა. იქ მათ ასია მკითხა-ვიც შეუერთდა. გველეშაპი იმით დანახვაზე ძალიან გაბრაზდა, მაგრამ მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა, რადგან მათში სამშობლოს სიყვარული და თავისუფლების ნყურვილი მტკიცედ გამჯდარიყო. იგი იმასაც კარგად ხედავდა, გონზე მოსული ხალხი თუ როგორი რწმენით და შემართებით აგებდა უზარმაზარ კიდობანს, რომელიც უმოკლეს დროში მართლაც შესაძლებელი სისწრაფით ააშენებდა. მერე ასევე შესაძლებელი ერთსულოვნებით ჩასხდნენ კიდობანში და ზღვაში თამამად შეცურეს. ეს ყველაფერი კი გველეშაპისათვის სიკვდილი იყო.

ტიკიელებისგან ლონემიხდილ ურჩხულს ბოლოს თვალები მიეღულა და გამბული ზერინვა ამოუშვა. გველეშაპს მკვდარივით ეძინა. ვერავინ იტყოდა, როდის გაიღვივებდა იგი.

გვებერთელა კიდობანი კი ამასობაში ლურჯ ტალღებს მიაპობდა და ლალად მიიჩნეოდა.

რამდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ, მათ თვალწინ სამშობლოს ნანატრი მთებიც ნამოიშარა. გამომინდა სხვა გზა, სხვა სინათლე.

ერთი სიტყვით, უკან დარჩა ჭრელი, უცნაური, ათასგვარი ზიფათითა და ფათერაკებით აღსავსე ცხოვრება.

ამ ზღაპარით ამბის თბრობა რომ დავამთავრე, ჩემდაუნებურად ერთმა შიშმა გამკრა გულში. ვფიქრე, ამ ქვეყანაზე ბევრი რამ მეორდება; ვაითუ, ზიფათისგან თავდახსნილმა ჭრელი ცხოვრების მგზავრებმა საერთო ენა ვერ გამოხატეს, შფოთი და ტინჭყლი, აურზაური ასტეხეს, ხოლო ამ ხმაურსა და გნიასზე ჩაძინებულ გველეშაპს გამოეღვივა. მაშინ ურჩხული უკიდევანო ზღვაში თავის ჩხრიალა კუდს აატყლაშუნებს. მტრისას, იმან თუ თავი ააღიარა და პირი დაალო, მაშინვე ყლაპს უზამს იმ აქოთქოთებულ ხალხს და ისევ თავის ბნელ, მყრალ სტომაქში გადაუძახებს. მერე მოგჭამა ჭირი, იქაურობას კაციშვილი ველარ დააღწევს თავს.

●  
ჯუნგლების ერთფეროვან სიმწვანეში  
ხმება ჩემი სურვილები.  
ჯუნგლების ბინადარნი გოცმებულნი შესცქერიან  
ფერადოვან არსებას, — მწვანე ფერს რომ ებრძვის.  
აქ ვეფხვიც მწვანეა და პანტერაც,  
მწვანე გველები დასრიალებენ.  
სიჭრელე სიმწვანეში გადასულა  
და ერთი ფერი იპყრობს მთელ სივრცეს.  
ერთპიროვნული დამპყრობელის სასტიცი ნებით  
საკუთარ ფერს იცვლის ყველა  
და მათი ფერი ხდება საერთო.  
ყველა ერთი და ერთი ყველა —  
გორგონასავით აქვავებს მზერას.  
მაიმუნის სარკასტულ ჭყივილს  
ლომის ღრიალი ენაცვლება  
და ერთი ფერი იპყრობს მთელ სივრცეს.  
ჯუნგლების ბინადარნი გულგრილად შესცქერიან  
ფერადოვან არსებას, მწვანე ფერს რომ ებრძვის.

●  
მზე...  
ქვიშით გადმოდის სხეულში, —  
მარცვლებად დაფანტული.  
მზე...  
ზღვასავით იღვრება სულში;  
თავს იბრჩობს, მსხვერპლად ეწირება  
აღამიანთა გულებს;  
ენებებით შანთავს ცივი ეგვიპტის  
ცივ ქანდაკებებს.  
მე მიყვარს მზე, —  
მკვდარი პლანეტის მფეთქავი პულსი;  
წარმართთა კერპი, მზე — ქელიოსი, — მითიური წინაპარი,  
სფინქსის გამოცანა...  
მე მიყვარს მზე,  
ჩემი სულიდან ამოსული,  
როგორც კულევანის ცხელი ლავა,  
სამიში და ფეთქებადი.  
მე მიყვარს მზე.

# ჯერ მხოლოდ სხრავები წლისა ვარ...

## მოთხრობა

### I

*ცხოვრება დიდი: უნაპირო და უკიდევანო  
ყოვლისმომცველია: განზომილებებში ვერ ჩატეული.  
დიდი ძალაა: მღელვარე და ნამღეკავი.*

*ცხოვრება მრავალია: ჩემი, შენი, მათი.*

*სხვადასხვაგვარია: საუსე და ცარიელი, ლამაზი და არაფრისმოქმელი, სისავსეს  
მისას ყველა სხვადასხვაგვარად აღიქვამს და განიცდის.*

*... და მაინც კი ცხოვრება ერთადერთია: ჩვენ ერთმანეთის ცხოვრებაში საკუთ-  
არ თავს ვხედავთ.*

დავიბადე პატარა ქალაქში, მყუდრო უბანში. აქ სახლები მთაზე შეულალავთ. სულ აღმართზე უნდა იარო, რომ აქამდე ამოხვიდე. ნახევარ მანძილს რომ ამოივლი, ლიანდაგები გადაგიჭრიან გზას. ან თამამად უნდა გადმოიარო ისინი, ანდა ხიდი უნდა ისარგებლოს. ხიდე მუდამ ქარი ქრის — ხან ნელი, ხან მოლაზღანდარე, ხან, უბრალოდ, მომაბეზრებელი, ხანაც სამიშარი, ქარიშხლად გადაქცეული...

ქალაქის სხვა კუთხეებში ხეები არც-თუ ბევრია, აქ კი ბლომადაა. მიაბიჯებ და ასე გკონია, უცხო, სიზმარულ ქალაქში მოხვდი.

აქ სულ საკუთარი სახლებია, თითო ან ორ-ორ სართულიანი, ციქქნა ეზოებით. უხვადაა ლეღვის ხეები — ქიშკრის გადაღმაც და გადმოდმაც.

მართალია, ასფალტს და ავტომობილებს აქაც შემოულწევიან, მაგრამ დაკვირვებულთ და, თანაც, აქ გაზრდილთ მაინც შეუძლიათ აღმოაჩინონ თითო-ორი სულ მთლად მყუდრო, მოფარებული ადგილი, სადაც უსასრულოდ შეგიძლია შეიგრძნო სიმარტოვე, უყურო ყვითელ ფოთლებს, მძიმე ნაბიჯებით ამარიშურო და ყასიდად სდიო მტრედებს, რომლებიც სულ ერთი ნაბიჯით გისწრებენ ზოლმე, უზარებათ გაგექცნენ — უთუოდ ხედებიან შენს ზუმრობას და განბილებენ.

უნდა გაგანდოთ, როგორი იქნებოდა ჩემი ავტობიოგრაფიული კინოფილმი,

თუკი ოდესმე შევექმნიდი მას: დაეინყებდი ყველაფერს თავიდან, სულ თავიდან. დაეინყებდი რიხით, მკვეთრი ფერებით, ფართოპლანიანი სახეებით. დაეინყებდი ყოველივეს წერილად აღწერით. შემდეგ შევანელებდი ამ ორომტრიალს, ნელ-ნელა შემოვძარცვავდი განსაკუთრებულის ელფერს და ზოგად მდინარებაში ჩავაყენებდი, კაშკაშა ფერებს გავამუქებდი და შავ-თეთრად გადავაქცევდი, სულ მთლად ახლოდან შემოფეთებულ სახეებს დაეაპატარავებდი, ნელა და ნელა, შორს და შორს, უკან და უკან გადავიტანდი. ბოლოს სულაც გავაუფრულებდი, გაგაბუნდოვანებდი, შეეწყვეტდი და ბოლო სახედ ფრიალ-ფრიალით მომფრინავ კალენდრის ფურცლებს და ჩამქოლავ მატარებლებს ავარჩევდი... და ამ კინოფილმს დაერქმეოდა არა „ჩემი ცხოვრება“, არამედ „ჩვენი ცხოვრება“, ან „სახე ცხოვრებისა“, ანდა, სულაც „ეს ერთადერთი და არაგანმეორებადი ცხოვრება“.

ჩემი ბავშვობისეული ცნობიერება დაიწყო იმით, რომ მტკიცედ გადავწყვიტე მომეხდინა ამბოხება. ეს იმდენად დიდი და საშიში საიდუმლო იყო, რომ არც არავისთვის გამინდია. საათების განმავლობაში თეთრ ფურცლებზე ვწერდი „პროკლამაციებს“...

ლტოლვა არ მინელდებოდა. უსამველო სურვილი მქონდა გამეწყვიტა, გამეგლიჯა „არაღაც“, ბორკილივით თუ სალ-



ტესავით შემოხვეული. სურვილი ძარ-  
ღვებში მჭახედ მივლიდა, მაგრამ კი  
გონება ვერ სწვდებოდა, რა იყო ეს „რა-  
ღაც“ და ვიყავი უნუგვემოდ აფორი-  
აქებელი და შემართული.

მთელი გატაცებით ვაგროვებდი  
რკინულს და ფულს „რევოლუციური  
საჭიროებებისათვის“ (ხან კანონიერი და  
ხანაც უკანონო გზებით).

რადგანაც ჩემს ახალ ქვეყანაში კმაყ-  
ოფილებით უნდა ეცხოვრათ ცხოველე-  
ბსაც, გულისტკივილამდე მებრალე-  
ბოდნენ ბებერი ძაღლები, რომლებიც  
ვლან იხილავენდნენ ამ ახალ, ბედნიერ  
ქრას.

მაშინ ჩემში შერწყმულიყო განცდა, სახ-  
ელად „მარტოობა“, დაუხარჯავი ენერგია,  
ტემპერამენტი და კიდევ რაღაც უცნობი,  
იღუმალი ინსტინქტები. ხოლო როდესაც  
ვეჭვით შემეპარა გონებაში, ჩემს ყამირ მიწ-  
ასავით სუფთა გულში ნუთისოფლის გუთ-  
ანმა იწყო პირველი მტკივნეული კვლების  
გატარება: რა ვიცოდი, რომ ეს მოლოდ  
პირველი ვაეღა იყო და აუცილებლობად კი  
ბედს და ცხოვრებას მთელი ფართობის გა-  
დახენა აქვს ხოლმე დასახული...

როცა მოულოდნელი აფეთქება მო-  
ულოდნელადვე ჩაქრა და ჩაინაგლა, თი-  
თქოს რაღაცა მიყურედა და რაღაცამ  
მიიძინა ჩემს სულში, მინელდა  
ანსტინქტები, ინტუიცია და შეუდევნი  
ჩვეულებრივ, ბავშვურ გზას, გულუბრ-  
ველობს, დარდისა და ნუხილისაგან გან-  
ტვირთულს, ახალი აღქმებითა და ცნო-  
ბისმოყვარეობით საესეს.

დაეინყე ხატვა.

მთაგონების ნყარო იყო  
პირველხილული საგნებით გამონყეული  
ეშოცია, სამყაროს გაცნობით შექმნილი  
მუხტი. მივაგავდი იმ პანია ჭუქს, გაფა-  
რთობული თვალებით რომ ათვალეირ-  
ებს დედას, და-ძმას, საბუდარს, ეზოს,  
ადამიანებს, სოფელს, მდინარეს... უუჰ,  
რამდენი რამე აქვს შესაცნობი!

მთელი ჩემი ყურადღება გარესამყარ-  
ოსკენ იყო მიმართული. მასულდგმულე-  
ბდა ის ლირიკული და რომანტიკული  
გრძნობები, რომელთაც ბუნების ხიბლი  
აღმიძრავდა. ესუნთქავდი ნათელი  
დღეებით, ფოთოლთა ძარღვებში ჩაქს-  
ოვილი სიმყუდროვით ჩამავალ მზის  
სხივთა ტკივილიანი ეშხით.

განსაკუთრებულად მიყვარდა  
ჩანჩქერი. უუჰ, ვინ იცის, რამდენად  
დაეხატე. ბევრ რამეს ვხედავდი მას  
ში შერწყმულს და იმიტომ მოტაცებდა  
ამგვარად: ლამაზიც იყო, ლირიკულიც:  
თეთრი ქაფით, პატარა გუბურით, მის  
თავზე გადაჭიმული ძველებური, ხავსი-  
ანი ხიდით, აბიზინებული სურთით, შემ-  
ოსახლერული ლოდებით. პო, ლამაზიც  
იყო, სიმშვიდის და მყუდროების შემქმ-  
ნელიც, მაგრამ, ამვე დროს, არ იყო პა-  
სიური, მასში იყო ძალა, მელეგარება, სო-  
ცოცხლე, მოძრაობა, ტკივილი მიმოხეთქ-  
ებისა, დაუსრულებელი ენერგია, ძიება  
ახალი გზებისა, ახალი მიმართულებე-  
ბისა და ყოველივე ამით კი მიღწეული  
სინმინდე და ანკარება.

მე მიყვარდა „ჩემი“ ჩანჩქერი.

თითქოს რაღაცას ვეძებდი მე მაშინ  
გარესამყაროში და კიდევ ვპოულობდი.  
მერე...

მერე დაიწყო რყევა, რყევა საშინელი,  
აბობოქრებული, ყოვლისმომცველი და  
ყოვლის განადგურების შემძლე. მას არა  
მარტო სული, არამედ მთელი  
ფიზიონომია მტკივნეულად გრძნობდა  
და იტანჯებოდა თავბრუსხვევისა და  
გულისრვისაგან.

მაგვრავდა გაუსაძლისი გრძნობა  
მარტოობის, უშიზნობის, უსასოობის.  
მელანქოლია ღრმა იყო და საზიზღარი.  
გონება გათიშული, ცხოვრება  
შექანიკური... იმ ორმა ნელმა ძილ-ღვი-  
ძილში ჩაიარა...

II

მარები...

გაცივანი შემოდგომის მშვენიერ,  
ოქროსფერ საღამოს. ვერ სულმთლად  
ბავშვი იყო, პატარა ტანის, შავგერემანი.  
მოლურჯოდ მზინავი შავი, სწორი თმა  
ბაფთებით პქონდა შეკრული, მაგრამ იყო  
მასში რაღაც უხილავი და  
განუშეოვრებული, უფრო სწორად, მის  
თვალეებში: მოზუსხულივით შემომცქერ-  
ოდა ორი შავი, გაფართობული გუგა,  
ძლიერი იყო მათი კამკამი, სიცხადით  
ირეკლავდა ჩამავალი მზის ოქროსფერ  
სხივებს, ყვითელ გარემოს.

უთქმელი გოგო იყო, თითქოს რაღა-  
ცით შემკრთალი. გაჩნდა გრძნობა და

ბარიერად ჩადგა ჩვენს შორის, ბარიერად, რომელმაც შეუძლებელი გახადა ჩვენი სიახლოვე და მეგობრობა. მხოლოდ ჩვენმა თვალებმა შეძლეს ახლო ნაცნობობა.

იმვითად ვხედებოდი ერთმანეთს, უფრო სწორად, იშვიათად ვხედავდით. მაგრამ ორივენი ამ ნამისთვის ცეცხოვრობდით მხოლოდ.

ხატვა განვახლე. ვხატავდი მზეს. გავეთავებდი ერთის ხატვას და იმავე სურვილით ვინყებდი მეორეს, მესამეს... ეს ჩემული მზე იყო, მხოლოდ ჩემს მიერ დანახული: მარეხის პორტრეტი, მარეხის დიდი, ნელიანი თვალები.

დედასთან ცხოვრობდა მარეხი. დედასთან და პატარა დასთან. მამა არ ჰყავდა. მათი სახლი ბოლო იდგა სახლების მწკრივში, ზედ ხევზე გადმომდგარი. მიყვარდა მე ეს სახლი.

სახლის მოპირდაპირე მხარეს პატარა, მყუდრო კუთხე იყო: ხუთიოდამოლტილი ჭადრისა და ნაძვის შუაგულში ტოტებგადაბარჯული იდგა რცხილა. მის ფესვებში მჯომარე სრულიად გამოთიშული იყავი გარესამყაროსაგან: აქეთ-იქით რცხილის ხშირი ტოტები, ლურჯი წინეები, ჭადრების მსხვილი ტანები და იდუმალი ჩუქნი. ძირს მიწაზე — ფოთლების სქელი საბურველი. წინ, სულ რაღაც ორიოდ მეტრზე — არც ისე ღრმა და კოხტა ხევი, სულდალეული მდინარის უნუგემო ნანსკარით. ხევის გადაღმა კი — მარეხის ეზო და სახლი... ამ რცხილასთან ვიხილე პირველად მარეხი...

როგორც კი მოვიცლიდი, მოვათრევედი მოლბერტს ჩემს თავშესაფარში. ვხატავდი, ვხატავდი, მარეხის ფანჯრებს ვუყურებდი თანაც.

პატარა და კოხტა სახლი ეზოს სიღრმეში იდგა, უფრო სწორად, — ეზოს ბოლოში ოდნავ კუთხით ჩემგან. ეზოს აუვებდა დაბალი ხეილნარი (ჭარბობდა ლეღვი და ალუბალი). ხეებს შუა მიმოიგრინებოდა ვიწრო ბილიკები.

ხშირად ვხედავდი სახლის ბინადართ: ხან მარეხის აჩრდილს ნავასნრებდი თვალს, ხან ბავშვის ტირილი მოაღწევდა ნანყვეტ-ნანყვეტ, ხანაც შოოსანი ქალის ფუსფუსი განირჩეოდა.

უსულო ნივთებიც მიყვარდა მარეხის ეზოში: ნარმოვიდგენილი უკლში იმ კედლებს მიღმა მარეხე ფეხვარეზე, იმ ხეებს მარეხის თითები ეხებოდა, იმ მიწას მარეხის მწერა სწვებოდა...

ასე გავიდა მთელი წელი. ცეცხოვრობდით ჩვენ-ჩვენი ცხოვრებით: ერთხელაც არ მიცდია, მივაბლოებოდი მარეხს, გავსაუბრებოდი. მიუნედომელი და შორეული მსურდა ყოფილიყო. მისი მზერის დანახვა მიყვარდა მარტოოდენ: ისე გაფართოებული შემომატინდებოდა ორი შავი გუგა, ისე გაირინდებოდა და გაბრწყინდებოდა, რომ ვერაფრით ვერ ამოხსნიდი მათი ესოდენი ბრწყინვალეობის დიდ საიდუმლოს...

მე კვლავ ვიპოვე ის, რაღაც...

ჩაიქროლა განშორების ზაფხულმა. ისევ მოვიდა შემოდგომა. კვლავ დაეინახე მარეხი. შეცვლილიყო სრულიად: გამაღლებულიყო, დაქალბულიყო. თმა შეჭრილი ჰქონდა: სქლად შემოკვერცხლილი შუბლსა და ყელზე. სითამამეც მისჭროდა მარეხს: იდუმალი მიყურებით სავსე თვალები დაურიდებელი გამოხედვით შესცვლოდა, შემკრთალი ღიმილი კისკისად გადაქცეოდა. აღარ გაურბოდა ჩემთან შეხვედრას, მოურიდებლად მოილტყოდა.

მეც გვარიანად შემცვალა იმ ზაფხულმა: კვლავ ამიფორიაქდა გონება...

მისდევედა დღე დღეს და კვირა კვირას. ვიპოვებდი მთელი ღამე, ნარმოვიდგებოდა მარეხის დიდრონი თვალები მალიმალ, არ მომასვენებდა, გულში დაევისვენებდი მათი შუქის ხსოვნას და ვილოცებდი უცნაური ცრუმორწმუნეობით. მერე გათენდებოდა როდის-როდის, გავიჭრებოდი მტკიცე სურვილით, რომ მიეჭროდი მარეხს, ხელი ჩამეცლო, გულზე მიმეკრა, აღარ გამეშვა... როცა დაეინახავდი, გაცივდებოდა გრძნობა... მარეხი სხვა გახდა ჩემთვის... განუზომელი ძალა გვაშორიშორებდა...

მერე ისიც დაეკარგე, ის, რაღაც, რაღაც საყრდენი ნერტილი.

უსაყრდენი დედა...

უმარეხოვდ...

დამრჩა სულში მხოლოდ ტკივილი, რომლის განდევნასაც ყოველნაირად ვცდილობდი. რა ვიცოდი ბედის ირონიის განუზომელი ძალა, რა ვიცოდი, რომ მომაცილებდა რა ამ მტანჯველ გრძნობასაც,



შეების ნაცვლად მარგუნებდა სულიერ ვაკუუმს, მომანატრებდა რაიმე შეგრძნებას, რაიმე ემოციას, თუნდ ტანჯვასაც კი და ამით დამცინებდა უსაზიზღრესად...

III

პირველი პერსონალური გამოფენა...

მთელი წელიწადი მქონდა სამუშაოდ - ვერ გამოვიყენე. ბოლო თვეს დამანვა მთელი სიმძიმე.

არაბუნებრივი მდგომარეობა - ძალდატანება პიროვნებაზე, რომელსაც არ სურდა მუშაობა, ენერჯის ნაფლეთების მოკრება.

თავგზააბნეულის არაჯანსაღი აგზნება...

გონებამ გადალახა მინიერი სამყარო, მახვილი შეგრძნებებით სავსე, და გადავიდა უწონადობის და უგრძნობადობის სიერცემში.

პიროვნების მაგივრად სიცარიელე ბუდობდა ჩემში.

დადგა ის დღე.

გადაბრდელიაღებულ იკოცნებოდა მზე.

მოთენთილ ქუჩებში ყურს ნაკრავდი ერთადერთ ფრაზას, მიმწყდარს და მიჩუმებულს - კარგა ხანია აღარ დაგეტყდომიოთ თავს მსგავსი ივლისი.

თვალეები დაჭყეტილი, სახეები ისე გაშუმებული, ვერაფრით ვერ გადაიტანდი ტილოზე. შეხედავდი და გადმოგედებოდა თავის ტკივილი - მძაფრთ და მბურღავი.

მინიერი თვალის გუგისთვის შეუფერებელ სინათლეს დღევებდა გადაკრიალებული ზეცა, და გუნდაგუნდად ისროდა შემდეგ.

გალერეა იყო გრძელი და ფართო.

იყო შუადღე და იჭრებოდა კოსმიური სიკამკაშე ოთახში - მიესადაგა გარესამყარო ჩემს სულს და აბნეულობას.

დღე მიიწურა.

ხალხი შეცოტავდა.

გარინდული დაეჯექი: ვამორჩილებდი სხეულს, მძიმე საფეთქლებს.

სადღაც უნებურად მიემართე მზერა. გაეშუმდა: ის იდგა. კაბა ემოსა მოკლე და

ლურჯი, უმკლავო, მბრწყინავი. ვგრძნობდი მის სხეულს. ეგრძნეწეწე მხრებზე სცემდა დამბრუნებელი მიმავალი მნათობის ყოველი სხივი.

ის იყო თბელი. კანი - მიუნვდომლად თეთრი. თმა - სქელი და ხვეული. შემოგრაგნილი. ამძიმებდა კეფას. მჩხვლეტდა ეს სიმძიმე. თმა ჰქონდა ჩალისფერი, მოთეთრო თითქმის.

ის იყო მჭრქალი. ისეთი მჭრქალი, რომ შევფოთიდი - გაქრებოდა მეგონა სხივებთან ერთად.

თვალეები ჰქონდა ფართო, ნუში-სებური, მონაცრისფრო. მზერა - მიბნედილი, დაჭინებული.

მომიახლოვდა. ვეამბორე. შუბლი ჰქონდა გრილი.

მქონდა სურვილი: შემოვხვეოდი, შემრწყმოდა და გავმჭრალიყავით უკანასკნელი სხივების სიკამკაშეში.

IV

პანია ეკლესია კლდეებში.

რამდენიმე შაოსანი ქალი ზღურბლთან. ეკლესიის ეზოში - სასაფლაო.

ვათვალეურებდი საფლავებს. სურათებზე აღბეჭდილიყო მზერა აღარარსებული ადამიანებისა. ფოტოები საგულდაგულოდ შერჩეული: თმადავარცხნილი, სოლიდურად ჩაცმული ადამიანები მთელი შემართებით შემოგეტყერიან, თითქო ჩასწვდნენო უკედავების საიდუმლოს, თითქო იცოდნენო, სწორედ ეს ნამიერად აღბეჭდილი გამოშეტყველება რომ შერჩებოდა ერთადერთ უტყუარ საბუთად მათი არსებობისა.

შევჩრდი ერთ-ერთ სასუფეველთან. უტყვი ქვიდან ღამაზი სახე შემომაცქერდა ახალგაზრდა ქალისა: ძველებური ვარცხნილობა, ძველებური ყელმალალი კაბა, მხრებზე მოსხმული შალი, ჭკვიანი და ამაყი მზერა... იქვე მეუღლე მისი. თმა ხშირი და ხვეული, უღვაშები დაყენებული. თავზე ბოხოხი. ჩოხა ვაზნებით. წელზე ხანჯალი. გამომხედვა ჯიქური. იქვე წარწერა, ან განურჩევლობამდე დაზიანებული. მხოლოდ წლებსლა თუ გარჩევე ცოტაოდენ - ათას რეაას... - ათას ცხრაას... და თითქო უეცრად ვიპოვე მონატრებული სახეები იმ საყვარელი ადამიანებისა, განვლილი საუკუნის ტკბილი სუნთქვა რომ შემომაფრქვიეს.

აი, კადვე სხვა სამყარო: საფლავი შემოვლობავთ რკინის გისოსებით (და აღარ – მარმარილოს რკალით), ყვავის დეკა (და არა მაგნოლია), გულზე ამოტვიფრული წითელი ვარსკვლავი (და აღარ ნინოს ჯვარი). სახე ახალგაზრდა ბიჭისა. მზეყა შემფოთებული, გაოგნებული. თავზე სამკუთხა ქუდი მეომრისა. ფორმა წითელგვარდიელის. თარიღად ავბედითი ოცინა წლები...

იქ ყველას ერთად ეძინა – მოხუცს და ახალგაზრდას, ბავშვს და მეომარს, თავადს და პროლეტარს. იქ ახალი სამყარო იყო, ახალი ცხოვრება, სიმბიოზური – ერთმანეთს შერწყმოდნენ ის ეპოქები და წლები, ის სახეები, ან რომ ვერ მიეახლნენ ერთმანეთს და, ანდა, არ ისურვეს მიახლება.

ალაგ-ალაგ ყვაოდნენ ბუჩქები – სტაფილოსფერი ვარდები, ყვითელი, ხავერდოვანი გვირილები, თეთრი გეორგინები. ძველისძველ თეთრ მარმარილოებს შემოსჯარვოდა ხეები ღვთაბრივი მაგნოლიის.

ის ყვავილები ყველაზე მეტად არემარეს უზდებოდა.

ის ბალახი ყველაზე ლურჯად იქ ბიბინებდა.

ყველაზე საშიშრად იქ ფუთფუთებდნენ ქვეწარმავლები.

და ჩემი სული ყველაზე მეტად იქ პოუვებდა სიმშვიდეს, რადგანაც იქ ხედავდა არა სიკვდილს, არამედ სიცოცხლის, უკვდავებისა და ყოვლისშემძლეობის უტყუარ დასტურს.

– ოჰო, როდის მესტუმრე?!

– მამაო! – ნაშომცდა და მაშინვე გაგვეცინა. მერე გადავხევიეთ ერთმანეთს.

– მამაო ლუარსაბ, მამაო ლუარსაბ...

– ახლა კი განზრახ ვიმეორებდი ხუმრობანარევი ღიმილით.

– აქ რას დამდგარხარ? ნავიდეო, ნავიდეო, განვერიდოთ სიკვდილს და მივებნლოთ სიცოცხლეს.

ჩვენ სწრაფად დავუყვევით თავდაღმართს.

– დავაფჟაკებულხარ...

– მხნედ გამოიყურები...

ჩვენ მხარდამხარ ვისხედით სველ მოლიანზე.

სახლი – პატარა. ეზოც პანია. მარჯვნივ ხევი, მდინარე დუტიანი, მომცრო ჩანჩქერები და ვეება ლოდები. მარცხნივ

– უფსკრული, უსაზომო და უკიდევანო, უშეტესად ნისლზაბუდებიანი და მოჭიათად გადანშენდილი. წიხლი და ღრუბელი ზღვასავით ჩამონეება ხოლმე და გულუბრყვილო თვალს უმაღ ჰგონია – მალე ნამლეკავსო ეს მძვინვარე ოკეანე. მონშენდილ ამინდში უამრავი სახლი მოჩანს აციმციმებული აქეთ და იქით, სწორად და გარდიგარდმო. კვლავ ტყუედება თვალი, ფიქრობს – აქვეაო სოფლები, ჩაირბენო ნაშში. ველარ აფიქსირებს სიღრმედ გაჭიმულ კილომეტრებს.

ხევს გაღმა მთებია. ისე შეფენილა ფიჭუებით, თითქო ნინვის სურნელით ხრწოლავს და ინვის.

ჭიმურის წინ გზაა, ვინრო და ერთადერთი, სოფლისკენ გამძლოლი.

თავს ზემოთ ცა, არა, უფრო სწორად – რალაც ბაცი და კრიალა. და სულ მიკვირდა – ღრუბლები თუ დაბლაა, რალაა მალა? საზღვარი ხომ არ არის ჩვენი ატმოსფეროსი? ხშირად ვიყურებოდი დაყინებული და შორსმჭვრეტელი მზერით – იქნებ დამენახა სხვა სამყაროც.

მებაასებოდა მამა ლუარსაბი (ოდესლაც ლევანი), და თან ღონიერი მკლავით მიკრული ვყავდი მკერდზე.

– გილოცავ, და ვნუხვარ, გვერდით რომ არ გედექი იმ დღეს.

– გამადლობთ, მამაო (კვლავ უწყინარი ირონია)...

დალაშდა.

კვლავ ვსაუბრობდით მე და ლევანი.

– ბევრი იყო ხალხი?

– პო, საკმარისად.

– მაინც?

– ბატონი რ., ქალბატონი მ., საქალბატონე ა., კ., და ლ., დ. და ე... (კვლავ მსუბუქი ირონია).

– პოო. სხვა?

– სხვა? (და თითქოს ჩაფიქრდი ნამიერად), აჰ, პო, ბატონი ბ. მთელი ოჯახით.

– მთელი ოჯახით?

– პო,

ლევანის სახეს ჩაფიქრება მიეძალა და უმზილი მოუფინა მის ბაგეს. საუკუნო მიჩვენა ეს გარინდება.

– გოგონა ჰყავს ბ.-ს სახელად თამარი. ვიცნობ მაგ ოჯახს. უყვარს თამარს ხელოვნება?

– პო, წერს და ხატავს.

(დუმილი).

- თანამოაზრე ბევრს ნიშნავს, იცოდე...

ის ერთი თვე ძმასთან დაეყავი (ლევანთაძე), მთაში. მშობლებიც გვეწვივნენ. ეს იყო სრული ოჯახური იდილია.

უხატავდი.

„დაისი“ ტილო არცთუ დიდია, ვინრო და მოგრძო. პეიზაჟური კომპონენტები სიგრძივად არის განლაგებული და ჭრილისებურ შთაბეჭდილებას ტოვებს. ცენტრში მწვერვალია მუქი ფერის. მასზე შეფენილი ზეების კონტურები არ გაირჩევა. მის უკან სადაცაა თვალს მიეფარა მზე. მნათობია ალისფერი, ცალი კუთხე არ უჩანს. გვირგვინივით მოპხვევია ნისლი და შორეულ, ბურუსიან პორიზონტზე მოთავსებულ ცეცხლის დისკოს ნაგავს. კამკაშა მბრძანებელს შავ-მუქი ღრუბლები შემოსჯარვია უხვად. მათ სხვადასხვა ფორმა აქვთ. თითქოს ნაგავანან კომკებს და ურჩხულებს, მტრედებს და ფსაკუნჯებს. თითქოს განლაგებულან სხვადასხვა პორიზონტზე, პაერის სხვადასხვა ფენებზე და ცეკვავენ. თითქოს უნათღებათ ხან ცალი და ხან მეორე მხარე, ნამიერად მნათობისკენ მიქცეული.

ბინდბუნდში მეზობელ მწვერვალთა კონტურებიც ისახება. ყველას ერთად ნრე შეუკრავს, რომლის შუაგულსი კვლავ ნისლი და ღრუბელი ჩანოლიდა. მისი კონტურები აღარ ნააგავს მოძრავ სათამაშოებს. ეს უკვე სახეა ოკეანისა, რომელსაც ამქვინვარებს რალაც უჩინარი ქარიშხალი. ტალღებს ნამიერად უშუქდებათ მალლა ამონეული ზედაპირები.

ვარჩიე, რომ სურათს ნარმოეჩინა სტატიკურისა და დინამიკურის ურთიერთკონტრასტი: ცათა „სამეფო“ და ნისლი „ოკეანე“ მოძრავია, მოფუთფუთე (თუმც მათშიცაა სხვაობა: პირველის მიმოსვლა თითქოს რბილია, ნარნარი. მეორის ბორგვა - მძვინვარე, თითქოს საცაა ამოანთხევსო შხამს და სამსალას ბნელი სამოდან), მათათა კონტურები კი უტყვი და გაქვავებული (თუმცა კი ისევ სხვადასხვაგვარი: მთავარი მწვერვალი დიდია და ახლომდგარი. სხვა ყველა განრიგებული და შორეული...), მთავარი „პერსონაჟის“ - მნათობის „სხეულში“ კი ყოველივე ერთადაა შერწყმული: იგი თან

მახლობელია და თან შორეული, ნარმოშ-დგარია დინამიკური პოზიციის მქონე ელად რომ ემზადება, მაგნიტის მქონე მთელი თავისი არსებით, თუნდა მთელი ბრწყინვალეებით გამოხატავს უსიცოცხლო უმოძრაობას...

ბავშვობიდანვე მიტაცებდა რემბრანტისეული შუქ-ნერის მანერა, ამ ხერხის ერთგვარ ვარირებას შევეცადე: ნახატი აღვიქვი არა როგორც მთლიანი, არამედ კომპონენტური, და თითოეულ ნაწილს ცალ-ცალკე ვარგუნე ჩრდილისა და სინათლის კონტრასტული ეფექტი...

„მინის ძახილი“: სურათი მოზრდილი ფორმატისაა. კიდიდან კიდემდე განფენილა ნათელი ფიჭვნარი. ამინდია დილის, თითქოს სუსხნარევი. შუქი ზომიერი. მინა და ბალახი დაცვარული. სივრცე საკმაო. მსუბუქი ბურუსი. ხეებია მალალი და ამოლტილი. მათი ტანები - კონტრასტი ხავსისფერისა და ზურმუტისფერისა. ნამით თავმოსვლებული ლოდები, ქარბად დაფარული ხავსნარევი წვრილი ყვავილებით, თითქოს რალაც გარდასულ ამბავს გიყვებიან. თითქოს მიმოდიხარ გაკვალულ ბილიკებზე და უცნაური შემფოთებით გრძნობ, რომ ყოველმხრივ მხოლოდ და მხოლოდ ფიჭვებია. ისინი ბუშბერაზებივით აღმართულან, ამოლტილან, თითქოს ცის უსასრულობას შესცქერიან, თითქოს შრიალებენ და ჩურჩულებენ, ფიჭობენ, ცოცხლობენ...

ნახატის შუაგულში ვილაცაა გამოსახული. იგი დაუდევრად ჩამოშვდარა ჩამოშვავებულ ფერდობზე. მისი ნაკეთები არ არის დაკონკრეტებული და დახეწილი, მხოლოდ თვლები და ხელებია ნარმოდგენილი მთელი თავისი გამომსახველობით (კვლავ რემბრანტისეული თუ ძველებური ხატ-ნერის მანერის ვარირება). ეს ვილაც ახალგაზრდა მამაკაცია (იქნებ პროტოტიპი საკუთარი თავის?), მისი მონაცრისფრო, გაფართოებული თვლები ღრმა ჩაფიქრებასა და მსუბუქ შემფოთებას გამოხატავენ. თითებით სრეშა ნოტიო მინას. და იმდენი შუქი ეცემა ამ ნვრილ, სველ, ციციწა გორიხებს, უმალ შეიგრძნობ, მათში რომაა იდეა და საზრისი მთელი ნახატის. თითქოს ცდილობენ გააშვიშლონ და სამსჯავროზე გამოიტანონ თავისი თითოეული კომპონენტი, თავისი არსი. იქნებ იმიტომ მღელვარებენ ასე, რომ



წინაპართა ძვალსა და სისხლს შეიცავენ, მათი სიცოცხლე შეუთავისებიათ. იქნებ მომავალსაც სჭვრეტენ და ხედავენ, იქნებ მოგვითხრობენ, ან, სულაც გვაეალებენ რასმეს? იქნებ და მთელი სული შეუმფოთა ამ კაცს მიწის ამ ყოვლიმა და მიტომ წარმოაჩენს თავისი სხეულით, მზერით, თითების მოძრაობით ფიქრს რაღაც დიდსა თუ დიადზე, მტკივნეულსა თუ სულისშემძვრელზე, საკუთარ თუ მთელი ამ მიდამოს მომავალსა და ბედზე?

„დატირება სერაფიმთაგან“: – განუწულ, მოკენჭილ მიწაზე გუბეა განფენილი. მას წვიმის მსხვილი წვეთები ეცემა და ისე დაპრანჭვია ზედაპირი, ქვითინებსო თითქოს. კენჭებს ისე მკერივად ხედება წყალი, ვაიგონებო სადაცაა ნაკაუნს; პაერია ნათელი და რბილად მოუარდისფრო ტონებით ვაეღენთილი... და ღომილგანფენილი გაიფიქრებ: ანგელოზები თუ დასტირიანი ცხოვრების სიავეს...

„თოლიები“: ფართო ტილოა. ის ერთგვარი შერწყმაა რეალურისა და წარმოსახვითისა: კლდიან მწვერვალებს რკალში მოუქცევიათ ფართო და უკიდევანო ზღვა. იგი ლელავს, მძვინვარებს, ტალღები აწყდებიან ფერდობებს მალიმალ, იმღვრევიან და იმსხვრევიან, შხეფებად იშლებიან და თითქო მაინც არ ცხრებიან. ტალღებს დასტრიალებენ ქათქათა თოლიები. მკვეთრია მათი პლასტიკა: ფართოდ ვალებული ნისკარტებით ყურისნამღებად ვაპკივიან თითქოს, გამეტებით ეხლებიან მბორგავ ზედაპირს ფრთებით. მათი გუნდი იესება და ფართოვდება: ქვიშიანი ნაპირებიდან მოეშურებიან და მოეშურებიან ახალ-ახალი ნაკადები... რად შმაგობენ ასე ეს უწყინარი ფრთოსნები? რას გაუმწარებია ამგვარად მათი ციციქნა გული და გონება? იქნებ აფიქრებთ, რომ ველარ მოიპოვებენ მღვრიე მასაში სარჩოს?

ნახატი წარმოადგენს სამი მკვეთრი ფერის უჩვეულო კონტრასტს: ცა და პაერი, ავბეფითად მენაშული. კლდე და ქვიშა – ჩამუქებული ნაცრისფერი. და რადგანაც სამივე უტყვია და უძრავი, გაქვავებული, კადვე მეტად გამფოთებს წყლისა და ფრინველთა ურთიერთშეხლა. და ეს ორი ელემენტი თერთია და ქათ-

ქათა, ელვარედ თეთრი, რადგანაც წყალი არა ნამდვილი კარგად უწყუნედ გადაჭიმული ნისლი... უკნაღწიქნა

დღის მანძილზე დაღლილს მამშვიდებდა ღამის ლოცვა: გარეთ ბინდნარევი, სუსხიანი პაერი, ღამულეთ კონტურებით გამაფრებული, ქარის შეხლა-შემოხლით გახმარებული, პატარა ქვის ეკლესიაში კი დუმილი და იდუმალეზა, სანთელთა მოციმციმე შუქი და მათგანვე დატრიალებული ევამლიანი სითბო.

უცნაურად მოქმედებდა გრძნობებზე ტაძრის მდიდრული ინვენტარი: თეთრი მარმარილოს კანკელი, მთლიან ჩუქურთმაში ჩამჯდარი, მძარცველურ საუკუნეს სასწაულებრივად გადარჩენილი მოოჭვილი ხატები, მაღალი გუმბათით, დაბლიდან რომ შესცქერი და თითქოს სადღაც, შორს იკარგება მზერა; რამდენიმე ფრესკა, ლამაზი და მეტყველი სახეებით... და ორიოდ ძველებური, ფართო საფლაკი, ხატოვანი წარწერები ლერბები და გვირგვინებით დამშვენებული... ეს ის გრძნობა იყო, რომელიც არა განმეორებადი, მოვა და დაგტოვებს შემდგომ შემკრთალი ხსოვნის ამარა...

გარინდულ-გაქვავებულს არ მაკრთობდა მარტოობა, რადგანაც შორიახლოდან შევიგრძნობდი „მამა ლუარსაბის“ ფუსფუსს და ხუნთქვას...

მაცხოვრის ხატი ამოვიჩემე. სულ მის წინ ვიდექი. თვალს ვერ ვაცილებდი. ისეთი გაფითრებულია მასზე იესო... ეკალი მხურავს გვირგვინად და თავთუხისფერ კულულებს ძონისფრად დაპკრავს წვეთები ღვთაებრივი სისხლის. მზერა აქვს საოცარი, განუმივორებელი: ჩაპკირვია ღრმა ფიქრი თუ სევდა, ტკივილი და ამაღლება. გიცქერს დაფინებით. შენც გიფართოვდება მზერა, უძრავობა მიეჭრება შენს თითოეულ ნაკვთს... შემდეგ თვალს ხუჭავს მაცხოვარი, ფიქრობსო ნამიერად, რათა კვლავ მიმოავლოს თვალი იქაობას და მეტი ძალა, მეტი რწმენა, სასო და იმედი ვადმოგინერგოს...

შემწნეული პქონდა ლევანს, როგორ მეცვლებოდა ხოლმე ფერი მალიმალ. მოვიდოდა, მომხვევდა ხელს, ზარივით დარეკდა მისი ხმა: არავინ უწყის, რა ღვთაებრივი ძალები მიეჭრნენ ამ ხატის შემქმნელს ოდესღაც. სულ ახლოდანაც რომ მივახლო, მაინც ვერ ამოიცნობ, დახ-



უჭული დაუბატა მხატვარმა თვალი თუ გაბულილი უფალს. დიდი მადლის მატარებელია ეს ხეზე ნაკვეთი ფრესკა...

V

მთიდან ქალაქში დავბრუნდი. ვერ აღვწერ, რას ვგრძობდი მაშინ — არ ვიცი, არ მახსოვს. მხოლოდ იმის თქმა თუ შემიძლია, რომ ისევე მიჭირდა მეზიდა მხოლოდინი სიბარულის, როგორც თავად ტანჯვა და ტკივილი...

ყვაილებით მიწოდდა მივსულიყავი თამართან. ნეტა რომელი უყვარდა მეტად? მე მიმოზებისა და ფართო გვირგვინის ერთად შეკრული თაიგული ყველას მებრძოვს, მაგრამ უკვე შემოდგომა მოიპარებოდა და გადასულიყო ხანი მათი ყვაილობისა. ვინ რა მირჩია და ვინ რა... იმ დღით თოთო ფრთათეთრები ჩემივე თითებით შეეკარი თაიგულად...

ვიცოდი, სადაც უნდა მექმნა თამარი — სახელოსნოსკენ გავემუშრე. აი, ის გზა კი მახსოვს — რალაც ცარიელი ვიყავი და უსურვილო. არ შერჩენოდა ჩემს სხეულს ენერჯის ნატამალიც...

ჯერაც არ დაღუულიყო გზა, რომ შემაჩერა ხელის მსუბუქმა მოძრაობამ. ავხედე, ის ჩემს წინ იდგა ღიმილიანი. ის იყო მალალი, მოქნილი, შავთვალა, მგვრემანი. ის იყო თამარ...

— თამარი?

უფთხარი, რომ მეჩქარებოდა და სახე მოღუშულმა გავიყოლე თეთრი ფრთათეთრები შეაღმართებულ გზაზე...

VI

სამინლად მომინდა მენახა ჩემი რცხილა. როდესაც უკანასკნელად ვიჯექი მის შეფთოთლილ ტოტებქვეშ, ადრე, წლების წინათ, ხეს სიკვდილი შეჰპარვოდა — უხმებოდა ორიოდ ტოტი. მერე რამდენჯერმე მოეკარი თვალი მუშისტანსაცმლიან კაცებს, რალაც მიქონდათ სათლით და ამ ჩემი ედემისკენ მიმავალ ბილიცზე მიმოდიოდნენ. მანდ რას დაეძებთ? — ჰკითხა ერთხელ ხმაშალა მეზობელმა. — აი, იქ, ხევის პირს რცხილა ხმება ერთი. დიდი ხეა და ცოდევაა უმისობა ისედაც უხეებო ქალაქში. ვუნამლოთ ეგება რამე...

ხშირად მიდიოდნენ მუშა-კაცები ჩემი რცხილისკენ, მათაც შეჰყვარებო-

დათ თითქოს. გულში იმედი მიბრუნებოდა, რომ მოაბრუნებდნენ მისი ტოტების ახალ ამონაყარს მისივე გინდარჩენდნენ...

მივედი ხევის პირას. ჩანავლებული ნამორილა ჩაპკვრდა მინას. მაზინჯი იყო დედამინის ის ნაფლეთები, რასაც რცხილა ჩრდილავდა უწინ: მოტიტვლებული, ატალახებულები, ნახერხით შეთუზნული, იდუმალბებაგადაცილილი და ისევე უხამსი, როგორც უშნი და შიშველი სხეული დღისით ქუჩაში...

ვიდექი და თითქოს გულგროლად შეეცქეროდი ზეცას. მინის სიცივეს მთელი სხეული გრძობდა. მერე დავხუჭე თვალები, მივეცი გასაქანი მოგონებებს. მსურდა ნარმოსახვას აღედგინა ის სალამო, როცა პირველად ვიხილე მარეხი: თბილი დღე შემოდგომისა. ციალი მოსიყვარულე სხივების. ყვითლად ათქვირებული და აფეთქებული რცხილა, ტოტებგალაჯული, დაკორძილი, ფესვებამოყრილი, ნვიმადაკრული, ბედნიერი და ყვითელი, ყვითელზე ყვითელი... და იქვე, შორიახლოს, მარების შავი გუგავი. პირველბილული, მაგრამ უკვე გათავისებული... ასე უცხო და ასე ნაცნობი...

ძლიერი იყო ნამოწვევება, თითქო უხეში ხელებით დავითრიე ხსოვნა და ვაიჭულე ჩავლილი ნუთები ერთხელ კიდევ გაეცოცხლებინა ანწყომი...

ციდან ჩამოღვრილი ჰანია სხივები, ღურჯ-ყვითელი ათინათებით, და ჩრდილმოსილი ხეები, მოლივლივე კონტურებით, ღამეულ შრიალში შეასრულებენ ფარული სურვილებით გაქვნილ ცეკვას.

მიმაჯაჭვავენ რა უზილავი სიმები ამ ღამეულ რიტმებს, მიყურებული ტკვილივით გამაღიმებს რალაც, გამრიცხავს, მომთინთავს. დასარჩევა მხოლოდ იდუმალი შიში მთვლემარე ადამიანისა: ვაითუ...

სიმშვენიერეს ნამები ქმნიან და მერე მათვე მიაქვთ ან მოაქვთ, როგორც აბსოლუტური კუთვნილება. ერთხელ მე იგი მოვიპარე. ახლა ტუნისის მღელვარებით ვარენ გადაშალულს და ამ ღამეულ რიტმებს უუსადაგებ: მაშინ მხოლოდ ნამმა მიგვაახლა ერთმანეთს, უცხოოდ, მოულოდნელად. იყო თანადგომა შენის მხრივ, და ამ თანადგომის იყო იმედი ჩემს გულში. ღიმილი იყო ჩემი, ღიმილიანი



თვალეები — შინი. იყო სინაზეც, იყო შიშიც, შიში ვულუბრყვილო, შიში უცხო სამყაროში მოხვედრილისა. დახშული იყო ყველა გრძნობა — ხუთივე. მოქმედებდნენ მხოლოდ მეექვსე, მეშვიდე... მეასე გრძნობები... რიალებდნენ რალაც უცნობის, ჯერ განუცდელის ბუნდოვანი მონახაზები შიმნარევი თრთოლვით. და მიღწეული გრძნობის ლირიული ნექტარება დაჰქროდა ჩვენს შორის...

სიმშვენიერეს ნაშები ქმნიან და მერე მათვე მოაქვთ და მოაქვთ. მე კი მოვპარე და ძუნწის მღელვარებით გადავშალე გონების უფსკრულში...

ვინებთან ჩურჩულად გაჭიმული მთოვარის სხივები და ჩრდილმოსილი ხეები, მოლივლივე კონტურებით, შეასრულებენ ფარული სურვილებით გაჭლენთილ ცეკვას... მიმაჯაჭვებენ მოგონებები ამ ღამეულ რიტმებს...

მერე მარტო ვიქნები, სულ მარტოდ-მარტო, უკვე ფხიზელი, დაუდგები ხიდის ჯებირთან და ჩავაკვირდები გადაქანცული ლიანდაგების ღამეულ სწრაფვას...

როგორ გამეცვა მარეხი — სხვას მიეკედლა. ის მალალი იყო, ძვალმსხვილი და ნითური. ვიცნობდი და არ მიყვარდა. და სწორედ მას მიეკედლა მარეხი.

მერე ის დღევ გამახსენდა...

ვარდობისთვე იყო. გული ქალაქში არ მიჩერდებოდა. დილიდანვე ნავედი — მონასტერს მივაკითხე ქალაქგარეთ.

წარმოდგინეთ: კლდეები, სიმაღლე. ქვიდან ამოზრდილი ტაძარი. ხალხი. საუკუნეთა ნატერფალი. ხრიოკ ფერდობზე ამოპარული ყაყაჩო. ხავსი. მტვერი. მწუხრი. ფიქრები...

მარეხი რომ გამოჩნდა, ელდამ ფეხზე წამომაბტუნა. ელდამ დამაზაფრა, გამაოგნა, განმარისხა...

ქვის კედელს მიყრდნობოდა მარეხი. ხელები თითქოს უშნოდ გაეშალა. თითები აწვალდნენ კედელზე ხავსის ბუსუსებს.

არასოდეს მენახა თვალთა ესოდენი ბრწყინვალეობა. მწერალთა უნიჭო მონაჩმახად მიმაჩნდა ყოველთვის.

თვალეები გაფართოებოდა მარეხს... თვალეები განათებოდა მარეხს... ორი ბრწყინვალე სხივთა კონა ჩემამდე აღწევდა მთელი თავისი ელვარებით. ბაგეებიც შეხსნოდა მარეხს. გაფითრებული იყო ზედმეტად.

სხარტად დავეიზარე, კერძოდ უნდა ვთქვათ თეთრი, ფუშფუშლად იმეორებდა აფუებული ყვავილებისა. მარტო ამ ეზოში ხარობდნენ ისინი. არსად არ მენახა სხვაგან არასდროს. ვიცოდი, მარეხს უყვარდა მათი სილბო და სითეთრე.

აღელდა მარეხი. უცნაური ძალა მოედო მის სხეულს და თვალებს. თვითონაც შეუერთა ამ ძალას, მეც გადმომაღო მისი მჩქეფარება...

ძირს დაეანყვე თეთრი ყვავილები. ნელა წამოვედი. არ მომიხედავს — ვიცოდი სხვანაირი იქნებოდა მარეხი, არ ვიცოდი, რაგვარი, მაგრამ კი უჭქველად სხვანაირი. მე კი მიხდოდა, ის გაციოსკროვნებული და გაფითრებული მარეხი ჩაძურწოდა მეხსიერებას...

მარტო როდი იყო მარეხი, — ისიც თან ახლდა. ვარდობისთვე დაინერეს ჯვარი, იქ, კლდიან ტაძარში...

გვიანი ღამე იყო, მაგრამ მაინც ავიღე ფუნჯი. რის დახატვასაც ვაპირებდი, არ იყო დიდი თუ დიადი, მაგრამ ის ჩემში იყო და ვამჯობინე არ დამეკარგა. ბე ტაძარი დავხატე, მწვერვალზე ამოზრდილი ტაძარი, ქვიანი ფერდობები, მთეთარი ბაღახი-ყვავილები, ყაყაჩოები, შემოლაჯებული ბინდი... და მარეხის თვალეები. უფრო სწორად, ყოველივე ეს არეკილი მარეხის თვალეებში.

დავარქვი ნახატს ვარდობისთვე. ვხატავდი დილაზე. გამთენიისას კვლავ ელვისებურად წარმომიდგა თვალნი მონადარი, რალაც აგზნებულად დამიტრიალდა გონებაში: ჯვრისნა... მარეხი თეთრ კაბაში, თეთრი თაიგულით... დედოფლის გვერდით ის — მახინჯი მეფე, ისევე უხამსი, ვით თავად მოემისეული მწითური...

დედამინის ყოველი გოჯი დასახლებულია და მარადიულ ფუსფუსს განიცდის.

დედამინა შედგება მინისა და ნყლისაგან და თვით ეს შემადგენლობაც მოძრაია და დინამიკური. და რადგანაც მოძრაია სამყაროს თითოეული ნერტილი, ადამიანის ბუნებაშიც ბუდობს სწრაფვა მოძრაობისკენ უმოქმედობა ალოგიკურია და მიუტყვებელი მისთვის...

ეძიე საკუთარი თავი, შენი საყრდენი, ეძიე დაუსრულებელი ენერჯითი, მძაფრი მისწრაფებით, ღრმად მომუშავე



გონებით, სპეტაკი სულით, როგორც დედამინა უტრიალებს საკუთარ ღერძს.

უძიე თვალისმომჭრელი სინათლე, უძიე ალტკინებით, აგზნებით, ფანატიზმით შეჩქვითებული სისხლით, გაორმაგებული გულისფეთქვით, გაფართოებული მკერდით, როგორც დედამინა დაეძებს მზეს.

დედამინის გული — გაუნელებული ცეცხლია და თუმცა დაფარულია, უზიდავი კავშირი აქვს მზესთან.

შენ შენში ამოატივტივე ეს მოდელი სამყაროსი შენი ქვეცნობიერიდან, გაამიშვლე, ნარმოაჩინე, დამანახვე და მე შენ შეგიფარებ ღვთიური, დაუსრულებელი, უკვდავი, სამყაროული სიყვარულით. მაშინ ჩვენი ერთობა გახდება ჭეშმარიტად ურთიერთშერწყმა და არა ურთიერთიძახლება, იქნება უკვდავი და არა ნამიერი... რა ძლიერი იქნება ორი სამყარო ერთად... აფეთქდება დედამინის გულში ჩაღწეული მზე... გაქრება სამყაროს ერთადერთი ნაკლი — ატმოსფერული სუსხი და სიცივე.

და მაშინ კი დაიწყება დიდი და ახალი ურა...

ცივ მინაზე, შემოდგომის ნვიძაში, ღვეკი ეგდო. შევხედე და შემადრუნა, გვერდის ავლა, თვალის მორიდება მომიხდა...

რაოდენ სასტიკია ბუნება, რომ უპატრონოდ, მანანწალად გააჩინა იგი. რაოდენ სასტიკია დედა მისი, რომ ასე უმწიოდ მარტოდ მიატოვა. როგორ სასტიკნი არიან ადამიანები, რომ ყურადღებას არ აქცევენ... — ვფიქრობდი.

ბენეი სულმთლად გალუმპოვდა პანია ცხოველს. მთელი ტანით კანკალებდა. მაჭრიალებდა, როდესაც წარმოვიდგინე, რას ნიშნავდა იმ წყალსა და ტალახში ნოლა.

მაგრამ, საოცრება იყო მისი თვალები — ფართო, კასკასა... სრულად დაცლილი ბრაზისა თუ გაბოროტებისაგან. ირეკლებოდა მხოლოდ საოცარი ნყურეილი სიცოცხლისა, აღფრთოვანება და ინტერესი ურთიერთშერწყმული...

მე მშურდა ამ ნახევრად გაყინული არსებობის — მას ასულდგმულებდა ის, რაღაც...

VII

ფიქრები ამეშალა.

თვალის ქუთუთოები მიმელულა.

უცნაური, მინაგანი მზერა გამიფარეოვდა.

სამყაროს არსია საფეხურეობრივი ცვლა, გამონეული პროგრესით.

მომნიფებას და ახალ საფეხურზე ამალელებას წინ უსწრებს წინა საფეხურის გათავისება, შეცნობა, ამონურვა, რყევა...

თვით სიცოცხლეც ერთი მთლიანი საფეხურია, რომელიც ახალ საფეხურზე სიკვდილის აგონიას აპყავს.

მიუტევებელია მხოლოდ ორი ცოდვა: სასონარკვეთა და თვითმკვლელობა. პირველი კეტავს, აფერხებს საფეხურეობრივ განვითარებას, ახალ საფეხურზე გადასვლას. მეორე კი ხელოვნური ცდაა ამისა, დაქარაბული, რომელიც არღვევს ჰარმონიას, რადგანაც მხოლოდ ცდაა, რადგანაც არ არსებობს ხელოვნურობა სამყაროში.

როდესაც საფეხურს მთლიანად გაივლი და მეორეზე გადაბედავ, არავითარი ნოსტალგია არ გრჩება. ამიტომაც სავესე და ტვეადი ცხოვრების შემდეგ სიკვდილი აღარ გაფრთხობს, ის კანონზომიერი ხდება შენთვის...

სიცოცხლის იქითა დიდ საფეხურს მე უშუალოდ ვხედავ, თითქოს გრძნობის ყველა ორგანოთი შევიგრძნობ, რადგანაც ეს მახლობელი საფეხურია, ფაქტიურად მომდევნო, მაგრამ რა არის კიდევ იმის იქით? ან როდემდე გრძელდება, ან რით მთავრდება? ან აქვს კი დასასრული? ნრფა თუ წრე მისი სიმბოლო?..

... როდესაც რაიმე გნამს, შენ ეძებს შენს ქვეცნობიერში იმას, რაც გნამს, და პოულობ, რადგანაც გაქვს შენ ყოველივე...

ადამიანთა ქვეცნობიერის რაღაც ნაწილთა ერთობაა ღმერთი, ისევე როგორც, რაღაც ნაწილთა ერთობაა თავად სატანა...

ჩემშია ღმერთი, ჩემშია სატანა, და კიდევ, რაღაც ბანგნარევი სიცარილე.

ადამიანის გონება მიკრომოდელია სამყაროსი. კოსმიური ბრძოლა დადებით და უარყოფით ენერგიას შორის ჩვენშიც მეორდება...

...ფიზიკური ცხოვრება სწრაფვია მომავლისაკენ. სწრაფვა კი სიკვდილს გვაახლოვებს.

სულიერი ცხოვრება სწრაფვია მარადიული სინათლისაკენ, მზისაკენ. მზესთან მიახლოება კი ჩაგფერფლავს.

და ყოველივე ეს ლოგიკურია, რადგანაც სიკვდილით ბევრი რამ იწყება...

... ყველაფერი მოკვდავია: ყველა არსება, ყველა გრძნობა, სიკვდილის განახლების პროცესი მოწყდება. განახლებას სულიერი ზრდა.

სამყაროს ყველა ეტაპი, რეალურიც და ირეალურიც მიმართულია ამალღებისაკენ.

საფეხურეობრივი განვითარების ბოლო ნერტილია ჩვენში არსებული ღმერთის ნაგლეჯის გამოთლიანება, ღმერთში შერწყმა... რათა მერე კვლავ გამოიყოს და კვლავ თავიდან განვლო იგივე წრე...

ღმერთი უკვდავია — ის ძალას და უკვდავებას ჩვენგან იღებს...

ღმერთი მარადიული ენერჯიაა... ღმერთი მარადიული სინათლეა...

და მხოლოდ მას აქვს განკითხვისა და დასჯის უფლება, რადგანაც ეს იგივე თვითგვემააა მისთვის... ის ხომ ჩვენშია...

მთელი რადიუსით მივიმართე ადამიანებისკენ. თითქოს შეეუკავშირდი მე მათ და შემერწყნენ ისინი მე. ჩემი ქვეცნობიერის რალაც პოლუსმა, ანუ ერთმა მოკვეთილმა ნაწილმა მზისა და სინათლისა, დაკარგული ნაწილებისკენ ანდამატური ლტოლვა გამოიჩინა...

## VIII

დედაქალაქში ჩამოვედი. სწავლა განაგრძე.

ომი დაიწყო.

## IX

ანი გამაცვენეს.

ანი... ჩემი ანი... ჩემო ანო, ანანო... ჩემო ანიანო...

იგი მოურიდებელი ქარიშხალივით შემომაქრა და გამინადგურა მთელი შინაგანი სამყარო, ასეთი მოთმინებით და ჯაფით ნაშენები.

მომზიბლავი იყო. მომწუსხავი. მაცდური. გამთანგველი. მისი წერილი და მოქნილი სხული იტყედა სიმნიფესა და სინოყიერეს. მისი მკვეთრად ყავისფერი თმა, თითქო ნისლისფერ თრთვილდაკრული, სწორი, რბილი და ხორბლისფერი კანი შემოსილიყო აღმოსავლური ეშით.

სალათისფერ თვალებში ჩაპბუდებოდა ელვა და მუხი. მოქნილი იყო და სხარტი.

ხალისიანი და დამუხტული. ვლევარე და მომწუსხავი. უცნაური და მკვნიშვილი.

უნუგემოდ მომწესხვი და მკვნიშვილი. გონება ვერ უძლებდა მისი თვალების შემოფეთებას. სმენას ახელებდა თამამი წერილი მისი ხმისა.

ალარ ვეიქრობდი აღარაფერზე: არც ფუნჯზე, არც მომავალზე, არც იდეებზე. საგვს ვიყავი მისით და მივისწრაფოდი მისკენ. ვემონებოდი. ვეთაყვანებოდი. ფრთებს მასხამდა მის თვალებში ამოკითხული თანაგრძნობა. და როცა კი ვერ ვხვდავდი, ტკივილით ვიმეორებდი მის სახელს, უნუგემოდ ვეაღერებოდი: ანი... ანი... ჩემო ანი. ჩემო ანო, ანანო. ჩემო ანიანო... ჩემო ანიანო...

და ასე გაგრძელდა მთელი თვე.

## X

ჩემი ნება რომ იყოს... ოჰ!.. რას არ ვიზამდი!..

ციდან ჩამოვხსნიდი ალბათ ვარსკვლავებს... სულ ფეხით შემოვივილიდი მინდვრებს და ჭალებს... გავეარმწყებოდი შეტუბა ქალებს... დავძახებდი „ლაშქრულს“ და „ლილეოს“... შემოვკვერცხლავდი ღორთქო ვაზებს...

ვერ მიპოვნია ეს „ნება“, სადღაც გაქცეულა, გადახვენილა. ჩემს ძარღვებში სისხლსაც შეუნყვეტია ბორგვა და ჩქეფა, და ჩამსახლებია სხეულსა და სულში უმოქმედობა, უსასოობა, უსურვილობა, გულგრილობა და ეშმაკეული ფრაზა: ეს ყველაფერი ჩემთვის სულ ერთია...

ადამიანი ასხივებს ძალას, ენერჯიას, აზრებს, ემოციებს... საესეა მთელი სამყარო... ურთიერთმოქმედებთ...

ვიკარბ ძალას და ვიჭრები ადამიანთა საზოგადოებაში: იქნებ მოახდინონ ჩემზეც ზემოქმედება?.. იმათ ამფოთებთ ჩემი უხმო ძახილი... ვხვდები: მათაც დაუკარგავთ ეს დალოცვილი თუ დანყველილი „ნება“...

## XI

ომი გრძელდება...

## XII

ნიჭი პრივილეგია როდია, ნიჭი მოვალეობაა, ნუზილია, შფოთვაა.



XIII

უკვე ბნელდება და ქარიც ამოვლირივ-  
ნდა. ქუჩები ჩაბნელებულია და მინყ-  
ნარებული. რა ლამაზი იყო საღამოები  
ჩემს პატარა ქალაქში... ცივია დედაქა-  
ლაქი: ცივია ეს დიდი და მასიური სახლები,  
ეს ფართო და ბნელი ქუჩები, სავსე ია-  
რალის ელარუნით და უხეში გადაძახილე-  
ბით... თვალბმუნებულნი ფორმიანი  
ბიჭების მთელი არმიით, მეც რომ უნდა  
შევერწყა ხვალ... ქარი დავლივინებს კვ-  
ლავ, დაბნელდა თანაც. ქუჩები მრუშა და  
გატრუნული... მე ჯერ მხოლოდ ცხ-  
რამეტი წლის ვარ... ღმერთო, რა არის  
ნინ?.. ნუთუ გადავრჩები ხვალ?..

XIV

ომი დასრულდა...

XV

დედაქალაქში ის-ის იყო დაებრუნდი.  
ჯერ კვლავაც ავტობუსთან ვბორი-  
ალობდი. არავინ მაქცევდა ყურადღებას.  
ყველაფერს შევეგუე და ამ ბენზინის  
და ტაოტის სუნს კი ვერა. არადა, ისე ყარ-  
და მთელი სალონი მთელი გზა. ავტოს-  
ადგურიც იმავე სუნით ხრჩოლავდა. თან  
ეს პაპანაქებაც!

ხალხი ჯგროვდა ეხვეოდა თითოეულ  
ავტობუსს. მძოლვებს მაინც ერთი შეხ-  
ვედით ვცნობდი: სქელი კისრებითა და  
მაჯებით. გაშავებული ხელებით დასტ-  
რიალებდნენ ავტობუსებს, შესაშური  
მუხიზღებლობით უფათურებდნენ თი-  
თებს ამ ვეებერთელა რკინის გროვებს  
თვით ყველაზე ბინძურ ადგილებში.

არ მერქარებოდა. დაღლილი ვიყავი და  
აღარ მინდოდა ტრანსპორტში ჩაჯდომა.  
დასახლებულ კვარტლებამდე კარგა  
დიდი და მოუზრდილავი გზა იყო. მერჩივ-  
ნა შხის გადასვლას იქვე დაელოდებოდი  
და შემდეგ ფეხით ნავსულიყავი.

სასაუზმეში ბენზინის სუნს მდარე  
ლუღისა და არყის სურნელიც უერთდებო-  
და, არც ჩამავებული აგულიანის ნაორთქლი  
კარგავდა შესაძლებლობას ავი ძალივით  
ცხვირ-პირში სცემოდა გამვლელ-გამომელ-  
ელს. ორიოდ ქაბაბი და ბოთლით ბორჯომი  
გამოვთხოვე ხბოსთვალეზა გამყიდველ  
გოგოს. ზოხონით შევეუდექი უსუფთაო თე-  
ფმიდან ღმურძელას.

როცა მსგავს დაწესებულებებში ვიდე-  
ვებით შემოვბრუნებდი მალაღობრულ  
მაგიდას, ყოველთვის ფიქრობ, თუ  
რატომ არ არის ეს მჭამელი საზოგადოე-  
ბა (რომელშიც თავადაც ურევიხარ იმ  
ნამს) სკამზე დაჯდომის ღირსი. ეს უპა-  
სუხო შეკითხვა ბევრად მარტივი  
მომეჩვენა მაშინ, ვუყურებდი რა,  
როგორის ქშენით შეაბრძანეს ღიპიანმა  
კლიენტებმა ძვირფასი ღიპიანი მაგიდის  
ქვეშ დანარმოვიდგინერა, როგორი საცო-  
დაობა იქნებოდა მათი სქელი გავების  
სკამებში ჩაჭყყვა.

ვჭამდით მხოლოდ კაცები. ქალი არც  
ისე ბევრი ერია მთელს ოთახში –  
მხოლოდ ხბოსთვალეზა გამყიდველი  
გოგო და ფანჯარასთან მიტმასნილი  
რამდენიმე შეძავი.

მაგიდასთან რომ მყუდროება დამირ-  
ლევს, მგონი კიდეც გამიხარდა.

– ოხოხო, რა ცხელია, ვარლამა, რა ცხელია!  
– ცხელოდეს მერე, შე კაცო, ამ კაფი-  
ვით კანს ვერც სიცხე უტევს და ვერც  
სიცვივე (ვინმე ვარლამამ ამის თქმისას  
გაშავებული-გარუჯულ მოხვერისტყავა  
მკლავზე დაიტყაპუნა ხელი. მომეჩვენა,  
რომ არა მარტო სხელი, შუბლი და  
ტურჩებიც ისეთივე გაშავებულ-  
ვახორკლილი ჰქონდა).

– რა კაცი ხარ, ვარლამა, რა კაცი,  
გმირი ხარ, ნამდვილი გმირი.

– ჰოდა, გმირებისა დავლიოთ, ჩემო  
რაფდენ!

(ერთი მოსვლეპით გამოსცალეს  
არაყი მოზრდილი ჭიქებიდან და ახლად  
შეივსეს).

– რას შერება, ვარლამ, შენი ბებერი,  
ხომ არ „გისტუკებს“?

– რა ვიცი, ძმაო, სულ მაგის „მატო-  
რში“ არ მაქვს ხელები? მაინც არაფერი-  
ემშველა.

– რა უნდა ეშველოს, შე კაცო, მაგასაც  
ყოველდღე უნდა ხელეების ფათური...  
(გადაიხარხარეს).

– დავლიოთ, რაფდენ, დავლიოთ, ეს  
იმათ ვენაცვალე, ვისაც ჩემი ხელების  
ფათური ხახიათში მოიყვანს.

– გმირი ხარ, გმირი, ჩემო ვარლამ,  
გმირი ხარ ნამდვილი.

– რაფდენ, აქაური კაცი ხარ, ჭკუა  
გეკითხება, ამომირჩიე ერთ-ერთი.

– მაგარი გოგოა (მითითდა).

– ოხოხო, რაფდენ, კაცური გემო  
გქონია, კაცური!

ვარლამა რწვევარწვევით გაეშურა ფანჯრისკენ. მეძავს ხელი მოჰხვია და სადღაც გაუტყის. „მაგარი გოგო“ ახალგაზრდობას კარგა ხანს დამშვიდობებული უნდა ყოფილიყო. შერუფულ სახეზე შავი ბაღენიბი მოუჩანდა. ფეხზე ძველი ჩექმები ჩამოეცვა. მოკლე და ვიწრო „იუბკიდან“ ქუჩყიანი მუხლისთავეები ამოეჩარა. მოკლედ, დიდ ვერაფერი ჩარა იყო, სამაგიეროდ, გავა პქონდა მადლიანად საესე.

ახოვან ვარლამას შურის თვალი გააყოლეს სხვა მეძავეებმა. მე კი უმალ წარმოიდგინე სადმე, ახლოში, მანქანის ნანილების ნაგავსაყრელზე როგორ დაფარავდა ვარლამას შავი სხეული ქვეშ მოქცეულს, გამაგებელი ხელებით და შესაშური შეუზიზღებლობით როგორ მოუფათურებდა თითებს ამ ვეებერთელა ხორციის გროვას თვით ყველაზე ბინძურ ადგილებში...

რადენა ვერაფრით შეეგუა უამხანაგო სუფრას და ახლა მე ამოშირჩია.

– ვეთაყვანები, ჩემო ძმარ, ახალგაზრდობას.

– გავიმარჯოს, გავიმარჯოს, – მიუჟგე.

– მაგრამ არც მე გვეგონო ხნე (აპრუტუნდა შეზარბომებული)... ვაუმარჯოს სიცოცხლეს და სიცოცხლის ძალას. მე სასმელი და ქალები მაძლევენ ამ ძალას. ძალას მაძლევენ, ძალას...

რადენავე გავიდა სასაუზნიდან. მე კი უნუგემოდ ვფიქრობდი და ვერ კი მომეფიქრებინა, ეს „არახნე“ ვაებატონი რისთვის იყენებდა ამ ღვთიური საგნებისგან მონიჭებულ სიცოცხლის ძალას.

– „პერერიეზე“ ვიკეტებით! – გამოაცხადა ხბოსთვალეზამ.

ბორჯომი ბოლომდე გამოვცალე. ქაბაბს კი ვერ იყო და ვერ მოვულე ბოლო.

გარეთ ისევ ზვატი იფდა. ჩემი ყურადღება ერთმა უსათაურო და უფარვისმა შენობამ მიიპყრო: მთელი ეს მზიარული საზოგადოება საოცრად სერიოზული სახეებითა და ტანსაცმლის სწორებით მიიწეუდა მისკენ. მეც მივაშურე. აბანო აღმოჩნდა, გული გამეხსნა, წყალი მაინც წყალია, მუდმივად სუფთა, ანკარა, თანაც მისწრებია ამ ზვატში – ვფიქრობდი.

შხაპებქვეშ იმდენი მამაკაცი ირეოდა, ლამის მუცლებით ვეგლასუნებოდი ერთმანეთს. ფარატინა კედლის მიღმა ქალები ხორბოცებდნენ.

ამ საბანაო ბუნავს ზოგნი ემატებოდნენ, ზოგნი აკლდებოდნენ. მოულოდნე-

ლად, მიშველმა ქალმა შემოუბნია ჩვენს ოთახში. კაცებმა სიჭარბე შეტყვევებულს უნებურად გამეცინებინა.

ერთხელ ერთმა გოგომ მითხრა, შიშველი მამაკაცები დათევებს ჰგავნართო, მურა დათევებს: ღიპიანები, ბანჯგვლიანები, მკლავებში მოიქცევთ ქალს და დათევებივით აბურდელუნდებით. მერე იბადებიან პატარები და ისინიც ბელებივით დაბურდელუნებენო.

იქნებ მართლაც ვგავდით დათევებს იმ წუთში, განსაკუთრებით ისინი, დიდი ღიპებით გზა რომ გადაუკეტეს ქალს დარიგ-რიგად უტყყაუნებდნენ ტორებს ჩაფარდნილ მკერდზე. ქალის შებერებული სხეული უტკრად აისხიპა, მზრებში გასწორდა. მივხედი, მარტოობა ხშირად უკლავდა გულს და ბევრი რამ დაუგროვდა სათქმელი. უნებურად გამახსენდა ნაცნობი პოლიტიკოსი, კვირიდან კვირამდე რომ აგროვებდა სათქმელს და შემდგომ ნაძალადევად გაახალგაზრდაებული გვთავაზობდა ინტერვიუს ცისფერი ეკრანთან.

სველი ბუნავიდან სწრაფად გამოიძვეერი. დაუნანებლად მივატოვე შებერებული ქალი, სულაც რომ არ ქქონდა სირცხვილის შეგრძნება.

ქუჩაში გამოსულმა შევიგრძენი შიშვილის გრძნობა. სასაუზნეები უნუგემოდ ჩაწუმებულიყვენ. საღაროების უკან, მყუდრო და სუფთა კუთხეში მშიერი ლეკვი ღმურნლიდა ვირთხას. საქმლის სურვილი გამიმძაფრდა.

მზე როგორც კი გადაშორდა შუბისტარს, შეება ვიგრძენი – უკვე შემქმლო შეედგომოდი ჩემს შორეულ გზას. მივდიოდი პირდაპირ, სულ პირდაპირ, ტრასის გასწვრივ. ამიარ-ჩამიარეს რკინის გროვებმა, შემომართქლეს შავი კვაში ბინძური უკანალეებით.

მივადექი უსახურ კვარტალს. დილით, ქალაქისკენ რომ მოვდიოდი ნითელი ავტობუსით, გული მენურებოდა, ვიცოდი, რაც მომქლოდა: კარგა ხნის გამოკეტილი ბინა, დამტვერილი, შპალიერ-გახუნებული, ცარიელი... ახლ კი, მომიხაროდა ლამის. ვიცოდი: მტვერს უყვებ მოულეზბა ბოლოს ბებერი მტვერსასრუტი, შპალიერის გაცრევილობას გააფერმკრთალებდა ღია ფანჯრებიდან შემოსული ზაფხულის საღამოს სურნელი, ხოლო თეთრად ჩაბუდებულ სიციარელეს შეავსებდა ჩემი დაღლილი სუნთქვა.



მხატვრული პირობითობის მძაფრი შეგრძნება, ვითარების უჩვეულობა, უცხოულობა და დილოგური ნყოფის პარადოქსულობა ის ზოგადი ნიშნებია, ახალგაზრდა ქართველმა დრამატურგებმა რომ აითვისეს და კონკრეტულ დროს და გარემოს მიუსადაგეს.

ბესო ხვედელიძის და ბასა ჯანიკაშვილის დრამატურგიული აზროვნება ექსპერიმენტისთვის ნიშნულ სითამამეს და თავისუფლებას ამკვიდრებს. შეიძლება ძიების პროცესში ყოველთვის სასურველი შედეგი ვერ მიიღო, მაგრამ, თუ თამამი ნაბიჯი არ გადადგი, ვერასდროს მიაგნებ იმას, რასაც მთელი არსებით ესწრაფვი. ბესო ხვედელიძე და ბასა ჯანიკაშვილი სწორედ შემოქმედისთვის, ახლის მძივბლისთვის დამახასიათებელ უკომპრომისობას ამჟღავნებენ, შედეგი კი მკითხველმა უნდა განსაჯოს.

ბესო ხვედელიძე

# ანზორი

პიესა

ლიფტს ბოლთის ცემით ორნი ელოდებიან – ფერხორციანი ქალი და მოსული ტანის კაცი ერთნაირი მზის სათვალეებით. ლიფტის კარები ხმაურით იღება. კაცი ქალს უთმობს გზას. მერე თვითონ შედის.

ქაცი: რომელი?

ქალი: მეთორმეტე.

ქაცი: მეც მეთორმეტე...

ქალი: რა საოცარი დამთხვევაა?!

ქაცი: დიახ...

უხერხული სიჩუმე. ლიფტის კარები ღიაა.

ქაცი: ... და საერთოდ, თორმეტი ჩემი საფარელი ციფრია.

ქალი: მე კიდევ თორმეტ რიცხვში ვარ დაბადებული და თან ღამის თორმეტზე.

ქაცი: რა საინტერესოა!

ქალი: დიახ...

ქაცი: თან მთელი ცხოვრება ზემოდან მეთორმეტე სართულზე ვცხოვრობდი.

ქალი: და ახლა:

ქაცი: ახლა ქვემოდან მეთორმეტეზე...

ქალი: დიახ...

უხერხული სიჩუმე. ლიფტის კარები ღიაა.

ქალი: თუ არ მემლება, მაცხოვარსაც თორმეტი მონაფე პყავდა.

ქაცი: ჩვენში დარჩეს და სამჯერ ოთხიც თორმეტია.

ქალი: ათს პლიუს ორიც.

ქაცი: რომელ ათს?

ქალი: ოცდაორისთვის თორმეტის გამოკლებით რომ მიიღება.

ქაცი: დიახ...

უხერხული სიჩუმე. ლიფტის კარები ღიაა.

ქაცი: უკვე არც ის გამოიკვირდება, ახლა ზუსტად თორმეტი რომ იყოს.

ქალი საათზე იხედება და თვალები სიხარულისგან უელავს.

კაცი მაჯას დასცქერის და გაოცებისგან თვალები უფართოვდება.

ქაცი: არ მჯერა!

ქალი: არც მე!

ქაცი: ნუთუ თქვენც „როლექსი“?

ქალი: რალა თქმა უნდა.

ქაცი: იმიტომ, რომ საათი „როლექსი“ ზომ ყოველთვის ყველაზე ზუსტ და შემუშავდარ დროს აჩვენებს დედამინაზე?

ქალი: ... და იმიტომ, რომ ის ყველა პუნქტუალური მოქალაქის უღალატო მეგობარია!

ქალი მეთორმეტე სართულის ღილაკისკენ იშვრს თითს, თუმცა იქვე გველნაკებნივით ნეეს უკან და კაცს ცერად აპყურებს.

ქალი: მე მგონი ნამდვილი ჯენტლმენის გვერდით ვგავარ.

კაცი ამაყად ისწორებს პალტოს საყელოს.

ქაცი: ლიფტით მგზავრობისას ეჭვი მხოლოდ ეჭვიანებს ეპარებათ!

ქალი: მაშინ, იქნებ თქვენ მიგეჭიროათ...

ქაცი: ვერ გავიგე?

ქალი: სამწუხაროდ, მე ზელთათმანები დამრჩა სახლში. შიშველი თითით მიჭერა კი – არაპიგიენურიაო.





**ქაბი:** ვითომ?

**ქალი:** ასე გამოაცხადეს.

კაცი ჯიბიდან მარჯვენა ხელის ხელთათმანს იღებს, იკეთებს და თამამად აჭერს თითს შეთორმეტე ლილაკს. ლიფტის კარები იკეტება. კაბინა იძვრის და უხმაუროდ მიიწევს ზემოთ. კაცსა და ქალს დაძაბული სახეები აქვთ. კაბინა ჩერდება. კარები ხმაურით იღება. ქალი გადის. კაცი უკან მიჰყვება. ორივენი ერთი კარისკენ დგამენ ნაბიჯს.

**ქაბი:** როგორ, თქვენც აქ?

**ქალი:** მე აქ ვცხოვრობ.

**ლიფტის კარები ხმაურით იხურება.**

**ქაბი:** ესე იგი, მე თქვენ გეძებთ.

**ქალი:** მეძებთ?

**ქაბი:** გეძებთ, გეძებთ...

**ქალი:** და რატომ მეძებთ?

**ქაბი:** თუ მენსიერება არ მალაატობს, გარდატეხის ასაკში დაჯიკარგეთ.

**ქალი:** ეგ რანაირად?

**ქაბი:** სანთებელასავით, რომელიც შევიძინე და ისე დაჯიკარგე, რომ ანთება ერთხელაც კი ვერ მოვასწარი.

ქალი სათვალეს იხსნის. კაციც იგივეს აკეთებს. ერთმანეთს გაკვირვებული სახეებით შესცქერაინან. მერე ორივეს ეღიმიება. ქალი ხელს თეთრ ჩანთაში უყოფს.

**ქალი:** იცი, სულ არ შეცვლილხარ.

**ქაბი:** მართლა?

ქალი ჰაერს ღრმად ისუნთქავს.

**ქალი:** კარგი სუნამო გასხია. ალბათ „მენი“, რომელსაც აუტანლად მამაკაცური და სექსუალური სურნელი აქვს. მისი შეძენა ხომ ამერიკული პარფიუმერის ნებისმიერ ჯიბიდან შეგიძლია.

**ქაბი:** ეს ჩემი სუნია.

**ქალი:** უცნაურია... და ადრე რომ არ გქონდა?

**ქაბი:** ადრე ყოველთვის მეტროთი ვმგზავრობდი, ახლა კი...

**ქალი:** ახლა კი პირიქით?

**ქაბი:** შეგიძლია გადაიხედო.

ქალი სადარბაზოდან იყურება.

**ქალი:** რა ცუდია, ავტომობილებში რომ ვერ ვერკვევი.

**ქაბი:** მე კიდევ ადამიანებში.

**ქალი:** ისე, სწორედ ეგეთი ფერის თვალები უქონდა ცხოვრებულ დედაჩემს გათხოვებამდე.

**ქაბი:** ეს კრასლერ ჯიპია. ერთნლიანი - 20 000 კმ გარანტიით, ამერიკული ავტოსინგალიზაციით - „ავიპერ“, დისტა-

ნციური დაქოქებითა და 68 მილიარდი ცვალეზადი კოდით. **ერქვენული**

**ქალი:** საოცარიც ბიზნისიქება

ქალი ჩანთიდან გასალეების ასხმულას იღებს. კარის ღრიჭოებს რიგრიგობით არგებს და კარს აღებს.

**ქაბი:** ასეთს რას მალავ?

**ქალი:** რაც ძალიან ადრე, დაუკითხავად მოგპარე.

**ქაბი:** ეგეთი რაა?

**ქალი:** უშენობაო რომ გითხრა, დაიჯერებ?

**კაცს ეღიმიება.**

**ქაბი:** და შენთან სტუმარი, ალბათ, ყოველთვის ღეთისაა...

**ქალი:** ღეთის სტუმარს ჯიბეში პრეზერვატივი არ უნდა ედოს.

**კაცი:** (მორცხვად) მამ „ბამბანერკა“ ეჭიროს?

ქალი კაცს ხელებზე დასცქერის.

**ქალი:** მე ეგ არ მიგულისხმია...

**ქაბი:** და შენ რა იცი, ჯიბეში რა მაქვს?

**ქალი:** აბა, ამოიტრიალე...

**ქაბი:** მთლად სპილღოს გინდა რომ დავემსგავსო?

**ქალი:** ისედაც არა გიშავს.

**ქაბი:** ეპ, ნეტავ სართულებს შორის გაჭედილიყავით...

**კაცი** ჯიბიდან იის დამჭქნარ კონას იღებს.

ქალს თვალები უფართოვდება.

**ქალი:** (აღფრთოვანებით) ოოო!..

**ქაბი:** მაგ ხმოვნის ნარმოთქმა შენს ტუჩებს ყოველთვის უხდებოდა.

**ქალი:** დღევანდელ ნაყიდს რომ არ ჰგავს?.. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს... შემოდი, რაღას დგაბარ, ოლონდ...

**ქაბი:** ოლონდ?

**ქალი:** მართლაც რომ ოლონდ...

**ქაბი:** მაგ ოლონდში მართლა ჩვეულებრივი ოლონდ ვიგულისხმობთ თუ?..

**ქალი:** შენი ნებაა, ოლონდ მე არ ვიცი, როგორ მიგიღებს ანზორი.

**კაცი** ღია კარში ჩერდება და ქალს თვალს თვალში უყრის.

**ქაბი:** შენ სულ რომ არ გაქვს გათხოვილის გამოხედვა.

**ქალი:** მართალი ხარ... მე ხომ დღემდე ქალიშვილი ვარ...

**ქაბი:** გადასარევი!

**ქალი:** ვერავინ ვნახე, რომელსაც ჩემი ისე შეყვარება შეუძლია, როგორც მე

ცხოვრებული დედაჩემის ნაჩუქარი ჩინური სერვიზის. შემოდი-მეთქი...

**კაცი იის კონას უყურებს.**

**ქატი:** მაშინ, მე ამ კონას, თუ უბერული არ იქნება, ანზორს ვაჩუქებ.

**ქალი:** მე მგონი ზედმეტებში ვარდები!

**ქატი:** ეს ხომ კონა იაა - ნაყიდი ისეთივე მომტკნარი და მოტენილი გამყიდველისგან, როგორიც ჩვენი, ძველი, დანარჯული სიყვარულია.

**ქალი:** ტყუილი ვარჯაა. შენს კითხვაზე „რატომ?“, მე არ გიპასუხებ კლასიკურ „იმიტომ“-ს...

**ქატი:** რატომ?

**ქალი:** უბრალოდ, ანზორს არ უყვარს ყვავილები.

**კაცი (დაბნეული):** მაშინ... მაშინ, შენ გამომართვი.

**ქალი:** მე?

**ქალი:** კაცი კაცს იის კონას ართმევს და მის სურნელს ღრმად ისუნთქავს.

**ქალი:** შენ ყოველთვის გიყვარდა ასანთით დანთებულ ცეცხლთან თამაში...

**კაცი:** (აღტაცებით) ააა, შენ გინდა თქვა, რომ ყვავილები მამრობითი სქესისთვის ძალიან უმნიშვნელოა?

**ქალი:** არა მხოლოდ...

**ქატი:** მაშინ... მაშინ, მე ანზორს სანთებელას ვაჩუქებ.

**კაცი:** ჯიბიდან სანთებელას იღებს და მაღლა სწევს.

**ქატი:** სანთებელა „ზიპო“ ხომ თავსებ-მა წვიმასა და გაუვალ თოვლშიც კი ინთება და არათუ სიგარეტის მოკიდება, მთელი დედამიწის გადანავაც კი შეიძლება.

**ქალი:** სამწუხაროდ, ანზორი მაგ სანთებელასაც ვერ გამოგართმევს.

**კაცს სახე ეცვლება და სანთებელას ჯიბეში იბრუნებს.**

**ქატი:** შენ გულისხმობ - ის იმდენად ბებერია, რომ ხელისკანკალმა სიგარეტის მონვევასაც კი გადააჩეია?

**ქალი:** კმ! ბებერო! - ეგ ხომ ძალიან უხეში და გაუთლელი სიტყვაა?! ჯერ როგორ უღერს... ბე-ბე-რი...

**ქატი:** მაპატიე, მინდოდა მეთქვა - მოხუცი.

**უბერული სიჩუმე. ბინის კარები ღიაა.**

**ქატი:** მაშინ... მაშინ... (კაცი ჯიბეებში ფათურს იწყებს და კალმის-ტარს პოულობს) მე ანზორს... ამ კალმისტარს ვაჩუქებ.

**კაცი კალმისტარს ქალისკენ იჭერს.**

**ქატი:** მუდმივი კალამი, კალმისტარს იისფერი მელნით - დაგეტყუე, რატომ? ბს, რომელთა ხმამაღლა გამოითქმა აქამდე ვერ გაგვიბედათ. გუმინ მაჩუქეს.

**ქალი:** ჯერ ერთი, რომ ნაჩუქარის გაჩუქება არ შეიძლება...

**ქატი:** რა ცუდია, რომ ისევე გამოუსწორებელი ცრუმორწმუნე ხარ.

**ქალი:** სხვა რა გზაა?

**ქატი:** დარწმუნებული ვარ, შავი კატის წინ გადარბენისას, შენი ჯირკვლები აუტანელი ოდენობის ნერწყვს გამოყოფენ...

**ქალი:** და ყველაზე ძალიან მაინც სუფრაზე მარილის დაყრის შემინია.

**ქატი:** და სიზმარში კბილის მოტეხვის?

**ქალი:** ეჰ, აღარაფერი მაქვს მოსატეხი.

**ქატი:** ეგ როგორღა გავიგო?

**ქალი:** ჩემი კბილები ხომ წარსულმა ჩაიბარა. სამაგიეროდ, მე დავეუკავმირდი ქალაქის ცენტრში ახლადგახსნილ სტომატოლოგურ ცენტრს, სადაც გამოცდილმა სპეციალისტებმა ქვედა და ზედა ყბაზე დამიმონტაჟეს კბილები ჩემი გამოცხებით. მე უკვე ნამდვილი, ამერიკული, ფაიფურის კბილები მიდგას ათწლიანი გარანტიით და შეულახავი სითქით.

**კაცი თვალს ეშმაკურად წკურავს.**

**ქატი:** მე კიდევ მეგონა „ბლენდამენდს“ ხმარობდი, რომელიც იცავს კბილებს დილიდან საღამომდე კარიესისგან.

**ქალი:** ჩანთიდან ფოტოალბომს იღებს, შლის და კაცისკენ იჭერს.

**ქალი:** აგერ, გადაათვალიერე. თუ გახსოვს, ადრეულ ფოტოებში მე სულ არ ვილიმბოდი. დღეს კი, ჩემს ღიმილი, ხომ ხედავ - პირველი თოვლია, გაბამებული ზენარია, ახალთახალი „მერსედესია“.

**ქატი:** „მერსედესები“ ყვითლებიც არსებობენ.

**ქალი:** ნუ გაბრიყვდები! ყოველი საგანი ჩვენს გარშემო იმ ფერისაა, რა ფერის თვალებითაც ჩვენ მას ვხედავთ.

**ქატი:** და ეს კალამი?

**ქალი:** სამწუხაროა, რომ ანზორი მაგ შესანიშნავ კალამსაც ვერაფერში გამოიყენებს.

**ქატი:** ეგ უკვე მეტისმეტია!

**ქალი:** მას ხომ ხელებიც კი არ აქვს...

**კაცი:** ... აჰ, შენ გინდა თქვა, რომ...

**კაცი შუბლზე ირტყამს ხელს.**

**ქალი:** სწორედ რომ... ზუსტად!

**კაცი:** ეჰ, ეს ომები და ომები... ზოგს ხელს აკარგვინებს, ზოგს კიდევ სხეულის სულ სხვა ტერიტორიებს. საცოდავს, ალბათ ნევრიც კაი ხნის გასაპარსი ექნება „ვილეთის“ ფირმის სამმაგპირიანი სამართლებლით.

**ქალი:** არა მგონია დაბადებიდან ქოსას ეგ ამბავი როდესმე მაინც პრობლემად ექცეს...

**კაცი ქერს იფხანს და კამნეს იხსნის.**

**კაცი:** ამბობენ, ქოსებს ღმერთზე უფრო, ტყუილი უყვართო.

**ქალი:** თავის ცხოვრებაში ანზორის ხმა არავის გაუგია.

**კაცი თავს დანაწებით აქნევს.**

**კაცი:** ნუთუ ყრუ-მუნჯიცაა, უბედური. ის ხომ ვერასდროს მოატყუებს თავის სამი წლის მხოლოდშობილ ჩვილს – ეს „ცეხოს“ ფირმის ყვითელი ბოტები, რომ გეძინა, თოვლის ბაბუამ მოგიტანა საჩუქრადო.

**ქალი:** რა თქმა უნდა, რადგან ანზორს არც შვილი ჰყავს და ჩემი არ იყოს, არც არასდროს უცხოვრია საპირისპირო სქესის განიერმენჯა წარმომადგენელთან.

**უხერხული სიჩუმე.**

**კაცი:** არ მჯერა, რომ წმინდანებიც შემორჩნენ ამ ცოდეგლ მიწას! ნუთუ გამოჩნდა კაცი, ახალი რწმენის ჩასახვისთვის დიდი ჯვრით რომ აიტანს მთაზე თავს?

**ქალი:** ანზორს არ აქვს ფეხები!

**ქალი და კაცი ერთდროულად იყურებიან ფეხებზე და შემდეგ ბინაში შედიან.**

**კაცი:** ეგეთი რა ომი გადახდა, ცხვირის მოსახოცი და პენალტის დასარტყმელიც რომ არაფერი დაუტოვა უბედურს?

**ქალი:** წარმოიდგინე, ის იმდენად უბრალოა...

**კაცი:** უბრალოებიდან საბრალოებამდე ნახევარი ნაბიჯის ნახევარია!

**ქალი:** იყოს! დაიჯერებ, რომ მას სახლიდანაც კი არასდროს გაუყვია ცხვირი? სამყარო, რომელიც ჩვენში ბნელი ქუჩებითა და მოასფალტებული მაგისტრალებით გადაგამოდის, მისთვის სრულიად უცხოა და მიუღებელია.

**კაცი პალტოს იხდის, საკიდზე აკიდებს და კვლავ ქალისკენ ტრიალდება.**

**კაცი:** მამ, უცოდველი კრავი გყოლია სახლში და ბედნიერებებს უფლებადმიანი ტიც, უკანასკნელიც მოგიტანებთ, სწორედ მაგისტრმა ახელილი თქვენს რაიონში.

**ქალი:** ვინ იცის...

**კაცი:** ეგ არაფერი! მე ანზორს, როგორც დაბადებიდან განუვითარებულსა და ინვალიდს, ქალებში ნაციყვან – ორმოცდაათდოლარიანებში – საუკეთესო ორალური მომსახურება, გრენლანდური საუნა და ტაილანდური მასაჟი მას განუმეორებელ სულიერ კომფორტს შეუქმნის.

**ქალი:** ვეშობ, რომ თქვენი ერთად მოძრაობა აბსურდის ტოლფასი იქნება.

**კაცი ადგილზე ხევედება და აქეთ-იქით იყურება.**

**კაცი:** (წურჩულით) ძებნაში ხომ არაა?

**ქალი:** ანზორს არ შეუძლია ქალების დაკმაყოფილება.

**კაცი ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და გაოფლილ შუბლს იწმენდს.**

**კაცი (სვედიანი ხმით):** იმპოტენცია მართლაც რომ სიკედილზე ვერაგი მტერია. თუმცა, რა უჭირს – ტექნიკურმა პროგრესმა ხომ იმდენად წინ წასწია მედიცინა, რომ დღეს ანზორს ანონიმურად აღუდგენენ ყველა დარღვევას მსოფლიოს ნაირნაირი სექსოპათოლოგიური ცენტრები.

**ქალი:** ეგ იმ შემთხვევაში, როდესაც გაქვს დაბადებიდან ღმერთისგან ბოძებული მამაკაცური მესამე ფეხი.

**კაცი ცხვირსახოცს წურავს.**

**კაცი:** თუ ეგრა, სხვა რა დამრჩენია... შუბლზე ვეამბორები ანზორს და შევეცდები ის სითბო მაინც გავუზიარო, ან ჩვენს ურთიერთობას სუბტროპიკულად რომ დაათბობს.

**ქალი:** ეჰ, რა ცუდია, რომ ანზორს შენი გაცემული სითბოც კი ვერაფერს აგრძნობინებს, რადგან ის სხელიც არქტიკულად ყინულოვანი აქვს.

**უხერხული სიჩუმე.**

**კაცი:** (აღშფოთებული) კი მაგრამ... და ბოლოსდაბოლოს! როგორიცაა და რა-ნაირიც – მივიღებ ისეთს! ან ამიხსენი, რითიღა შეიძლება ანზორმა ხელი შეუშალოს ჩვენს ერთმანეთში ყოფნას?!

**ქალი:** რითი? ანზორის თვალუბში ხომ ჩვენ აუცილებლად ჩვენი პირადი ახალშობილური უმანკობით ავირეკლებით...



**ქატი:** (ყვირილით) მორჩა! გათავდა! მე უკვე ალარაფრის მრცხვენია, არც შეშინია და შენ წარმოიდგინე — მინდა, რომ სწორედ ანზორის თვალეებში წარმოვადგინოთ ერთმანეთის ამკარა და ველური დაუფლები სცენა.

**ქალი:** დაე, გვყავდეს მონმე?

**ქატი:** (აღვზნებული) დაე!

**ქალი:** დაე?

**ქატი:** დაე, იხილოს ანზორმა, თუ როგორ უვსებენ ერთმანეთს გაფლანგული სიყვარულის ღრეჭოებს ყოველმხრივ ჯანმრთელი ადამიანები!

**ქალი:** და შენ გინდა ჩემგან გაიგო, რომ მე ალარაფრის მერიდება?

**ქატი:** (ტკბილად) მინდა!

ქალი კაცს თვალს თვალში უყრის. მერე ტრიალდება და კაცს ზურგით უდგება.

**ქალი:** მაშინ უკან გამიხსენი!

**ქატი:** რა სიმშატიური ღიღებია...

**ქალი:** და მარჯვენა ყურის ბიბილოზეც მომავლე ყველაზე წვეტიანი კბილი.

**ქატი:** (ქშენით) ჩემგან მარჯვნივ თუ შენგან?

**ქალი:** რა მნიშვნელობა აქვს...

**კაცი:** (აღტაცებით) ოკ, მე მინდა ვიყო აქაური ამინდის პროგნოზიორი და გამ-

ოვაცხადო, რომ დღეს ღამით შენი საძილე ოთახის ჰაერის ტემპერატურამ ჩვენი სხეულების ტემპერატურასთან ტოლდება!

ქალი და კბილებს შორის ქალის ყურგაჩრილი კაცი ოთახში არეული ნაბიჯით შედიან. თვალეები ორივეს დახუჭული აქვს.

**ქალი:** ანზორი იმდენად უბრალოა...

**ქატი:** ვიცი...

**ქალი:** ... და უშუალო...

**ქატი:** ვგრძნობ...

**ქალი:** ბარემ გაგეცნო და მერე...

ქალი რაფისკენ იშვერს ხელს.

კბილებში ქალის ყურგაჩრილი კაცი თვალს ახელს და გაშვერილი ხელის მიმართულებით ტრიალდება.

რაფა ცარიელია. კაცი ქალის ყურს კბილებს უშვერს.

**ქატი:** აბა, ანზორი?

ქალი თვალს ახელს და პირიდან სასონარკვეთილი ზავილი აღმოხდება.

**ქალი:** (კვილით) ანზორ!!

ფანჯარა ღიაა. ქარი ფარდებს აფრიალებს. იატაკზე აკვარიუმის ნამსხვრევები ყრია და წყლის გუბე დგას.

იქვე მკვდარი ანზორი გდია.

უხერხული სიჩუმე.

## ფარდა



## ჩვენს ჯოში

პიესა სამ მოქმედაად

მოქმედი პირნი:

სანდრო ძია — ფსიქოლოგი

ნიკო — ლევანის მეუღლე და ქეთის და

ლევანი — ნინოს ქმარი და გიორგის ძმა

ქეთი — გიორგის მეუღლე

გიორგი — ქეთის ქმარი

ლევანიკო — ქეთის და გიორგის შვილი

ნინიკო — ლევანიკოს შეყვარებული

ბაბა შურა — უცხოპლანეტელი

ჯადოქარი

ჯარისკაცი — რომელიც არაფერ შუაშია

აუღელვებელი ახალგაზრდები და პოლიციელები

სცენაზე დგას რამდენიმე ქოხი, სადაც ოჯახებად ნინო და ლევანი, ქეთი, გიორგი და ლევანიკო, სანდრო ძია და ბაბა შურა ცხოვრობენ. შუაგულში შადრევანია, რომელიც არ მუშაობს. იქვე დგას გრძელი სკამი. ავანსცენაზე და სახლების უკან სამანქანო გზა გადის.

### პირველი მოქმედაა

1.

ლევანიკო და ნინიკო ზურგჩანთებით სკოლისკენ მიიჩქარიან. სანდრო ძია პურითა და რძით დატვირთული მაღაზიოდან შინ ბრუნდება. ახალგაზრდებით გატყევილი მანქანა სცენაზე ჩაიქროლებს, მათ პოლიციელები მოხდევენ. ნინოს და ლევანის სახლი. ისინი ოთახში დადიან და ხიზილალას მიირთმევენ.

**ლევანი** — ხიზილალა ქაშე, სასარგებლოა.

**ნიკო** — ლევან, ხიზილალა არ არის სასარგებლო.

**ლევანი** — ცე ვიტამინია.

**ნიკო** — ვინ გითხრა ეგ სისულელე?

**ლევანი** — რაც წითელია და მწავეა, ყველაფერში ცე ვიტამინია.

**ნიკო** — ლევან...

**ლევანი** — რა ვიციაბა, ეტყობა, ხიზილალამ ბევრი ვიტამინი უნდა იყოს. ხიზილალა ისეთი საჭმელია, რომ გეგონება ვიტამინებითაა სავსე. მისი ქაშა ერთი სიამოვნე-

ბაა, ვიტამინები კი მუორე. მე მაინც მგონია, რომ ხიზილალამ ბევრი ვიტამინია.

2.

ბაბა შურას ქოხი. შურა რაციით უცხოპლანეტელებთან კონტაქტზე გასვლას ცდილობს.

**ბაბა შურა** — უფო, უფო, გესმით ჩემი?... უფო, უფო, გესმით ჩემი?... მე ბაბა შურა ვარ, თქვენგან დიდი ხნის წინ მიტოვებული, დავდებული და დაბეჩავეებული. გესმით ჩემი, მიპასუხეთ, „პრიომ“!

რამდენიმეჯერ იმეორებს ერთსა და იმავეს. შიგადაშიგ ბუზებს იგერიებს.

3.

სავარძელში რბილად მოკალათებული ქეთი და გიორგი. ერთმანეთს ჩახუტებულები ტელევიზორს უსხედან და ჩხუბობენ.

**ქეთი** — შენ მე არასდროს გიყვარდი.

**გიორგი** — შენ მე არასდროს გიყვარდი.



**ქათი** – მეტიც, მაშინ, როდესაც ჩემი და გათხოვდა შენს ძმაზე, ის გიყვარდა და მე იმ სიყვარულის ხატორით მომიყვანე ცოლად. ახლაც ის გიყვარს.

**გიორგი** – ახლაც ის გიყვარს.

**ქათი** – ნუ იმეორებ თუთიყუშოვით!

**გიორგი** – შენ, შენ გიყვარდი?.. შენ ჩემი ძმა გიყვარდა. მეც იმიტომ გამოიყვანი ცოლად, რომ ჩემი ძმა გიყვარს. სადისტო! (ტირის)

**ქათი** – (იცინის) სადისტო?

**გიორგი** – ვიცი, როგორ ვერ მიტანს..

**ქათი** – ვიცი, როგორ ვერ მიტანს..

**გიორგი** – ნუ იმეორებ თუთიყუშოვით!

**ქათი** – შენ, შენ მე არასდროს გიყვარდი!

**გიორგი** – (ტელევიზორს სხვა არხზე გადართავს) ეს ფილმი გუშინ დამით აჩვენეს, და ბოლომდე არ მინახავს, დამეძინა.

**ქათი** – რა იციან ამ კინოების ასე გვიან გაშვება?

**გიორგი** – შენ მე არასდროს გიყვარდი.

**ქათი** – მეტიც, ჩემი და ნინო რომ გათხოვდა, ის გიყვარდა და მისი ხატორით, მე მოთხოვე. ახლაც ის გიყვარს!

**გიორგი** – ეს შენ უკვე თქვი.

**ქათი** – მართლა?

**გიორგი** – ახლაც ის გიყვარს...

**ქათი** – თუთიყუშოვით ნუ იმეორებ.

**გიორგი** – შენ, შენ თუ გიყვარდი? მე კი არა, შენ ჩემი ძმა ლევანი გიყვარს და ცოლადაც იმიტომ გამოიყვანი, რომ მასთან ასე უფრო ახლოს იქნებოდი. ახლაც ის გიყვარს... (ტირის)

**ქათი** – მე ვარ სადისტი?.. (იცინის),

**გიორგი** – როგორ ვერ მიტანს, გგონია არ ვიცი?

**ქათი** – ამ ფილმში ყველაზე მეტად ეს მომენტი მიყვარს.

**გიორგი** – მე მგონი ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან ამბებზე ვსაუბრობთ. მე მგონი ჩვენი ცხოვრება ამ კინოზე გაცილებით საინტერესოა.

**ქათი** – მეტიც, ჩემი და ნინო რომ გათხოვდა, ის გიყვარდა და მისი ხატორით, მე მოთხოვე. ახლაც ის გიყვარს!

**გიორგი** – ეს შენ უკვე თქვი.

**ქათი** – მართლა?

**გიორგი** – ახლაც ის გიყვარს...

**ქათი** – თუთიყუშოვით ნუ იმეორებ.

**გიორგი** – შენ, შენ თუ გიყვარდი? მე კი არა, შენ ჩემი ძმა ლევანი გიყვარს და ცოლადაც იმიტომ გამოიყვანი, რომ მასთან ასე უფრო ახლოს იქნებოდი. ახლაც ის გიყვარს... (ტირის)

**ქათი** – მე ვარ სადისტი?.. (იცინის),

**გიორგი** – როგორ ვერ მიტანს, გგონია არ ვიცი?

**ქათი** – ამ ფილმში ყველაზე მეტად ეს მომენტი მიყვარს.

**გიორგი** – მე მგონი ჩვენ ძალიან მნიშვნელოვან ამბებზე ვსაუბრობთ. მე მგონი ჩვენი ცხოვრება ამ კინოზე გაცილებით საინტერესოა.

**ქათი** – მეტიც, ჩემი და ნინო რომ გათხოვდა, ის გიყვარდა და მისი ხატორით, მე მოთხოვე. ახლაც ის გიყვარს!

**გიორგი** – ეს შენ უკვე თქვი.

**ქათი** – მართლა?

**გიორგი** – ახლაც ის გიყვარს...

**ქათი** – თუთიყუშოვით ნუ იმეორებ.

**გიორგი** – შენ, შენ თუ გიყვარდი? მე კი არა, შენ ჩემი ძმა ლევანი გიყვარს და ცოლადაც იმიტომ გამოიყვანი, რომ მასთან ასე უფრო ახლოს იქნებოდი. ახლაც ის გიყვარს... (ტირის)

**ქათი** – მე ვარ სადისტი?.. (იცინის),

**ქათი** – ჩვენი მეზობლები, ჩემი და და შენი ძმა ახლა დადიანდა, ხეზე დადის მიორთმევენ. მათ ძალგანა, უყვართ ხიზილალა.

**გიორგი** – იცი, რაზე საუბრობენ?

4.

**ნინო** და **ლევანი** სახლიდან ჩუმად ეზოში იცქირებიან. შადრევანთან სკოლიდან გამოპარულები შემოდიან – ლევანიკო და ნინიკო. სკამზე სხდებიან.

**ნინო** – მე ვარ ნინო და მე ვარ ლევანის ცოლი.

**ლევანი** – მე ვარ ლევანი და ჩემი ცოლია ნინო.

**ნინო** – თითქოს ჩვენს სიყვარულს ხელს არაფერი უნდა უშლიდეს. შენი შობილები ცოცხლები აღარ არიან, ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს, მაგრამ...

**ლევანი** – ხანდახან იცი რაზე ვფიქრობ?

**ნინო** – მაგრამ... შენ ჩემი ხარ და მეტი არავისი. შენ სხვისი ვერასდროს გახდები!

**ლევანი** – მათ უკვე ერთი შვილი ჰყავთ. ჩვენ კი არცერთი...

**ნინო** – ისინი მთელი ცხოვრება ჩვენ გვბაძავენ.

**ლევანი** – ლევანიკო და ნინიკო... ნახე, ერთმანეთს „სამკუთხედებს“ და კატლეტებს აჭმევენ?

**ნინო** – მთელი ცხოვრება გვბაძავენ...

**ლევანი** – რა ქნან, როგორ მოიქცენ?

**ნინო** – ყველას ჰგონია, რომ ჩვენ ბავშვობიდან გვიყვარს ერთმანეთი...

**ლევანი** – და შემდეგ, როდესაც ვაუზარდეთ, ერთმანეთს პირველად ვაკოცეთ...

5.

ეზოში, შადრევანთან სკამზე ლევანიკო ნინიკოს კოცნის. დიდხანს კოცნის, ხელზე და თმებზე ეფერება, შემდეგ, როდესაც ლევანიკო ნინიკოს კაბის გახდას დაუპირებს, ნინიკო განერიდება.

**ლევანიკო** – მე დღეს შენთვის სკოლიდან კატლეტები მოვიპარე.

**ნინიკო** – ლევანიკო...

**ლევანიკო** – არა, კი არ მოვიპარე, ვიყიდე და შენ მოგიტანე...

**ნინიკო** – მე კიდევ „სამკუთხედები“ ნამოგილე. იცი, რა კარგი ნამცხვარია? შიგნით ჰავიდლო აქვს – ვაშლის.

**ლევანიკო** – მაფლობთ, ვაშლში ბევრი რკინაა.

**ნინიკო** – ვაშლში რკინა როგორ იქნება?

**ლევანიკო** – (იცინის) რკინა? ის რკინა კი არა, რკინა ვიტამინის ჰქვია, ვიტამინი კი ორგანიზმისათვის სასარგებლოა.



**ენიქო** – მე კი მგონია, რომ ამ ნამცხვარში არც რკინაა და არც ვიტამინი. აქ ვაშლის ჯემია და გემრიელია.

**ლევანიო** ნინიოს კოცნის, დიდხანს კოცნის. როდესაც ხელს კაბის ქვეშ შეაცურებს, ნინიო განურიდება.

**ლევანიო** – მე „სამკუთხედს“ ჩავეკბინავ, შენ კატლეტები... აუ, სულ აიზილა ერთმანეთში...

**ენიქო** – არა უშავს, ასე უფრო გემრიელია.

**ლევანიო** – მე „სამკუთხედს“ შევჭამ, შენ, კატლეტი ჭამე...

6. **სანდრო** ძიას ქობი. მასთან სენსზე ბაბა შურაა მისული.

**სანდრო** – რას ხედავთ ამ შავ ნერტილში, ჭერზე მიუთითებს, ეს ფსიქოლოგიური ნერტილია. შეხედეთ იქ... დააკვირდით... რას ხედავთ?

**შურა** – თქვენს სახლში უცხო სხეულია. ის არაა მქვეყნიურია, არაა დამიანია...

**სანდრო** – ვინ არის?

**შურა** – არაა დამიანი, უცხოპლანეტელია.

**სანდრო** – განაგრძეთ, განაგრძეთ...

**შურა** – მიჭირს...

**სანდრო** – ნუ გერიდებათ.

**შურა** – მორიდება რა საკადრისია.

**სანდრო** – მართალია, მამ რატომ მერიდება?

**შურა** – თქვენ გერიდებათ, თუ მე?

**სანდრო** – დავიბენი უკვე. სად ვიყავით გაჩურბული?

**შურა** – შავ ნერტილს უყურებდით.

**სანდრო** – მართალია.

**შურა** – მე ვხედავ შავ ნერტილს. იქ, იქ – თეფშია. პო, მფრინავი თეფში! უფო, უფო!

**სანდრო** – ნურაფერს დამიმალავთ, მე ვცდილობ დაგეხმაროთ.

**შურა** – იცით, მე დედამინაზე დიდი ხნის წინ ჩამოსვეს, მითხრეს ერთ კვირამი გამოგვივლით და ჯერ არ მოსულან.

**სანდრო** – მე რე, ამას რა სჯობია?

**შურა** – რა ექნა, რა ვიღონო, არ ვიცი...

**სანდრო** – როგორ მოგწონთ ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქალაქი, ჩვენი უბანი, საერთოდ – დედამინა?

**შურა** – სიმართლე ვითხრათ?

**სანდრო** – არაფერი არ დამიმალეთ...

**შურა** – იცით...

**სანდრო** – აბა, თამამად...

**შურა** – მერიდება კიდევ...

**სანდრო** – თქვენ აქ იმიტომ მოხვედით, რომ ჩემგან დახმარება, სპეციალისტის რჩევა გჭირდებათ, მხოლოდ ამ შავ ნერტილს თვალი არ მოაცილოთ.

**შურა** – რა ვიცი, აბა...

**სანდრო** – მაშინ შერდები... *შერდები*

**შურა** – მომკლავს... *მომკლავს*

**სანდრო** – თვალი არ მოაცილოთ...

**შურა** – უკაცრავად...

**სანდრო** – ჩვენში კოლოები რომ არ იცის?

**შურა** – ნასვლა მინდა, ჩემს პლანეტაზე მინდა ნასვლა. ყოველ დღე ვუკავშირდები და არავინ მპასუხოებს. ამ ქვენარმავლებიდან ისეთი შიში დამეწყო, რომ არ ვიცი.

**სანდრო** – რისი გეშინიათ?

**შურა** – მეშინია, მეშინია...

**სანდრო** – დამშვიდდით და მითხარით, რისი გეშინიათ, შავ ნერტილს თვალი არ მოაცილოთ.

**შურა** – მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია. მეშინია, მეშინია.

**სანდრო** – ნეიმის მეც მეშინია. სახურავზე კრამიტია აყრილი და წყალი რომ ჩამომივიდეს ამ შავ ნერტილს ნამიშლის.

**შურა** – ვილაც ეზოში რომ შემოვა – მეშინია.

**სანდრო** – აი, მაგალითად... ჩვენს ეზოში რომ შადრევანია, ის რომ ამუშავდეს, არ გეშინიათ?

**შურა** – მეშინია, მეშინია, მეშინია... **სანდრო** – გახდით ჩემი ცოლი!

7. **სალამოა. ნინო და ლევანი ეზოში სეირნობენ**

**ლევანი** – მეორეს მხრივ, ჩვენ ბედნიერი ცოლ-ქმარი ვართ. ჩვენ ერთმანეთი ქორნილამდეც გვიყვარდა და ახლაც გვიყვარს. ამბობენ, რომ ბედნიერება ნამიერია, მაგრამ თურმე არა. ხედავ, რამდენი წელია გრძელდება?

**ენიქო** – ჩვენ სულ ერთსა და იმავე თემაზე ვსაუბრობთ.

**ლევანი** – ჩემი ძმა და შენი და უბედურები არიან. არ ვიცი, რითი შეიძლება დაეხმაროს კაცია...

**ენიქო** – შენ რომ ასეთი მზრუნველი და კეთილი მყავხარ, ამიტომ მიყვარხარ. შენ არაჩვეულებრივი გულის პატრონი ხარ. იყალთოში ახალგაზრდას საფლავია, რომელსაც აწერია – „კეთილი გულის ბიჭი“.

შენს საფლავის ქვასაც ასე დაეწერა – „კეთილი გულის ბიჭი“... რა ნეტარია შენთან გატარებული ყოველი წუთი...

**ენიქო** – შენ რომ ასეთი მზრუნველი და კეთილი მყავხარ, ამიტომ მიყვარხარ. შენ არაჩვეულებრივი გულის პატრონი ხარ. იყალთოში ახალგაზრდას საფლავია, რომელსაც აწერია – „კეთილი გულის ბიჭი“.

შენს საფლავის ქვასაც ასე დაეწერა – „კეთილი გულის ბიჭი“... რა ნეტარია შენთან გატარებული ყოველი წუთი...

**ენიქო** – შენ რომ ასეთი მზრუნველი და კეთილი მყავხარ, ამიტომ მიყვარხარ. შენ არაჩვეულებრივი გულის პატრონი ხარ. იყალთოში ახალგაზრდას საფლავია, რომელსაც აწერია – „კეთილი გულის ბიჭი“.

შენს საფლავის ქვასაც ასე დაეწერა – „კეთილი გულის ბიჭი“... რა ნეტარია შენთან გატარებული ყოველი წუთი...

**ენიქო** – შენ რომ ასეთი მზრუნველი და კეთილი მყავხარ, ამიტომ მიყვარხარ. შენ არაჩვეულებრივი გულის პატრონი ხარ. იყალთოში ახალგაზრდას საფლავია, რომელსაც აწერია – „კეთილი გულის ბიჭი“.

შენს საფლავის ქვასაც ასე დაეწერა – „კეთილი გულის ბიჭი“... რა ნეტარია შენთან გატარებული ყოველი წუთი...

**ენიქო** – შენ რომ ასეთი მზრუნველი და კეთილი მყავხარ, ამიტომ მიყვარხარ. შენ არაჩვეულებრივი გულის პატრონი ხარ. იყალთოში ახალგაზრდას საფლავია, რომელსაც აწერია – „კეთილი გულის ბიჭი“.

შენს საფლავის ქვასაც ასე დაეწერა – „კეთილი გულის ბიჭი“... რა ნეტარია შენთან გატარებული ყოველი წუთი...



**ლევანი** – ნინო, ეს შენი სიტყვები არ უნდა იყოს?..

**ნიკო** – მართალია, ჩემი სიტყვები არ არის, ვილაც პოეტისაა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? პოეტმა ეს მე მითხრა, მე კი შენ გეუბნები.

**ლევანი** – ყველაზე მართალი ახლას იქნება, რომ მე ვიყვანიო. ნინო, ვინ გითხრა ეს სიტყვები?

**ნიკო** – რა მნიშვნელობა აქვს?..

**ლევანი** – ნინო...!

**ნიკო** – ნუ ეჭვიანობ, კეთილი გულის ბიჭო, ნიგნში ამოვიკითხე.

**ლევანი** – ნიგნში?

**ნიკო** – ნიგნში.

**ლევანი** – და ვისთანაც ამოვიკითხე, ისინი ცოცხლები არიან?..

**ნიკო** – სულელო, ახლა პოეტები ასეთ ლექსებს აღარ წერენ.

**ლევანი** – გიხაროდა რომ ვეჭვიანობდი?

**ნიკო** – ძალიან.

**ლევანი** – (პაუზის შემდეგ) ახლას წერენ პოეტები?..

ახლა გზარდებიან დატვირთული მანქანა, რომელსაც პოლიცია მოსდევს, ეზოში ჩაიქროლებს. ლევანი და ნინო სახლში მიიმალევიან.

## 8.

დილა. ლევანიკო და ნინიკო ერთმანეთს შადრევანთან ხედევიან და სკოლისაკენ მიიქარაიან. სანდრო ძია ქობიდან გამოდის და ბაბა შურას ქობის ფანჯრებთან, ყანნით ხელში მუხლებზე დაემხოა.

**სანდრო** – ქალბატონო შურა, ქალბატონო შურა... უფო, ქალბატონო შურა... მფრინავი თეფშები, პოლტერგეისტები და უცხო სხეულები, ქალბატონო შურა... აგენტები... მფრინავი შეუცნობელი ბოივებები... მთელი ღამე გკითხულობდი, ასე ეთქვათ, ვეცნობოდი ლიტერატურას, რაც მოგვეპოვება, ქალბატონო შურა... მე მაპატიეთ... ამ სასმისით მე დიდი დავით აღმაშენებლის სადღეგრძელო მინდა შეესვა. მოდი, გაუმარჯოს იმ დიდ მამულიშვილურ საქმეს, რომელსაც ეს კაცი შეეწირა. როგორც იტყოდა, მუხურტილს შეხედე და იქ იპოვენი არზრუმის კარიბჭესო... შენი ჭირიმე დავით. ყველამ ერთად ფეხზე ადგომით შეესვათ დიდი სადღეგრძელო. ჩვენი პიესის ავტორის სადღეგრძელო. ჩემს ბასას გაუმარჯოს, შენი ჭირიმე ჩემო ბასა, შენ არა, ვინ ვიქნებოდით დღეს ჩვენ. აბა, შენმა ნიჭმა და შრომისმოყვარეობამ, ლაზათიანმა სტუმარ-მასპინძლობამ და კაი სიტყვის თქ-

მამ მოგვატანინა დღევანდელი დღე. შენი ჭირიმე ბასა, შენ გენაცვებოდა და დიდი დავითი იტყოდა უცხო კრებულსა გული ცხრა ძმამ გაიყო, აი, ამას გაუმარჯოს... (სვამს).

**შურა** – ამასობაში ფანჯრიდან იცქირებოდა. ღმერთო, რა კარგი სიტყვები ითქვა?..

**სანდრო** – მე მაპატიეთ, მე მაპატიეთ.

## 9.

ახლა გზარდებს კვლავ პოლიცია მოსდევს. მათი მანქანები ჯერ ქობების უკან მიმავალ გზაზე ჩაიქროლებენ, შემდეგ ეზოში შემოიჭრებიან, შადრევანს ერთ წრეს შემოუვლიან და მიიმალევიან. სანდრო ძია გადის. ნინიკო და ლევანიკო ეზოში შემოიპარებიან, სკამზე სხდებიან და იწყებენ ჭამას.

**ლევანიკო** – ჩემს დედას ქეთი პქეია, მამას კი გიორგი.

**ნიკიკო** – მე კი არ მყავს მშობლები. მე უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე და სულ მშოი. ახალ წელს ჩვენთან ქალაქიდან ცნობილი ხალხი ჩამოდიოდა და სასურერებს გვირიგებდა. მერე, პირველ ივნისს ბავშვთა დაცვის დეე რომ არის, მაშინაც ამოდიოდნენ ქალაქიდან და ამოპქონდათ კამფეტები, სათამაშობები, ფერადი ფლომასტერები, რომ ნახატები გაგვეფურადებინა. კიდევ იცი რა ამოპქონდათ, აბა, თუ მიხვდები?

**ლევანიკო** – გემრიელი კატლეტია, მშმ...

**ნიკიკო** – ვერ მიხვდები. ცოტა მეც დამიტოვე.

**ლევანიკო** – ყველას გვეყოფა.

**ნიკიკო** – ჩვენთან ნანი ბრეგვაძე მოსულა, ვახტანგ კიკაბიძეც, რეზო ლალიძეც ლილინით „თბილისო, შშის და ვარდების მხარეო“...

**ლევანიკო** – რეზო ლალიძეც?

**ნიკიკო** – პო, რეზო ლალიძეც და ნოდარ ახალკაციც, ედუარდ შევარდნაძეც და რაზუმოსკიც. რო ამოდიოდნენ, ყველანი ტიროდნენ. ჩვენ ვიცინოდით, ისინი კი ტიროდნენ. ჩვენ გვიხაროდა, ისინი მინც ტიროდნენ. აი, ასე იიიი-იიიი, იიიი-იიიი, აბა?!

**ლევანიკო** – ამბობენ, რომ თუ ბევრ კატლეტს შეჭამ, დიდი ბიჭი გაიზრდები, ლამაზი, გოგოებს მოეწონები და...

**ნიკიკო** – და?..

**ლევანიკო** – და მერე, ბევრ გოგოს რომ მოეწონები, შენ არცერთი არ მოგეწონება. შენ ის მოგეწონება, ვისაც არ მოსწონხარ.



**ნინიკო** – ვისაც შენ არ მოსწონხარ, კატელტები არ უყვარდა, (გარბის).  
**ლევანი** – სად მიიშინხარ, ჯერ ხომ არ გვიკოცნავია?

10.

ქეთის და გიორგის ქობი. ქეთი, გიორგი, შემდეგ ნინო და ლევანი.

**ქეთი** – ხარია, გააღე კარი.

**გიორგი** – შენთან იქნებიან.

**ქეთი** – გიორგი!

**გიორგი** – ქეთი!

ქეთი კარებს აღებს. შემოდინან ნინო და ლევანი.

**ქეთი** – მოზრძანდით, მაგრამ ასე გაუფრთხილებლად რატომ?..

**ლევანი** – მოგვენატრეთ, მონახულება მოგვინდა.

**ქეთი** – მომიკედეს თავი. „ტარტალეტკები“ მაინც გამომეცხო გიორგი?..

**გიორგი** – ყველაზე შეტად იცი რა მიყვარს? სადმე ქეიფში რომ მიდიხარ და მაყალზე მწვადი რომ იწვება, რომ ელოდები იმ მწვადს და მანამ ხარდს რომ „აგორებ“, აი, ეს მიყვარს.

**ლევანი** – მე იცი რა მიყვარს ჩემო ძმაო?

**გიორგი** – ვიცი.

**უხერხული სიჩუმე.**

**ლევანი** – არა, მე სხვა რამის თქმა მინდოდა.

**ქეთი** – ახლავე „ტარტალეტკებს“ გამოვაცხოვო.

**ნინიკო** – ნუ შენუხდები დაო. ჩვენ მალე წავალთ.

**ქეთი** – მე და გიორგი სიურპრიზს გიმზადებთ.

**გიორგი** – მართლა.

**ლევანი** – მართლა, რას?

**ნინიკო** – ვაიმე რა საინტერესოა? ლევანიკოს და ნინიკოს თავებს ხომ არა?

**ლევანი** – არაჩვეულებრივი საჩუქარია.

**გიორგი** – ხიზილალა მაინც მთავარი სტუმრებს.

**ნინიკო** – არ არის საჭირო, ჩვენ მალე წავალთ.

**ქეთი** – გიორგი მიმტკიცებს, რომ ხიზილალაში ბევრი ვიტამინია. ვაგიგიათ ასეთი რამე?

**გიორგი** – აბა რა, ხიზილალას ჭამა ერთი სიამოვნებაა, ვიტამინებისა კი მეორე. წარმოიდგინე, რკინის ყუთში თავშეკრული ხიზილალას ყვითელი ბურთულები, ისეთი ნაზი და უსუსური... დანის წვერით რომ გაუჭრი გემრიელ სხეულს, რუხ პურზე რომ წაუსვამ და სანამ ჩაკებქაღე, კიდევ ერთხელ დახედავ, ეს

ყველაფერი მოჩვენებაა თუ არა? ყების ინტენსიური მოძრაობები უნდა იყოს ჩვენს სასასად და უნდა შორის მოვიხილოთ... და... ტკაც! შენს პირში ნიზილალას ცე ვიტამინები თავს იხრჩობენ.

**ნინიკო** – რა არაჩვეულებრივია... მეც უნდა გავსინჯო.

**ლევანი** – გუშინ ჩვენი მშობლების გარდაცვალების ხუთი წლისთავი იყო. როგორ დაგავინყდა, ძმაო?

**გიორგი** – ვერ გამახსენე?

**ნინიკო** – მე თუ მკითხავთ, გარდაცვლილი მშობლები გაცილებით საყვარელი და საინტერესო არიან, ვიდრე ცოცხლები. მკვდარი დედ-მამა უფრო გვენატრება, უფრო გვიყვარს, უფრო, უფრო... რალაც... თან, როდესაც ცოცხალი აღარ არის მშობელი, არ იცი, რა რეაქცია ექნება სხვადასხვა ამბებზე. შენც უფრო თავისუფალი ხარ და ამასობაში... არ ვიცი როგორ აგინახათ. რას მომჩერებიხართ? რაიმე ისეთი ვთქვი?

**ლევანი** – ნამოდი ნინო სახლში.

**ნინიკო** – კარგი რა ლევან, რა ვთქვი ისეთი?

**ლევანი** – სახლში დაგელაპარაკები.

**ქეთი** – გიორგიმ ლეჟსების წერა დაიწყო.

**ნინიკო** – მართლა? ნაგვიკითხე?

**ლევანი** – ნამოდი ნინო სახლში!

**ქეთი** – ლევან, იცი რა კარგ ლექსებს წერს შენი ძმა? აი, მაგალითად: რა ნეტარია შენთან ვატარებული ყოველი წუთი... მერე არ მახსოვს.

**უხერხული სიჩუმე.**

**ნინიკო** – ეგ გიორგის სიტყვები არ არის?

**ქეთი** – თავისას გვეტყვის.

**გიორგი** – ქეთიმ იხუმრა.

**ნინიკო** – გი-ო, გი-ო, გი-ო!

**ლევანი** – თქვი ძმაო და ნავიყვან ამ ქალს სახლში!

**გიორგი** – მძიმე პაუზის შემდეგ სკამზე დგება, მარჯალს გაიხდის და საცვლების ამარაა

„ახლა როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუალამე იწვის, დნება. სიო სარკმლით მონაქროლი ველთა ზღაპარს მეუბნება. მთვარით ნაფენს არემარე ვერ იცალებს ვერცხლის საბანს, სიო არბევს და ატოკებს ჩემს სარკმლის წინ იასამანს.“

**ლევანი** – მარჯალი რატომ ჩაინიე?

**გიორგი** – არ უნდა მექნა.

**ლევანი** – მე მგონი არ ღირდა. ლექსი ისე უფრო საინტერესო იქნებოდა.

**გიორგი** – მაშინ კიდევ ერთხელ ნავიკითხავ.

**ნინიკო** – გი-ო, გი-ო, გი-ო!



**ქათი** - მე ვიზუაში, გიორგის მართ-  
ლა დაუნყია ლექსების წერა.

**ბიორბი** - „მთას ვიყავ, მწვერუ-  
ალზედ ვიდეტ თვალთ წინ შეფინა ქვეყა-  
ნა, გულზედ მესვენა მზე - მთვარე, ვლა-  
პარაკობდი...“

**ლევანი** - ღმერთთანა.

**ბიორბი** - ვლაპარაკობდი ღმერთ-  
თანა.

**ქათი** - როდის დაიწყე ლექსების  
წერა?

**ბიორბი** - სულ ახლახან ჩემო ქეთი,  
მუზამ დამკრა თავში რეტი.

11.

**ბაბა შურას ქოხი.**

**შურა** - აი, ახლა ამ სათაგურში ყვე-  
ლის ნამცეცს ჩავდე. აი, ახლა ამ სათაგ-  
ურს, რომელშიც ყველის ნამცეცი ჩავდე,  
თაგვის ხერულთან მივიტან. აი, ახლა ამ  
სათაგურში, რომელშიც ყველის ნამცეცი  
ჩავდე და თაგვის ხერულთან მივიტანე -  
თაგვი შექამს. აი, ახლა ამ სათაგურში,  
რომელშიც ყველის ნამცეცია, თაგვი  
რომ შექამოს აქ დავდე...

**ხერულიდან გამოვარდება უზარმა-  
ზარი ვირთხა, ოთახს გადაჭრის და სხვა  
სოროში მიიშლება.**

**შურა** - ვაიმე, მიშველეთ რაციისთან  
მიირბენს. უფო, უფო, გესმით ჩემი, უფო!  
უფო! მეტი აღარ შემიძლია, ნამიყვანეთ  
აქედან, უფო, ბაბა მურა ვარ, გესმით  
ჩემი, „პრიიმ“.

**შემორბის სანდრო ძია ყანწით ხელში.**

**სანდრო** - მოდი, ამ ჩახუტებას გაუ-  
მარჯოს, ამ გემოვნებიან სტუმართმა-  
სპინძლობასა და მშვენიერ ოჯახს,  
რომლის ყველა წევრი იმ ნერტილს უცქე-  
ერს, საიდანაც მოვიდნენ. ეს შავი  
ნერტილი, ჩემი ნერტილია. ჩვენ ხომ ყვე-  
ლამ ვიცით, რომ ფსიქოლოგი მთავარია  
აქ. შეხედეთ ამ ყანწს, შეხედეთ. რას  
ხედავთ? თქვენ ხედავთ შავ მზეს, თეთრ  
ნოინს და ნითულ ფეხსაცმელებს. ისინი  
მოდიან, მოდიან, მოდიან... კიდე, კიდე  
ხედავთ დიდ ყუთს, რომელშიც...  
ღმერთო...

**შურა** - დანყნარდით, დამშვიდდით.  
გთხოვთ მეტი აღარ დალიოთ.

**სანდრო** - მოდი, „თქვენობით“  
ფორმას თავი დავანებოთ და „შენობი-  
თზე“ გადავიდეთ.

**შურა** - მე დიდი ხანია ამის თქმას  
ვაპირებდი...

**სანდრო** - მაშინ მოდი დიდ სტალინს  
გაუმარჯოს, ტყუილად არ უთქვამს იმ  
კაცს - ენა, მამული და იდეის ერთგულე-  
ბაო. აი, ამას გაუმარჯოს, როგორი სიყვ-

არულითაც მე ამ ოჯახში, **მეხმარე**,  
როგორი მონინებითაც **მეხმარე** მწვერ-  
თქვენი მანდილის წინაშე, როგორ ერთგ-  
ულად და უანგაროდ ემსახურება ქა-  
რთული დედის, გიგი დედის პატიოსნე-  
ბას, ერთად, ფეხზე ადგომით შევსვით  
კაკაბაძეების სადღეგრძელო, გაუმარჯ-  
ოს! (სევამს)

**შურა** - უიმე?..

12.

**სალამო.** შვიძლება ღამეა კიდეც ქეთი  
და გიორგი ეზოში სეირნობენ.

**ბიორბი** - რა კარგი ამინდია, არა,  
ქეთათო?

**ქათი** - რატომ მეძახი ქეთათოს, ხომ  
ვიცი, რომ მაგას ძალით ამბობ?

**ბიორბი** - აბა რა დავიძახო?..

**ცემს, ურტყამს და ისევ ცემს.**  
ქეთი ძირს ეცემა და ტირილს იწყებს.  
**ხმაურზე ნინოს და ლევანის**  
**ფანჯრებში შუქი ინთება.** გიორგი  
სკამზე ჩამოჯდება.

**ბიორბი** - მგონი ლექსი დავწერე,  
ქეთათო.

**ქეთი ტირის.**

- ნაგიკითხო?.. „მთანმინდა ჩაფიქრ-  
ებულა შეპყურებს ცისკრის ვარსკე-  
ლაესა,

მნათობი სხივებს მალლა პფენს  
თავდადებულის საფლავსა“. როგორია?

**ქათი** - (ტირის **მორჩება, ნამოდგე-  
ება**). რატომ არ უთხარი რაც სათქმელი  
გვაქვს? რატომ არ უთხარი, რომ ასე გაგ-  
რძელება აღარ შეგვიძლია, რატომ არ  
უთხარი, რომ ჩვენ ისინი გვიყვარს?

**ბიორბი** - არ დავგიჯერებდნენ...

**ქათი** - სხვა გამოსავალს ვერ ვხე-  
დავ!

**ბიორბი** - ნახე, ქეთი, კიდეც ერთი  
ლექსი დავწერე: „მირბის მიმაფრენს  
უგზო უკვლოდ ჩემი მერანი, უკან მომზხა-  
ვის თვალბედიით შავი კორანი...“ ტირის.

13.

**დილაა. ნინოს და ლევანის ქოხში**  
**დევს ყუთი.**

**ლევანი** - ამ ყუთში რაღაც უნდა  
იყოს. გული ცუდს მიგრძნობს.

**ნინო** - საიდან იცი?

**ლევანი** - ლოგიკურად, როდესაც  
საკუთარ ხაზლში უცნობ ყუთს ხედავ, იქ  
რაღაც უნდა იდოს. ასე არ არის?

**ნინო** - ვნახავ, რა მოგვართვებს ჩვე-  
ნმა მეზობლებმა. ყუთის ხსენის და აშოა-  
ლაგებს ლევანიკოს და ნინიკოს მოჭრილ  
თავეებს. (კივილით). აქ პატარა ლევანი-  
კოს და ნინიკოს თავებია!.



**ლევანი** - ვაიმე!

**ნიკო** - მეც ეგ მაცოცხლებს. შეხე, ლევანიკო და მისი შეყვარებული.

**ლევანი** - კარგად შეამონმე, სხვა იქ არაფერია?

**ნიკო** - უი, ნერილიც ყოფილა. სულ სისხლშია ამოთხერილი.

**ლევანი** - მსმენია, რომ ასეთ დროს ნერილს კითხულობენ ხოლმე.

**ნიკო** - გაგიფიქრო, სხვისი ნერილის ნაქითხვა როგორ შეიძლება?

**ლევანი** - სხვისი რატომ არის, ეს თაველი ჩვენ მოგვართევს. გამოდის, რომ ნერილიც ჩვენია.

**ნიკო** - სიტყვას ვერ გაარჩევს კაცი...

**ლევანი** - მაჩვენე... არაფერი არ ჩანს... თავებს ათვალერებებს.

**ნიკო** - ეს გამოიბო რამ მოაწონა?

**ლევანი** - ნუ განსჯი და არ განისჯები.

**ნიკო** - არა, მე ისე...

**ლევანი** - მეც ისე...

ნიკო თავებს მტერის ჩეარით გადაწმენდს, სერვანტიც აწყობს.

**ნიკო** - აი, ასე...

**ლევანი** - არა, ეგ თავი ქვემოთ ჩადგი, ეს კი ზემოთ დატოვე.

**ნიკო** - ასე?

**ლევანი** - მე მგონი, კარგია.

**ნიკო** - მადროვე... ოთახს ათვალერებებს. ეს სერვანტი რაღაც აქ აღარ მომწონს. სხვა კუთხეში ხომ არ გადავიტანოთ?

**ლევანი** - იყოს...

**ნიკო** - არა, ჯერ ლევანიკოს თავი ცოტა გავასწოროთ. აი, ასე. ახლა მომიხმარე, სერვანტი გადავიტანოთ.

სერვანტი ოთახის სხვა კუთხეში გადააქეთ.

- მე მგონი, აქ უკეთესია.

**ლევანი** - იყოს, რას ჩივი?

14.

ბაბა შურას ქოხი. შურა ტარაკნებს დახდევს.

**შურა** - მოდი აქ, სად გარბიხარ? ფეხით სრესს. აი, ასე! ახლაც იტყვი მემშინიო? შენ, შენ სად გარბიხარ? უჰ, გამასწრო... ეს რა კაცი გავიციანი, ა-ა? რა მამულიშვილი, რა ზრდილობიანი, რა განათლებული, რა ერუდიტებული, რა ლინიერი, რა ჯენტლმენი, რა ვაუკაცი, რა თენიერი. ეს რა სიტყვა-პასუხი ცოდნია. ტარაკანას სრესს. სადა ხართ, დამენახეთ! რა მეცნიერი, შიში რა შიში, სად არის შიში? რა სპეციალისტი? მომარჩინა და ეს არის, ა-ა? სანდრო, შენ გაიხარე, შენა. ვინ იცის, ახლა ჩემი სიყვარულით დამწეარ-

დადაგული სად დაიბარება, რა ღობე-ყორეს ედება, როგორ დნება და ქრება?

**ზინზლირთქან**

15.

ნიკოს და ლევანის ქოხი. ისინი ტელევიზორს უყურებენ. ძვირფასი ქიქებასა და თეფშებს შორის დევს ლევანიკოს და ნიკოს თავები.

**ლევანიკოს თავი** - ესეც ასე...

**ნიკოს თავი** - ესეც ისე...

**ლევანიკოს თავი** - აი, ასე...

**ნიკოს თავი** - აი, ისე...

**ლევანიკოს თავი** - მასწავლებლებს ალბათ ჰგონიათ, რომ „შატალოზე“ ვართ.

**ნიკოს თავი** - მოდი, მაკოცე.

**ლევანიკოს თავი** - ვითომ, კინოში ვართ.

დიხანს კონიან ერთმანეთს **ნიკოს თავი** - რატომ მაინცა და მაინც კინოში, იქნებ ჰგონიათ, რომ სადმე ბალში ვსურნობთ და ეკოცნაობთ?

**ლევანიკოს თავი** - კარგი აზრია!

**ნიკოს თავი** - არც კი გრცხვენია. კოცნის.

**ლევანიკოს თავი** - ცხვირი მეფხანება.

**ნიკოს თავი** - მერე?

**ლევანიკოს თავი** - აბა როგორ?

**ნიკოს თავი** - არ ვიცო... ასე რატომ მიყურებ. ნუ მიყურებ მასე. ხომ გითხარი, სანამ ხელს არ მოვანეროთ, არაფერი არ გამოგვივა-ათქო? ხომ გითხარი?

**ლევანიკოს თავი** - იქნებ გამოგვიფიქვს, შენ საიდან იცი?

**ნიკოს თავი** - არა ლევანიკო, არა! არ შემძლია ასე.

**ლევანიკოს თავი** - რატომ?

**ნიკოს თავი** - დავიღალე უკვე ერთი და იგივეს ლაპარაკით! იმიტომ, რომ სიყვარული სულ სხვაა, იმიტომ, რომ იმიტომ! ხელს რომ მოვანეროთ, მერე ყველაფერი შეიძლება.

**ლევანიკოს თავი** - შენ საიდან იცი?

**ნიკოს თავი** - აბა ისე, ხელის მონერის გარეშე, ჩემები მომკლავენ.

**ლევანიკოს თავი** - ვინ შენები? აბა, დედ-მამა არა მყავსო?

**ნიკოს თავი** - მშობლებიც არაა მთავარი. ჩვენ ჯერ პატარები ვართ, დაქორწინების უფლებას არავინ მოგვცემს.

გამოდიან სერვანტიდან. ლევანიკო მიჰყავს უზოსკენ, სადაც საქორწინო სუფრაა გამწვლილი.

**ლევანიკოს თავი** - არ მოგვცემენ უფლებას და ისე გავაკეთოთ!

**ნინიკოს თავი** - ისე არ შეიძლება, ლევანიკო...

**ლევანიკოს თავი** - ჩვენ უკვე დიდები ვართ, შეიძლება, ჩვენ უკვე დიდები ვართ!

აღმორიდებიან საქორნილო სუფრის თავში. ახალგაზრდებით გაძევილი მანქანა, რომელსაც პოლიციელებით დატვირთული მეორე მანქანა მოსდევს, ეზოს რამდენჯერმე გადაკვეთს, შემდეგ ქორნილს შეამჩნევენ და მანქანებიდან სუფრასთან გადმოინაცვლებენ. ახალგაზრდები და პოლიციელები პირისპირ სხდებიან. როგორც ყოველთვის, ისინი სუფრასთან თვალს არ აცილებენ ერთმანეთს.

ს.

**ქორნილია. მთელი სამეზობლოა დაპატივებული.**

**ლევანიკო** - მამა, დედა, რატომ მომჭერით თავი? იმიტომ ხომ არა, რომ საყურე მიკეთია, იმიტომ ხომ არა, რომ ნინიკო მიყვარს, იმიტომ ხომ არა, რომ მე თქვენი შვილი ვარ, იმიტომ ხომ არა, რომ თქვენ ჩემი მშობლები ხართ?

**გიორგი** - ეს ძალიან საინტერესო კითხვაა ჩემო შვილო, მაგრამ მანამდე, შე მინდა ერთი ლექსი წაგიკითხოთ. უწარადლებას ვითხოვ!

**ქათი** - გეხუმრეთ შვილო. ხომ ხედავ, რომ თქვენი ქორნილია.

**ლევანიკო** - რაა?!

**ნინიკო** - ჩვენი ქორნილია, ლევანიკო.

**ლევანიკო** - კი მაგრამ, გეკითხათ?..

**ნინიკო** - გახსოვს რომ ამბობდი დაქორნილების უფლებას არავინ მოგცემსო, გახსოვს რომ ამბობდი, ჩვენს სიყვარულს ვერავინ გაიგებსო?

**ლევანიკო** - ესე იგი, შენ ქორნილი გინდოდა, არა?

**ქათი** - თუ გინდა შვილო, კარგად დაფიქრდი. ჩვენ არ გადალებთ.

**სანდრო** - აბა, ქართული, ქართული! ნინო საცეკვაოდ გაინვეს ლევანიკოს. ცეკვავენ.

**ნინიკო** - გახსოვს, რომ ამბობდი, მე ვერავინ მიგებსო. გახსოვს, რომ ამბობდი, მარტო ვარო, გახსოვს, რომ ამბობდი, სად არის სამართალიო. გახსოვს, რომ ამბობდი, ამ მთავრობის ასე და ისეუ, გახსოვს, რომ ამბობდი, არჩევნებში არ მივიღებ მონაწილეობასო...

**შურა** - რა კარგი ნყვილია?

**სანდრო** - მართლა მოგნონთ?

**ლევანიკო** - მამა, დედა, რაც არ უნდა მითხრათ, თქვენ, მე და ნინიკოს თავები მოგვეჭერით. კარგი, მე თქვენი შვილი ვარ

და პასუხს არავინ მთავრადედათ. ნინიკოს რას ერჩოდით? რატომ გეყვარებო? ვნეთ ამით ჩვენი თავები? და შენ ამხრ მერე დედა ხარ, შენ კი მამა?

**ცეკვას მორჩებაიან.**

**სანდრო** - ყანით ხელში. ჩემს პრაქტიკაში ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც ქალს და მამაკაცს ერთმანეთი უყვართ. არაერთხელ მინახავს ბედნიერი ნყვილი და ყოველთვის მიჩნდებოდა სურვილი ჩემთან, შინ მიმეყვანა ისინი, დამენვინა ტაბატზე და ჭერზე რომ დიდი შავი ნერტილი მაქვს, იმისთვის ეცქირათ. მოდი, აი, ამ შავ ნერტილს გაუმარჯოს, კაკაბაძეებში რომ არის, იმ შავ ნერტილს გაუმარჯოს, ჩვენს მამა-პაპას რომ უთქვამს: თუ არ იშრომე, არაფერი გამოგივაო. იმ შავ ნერტილს გაუმარჯოს, აგერ, ამ ქუჩაზე რომ შემანევენ ჩაივლის და მანონი, მანონიო, დილით რომ გაგაღვიძებს. გაუმარჯოს! **ყანს გამოცლის.**

**ეზოში შემოვა ჯარისკაცი, რომელიც არაფერ შუაშია. მას თან სათლი შოაქვს კარტოფილი სასესე. კუთხეში ჩამოჯდება, ერთ კარტოფილს ამოიღებს და გათლას დაუნყებს.**

**სანდრო** - როგორ გადის დრო... რამხელა გაიზარდა ჩვენი ლევანიკო... სულ პატარა ლლაპი მახსოვს. ბიჭო, ცოლი რომ მოგყავს, აბა გვაჩვენე პასპორტი?

**ნინიკო** - აბა, ლევანიკო, გვაჩვენე პასპორტი?

**ლევანიკო** - გაჩერდი გოგო, რა გაყვირებს?

**ნინიკო** - რა მოხდა, მერე?

**ლევანიკო** - პასპორტს მოგცემ მე შენი ნამოდი სახლში!

**სანდრო** - აბა, აჩვენე ხალხს პასპორტი? აგერ, ჩვენი ახალგაზრდები და პოლიციელებიც აქ არიან, სანამ დაედევნებიან ერთმანეთს, აჩვენე პასპორტი?

**ლევანიკო დაბნულია. შარელის ელვას შეისწინი.**

**ნინიკო** - ჩაეხუტება. ლევანიკო არ გინდა! სანამ აჩვენებდე, ერთი მათქმევი-ნეთ. მე არ მყავს არც დედა და არც მამა. უფრო სწორად არ მყავდა... როდესაც დავიბადა, დედამ ოცთუთრიან ტომარაში გამახვია და მდინარეში გადამაგდო.

**ლევანიკო** - მაშინ თეთრები არ იყო.

**ნინიკო** - თურმე არ ჩაუძირე, იმიტომ რომ ლმერთს არ ნდომებია ჩემი სიკვდილი. მაშინ ლმერთმა მითხრა, რომ მე რჩეული ვიყავი და არ მომიკლავდა. მას შემდეგ მე ვინამე ლმერთი და... ჰოდა, რომ მიეცურავედი თურმე მდინარეში, ტალღებმა ნაპირზე გამომრიყა, ზუსტად

უპატრონო ბავშვთა სახლის ლობესთან. ეს დაუჯერებელია, ვიცი, მაგრამ ეს ღმერთმა მითხრა. მე უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე. ჩვენთან ბევრი ცნობილი ხალხი ამოდიოდა...

**ახალგაზრდები და პოლიციელები თათავიანთ მანქანებში სხდებიან,**

**პოლიციელები ახალგაზრდებს გაედევნიან.**

**ლევანიძე** – მენ მე მომატყუე...  
**ეკლესიელი** – ეკლესიელი...  
**ეკლესიელი** – ეკლესიელი...  
**ეკლესიელი** – ეკლესიელი...

**ნინიძე** – საჩუქრები ამოჰქონდათ, ბევრი საჩუქარი... პოდა... ახლა რაც გინდა ისა პქენი ლევანიძე...

**მეორე მოქმედება**

მეორე მოქმედება აქვე მთავრდება.

**მესამე მოქმედება**

1.

ლაშა. სანდრო ძია ყანწით ხელში ეზოში სეირნობს. იქვე ჯარისკაცი სათლითა და კარტოფილებით სკამზე ზის და თლის. **სანდრო** – შენც გვითხარი რამე ჯარისკაცო?

**ჯარისკაცი** – ჰა?

**სანდრო** – შემოგვძახე რამე, შენი ქირიმე.

**ჯარისკაცი** – უფროსმა სამზარეულოში გამიშვა. მე მუსიკოსი ვარ, გიტარაზე ვუკრავ, როკ-ჯგუფში. კონცერტები გექონდა და ორი დღით გავენთავისუფლე, ბიძაშვილი მშობიარობს-თქო, მოვიტყუე. კონცერტის ამბავი ტელევიზორმა აჩვენა, დამინახა, დამსაჯა და სამზარეულოში გამომიშვა. კარტოფილებს მათლევინებს, ნახე, რეები გამოვთალე?

**კარტოფილებიდან გამოთლილ ფიგურებს აჩვენებს.**

**სანდრო** – შენ ხელოვანი ყოფილხარ, ჯარისკაცო. აი, ამ შავ ნურტილს თუ ხედავ?

**ჯარისკაცი** – აბა?

**სანდრო** – აი, იქ...

**ჯარისკაცი** – იქ?..

**სანდრო** – ჰო...

**ჯარისკაცი** – მერე?..

**სანდრო** – მე მინდა, იმ ჯარისკაცს გაუმარჯოს, შავი ნურტილის შემხედვარე, კარტოფილს რომ თლის. იმ ჯარისკაცს გაუმარჯოს, აგერ, ჩემს სკამზე რომ ჩამომეჯდარა და არაფერ მუაშია.

**ჯარისკაცი** – ჰოოო...

**სანდრო** – მეც მინდა რაღაც გითხრა, ჯარისკაცო. მეც მაქვს ჩემი სიმაართლე. სულ სხვებს უსმენ და შენ რომ გითხრა რაღაც, რა მოხდება?

**ჯარისკაცი** – ე-ე, ვარსკვლავი ჩამოვარდა.

**სანდრო** – აბა?..

**ჯარისკაცი** – აი, აი...

**სანდრო** – აბა? ა-ა, დაეინახე.

**ჯარისკაცი** – რა ლამაზია...

**სანდრო** – ჰო...

**ჯარისკაცი** – ჰო...

**სანდრო** – მომისმინე რა, მეც მაქვს ჩემი სიმაართლე, რაღაც მათქმევიანეთ. მთელი ცხოვრება შავ ნურტილს უყურებ და უსმენ, უსმენ და უსმენ.

**ჯარისკაცი** – რა მუსიკას უსმენ?

**სანდრო** – ე-უე...

**ჯარისკაცი** – როგორ მუსიკას უსმენ, რა სტილი ვიყვარს?

**სანდრო** – რა ვიცი...

**ჯარისკაცი** – მე კიდევ როკი მიყვარს. აუ, რა მაგარია. მე გიტარისტი ვარ. ჯარში გამიწვიეს და თეფშები ჩამაპარეს. მთავარია არ დაავიანო. ადრე თუ მოგივიდა, არა უშავს. დანით სათლზე ურტყამს ცუმ, ცუმ, ცუმ!

**სანდრო** – ერთი ქალი ჩამივარდა გულში. ძალიან ჩამივარდა. რა ვქნა, რა ვიღონო, აღარ ვიცი.

**ჯარისკაცი** – დალიე.

**სანდრო** – ესვამ!

**ჯარისკაცი** – მაშინ არ ვიცი.

შემოდის გიორგი კალმითა და ფურცლებით ხელში. რითმას ეძებს.

**გიორგი** – ჩვენ ვართ გვარდია. ჩვენ არ მოვითმენ მეტს... შეამჩნევს სანდრო ძიას და ჯარისკაცს. ეს ჯარისკაცი რა მუაშია, სანდრო ძია?

**სანდრო** – ყველანი წარსულიდან მოვდივართ. ღვინო ვათავდა და ვსაუბრობთ.

**გიორგი** – რა პქენი. მოგვარდა თქვენი საქმე?

**სანდრო** – რომელი საქმე?

**გიორგი** – არ ვიცი? ისე გვეითხები.

**სანდრო** – არა.

**გიორგი** – ამ ბოლო დროს ლექსების წერა დავიწყე. ჩემი რძალი ფეხმძიმედაა, იმას მიუძღვენი.



**სანდრო** – პო, პო, აბა გამოუშვი.  
**გიორგი** – ჩვენ ვართ გვარდია, ჩვენ არ მოვითმენთ მეტს. ჩვენ ვართ გვარდია, ჩვენ ვიცავთ ყოველ მეტრს.  
**ჯარისკაცი** – ლექსისთვის მაღლობა.

**სანდრო** – რა პქენი, შენ მოაგვარე შენი ამბები?  
**გიორგი** – რომელი ამბები?  
**სანდრო** – რა ვიცი? მეც ისე გეკითხები.

**შემოდინ ნინო და ლევანი.**  
**ლევანი** – გაიგე ახალი ამბავი? თურმე გიორგის უთქვამს, რომ ხიზილალაში ბევრი ვიტამინიაო. ისინი შვილიშვილს ელოდებიან...

**ნინო** – აღარ შემიძლია, ლევან! რატომ არის ცხოვრება ასე მონყობილი? როცა გვია ადამიანს – შეჭამ, როცა გეძინება – დაიძინებ, როცა დაილღები – დაიხვეწები, როცა მოგბეზრდება – დაიშალები, როცა ბედნიერი ხარ – უბედური ხარ. რატომ არის ასე?

**ლევანი** – ალბათ იმიტომ, რომ ხიზილალაში ბევრი ვიტამინია. გამარჯობა მეზობლებო! ეს ჯარისკაცი ვინ არის?

**ნინო** – მე კი მგონია, რომ მათეთრებელი უკეთესად ათეთრებს თეთრეულს, ვიდრე ლილა.

**გიორგი** – ეს ჯარისკაცი, ჩემი ლევანიკოს და ნინიკოს ქორნილიშიც იყო. მე მგონი, არაფერ შუაშია.

**სანდრო** – მე ვიცი ეგ ვინც არის – ჯარისკაცია.

2.

**ბაბა შურას ქოხი.**

**უფოლაგის ხმა** – შურა, შურა, როგორ გესმის ჩვენი. გვიპასუხე, ჩვენ უფო ვართ, შურა, „პრიომ“!

**შურა** – ვაიმე, რა ექნა ახლა მე? რა ვიღონო? რომ აღარ მინდა ნასვლა, რომ აღარ შემინია ტარაკნების და ვირთხების და მწერების? რომ მიპოვნა იმ კაცმა და მეც რომ ვიპოვნე, რომ მიყვარს, მაგრამ ჯერ რომ არ იცის და რომ გამოვუტყდები, რომ მთხოვოს ხელი და უარს რომ ვერ ვეტყვი, რომ ნამიყვანონ ისევ, რა ექნა მერე?

**უფოლაგის ხმა** – შურა, ვიცით რომ სახლში ხარ. გვიპასუხე: შურა, ჩვენ ყველაფერს ვებედავთ. ახლა თქვენ დიდი გაონაცდელი გვლით და მოვალთ და ნაგიყვანთ, თორემ ვერ გადაურჩები. შურა, გვიპასუხე, „პრიომ“!

**შურა** – ვაიმე, სანდროს უნდა დავუძახო, თორემ... სანდროს რომ მოერევიან და რომ მომიკლავენ, მერე ვინ შეყოლება მე

უბედურს მხსნელი და გადამრჩენელი, ვინ დამლოცავს ყოველ დღიანად, უმან მომართმევს ცხელ საუბრეს და მანქანა დამისხამს ჭუჭყიან თავზე წყალს, ვინ ამოიტანს პურს. ვინ დამისრისავს კოსმოსურ ძუძუებს, ვინ, ვინ თუ არა სანდრო?

3.

**დილა. ეზოში სიმღერ-სიმღერით შემოგორდება ჯადოქრის ფაეტონი, შადრევანს წრეს შემოუვლის და გაჩერდება.**

**ჯადოქარი** – მე ჯადოქარი ვარ. მე ჯადოქარი ვარ! გაიღვიძეთ, გამოფხიზლდით, გამოდით კარში. თქვენთან ჯადოქარი მოვიდა! მე ვახლავართ მსოფლიოში სახელგანთქმული ჯადოქარი. რომელი ქვეყანა არ შემომივლია და არ მინახავს, რა ხალხს არ შევხვედრეივარ, ვყოფილვარ ცხრა მთის იქით და ცხრა ზღვის იქით. ვისაც არ შევხვედრეივარ, ყველანი ამტკიცებდნენ, რომ ჩემისთანა ჯადოქარი არ უნახავთ. ბევრგან შავბნელ ძალად შერაცხული, ბევრგან კი მხსნელად მოვლინებული ჯადოქარი თქვენს ქუჩაზეა. თქვენ კი გძინავთ. თფუ! სულ რამდენიმე თეთრად თქვენ გახდებით არაჩვეულებრივი წარმოდგენის მომხსნრე, რომელსაც თავად ბატონი საოცრება სქვია. სულ რამდენიმე თეთრად თქვენ გახდებით არაჩვეულებრივი წარმოდგენის მომხსნრე, რომელიც არასდროს დაგავინყდებათ. სულ რამდენიმე თეთრად თქვენ ნახავთ წარმოდგენას, რომლის წარმოდგენაც ძნელია...

**ნელ-ნელა ქოხებიდან გამოდიან ქეთი და გიორგი, ლევანიკო და ორსული ნინიკო, ნინო და ლევანი, სანდრო ძია, რომელსაც ხელში დიდი ჯვარი უჭირავს და „თფუი ეშმაკს“ გაიძახის, გამოღის ბაბა შურა და ჯარისკაციც, თუმცა იგი არაფერ შუაშია.**

– ასე რომ, ბატონებო და ქალბატონებო, მეზობლებო და ნათესავებო, კარგებო და ცუდებო, სულელუბო და ტყვიანებო – ჯადოქარი გესტუმრათ! ხელში ჯოხი უჭავია, რომელსაც მოულოდნელად ნაჭრად აქცევს. პოპ!

**სანდროს გარდა ყველანი ტაშს დაუკრავენ.**

**ნინო** – „ფოკუნნიკი“ ყოფილა!  
**ჯადოქარი** – ახლა კი, გთხოვთ გაილოთ მონყალეზა და ვისაც რა საშუალება გაქვთ, აი, ამ ქუდში ჩაყაროთ. გახსოვდეთ, რაც უფრო მეტს გაიმეტებთ, მით მეტს მიიღებთ...

**სანდრო** – თფუი ეშმაკს!  
**ჯადოქარი** – შურა, შენ ის შურა არა ხარ, მფრინავ თუფებებს რომ ეძახდი და

**სანდრო** - თფუი ეშმაკს!

**ჯადოქარი** - შურა, შენ ის შურა არა ხარ, მფრინავ თეფშებს რომ ეძახდი და რომ არ ჩანდნენ და ახლა რომ გამოჩნდნენ და შენ რომ ნასვლა აღარ გინდა, იმიტომ რომ სანდროა თუ ფსიქოლოგი, ის რომ მოგეწონა?

**შურა** - სანდრო, მიშველე.

**სანდრო** - შურას მკერდით გადაეფარება. არ მიეკარო, სატანა!

**ჯადოქარი** - შენ კი, სანდრო ხარ თუ ფსიქოლოგი, რაც შურა გაიცანი, მას შემდეგ სულ სევამ და იმის გეშინია, რომ ნვიმა არ მოვიდეს, ქოხში არ ჩამოვიდეს და ის შავი წერტილი არ წავიშალოს.

**სანდრო** - ჯვრი ხელში განვედრევენგან შორს, ურწმუნო და უშაქნისო, ეშმაკისეულ და ანარქისტო. თფუი ეშმაკს!

**ჯადოქარი** ფაეტონიდან ხმალს ამოიღებს, ნაჭურს გადაფარებს, შემდეგ შობრობს და ხმლის ნაცვლად ბუშტი გაჩნდება. ბუშტს ნინიკოს მიანდის. სანდრო ძიას გარდა, ყველა ტაშს დაუკრავს.

**ქათი** - რისი გეშინია, სანდრო ძია?

**სანდრო** - რა ვიცი, კინოში მინახავს, რომ ჯვარს ანახებენ ხოლმე და მათაც ეშინიათ.

**ჯადოქარი** - შენ, გიორგი, ქეთის მუღლევ, ამ ბოლო დროს მუზა განვალეებს და შენი ძმის ცოლს ყვარობ. შენ კი ქეთისო, სიყვარული გკლავს შენი დის ქმრისა. ახლახან ბიჭს ცოლი მოაყვანიხეთ.

**ქათი** - დედა?! საიდან იცის?..

**ჯადოქარი** - შენ ლევან, ბედნიერი ხარ შენს ცოლთან და ვერ შეგირგია. შენ კი, ნინო მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი არ გიჩნდებათ, მაინც ცდილობთ და არ გამოვდით. გინდათ დაგეხაროთ?

**ნინო** - მინდა, როგორ არა!

**სანდრო** - თფუი ეშმაკს!

**ლევანი** - რას ამბობ გოგო, ნამოდი ახლავე სახლში, ნამოდი სახლში!

**ნინო** - რა ვთქვი ისეთი, ლევან? არ მინდა სახლში, დაურჩეთ რა?

**ჯადოქარი** - შენ კი, უპატრონო ნინიკო, ტყუილებით გატენილო და ეშმაკო, ცბიერო... არაფერი არ გეხება და ახლა ერთბაშად რომ ყველაფერი შეიძინე: დედა, მამა, ქმარი, შვილი და სახლი!

**ნინიკო** - ლევანიკო, მეშინია...

**ჯადოქარი** - შენ, შე უთავო ლევანიკო, მაგ უტვინო თავი რომ მოგაჭრეს და ამ მშვიერ ნინიკოს რომ გაგაყოლეს, თფუი, მართლა ეშმაკს.

**სანდრო** - თვალთმაქცო, თვალთმაქცო!

**ლევანიკო** - დედააა...

**ჯადოქარი** - ვინ გამომჩნა? შეამჩნევს ჯარისკაცს შენ აქ?

**ჯარისკაცი** - მე ვერ ვხედავ შენს კეხს და გთხოვთ ნუ მატკენთ გულს.

**ჯადოქარი** - ეს აქ არ უნდა ყოფილიყო?

**სანდრო** - არის და?

**ჯარისკაცი** - ძალიან გთხოვთ, ნუ მატკენთ გულს.

**ჯადოქარი** - საიდან დაეინყოთ?

**ნინო** - რა, ბატონო?

**ჯადოქარი** - რა და, ყველა თქვენს გასაჭირს ერთი ხელის მოსმით მოვაგვარებ. მხოლოდ რამდენიმე თეთრად.

**ლევანი** - კი ბატონო...

**ფულს ქუდში უყრიან.**

**ქათი** - რა საინტერესოა...

**შურა** - სანდრო, არ დამტოვო...

**სანდრო** - რა უნდა შენა ვითომ, რა, სახურავზე კრამიტს დამიგებ, თუ ნავიყვანო ახლა შევ წერტილთან და მოვაცილო ვინც ბრძანდები?

**ჯადოქარი** - ყველამ გადავიხადოთ. ნარმოდგენა უფასო არ არის.

**ნინიკო** - მე უპატრონო ბავშვთა სახლში გავიზარდე, მე სულ მშობა და ფული არა მაქვს. თუ შეიძლება, ისე გიყურებთ?

**ლევანიკო** - დედა, მეშინია...

**ქათი** - მიდი, ბიჭო ცოლთან!

**ლევანიკო** - დედააა...

**ჯადოქარი** - აბა, საიდან დაეინყოთ? ფულს გიბუში შეინახავს. შემდეგ ქუდში ხელს ჩაყოფს და მელაიას ამოიყვანს. უპ, ბოდიში. ხელახლა ჩაყოფს და ბაჭიას ამოიყვანს.

**დამსწრენი ტაშს დაუკრავენ.**

**სანდრო** - აი, ამ ჯარისკაცით დაეინყოთ!

**ნინო** - ჯერ ქალები და ბავშვები გაგვატარეთ.

**ჯადოქარი** ჯარისკაცთან მიდის და ერთი ხელის მოსმით გააქრობს.

**ჯარისკაცი** - მე რა შუამ...

**ყველანი ტაშს უკრავენ.**

**ჯადოქარი** - ვინ იქნება შემდეგი მოხალისე? ვის უნდა ყველა პრობლემის მოგვარება ერთი ხელის მოსმით?

**სანდრო** ძიას გარდა ყველანი **მე, მე**ს გაიძახიან.

**სანდრო** - მოცვათ, ხალხო, ჯერ გავიგოთ, იმ ჯარისკაცს რა უქნა ამ სატანამ.

**ჯადოქარი** - რიგ-რიგობით...

**ყველანი** „არა ჯერ მე, არა ჯერ მე“ს ყვირიან.

**ჯადოქარი** - ასე მუშაობა მე არ შემიძლია. დანყნარდით და ისე. დამშვიდდით. რიგ-რიგობით. არავინ გამომჩნებთ,



ნუ გეშინიათ. ყველას მოგიწევთ. დამშვიდდით.

**სანდრო** — ხალხო, დაიშალეთ, დაიშალეთ, თორემ ყველას გაგაქრობენ!

**ხმაური იზრდება, ყველას პირველობა უნდა. ჯადოქარი ერთი ხელის მოსმით ყველას აქრობს სანდრო ძიას ვარდა. სიჩუმეა.**

**სანდრო** — ვაიმე!

**ჯადოქარი** — შენ რატომ არ გაქრი?

**სანდრო** — მიხსნა, მიხსნა ჯვარმა.

**ჯადოქარი** — დადე ეგ ჯვარი.

**სანდრო** — არ გინდა, რა? რა გინდა ახლა ჩემგან? იცი, მე ისეთ სადღეგრძელოს დაველე, მოდი, შენ გაგიმარჯოს, შენ საქმეს გაუმარჯოს, ასე ლაზათიანად რომ ასრულებ და ნაკლს რომ ვერ უპოვნი. მოდი, იმ კეთილ დახვედრას გაუმარჯოს, ჩვენ რომ მოგიწევთ. იმ სიყ-

ვარულს, იმ გამარჯვებას და ჩაბრუნებას გაუმარჯოს, დიდი სტალინური მუცელი და — ლეინო თუ არ დალიე, დასმარჯობაო, მოდი, ჩემო ჯადოქარო, შენ გაგიმარჯოს, შენ ოჯახს გაუმარჯოს, შენს ცოლ-შვილსა და მშობლებს, თუ სახეზე გყავს, იმათ გაუმარჯოს, თუ წერილ-შვილის პატრონი ხარ, შენ პატარებს გაუმარჯოს, ჩემო ჯადოქარო... შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, შენ გაიხარე და გამრავლდი. კაი ქართული სუფრის მოყვარული იქნები, კაი ქეიფის და...

**ჯადოქარი გუდა-ნაბადს კრეფს, ფაეტონში ჯდება და მიდის. გამოჩნდებიან ახალგაზრდები მანქანით, რომელთაც სროლა-სროლით პოლიცია მოსდევს. ისინი ეზოს გადაჭრიან და მიიძალუბიან. სანდრო ძია ქოხში შერბის. ისმის მფრინავი ობიექტის ხმა, ის ახლოვდება.**

### დასასრული





## ჯვარსული ფიქრი

ყოველთვის, როცა ვაგა-ფშაველაზე ვფიქრობ, ჩემს წარმოსახვაში უპირველესად მისი ტრაგიკული ზეგარი ამოტივტივდება. მასთან ერთად თვალწინ დამიდგებიან მისი პერსონაჟები, რომლებთა ბედიც ტრაგიკული იყო. ასე მგონია, ვაგაში ალუდა ქეთელაურის სული ბუდობდა და პირიქით – მინდიაში, ლუხუმში, ზვიადაურსა და გოგოთურში, ვაგას გოლიათური ენერჯია ჩაიღვარა. და მაინც, ტრაგიკულ პიროვნებად მესახებიანი ისინი. ვაგა-ფშაველაც ტრაგიკული პიროვნება იყო, როგორც სიცოცხლით, ასევე ნაადრევი სიკვდილით. თუ არა დუხჭირი ცხოვრება, რამაც ფიზიკურად გატეხა, იქნებ XIX საუკუნეში ნიდან ჩვენი ასნლეულის 30-40-იან წლებში გადმოედგა ნაბიჯი და აკაკივით თმადიოვლილს შეგებებოდა ქართველი ხალხი ოპერის თეატრში. მისი ნათელი შუბლი ვერ შეიმოსა აკაკისეული ქალარით. საბედნიეროდ, ოპერის თეატრის კედლებს ახსოვს 1915 წლის 23 მაისი. საიუბილეო საღამოზე პოეტს დაფნის გვირგვინი მიართვეს, რომელზეც ეწერა – „ქართული პოეზიის არწივს“. ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ სულ რაღაც ორიოდე თვე იყო დარჩენილი საბედისწერო აღსასრულამდე, ვინ იფიქრებდა, რომ ორი თვის შემდეგ სამხედრო ლაზარეთში სტოიკურად დასრულდებოდა „მთის არწივის“ სიცოცხლე. ახლა უკვე მეორე, მაგრამ უკანასკნელი და მარადიული დაფნის გვირგვინი არგუნა ბედმა, რომელზეც ეწერა „ვაგა-ფშაველას – ქართველი ერისაგან“.

ვაგა-ფშაველა უნიკალური ფენომენია საქართველოს სულიერ ცხოვრებაში, როგორც შემოქმედებითი, ისე პიროვნული თავისებურებით. ალბათ ამიტომაცაა, რომ იგი მსოფლიო მწერლობაში არავის ჰგავს და პირიქით, მსოფლიო ლიტერატურაში არ მოიძებნება მეორე მწერალი, ვაგას რომ შვადარო. ეს კი ნიშნავს, რომ იგი ბუნების უიმპიათესი მოვლენაა, რომელიც ეროვნული სულის ფესვებზე ამოიზარდა. შეიძლება ითქვას, რომ ვაგას პოეზია საქართველოს მთიანეთის გენიალური ხალხური მუზის პირდაპირი და კლასიკური გაგრძელებაა. აქ იგულისხმება არა მარტო მისი პოეზიის ფორმა – რეპარაცედიანი ხალხური მთარი,

არამედ მოქმედ პირთა გალერეა და მათი ზნეობრივი მრწამსიც.

ჩემში ყოველთვის უარყოფით ემოციებს აღძრავს, როცა კლასიკოსებს ერთმანეთს ადარებენ, რომელი უფრო დიდიაო. პატარა კლასიკოსი არ არსებობს. თვითონ სიტყვა განსაზღვრავს მის მეტრს. ისინი დიონისური კათარზისის ბრძმედში არიან გამონრთობილი, რაც კიდევ უფრო უკეთ გენიოსებზე ითქმის. ვაგა-ფშაველა გენიოსადად დაიბადა და მთელი ენერჯია თავისი ხალხის სულიერ სამსახურს მოახმარა. მან საკუთარ თავს მოკრძალებულად, მაგრამ სამართლიანად, სამშობლოს შემანევეარი კაცი უწოდა.

შორეული მთიანეთის სოფელ ჩარგლის ღარიულ ქოხში დაბადებული პოეტი ყმანვილობაშივე ეზიარა ცივილიზებული ქალაქის ყოფასა და კულტურას. 22 წლის ვაგა პეტერბურგის უნივერსიტეტის თურიდოული ფაკულტეტის თავისუფალი მსმენელი იყო. იქ გატარებულმა ორმა წელიწადმა ვერ აცდუნა, ვერ მონყვიდა მშობლიურ ყოფასა და ცხოვრებას – ხნადე და თესადე, ნადირობდა და ხატობებს ესრებოდა, ხანდახან თავისი ნანერებით სავსე ზურჯინს ცხენს გადაკიდებდა და თბილისსკენ გამოსწევდა.

გერონტი ქიქოძემ შენიშნა, რომ ვაგა-ფშაველას პოეზიაში ცხოვრება სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და ბოროტების დაუსრულებელი ჭიდილითაა წარმოდგენილი. სწორედ, ამ ფონზე განქვრიტა სიკვდილ-სიცოცხლის დიალექტიკა. ვერც ბარათაშვილი, ვერც ილია და აკაკი იტყოდნენ „ღმერთმა გვიშველოს, სიკვდილო, სიცოცხლე შევრობს შენითაო“. ეს ვაგას სათქმელი იყო და თქვა კიდევ. არც ილიასთან და არც აკაკისთან არ ჩანს ესთეტიკური დუალიზმით გათიშული სამყარო. ამ სამყაროს ფიქროდ და მხოლოდ ვაგას ჯვარცმული ემოური დასტრიალებს თავს. სიკვდილ-სიცოცხლის დაუსრულებელი ბრძოლის შედეგი გახდა ვაგა-ფშაველას პოეზიის მაგისტრალური ზაზი. იგი ფშავეური ბილიკბივით დახლართული და მიხვეულ-მოხვეულია, ყველაზე უწინ ვაგამ უწყოდა საიდანაც იწყებოდა და თავებოდა ეს ბილიკბივი. მთიულთა ყოფამ და მთის უმკაცრესმა კლიმატურმა პირობებმა, მისთა წინაპართა თავგადასავალმა უკარნახა, რომ

„პოროტი ზოგჯერ ნაღვის კეთილის მეზობია“.

ვაჭა-ფშაველა ორმოცდაათობმეტი წლისა გარდაიცვალა. ის, რაც ვაეკეთა, სიზიფის ლოდით მიმიეა ერთი კაცისთვის. ყოველივე ამან ათი ტომი შეადგინა. ეს არის შემოქმედებითი შემკვიდრება, ეროვნული კამიტალი, რომელიც ყოველდღიურ მიმოქცევაშია. ეს არის პოეზია, პროზა, დრამატურგია, პუბლიცისტური ნაწერები. ამას უნდა დაეუმატათ საზოგადოებრივი მოღვაწეობა. აღიარებულია, რომ სხვებთან ერთად ვაჭა-ფშაველა ილია ქავეჭავაძის მარჯვენა ხელი იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოღვაწეობაში. „კაი ყმის“ კულტი, რომელიც ვაჭამ თამამად შემოიტანა ქართულ პოეზიაში, სწორედ რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ძალისხმევას უკავშირდება. ეს კი „კაი ყმისაგან“ მოითხოვს სხვათა პიროვნების დაფასებას, საკუთარი ღირსების შეგნებასა და მშობლიური ხალხის სამსახურში ჩაყენებას.

ვაჭა-ფშაველა საქართველოს იმ ისტორიული კუთხის შვილია, რომელსაც არასოდეს უტარებია ბატონყმობის უღელი. ასე იყო XIX საუკუნემდე. ამ უკანასკნელში კი თავისი კორექტივი შეიტანა საქართველოს მთიანეთის ყოფაშიც, მაგრამ ვერ ამოგლიჯა მისი ფესვები. პეტერბურგიდან დაბრუნებულმა ვაჭამ, აღბათ, ამიტომაც შეატყია ზურგი ბარს და მთას მიაშურა, სადაც მტრიალი შელის ნუკრი და დაჭრილი არჩივი, ახალმოთბობი ბაღალი და ანკარა ნყაროები, მზექალები, ქეთელაურები და ზეიდაურები, კვირიები და ლელაები, ლუხუმები და ხომარაულები, ზეზეები და მინდები გუგულებოდა. ეს ყველაფერი ვაჭას სულის ნაწილია და არა ეგ ზოტიკური ჭალერი. ეს ყველაფერი ნაღვი საქართველოა და პოეტის ბრძოლის ასპარეზი საქართველოს თავისუფლებისათვის.

„რა არის თავისუფლება?“ – კითხულობს ვაჭა და თვითონვე პასუხობს:

„თავისუფლებაა ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდობა-მისწრაფებაში. თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელება ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა. თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ და არის დაკავშირებული, სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქერი დამონებულია და დამონებულ ერში, რა თქმა უნდა, პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.“

იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედებზე ლაპარაკს მიმბღინ, არც მანა-

ვლიან, არც მაუბნებენ, არც მამაჩემს უტყვი, არც მამალოებენ?!”

ვაჭას აზრით, ყოველ სიტყვას და მოქმედებას სარწმუნოდ საკუთარი ხალხის ბედნიერება უნდა ედოს. ამ იდეით ცხოვრობდა და იღვწოდა, რადგან აკაკიეთ იცოდა, რომ, თუ არ დაინეი და არ გაანათე, ქვეყანაზე სიბნელე დაისადგურებს.

ვაჭას გენიამ შეძლო ათიოდ სტრიქონში ალეგორიული ფორმით თავისი ეპოქის ეროვნული სატიკიარი გამოეხატა. იგი 1887 წელს დაინერა. ეს ლექსი, ახლა ასი წელი რომ უსრულდება, ყველა ქართველის გულის ფიცარზე წერია:

არწივი ენახე დაჭრილი,  
ყვაეფორნებს ეოშებოდა,  
ენადა ბეჩაფს აფგომა,  
მაგრამ ვეღარა დგებოდა.  
ცალ მზარს მიწაზე მითორეებს,  
გულისპირს სისხლი სცემებოდა.  
ვაჰ, დედას თქვენსა, ყოველი,  
ეულ დროს ჩავიგდათ ხელადა,  
თორი ენახავდი თქვენს ბუმბულს  
გამილის, გაფანტულს ველადა.

„ერთმა უსწაველმა ფშაველმა მითხრა, რომელსაც „ბახტრიონი“ ნაეკითხა, – წერს ვაჭა, – მოსწონებოდა ძალიან და ყველადაგდებით... მეხვეწებოდა... ვაჭავ, თუ ღმერთი გნამს, ნუ დამიმაღავ, სწორედ სთქვი, საქართველოს თავისუფლებას არ გულისხმობ, „ბახტრიონში“ რომ ამბობ: „ელირსებოა ლუხუმსა, ლამარის გორზე მადგომა“... ეს ამბავი სასკოლო ქრესტომათიიდან ლეგენდასავეთ შემორჩა ჩვენს მხესიერებას. საქართველო და მისი უკეთესი შერმისი, ვაჭა-ფშაველა შემოქმედების მთავარი სამხრეეობა, ხოლო „ჯეარცმული ფიქრი“, – თავისუფალი საქართველოს აპოლოგია. მისი პერსონაჟები, ისინიც კი, რომლებიც მითოსური სამყაროდან გამოიყვანა, თავიანთი ყოფითა და ვნებათაღელვით, ფართოდ ავლენენ ეროვნულ ხასიათს.“

ვაჭა-ფშაველა, როგორც ყოველი დიდი მწერალი, თავისი დროის შვილია და მისი ეპოქის შესატყვისი გმირებს ძერწავს, მაგრამ მათი ხასიათები და ცხოვრების პრინციპები ზოგადსაკაცობრიოა. ასეთები არიან „გველის მქამელის“, „ალუდა ქეთელაურის“, „ბახტრიონის“ და „სტუმარ-მასპინძლის“ დადებითი პერსონაჟები. უაღრესად ტრაგიკულნი არიან, ამის მთავარი მიზეზი სხვადასხვა მსოფლმხედველობათა მძაფრი კონფლიქტია. ადამიანში ადამიანურობის იდეა მკვეთრად უპირისპირდება უკეთურ ადვანესებს.



ვაჟას გმირები კონკრეტულ გარემოში მოქმედებენ და კონფლიქტის სათავეც კონკრეტულია, მაგრამ ყველაფერი ეს, თავის რაობით, ძალიან მასშტაბურია. ფაქტობრივად, ეს ყველაფერი მოუნესარიგებელი სამყაროს კონფლიქტებია, რაც ღრმად ფილოსოფიურ ასპექტშია განჭვრეტილი.

მინდია ერთ-ერთი უნიკალური სახეა ჩვენს ეროვნულ მწერლობაში. კიდევ მეტიც, მსგავსი პერსონაჟი არ იცის მსოფლიო ლიტერატურაში. ვაჟა-ფშაველამ ამ გმირში თავის ზნეობრივი იდეალი გამოხატა.

სხვადასხვა მსოფლმხედველობათა კონფლიქტის ფონზე მკითხველი გრძნობს და ხედავს ცხოვრებაში ადამიანის უშაღლეს დანიშნულებას, რაც პიროვნების მოქმედებით გამოიხატა და სიცოცხლის მთავარი აზრია.

თემისა და პიროვნების უმძაფრესი კონფლიქტის გარემოში, მამინაც კი, როცა ტრავიკულად მთავრდება პიროვნების სიცოცხლე, გმირი ანუ მწერლის ზნეობრივი იდეალი ყოველთვის იმარჯვებს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფიზიკურად იღუპება. ვაჟას გმირები უმთავრესად იღუპებიან მაღალი იდეალებისათვის ბრძოლაში. თუ გავითვალისწინებთ იმ სოციალურ გარემოს, როცა ეს შედეგები იქმნებოდა, თვალნათლივ ჩანს, რომ ქართველ ხალხს ქვეყნის ფიზიკური და ზნეობრივი გადარჩენისათვის თავის განწირვა და გმირული სულის კეთება სჭირდებოდა. პოეტის უტყუარმა ტალანტმა მითოლოგიურ და რეალურ სამყაროში აღმოაჩინა ასეთი გმირები და ამით ქართველ ხალხს ხასიათის სიმტკიცისა და ქვეყნისათვის მსხვერპლის გაღების უნიკალური მაგალითი აჩვენა.

რარიტად სჭირდებოდა ვაჟას ეპოქის საქართველოს ლუბუმის დარი გმირები. ეს სახე ხალხის ზნეობრივი განწმენდის სარკე იყო, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მის ეროვნულ გამოფხიზლებაში.

ეპიკური ტილოების თარგზეა მოჭრილი ვაჟა-ფშაველას ლირიკული შედევრები. მარტო „ღამე მთიანი“ რად ღირს. ეს ლექსი 1890 წელს დაიწერა, როცა მისი ავტორი 29 წლის იყო. ამ დროს უკვე დაწერილია „აღუდა ქეთელაური“, „გოგოთურ და აფშინა“, მაგრამ უმთავრესი ისევე წინ არის, ვინ იცის, ნარმოსახებაში იქნებ უკვე იღანდებიან „ბახტრონისა“ და „გველის მჭამელის“ პერსონაჟთა სილუეტები.

ბუნებისა და მისი მოვლენების ფილოსოფიური განცდა მძაფრი პოეტური სახეებით, უშაღლეს საფეხურზეა აყვანილი. ამ ლექსით პოეტმა ბექედი დაუსვა თავის

გენიალურობას. როგორც კრიტიკოსები შენიშნავენ, „ეს არის მრავალფეროვნების ერთპიკის ხანა“. ვაჟა-ფშაველამ ესეთი ექსპრესიის ლექსია, რომელშიც დასურათხატებული ბუნების მოვლენები ცოცხალ ორგანიზმად გვესახება:

ზევი მთას პიონებს, მთა — ხევსა,  
წყალნი — ტყვს, ტყენი — მდინარეთ,  
ჯვავილნი — მიწას და მიწა —  
თავის აღზრდილთა მცენარეთ.  
და მე ზომ ყველას მონა ვარ,  
პირზე ოფლ-გამომდინარედ!

ეს უაღრესად პლასტიკური ლექსი ქართული ლირიკის შედეგია, რომელშიც უნივერსალურადაა გამჟღავნებული ბუნებისა და ნუთისოფლის ორგანული კავშირი.

სიცოცხლისა და ბუნების ლოგიკური კავშირი მათშივე დაგუბებულ წინააღმდეგობათა ფონზე ღრმად ფილოსოფიურ ასპექტშია ნარმოდგენილი, რომელსაც უდიდესი ოსტატის ხელი ატყვია. აზრის ფილოსოფიურ ბუნებას გვირგვინად ადგას და უქრობი შარაქანდედით მოსავეს განუმოკრებელი მეტაფორა, რომლის გარეშე იგი უფერულ რიტორიკად იქცეოდა. უთუოდ საყურადღებოა ლექსის ლოგიკური ნერტილი. ესეც მის პირველქმნილ ტალანტზე მიგვანიშნებს:

ბუნება მბრძანებელია,  
იგე მონაა თავისა,  
ზოგჯერ სიკეთეს იხვევებს,  
ზოგჯერ მქნელია აიხა,  
ერთფერად მტვირთველი არის  
საქმის თეორის და შავისა,  
მანც — კი ლამაზი არის,  
მანც ხიტურფით ჰყავიხა!..

1886 წელსაა დაწერილი ბრწყინვალე ლექსი, რომელიც სულ ათიოდ სტრიქონშია მომწყვედებული. ამ ლექსით „ჯვარცმული ფიქრის“ მტვირთველი პოეტი აღზვევებულია დასახს, კერძოდ, მათ, ვინც იცინიან სხვათა ტირილზე („ერთი იცინის, სხვა ტირის“), პასუხობს:

„მაგრამ გათვებთ, ერთხელაც  
ვინ ახლოს ეგვართ ღმერთთანა“.

ღმერთთან ახლოს დგომა გენიოსთა ანუ რჩეულთა ხვედრია და ეს ბედნიერი ხვედრი წინასწარმეტყველურად განჭვრიტა იმ დროისათვის ჯერ კიდევ საყვებით ახალგაზრდა გენიოსმა. სიმბოლურია, რომ ოცდაე-



ქესი წლით ადრე დაწერა ოცდასამი წლის ილია ჭავჭავაძემ: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. ხოლო იმავე 1886 წელს, როცა ვაჟას „პასუხი“ დაიწერა, აკაკი წერეთელმა გვიანდერძა – ხან მინისა ვარ, ხან ცისაო.

„ღმერთთან ლაპარაკი“ და „ღმერთთან დგომა“ სამი გენიოსის მსოფლგანცდაში ცნაურდება როგორც საკუთის გამარჯვების სანყისი, აქვეა ნაჯულისხმევი ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობა ამ საწყისისათვის. სამივე მწერალმა საკუთარი ცხოვრების წესითა და უკედავი შემოქმედებით დაგვიდასტურა ეს ქვეშარჩება. ვაჟასთან ადამიანურობის უმაღლესი გამოხატულება სამშობლოს ბედნიერებისათვის თავგანწირვა. ამ იდეის ემსახურება ვაჟას პერსონაჟთა ზნობრივი სინამდვილე და ტრაგიკული ტანჯვა, საზოგადოებასთან მათი კონფლიქტიც და მიზნისათვის ღტოლვა.

ერთი კრიტიკოსი წერდა, შექსპირი ყოველ ნაწარმოებში ცალკე სამყაროა, რომელსაც გააჩნია თავისი ღერძი, თავისი მზე, რის გარშემო მოძრაობენ პლანეტები, თანამგზავრებითურთ. ეს სიტყვები ვაჟას ნაწარმოებებსაც უსადაგება, „აღუდა ქეთულურსაც“, „გველის მჭამელსაც“ და „ბახტრიონსაც“ საკუთარი სიერე აქვთ. ალბათ, ეს პქონდა მხედველობაში გერონტი ქიქოძეს, როცა წერდა, ვაჟას პოეზიში ცხოვრებისა და სამყაროს, სინათლისა და სიბნელის დაუსრულებელი ბრძოლა კოსმოური ხასიათისააო.

როცა ვაჟა-ფშაველას პოეზიაზე ვლაპარაკობ, ჩვენს ცნობიერებაში უმაღლ ამოტივტივებიან უნიკალური მეტაფორები, რომლის მსგავსი არც ვაჟამდე და არც მის შემდგომ არ იცის ქართულმა პოეზიამ. მეტაფორა ვაჟას შემოქმედებაში ეს-თეტიკური განცდის მთავარი არტერიაა.

„გადმობრილიყვნენ მთანიცა, ხელ-პირს იბანდნენ წყალზედა“, „სოფლის თავს სძინავს შავ ნისლსა, დაფიჭრებულის სახითა“, „ნისლი ფიქრია მთებისა, იმით კაცობის გვირგვინი“, „რამ შემქმნა ადამიანად, რატომ არ მოველ ნეიმად...“ „ნეტავინ ხელით შემზხო, მერ რ ვარდი გაქვს მკერდშია“, „აღლემ დაიხურა პირბადე, მთებმა დახუჭეს თვალები“, „გმირთა სამარეს, როგორც ხატს, სამთხვევლად დაეღირები“, „ბნელს ხეზე მიჰყვფს მდინარი გულამღერეული ჯარისითა“. ამ და სხვა უნიკალური მეტაფორებისა თუ სახეების პირველქმნილობა განაპირობა გამოხატვის უნიკერსალურობამ.

თუ არა ვაჟა-ფშაველას გენიალური პოეზია, იგი პროზაული ქმნილებებითაც

მტკიცედ დაიმკვიდრებდა ავტენსი, ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მწერალმა მალალმხატვრულად დაწინააღმდეგა ლთა ყოფის კოლორიტული სურათები.

მდიდარია ვაჟას ხალხური და სალიტერატურო ენა. ისიც აღიარებულია, რომ ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფორმირებას ილიასთან და აკაკისთან ერთად ვაჟამაც დასდო ღვანლი. ვაჟა-ფშაველას ენა მძაფრი განცდის, შეხლა-შემოხლისა და ენებთაღლეუის საგანი გახდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაიწერა აკაკის ცნობილი ლექსი „ენას ვინუნებ, ფშაველო“. ეს არის 1913 წელი. ამ დროს ვაჟა-ფშაველა შემოქმედებით ზენიტში იმყოფება, შექმნილია მისი პროზაული შედეგები, რომელიც დახვენილი ლიტერატურული ქართულით არის დაწერილი. იგივე ითქმის ზოგიერთ ლირიკულ ლექსსა თუ პოემების ცალკეულ ადგილებზე. ამიტომაც ვარაუდობენ, რომ აკაკის ვაჟასთვის ენა არ დაუნუნებია. თამაზ ჭილაძე წერს: „შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ორ დიდ პოეტს სალიტერატურო ენის თაობაზე კი არ პქონდათ დავა, არამედ სალიტერატურო პოზიციის გამო“...

დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა ნეგატიური შეხედულებანი ვაჟა-ფშაველას ენის, სტილისა თუ ინტელექტის თაობაზე. დრომ თავისი ადგილი მიუჩინა გენიოსის ნააზრევს.

ვაჟას პერსონაჟთა ფილტვები ფშაველურეთის პაერით არის გაყენთილი, ხოლო ენა უძველესი საკრალური ტანგბადით. ამიტომაც მისი კრიტიკოსები თვლიდნენ, რომ მოზღვავებული დიალექტიზმები ვერ დაიმკვიდრებდნენ ფუძეს სალიტერატურო ქართულის გვერდით. „გაუარყვანლის ენის მოსაუბრე“ პოეტი გულისტკივილით წერდა 1901 წელს, რომ შემოტანა მრავლის ფორმებისა, თუკი სადმე მოგვეპოვება, კაი ნიშნის მგონიაო: „თქვენს უპირჩილეს მონას, ამ ნურილის აეტორს, ზმირად გამოგონია ზოგიერთის ჩვენის მწერლისაგან სამადურავი – დაძველებული, უვარგისი ფორმები ნუ შემოგვაქვს მწერლობაშიო. რაც დაძველდა, აღარ ვარგა, ის უნდა გაეიტანათ და სანაგვეზედ დაეაგდოთ. ყველას თავისი გემოვნება აქვს, საკუთარი ფიქრი და აზრი და მუც ჩემი, რასაკვირველია. ამისთანა სამდურავი, რა თქმა უნდა, უმეცრების ბრალია და ხომ მოგეხსენებათ, უმეცრებასა ავით თამამი არა იქნება რა. არა მგონია შეეღერებოდეს ერთი სავანი მეორეს ისე, როგორც მდინარი და ენა. რითი პკავს ენა მდინარეს? იმითი, რომ რაც ერთხელ მდინარეს გემო და თვისება მიუღია, თუ ხელოვნულად არ მოსტაცე, არ ნაართვი, იგი

თავისთავად არასოდეს არ დაჰქარავს, მიმდინარეობს იმ წამით ამ წამამდე დაუდგრომლად, მისი შეჩერება, დაგუბება, ცოტა ხნობით თუ შეიძლება, ხოლო საშუადაში კი არასოდეს?...

ამ სტრუქტურებიდან ჩანს, რომ ვაჟა-ფშაველა გულგრილი არ იყო სალიტერატურო ენის მიმართ. შე ამ ჩემი ენით მომწონს თავიო, უთქვამს დავით კლდიაშვილისათვის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს დღეს უკვე აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ ეს მისი შემოქმედებითი პოზიცია იყო და უკომპრომისოდ ამტკიცებდა სალიტერატურო ენის განვითარებისათვის მის აუცილებლობას. „ვაჟას მიერ ქართული მითოსისა და ძველ ქართულთან დაკავშირებული ცოცხალი დიალექტიკის გამოყენება უდიდეს სიძვირფასედ, გენიალური ინტუიციის მიგნებად უნდა გამოჩენილიყო მთლიანი, მტკიცე და ინტეგრირებული ქართული ენისა და ლიტერატურის ფონზე. მხოლოდ XIX საუკუნის საქართველოში იყო მოსალოდნელი მისი ვერგაგება და უკუგება, იმ საქართველოში, რომელიც არსებითად ეთნოგრაფიული კუთხეების ჯამს წარმოადგენდა, როგორც ეროვნულად, ისე ლიტერატურულად“ (თ. ჩხეკელი). სამწუხაროდ, ნეგატიური აზრი, გენიალური შემოქმედის ენობრივი პოზიციის შესახებ, ინერციით ჩვენს საუკუნეშიც გადაოვიდა და ისეთი ადამიანებიც მოიცვა, რომლებმაც თავიანთი ნათელი კვალი დატოვეს ქართული კულტურის ისტორიაში, თვით ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი მემკვიდრეობის კვლევაშიც კი.

ფიქრობდნენ, რომ ვაჟას არაფერი გაუგებოდა არც ჩვენი უტილიტარიზმისა, არც ჩვენი რაციონალიზმისა... არ ჰგავდა არც პიუგოს, არც ლამარტინს, არც ნოვალისს, არც ჰაინეს, არავის ჰგავდა ამ ქვეყანაზე. არავითარ სკოლას არ ეკუთვნოდა: თვით ჩვენ მწერლებთან არაფერი აკავშირებდა, გარდა მოკძალებისა ან წინააღმდეგობებისა, ლიტერატურული ტრადიციების გარეშე იდგა: გაუტკეპნავი გზით დადიოდა და უცნაურ მხატვრულ ენას ხმარობდა,

როგორც ვერ არავის უხმარია ქართულ ლიტერატურაშიო. **ერქენულაქ**

ის აზრი, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გარდა არაფერი აკავშირებდა ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთან, დიდი ხანია უკუგდებულა, ხოლო არავის რომ არ გავდა, ეს მის ინდივიდუალურობასა და გენიოსური ბუნების შეუდარებელი ილუსტრაციაა. თვითონაც აღიარებდა შოთა რუსთაველის და დავით გურამიშვილის, ამ ორი დიდი წინამორბედის კეთილმყოფელ გავლენას და თავისთავს მათი ტრადიციების გამგრძელებლად თვლიდა. ეს იყო პოეტის გენიალური ინტუიცია, რომელმაც შეუცდომლად განჭერიტა მთის ხალხური პოეზიის მითოსური რეალობა და მისი მისტერიული ენის სიდიადე. განჭერიტა და მათი განუმეორებელი მშვენიერება მსოფლმხედველობრივი ასპექტით დალდასმულ პოეზიის პირველქმნილი ნიმუშებით დაგვიდასტურა.

ეს იყო მისი შემოქმედების მას-აზრდობედი წყარო, რომელშიც გამოჩენილი მეცნიერი არნოდ ჩიქობავა ორ ნაკადს გამოყოფს: ერთია ცოცხალი-ხალხური მეტყველება და მეორე – სალიტერატურო ქართულის მრავალსაუკუნოვანი განვითარების პროცესში მიღწეული სიმდიდრე და დახვეწილობა ქართული ენისა.

ვაჟა-ფშაველა ილიასთან და აკაკისთან ერთად არა მარტო ახალი ქართული სალიტერატურო ენის ფუძემდებელი იყო, არამედ მისი კონსტიტუციური უფლებების თავდაუზოგავი დამცველიც. იგი დაუცხრომლად ლაღდებდა ენის სულისა და გულის შეგნებას. მან იგი უხვად ჩაღვარა ქართველი კაცის სულში და არც არასოდეს დაიმრიტება. „ივერიის“ რედაქტორმა ილია ჭავჭავაძემ ვაჟას პოემა რომ წაიკითხა პირველად, თქვა: არა, ჩვენ ძველებმა ახლა კალამი უნდა ძირს დავსდოთ! გზა ვაჟას დაუთმოთო.

გამოჩენილი ადამიანები ყოველთვის აღტაცებით ხედებიან გენიოსის გამობრწყინებას.

## მიხაკო ნარიტლის „პოლონეთის განთავისუფლება და ეროვნულობის პრინციპი ოთხთა კავშირსა და ანტიანტანტთან“

ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები პირველ მსოფლიო ომს მცირე ერების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შანსად განიხილავდნენ. ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის“ თავმჯდომარე – პეტრე სურგულაძე დაახლოებით ასე მსჯელობდა ისტორიის მანძილზე ერთაშორისი ურთიერთობა გამუდმებულ ცვალებადობას ექვემდებარება. ძველ დროში ბერძენთა და რომაელთათვის ყოველი არა ბერძენი და არა რომაელი – ბარბაროსი და ამდენად ყოველივე ადამიანურ უფლებას მოკლებული იყო, ამიტომაც მასთან ურთიერთობა გამუდმებულ ომში გამოიხატებოდა. თავდაპირველად დამარცხებულებს ხოცავდნენ, შემდეგ კი ტყვედ მიჰყავდათ. ამგვარი დამოკიდებულება თანდათან შეიცვალა და უკვე მეთორმეტე საუკუნის მიწურულში საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწეებმა თიორიულად აღიარეს ერთა უფლებები. იგი კარნოს<sup>1</sup> აზრს იმონებებს, რომელიც ამბობდა: „ჩვენი ფრანგები არ ვცნობთ სხვა სუვერენს, უმაღლეს ძალას ვარდა ერისა. ჩვენი სისტემა ბატონობის სისტემა კი არაა, არამედ ძმობისა“. რასაკვირველია, განაგრძობს ავტორი, ამ იდეას არც საფრანგეთისა და არც სხვა ქვეყნებისათვის დაუშლია სხვა ერების დამონება, მათი დაჩაგვრა და ექსპლოატაცია, მაგრამ ერთხელ დაბადებულმა იდეამ გაბატონებულთა თუ არა, დამონებულ ერთა გულებში მაინც გაიკაფა გზა. მეცხრამეტე საუკუნე დანაწევრებულ ერთა შეერთებისა და დამორჩილებულთა განთავისუფლების მონივრებად. განთავისუფლდა საბერძნეთი, რუმინეთი, სერბეთი, ბულგარეთი, ნორილ სახელმწიფოებად დაწინაურებული იტალია სარდინიის სამეფოს წინამძღოლობით ერთ დიდ ეროვნულ სახელმწიფოში გაერთიანდა. გაერთიანდა გერმანია, ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა ნორვეგია, თითქმის

სრულყოფილი სახელმწიფოებრივი სახე მიიღო უნგრეთიც. ისინი კი, რომელთაც სრული განთავისუფლება ვერ მოახერხეს; გაბატონებულ სახელმწიფოთა ფარგლებში განაგრძობენ ბრძოლას და თანდათან იძენენ ეროვნულ უფლებებს. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეროვნულობა დადებით მოქმედებს, სოციალურ სინამდვილედ წარმოიქმნება. „დღევანდელმა საკაცობრიო ომმა ეროვნული საკითხი ძველ დროსთან შედარებით უფრო მკაფიოდ და ცხადად წამოაყენა. ორივე მებრძოლი მხარე ცდილობს თავის თავის მოპირდაპირე ბანაკში გაამხვევოს და მონებულნი ერთი, დაებმაროს მას ბრძოლისათვის და ამით მტერი შეასუსტოს. ამ საერთო მიდრეკილებას შედეგად მოჰყვა ეროვნულ პრინციპის საერთოდ აღიარება. ტიტველი დაპყრობის უფლება, რომელიც წინდებდა სრულიად საკმარისი იყო, დღეს აღარაქვს აქტუალურს. თვით გაბატონებულ ერთა ნიაღში ისეთი საზოგადოებრივი ჯგუფები ჩნდებიან, რომლებიც ტლანქ ბატონობას აშკარა უსამართლობად აღიარებენ. ამ გვარად აშკარად, რეალური სახით წარმოგვა ეროვნული თავისუფლების პრინციპი, რომლის ძალით ყოველივე ერთ უნდა მიენიჭოს უფლება თვითონ გადასწყვიტოს თავისი ბედი.“ (კურსივი ჩვენია – დპ.). მართალია, ავტორის აზრით პრინციპსა და სინამდვილეს შორის დიდი მანძილია, მაგრამ საზოგადოებაში ღრმა ცვლილება მოხდა ჩაგრულთა სასარგებლოდ. ამავე დროს გლობალურ პოლიტიკაში დღის წესრიგში ერთა საზოგადოების შექმნა დადგა, ე.ი. ისეთი დამოუკიდებულებისა სახელმწიფოთა შორის, რომელიც ყოველნაირად ეცდება ხელი შეუშალოს ომებს, შეამციროს სამხედრო სამზადისი, შეარაღება და უბრალოდ ძალის ბატონობა. ასეთია საერთო საზოგა-

<sup>1</sup> ლაზარ ნიკოლა კარნი (1753-1823) ფრანგი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე.

დოებრივი პირობები დღეს და ამ გარემოებას ჩვენ, ქართველებმა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთო.<sup>2</sup>

საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქართველი მოღვაწეთა წინაშე საესებით პრაგმატული ამოცანა დაისვა. პირველი მსოფლიო ომის ვითარებაში მათ არჩევანი უნდა გაეკეთებინათ და რომელსავე მხარეს მიმხრობოდნენ, რათა ომის დამთავრების შემდეგ, ანდა მისი მსვლელობის დროს, ვისავე მხარდაჭერით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა საერთაშორისო სამართლის განხილვის საგანი და აღიარებული ფაქტი გამხდარიყო. ამ ბრძოლაში, ბუნებრივია, რუსეთი მოკავშირედ ვერ გამოდგებოდა, ვინაიდან ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა მხოლოდ რუსეთის ბატონობიდან განთავისუფლების შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი. თურქეთი – ქართული სახელმწიფოებრიობის ოდინდელი მოწინააღმდეგე და მტერი – ამ ბრძოლაში ვერ შეასრულებდა გარანტიის როლს. ბუნებრივია, რომ ქართველი მოღვაწენი თურქეთს დანაპირებს უნდობლობით შესცქეროდნენ, მაგრამ ცხადი იყო, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა მხოლოდ რუსეთისა და თურქეთის შორის არსებული დაპირისპირების გონივრული გამოყენების ფონზე შეიძლებოდა აღმოცენებულიყო. თავისთავად ცხადი იყო ისიც, რომ ამ ორ უზარმაზარ მეზობლს შორის მოქცეული საქართველო საკუთარი ძალების ამარად ვერ მოახერხებდა თავისი პიროვნული უფლებების დაცვას. იბადებოდა კითხვა – თუ ვინ შეიძლება ყოფილიყო საქართველოს ისეთი მოკავშირე, რომელიც შესაძლებდა გაეღწის მოხდენას, ერთის მხრივ, რუსეთზე და მეორეს მხრივ თურქეთზე და რომლის ინტერესებში, ამავე დროს, საქართველოში სახელმწიფოებრიობის არსებობა იქნებოდა? საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი პოლიტიკოსთა ვჯვრება არჩევანი გერმანიაზე შეაჩერა და აქტიური მუშაობა გააჩაღა ამ მიმართულებით

როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში. საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის უმთავრესი ამოცანა კი თვით გერმანიის პოლიტიკური წრეების დარწმუნება გახლდათ საქართველოს დამოუკიდებლობის მართებულობასა და გერმანიისათვის ამ გარემოების სარგებლობაში. დიდმა ქართველმა მეცნიერმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ მიხეილ (მიხაკო) ნერეთელმა მთელი თავისი ენერჯია ამ საქმეს შეაღწა.<sup>3</sup> იგი, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის მმართველი წრეების მცირე ერების დამოუკიდებლობის მხარდაჭერის პოლიტიკის მორალურსა და აქედან გამომდინარე პოლიტიკურ სარგებელში დარწმუნებას ცდილობდა.

გერმანიის მაშინდელი ე.წ. „განაპირა სახელმწიფოების პოლიტიკა“ ერთგვაროვანი არ გახლდათ. ამჟამად ჩანს განსხვავებული დამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყნებისადმი. განსხვავებული იყო პოლონეთისა და ფინეთის<sup>4</sup> და სულ სხვა რუმინეთისა და ბალკანეთის შემთხვევები. უკრაინაში, შეიძლება ითქვას გერმანელებმა ამ ორი მიდგომის შუალედური ვარიანტი გამოიყენეს.<sup>5</sup> მიხაკო ნერეთელმა და „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის“ სხვა წევრებმა ცდა არ დააკლეს თავიანთი მიზნის განხორციელებას, ანუ საზოგადოებრივი აზრის მომწიფებას გერმანიაში იმ მიმართულებით, რომ საქართველოსთან მიმართებაში განხორციელებული ყოფილიყო ე.წ. პოლონეთისა და ფინეთის მოდელები.<sup>6</sup>

1917 წ. ბერნში, გოტფრიდ იზელის სტამბაში იბეჭდებოდა მ. ნერეთლის უაღრესად მნიშვნელოვანი, შეიძლება თამამად ითქვას, „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტის“ საპროგრამო ნაშრომი – „პოლონეთის განთავისუფლება და ეროვნულობის პრინციპი ოთხთა კავშირსა და ანტანტასთან“.<sup>7</sup> ნაშრომს უკვირდა და ნამძღვარებული აქვს რუსთაველის სიტყვე-

2 ქ. სურგულაძე. დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, სტამბოლი, 1938, გვ. 1-4.

3 იხ. M. von Tsereteli. Die Rechte Georgiens, Berlin, 1917; მიხაკო, Georgien und der Weltkrieg, Weimar 1916.

4 Fr. Fischer. Krieg der Illusionen, Düsseldorf, 1969; M. Menger. Die Finnlandpolitik des deutschen Imperialismus 1917-1918. Berlin, 1974.

5 იხ. Zur Ukraine-Politik des deutschen Imperialismus. Wissenschaftliche Redaktion von Dr. C. Remer, Jena 1969.

6 იხ. P. Grupp. Deutsche Außenpolitik im Schatten von Versailles 1919-1920. Paderborn., 1988, S.S. 238-262.

7 M. von Tsereteli. Die Befreiung Polens und das Nationalitätenprinzip bei den Zentralmächten und bei der Entente. Bern., 1917.

ბი: „ქმნა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. შესავალს კი წინ უძღვის ციტატი „ვენეციელი ვაჭრიდან“ – პორციას მიმართვა შაილოკისადმი: „უკვე დამტკიცდა, რომ შეეცადე პირდაპირ და არაპირდაპირ ამ ვაჭრის მოკლასა“ – ასე მიმართა პორციამ შაილოკს, – ინყებს მ. წერეთელი – რომელმაც, როგორც შეველემ, უსამართლო პოზიტიური სამართლის საფუძველზე, ანტონიოს სხეულოდან ერთი ფუნტი ხორცი მოითხოვა. დიდი იმპერიალისტური ხალხები – რუსები, ინგლისელები და ფრანგები, რომელთაც ძალით, მოტყუებითა თუ ხელშეკრულებების დარღვევის გზით დამორჩილებული ერები სამუდამო მონობისათვის გაუწირავთ და მოსპობით ემუქრებიან – შაილოკის მსგავსად მსჯელობენ. ამიტომაც, მე – დაჩაგრული ხალხის წარმომადგენელი – მხარს უჭერ სამართლიან საერთაშორისო სამართალს, უსამართლო პოზიტიური საერთაშორისო სამართლისაგან განსხვავებით.

ავტორი შესავალშივე სამართლებრივ დავაში ერთვება. იგი წერს: „სახელმწიფოებრივი მეცნიერი ფრანც ფონ ლის-ცტი“ პოლონეთის განთავისუფლების აქტს პოზიტიური საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის ამოსავალი პუნქტიდან განიხილავს და ასაბუთებს, რომ ოთხთა კავშირის წევრები დაპყრობის უფლებიდან გამომდინარე სამართლებრივად მოიქცნენ, როდესაც პოლონეთის სამეფო აღადგინეს. მავანი უარპყოფს დაპყრობითი სამართლის სამართლებრივ ხასიათს. მე იურისტი არ ვახლავართ და იურისპრუდენციის ხლართებში ვაბზმ არ მსურს. რაც მაინტერესებს – ეს ოთხთა კავშირის მიერ პოლონეთის დაპყრობის შედეგი – მისი განთავისუფლება ვახლავთ. ხლო ეს განთავისუფლება კი დაპყრობითი სამართლისა თუ სხვა პოზიტიური სამართლის საფუძველზე მოხდა, ჩემთვის

სულერთია. მე ადამიანს „გმამს“ მკამართლიანობის გრძნობას მკამართლებრივი დური, რუსებისაგან ნანამები ხალხის შეილი ვარ და ჩემი თანამომეების მდგომარეობა კარგად მესმის. ამ თვალთახედვიდან ვიცავ პოლონეთის განთავისუფლების კეთილშობილ აქტს და პატივს მივაგებ მის ავტორებს, რომლებმაც ჩვენ, უცხო ბატონობის ქვეშ ტანჯულებს, იმედი მოგვეცეს და ჩვენი სამართლიანობის გრძნობა დააკმაყოფილეს.

ბლოუნსლი<sup>8</sup> ამბობს: „ნებისმიერი ხალხის უფლებაა მოენყოს სახელმწიფოებრივად .. იზრუნოს საკუთარი უსაფრთხოებისათვის და დაიცვას თავისი ღირსება. მას უფლება აქვს, ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში იარაღსაც კი მოჰკიდოს ხელი და ეს უფლება ბევრად უფრო წმინდაა, ვიდრე რომელიმე დოკუმენტალური დინასტიური სამართალი“<sup>9</sup>. და აგრეთვე: „თვითგამორკვეულ, შეგნებულ ერს, რომელიც თავის თავში პოლიტიკურ მოზიდებას გრძნობს და ბუნებრივი მოთხოვნისაგან გააჩნია – თავისი არს სახელმწიფოში გამოავლინოს და თუკი ამ სულისკვეთების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ძალაც შესწევს, მაშინ მას ავტომატურად გააჩნია ბუნებითი უფლება სახელმწიფოს შექმნისა“<sup>10</sup>. ეს არის სწორედ ის ეროვნულობის პრინციპი, რომლის განხორციელებასაც ამ ომში, ჩვენ, დაჩაგრულ ხალხები, ვიმედოვნებთ. ქართველებს კი, გენიალური სამართალმცოდნის მიერ ფორმულირებული ბუნებითი სამართლის გარდა, დოკუმენტალური ხასიათის მნიშვნელოვანი უფლებაც გააჩნიათ – ეს 1783წ. ტრაქტატის პირობების დარღვევა ვახლავთ რუსეთის მხრიდან.

მაგრამ ბლოუნსლის მოსაზრებამ იმის შესახებ, რომ ერს მხოლოდ იმ შემთხვევაში გააჩნია სახელმწიფოს შექმნის ბუნებითი უფლება, თუ თავისი იდეალების აღ-

8 ციტირებულია ვაბტანე ქელიძის თარგმანის მიხედვით იბ. უ. შვესპირი. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ნ. ვიასაშვილის საერთო რედაქციით, ტ. 2. თბ. 1985. გვ. 269.

9 ავტორიელი სამართალმცოდნე, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორი, ავტორი სამართლებრივი დასკვნისა საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ 1918 წ. იბ.: Fr. von Liszt. Die Völkerrechtliche Stellung der Republik Georgien (Ein Gutachten) Wien, 1918.

10 იოჰანესასპარ ბლოუნსლი (Bluntschli), (1808-1881) ცნობილი შვეიცარიელი სამართალმცოდნე, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე (ლიბერალურ-რუსინერვაციული მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელი).

11 ციტირებულია ბლოუნსლის ნაშრომის „Das moderne Völkerrecht als Rechtsbuch“, Nerdling, 1868. § 517.

12 ციტირებულია ბლოუნსლის „Allgemeines Staatsrecht“ 6. Aufl. (Allgemeine Staatslehre), Stuttgart, 1886. I, S. 112.



სრულების უნარი შესწევს — ამბობს მეცნიერი — შეიძლება გაურკვეველობამდე მიგვიყვანოს. ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელსამე ერს პოლიტიკურად დამოუკიდებლად ცხოვრების პოტენციური ძალა შესწევს, მაგრამ ამ შინაგანი ძალის გამოვლენას უბეჭდვი გარეშე ძალა ამუხრუჭებს ისე, რომ ერს არ გააჩნია საშუალება თავისი დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების შესაძლებლობა დაასაბუთოს. ეროვნულობის პრინციპი მოითხოვს დამოუკიდებლობის უფლების აღიარებას იმ ერისთვისაც, რომელიც სახელმწიფოებრიობისათვის საქმეში ელემენტებს ფლობს, იმისდა მიუხედავად, დამარცხდება თუ გაიმარჯვებს ესა თუ ის ერთ თავისუფლებისათვის ბრძოლაში, რამეთუ ხშირად მცირე ერები მოკლებულნი არიან შესაძლებლობას ეს ბრძოლა დაიწყონ კიდევ.

ამ თვალთახედვით, მართალია არა მთლიანად და შეცდომებისდა მიუხედავად, მაგრამ პრინციპში გვაკმაყოფილებს პრეზიდენტი ვილსონის 1917 წ. 22 იანვრის სამშვიდობო ინიციატივა. ერის უფლებისა და ერთა თანასწორობის იდეა მისთვის უცხო არ არის და ამ იდეის განხორციელებას იგი ხანგრძლივი ზაფხულის მთავარ პირობად მიიჩნევს. პრეზიდენტი ვილსონი ამბობს „მე გადაწყვეტილად მიმართა და სახელმწიფო მოღვაწეებიც ყველგან იმ საერთო აზრს იზიარებენ, რომ უნდა არსებობდეს საკუთრივ დამოუკიდებელი პოლიტიკით“ და კიდევ „უნდა იქნეს გარანტირებული ყველა ხალხის სოციალური, ლეგისლაციური, ინდივიდუალური და სოციალური განვითარების ხელშეწყობა“. ეს — მიხაკო ნერეთლის აზრით — ეროვნულობის პრინციპის სრული აღიარება არ არის, მაგრამ ამ მიმართულებით გადადმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ხელშეწყობისა, რომელზეც პრეზიდენტი ვილსონი ლაპარაკობს ბედნიერება იქნებოდა და ჩაგრული ერებისათვის, განსაკუთრებით რუსეთის იმპერიაში მყოფთათვის, მაგრამ ეს სანახევრო ბედნიერება იქნებოდა. /თუკი პოლონეთის დამოუკიდებლობა სამართლიანი საქმეა, რა უშლის ხელს საქართველოს, უკრაინის და ა.შ. დამოუკიდებლობას? თუ პრეზიდენტი ვილსონი აღიარებს მხოლოდ იმ ხალხების დამოუკიდებლობას, რომელიც უკვე განთავისუფლდნენ, რა უნდა იფიქრონ რუსეთმა, ინგლისმა და საფრანგეთმა იმ ხალხების თავისუფლებაზე, რომელთა დარჩავრითა და ძარცვით საზრდოობენ? ეს

კარგად ჩანს მათი პასუხიდან პრეზიდენტ ვილსონის საშუამდგომლის წინამდებარე და რასაც მე ამ წერილში მხოლოდ მისი დასაწყისად ვამბობ, დასძენს იგი, პარტიულობაში ნუ ჩამოშორდითვეთ ეს ის სიმაართლე რისი თქმის სრული უფლებაა აქვს რუსების მიერ ნანამები ხალხის შეილა.

ენახო, რა პოზიციას დაიჭერს პრეზიდენტი ვილსონი ზაფხულის და დეკემბრის არა გულახდილი, როდესაც ეროვნულობის პრინციპს აღიარებდა? ჯერჯერობით კი, ყოველ შემთხვევაში, მან უარი თქვა თავის სამშვიდობო იდეებზე და თავად ჩაება ომში. ამისდა მიუხედავად, თუ პრეზიდენტი ვილსონის ნიშნადება შეარულდება — ყველა ერთ გაურთიანდება ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად და ხალხების თანასწორუფლებიანობის პრინციპი იზეიმებს — მაშინ ჩვენ, დაჩაგრული ხალხები, ვიმედოვნებთ, რომ ძალაუფლების მქონე სამართლიანი და კეთილშობილი აღმნიშნები ხმას აღიმალეებენ უსამართლობის წინააღმდეგ და დაგვიცავენ კაცობრიობის უზენაესი სასამართლოს წინაშე. ამ სასამართლოსათვის კი ჩვენ არაფერს ვითხოვთ სამართლიანობის გარდა.

ჩვენთვის, დაჩაგრული ხალხებისათვის, რუსეთის დიდ რევოლუციას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, განაგრძობს ავტორი, მაგრამ, ამის გამო, ილუზიების შექმნის უფლება არა გვაქვს. ჯერჯერობით ძალაუფლება რუსეთის ბურჟუაზიაში ჩაიჭრა ხელი და ხელისუფლებაში მონაწილე სოციალისტებიც, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში ერთა თვითგამორკვევის უფლება შეიტანეს, ეროვნულობის პრინციპს სხვაგვარად განიხილავენ, ვიდრე ეს ჩვენ — დაჩაგრულ ხალხებს — ნარმოგვიდგენია. და რას უნდა ნიშნავდეს ეს თვითგამორკვევის პრინციპი თუ არა თვითიველი ერის უფლებას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი პოლიტიკური მომხაველი თავად განსაზღვროს?

ამის სანაცვლოდ, რუსი სოციალისტებისაგან მერყევი და გაურკვეველი გამონათქვამების გარდა არარუსი ხალხების მისამართით დღემდე არაფერი გაგვიგონია. დროებითი მთავრობა ჯერჯერობით დაახლოებით ისევე იქცევა, როგორც ძველი და არც პრესა გამოიყურება უკეთესად. რუსულმა პრესამ ფინეთის მთავრობის თავმჯდომარის — ტოკოის გამონათქვამების წინააღმდეგ გაილაშქრა, როდესაც ამ უკანასკნელმა ფინეთის უფლებების მკაფიოდ ჩამოყ-



აღიბება სცადა. რუსული პრესის მიხედვით რუსეთის ფინეთზე განსაკუთრებული უფლებები გააჩნია! რუსულ პრესაში რუსი ხალხის ფინეთის წინააღმდეგ ამხედრების არაკეთილშობილური განზრახვაც იგრძნობა.

დროებითმა მთავრობამ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საქონიხი სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების მონვევამდე გადადო. კანონიკური სამართლის მიხედვით კი მას ამის უფლება არ უქონდა. ამით იგი საკუთარსავე პირველ მანიფესტს დაუპირისპირდა, რომლის ძალითაც რუსეთში გაუქმებულ იქნა ყოველგვარი ეროვნული და რელიგიური შეზღუდვა. ამრიგად, დაასკვნის მიხაკო წერეთელი, რევოლუციამ რუსეთი სრულებითაც არ შეცვალა.

ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ რუსეთის დამფუძნებელი კრება არარუს ხალხებს ჭეშმარიტ თავისუფლებას აჩუქებს? ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ რუსეთში რეაქცია არ გაიმარჯვებს? .. და არც ერთ რუსს, რომელსაც სამართლიანობის გრძნობა გააჩნია, არა აქვს უფლება შეგვედავოს ჩვენს უფლებებში მხოლოდ იმ მოტივით, რომ ახლა რუსეთში თავისუფლებაა. ასეთი თავისუფლება ინგლისსა და საფრანგეთში დიდი ხანია სუფევს -- რუსეთი ვერ კიდევ შორსაა ინგლისურ-ფრანგული სახის თავისუფლების მყარი დამკვიდრებისაგან -- მაგრამ ამავე დროს, ვერც ერთ ინდოელს, ვერც ერთ ირლანდიელს, ვერც ერთ ტუნისელს და სხვ. ვერ უსაყვედურებთ, თუ იგი „თავისუფალი ინგლისისა“ ან „თავისუფალი საფრანგეთისაგან“ განთავისუფლებას ისწრაფვის.

ამის შემდეგ ავტორი განსახილველ თემას უბრუნდება.

საქმე ის გახლავთ, რომ 1915 წ. ზაფხულში გერმანიამ განთავისუფლა პოლონეთი, ხოლო 1916 წ. 5 ნოემბრის ედიქტით აღადგინა პოლონეთის სამეფო.<sup>13</sup> შექმნა პოლონეთის შეიარაღებული ძალები და მოკავშირეებს შეუერთა.<sup>14</sup> ანტანტასა და ოთხთა კავშირს შორის სამართ-

ლებრივი და დაინყო. ვერ ყოფილა მისი ვენის კონგრესის გადაწყვეტილებები, აღდგენილ იქნა პოლონეთის სამეფო, შეიქმნა კონსტიტუცია, შეფუდ რუსეთის იმპერატორი აღიარეს, ოღონდ პოლონეთის სახელმწიფოს ხელყოფის უფლების გარეშე. 1830 წ. აჯანყების გამო კი რუსეთმა პოლონეთის სამეფო გააუქმა. ორივე მხარე ამოსავალ წერტილად 1815 წ. გადაწყვეტილებებს იღებდა. მიხაკო წერეთელი პოლონეთში სახელმწიფოებრიობის აღდგენას მიესალმა და ჩვეული ფილოსოფიური განწყობით ჩაება ამ დავაში. უნდა ითქვას, რომ მან საკმაოდ ორიგინალური და მძლავრი არგუმენტები მოიყვანა პოლონეთის დამოუკიდებლობის სასარგებლოდ. თვით პოლონელებიც კი ვერ ახერხებდნენ ამდენს. „საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კომიტეტის“ სახელით მან ამ პაექრობაში თავისი სიტყვა სთქვა და ამით საქართველო ევროპის სახელმწიფოთა სამართლებრივ დავაში ჩართო. ბუნებრივია, მეცნიერი ვერ გაექცეოდა პარტოლობას, ვინაიდან ამ ნაშრომის ძირითადი მიზანი, როგორც მოგახსენეთ, სწორედ ის გახლავთ, რომ გერმანიის პოლიტიკური წრეები და ზოგადად ევროპული სამყარო მოეშაადებინა იმისათვის, რათა საქართველოშიაც პოლონური მოდელი ყოფილიყო განხორციელებული -- ანუ აღდგენილიყო სახელმწიფოებრიობა.

რუსეთის მთავრობა პოლონეთის ახალი სამეფოს წარმოქმნას საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო აქტად მიიჩნევდა, იმ მოტივით, რომ პოლონეთი რუსეთის სამართლებრივი ტერიტორიის შემადგენელი ნაწილი, მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი რუსული პროვინცია გახლდათ. რუსები თვლიდნენ, რომ გერმანიასთან და ავსტრია-უნგრეთთან რუსეთის მიერ დადებული ხელშეკრულებების ძალით არც გერმანიასა არც ავსტრია-უნგრეთს არ შეეძლოთ პოლონეთის მდგომარეობა სხვაგვარად განვილიათ და ამ ტერიტორიის წართმევა ომის მსვლელობისას, ანუ ზავის დადებამდე საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა იყო ომის მწარმოებელი

<sup>13</sup> ამ ედიქტით პოლონეთი ფაქტობრივად გერმანიის ეასალური სახელმწიფო მდგომარეობა და რუსეთის ყოფილი პროვინციისათვის ეს ბარისბოძრევიდ აშკარად წინადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ სწორედ გერმანიის შემოჭრის მომთ იყო „ნაკარნახევი დიდი მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის 1914 წ. 14 აგვისტოს საზეითო დაპირებები პოლონეთისადმი ავტონომიური სტატუსის მინიჭების შესახებ. 14 პოლონური ლეგიონის მეთაური გახლდათ ცნობილი პოლონელი მოღვაწე იოსიფ პილსუდსკი.

მხარის მხრივ. რუსეთის მოკავშირეები იგივე აზრს აეთარებდნენ და ასაბუთებდნენ, რომ პოლონეთის არმიის შექმნა და მისი შეერთება გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის არმიებთან მოახსენებდა რუსი ერის ერთი ნაწილის იძულებას ებრძოლა მეორე ნაწილის წინააღმდეგ, ანუ იძულებას ებრძოლა საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ.

ამის საპირისპიროდ გერმანელების ოფიციალური პასუხი დაახლოებით ასე ფლერდა: რუსეთში თავად დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები, როდესაც პოლონეთის სამეფო გაუქმა, რომელიც 1815 წ. ვენის კონგრესის გადაწყვეტილებით შეიქმნა და რომლის მეფედ თავად რუსეთის იმპერატორი იქნა აღიარებული. ამრიგად, რუსეთმა დაარღვია ვენის კონგრესის გადაწყვეტილებანი. ეს კი ერთადერთი პირობა იყო, რასაც გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა ხელი მოაწერეს პოლონეთთან დაკავშირებით, ხოლო სხვა ხელშეკრულებები პოლონეთის საკითხის ირგვლივ მათ რუსეთთან არ ჰქონიათ. ასე და ამგვარად, ოთხთა კავშირის მიერ პოლონეთის სამეფოს აღდგენა არათუ სამართალსაწინააღმდეგო ქმედებაა, არამედ პირიქით, პასუხობს ვენის კონგრესის გადაწყვეტილებებს.

მიზაკო წერიტელი სვამს კითხვას: ღვინ არის მართალი ამ კამათში? ცხადია, ორთავე მხარე საკუთარ სიმართლესა დარწმუნებული და მართლაც ორთავე მართალია, მაგრამ სხვადასხვა პოზიციიდან.

საქმე ის გახლავთ, რომ 1831 წ., როდესაც რუსეთმა პოლონეთის ამბოხება სისხლში ჩაახშო და პოლონელ ხალხს განსაკუთრებული სისასტიკით გაუსწორდა, — პოლონეთის კონსტიტუცია და არშიაც გაუჩინარდნენ და ქვეყანა რუსულ პროვინციად იქცა. ეს, რა თქმა უნდა, ვენის კონგრესის გადაწყვეტილებების სრული იგნორირება გახლავთ. რუსეთმა კი შემდეგნაირად გაიმართლა თავი: 1. პოლონეთის გაუქმება თავად პოლონელებმა გამოიწვიეს, რამეთუ რუსეთი იძულებული შეიქმნა ამგვარად მოქცეულიყო პოლონეთის რევოლუციის გამო. პოლონეთმა 1830 წ. რუსეთს ომი გამოუცხადა და თავისი მეფე, ე.ი. რუსეთის იმპერატორი განაგვირგვინა. პოლონეთი ომში დამარცხდა და მისი ტერიტორია გახდა *res nullius*

(*Deballatio*-ს კლასიკური შემთხვევა). ამ უფლებით შეიერთა რუსეთმა პოლონეთი, ე.ი. რუსეთს არ დაეწინააღმდეგა მოსიროს სამართლის ნორმები, თუმცა პოლონეთის დაპყრობა ვენის კონგრესის დადგენილების დარღვევის საჭიროება გახლდათ. 2. არც ერთ დიდ ქვეყანას 1831 წ. მომხდარი გარემოების გამო არ გამოუთქვამს მძაფრი პროტესტი და საომარი მოქმედებები არ დაუსწია. პირიქით, მათ სცნეს კიდევაც რუსეთის მხრივ პოლონეთის დაპყრობის უფლება. აქედან გამომდინარე რუსეთის ბატონობა პოლონეთში საესკებით სამართლებრივი გახლდათ საერთაშორისო აღიარების უფლების საფუძველზე. საერთაშორისო აღიარების უფლება იმგვარი ხელშეუხებელი უფლება გახლავთ, რომელიც საესკებით ლეგიტიმურს ხდის რომელიმე სახელმწიფოს მიერ ტერიტორიის დაპყრობას, იმიუნდა მიუხედავად, მოხდა თუ არა აღნიშნული ქვეყნის მიერ ამ ტერიტორიის შეერთება სამართლებრივად თუ სამართალდარღვევით. ერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეცვლა მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტით კი მხოლოდ სამართლებრივ საფუძველზე არის შესაძლებელი. ხოლო ომის დროს კი ერთი სახელმწიფოს სუვერენიტეტის შეცვლა მეორე სახელმწიფოს სუვერენიტეტით სამართლებრივ საფუძველზე შეუძლებელია, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ ზავის შედეგად. ომის დროს გამარჯვებულს შეუძლია მხოლოდ დამარცხებულის ავტორიტეტი გამოიყენოს მისი სუვერენიტეტის სახელით. ასე რომ, რუსეთის ყოველთვის შეუძლია შემდეგი იურიდიული კონსტრუქციის ჩამოყალიბება: თუ რა უფლებით ჩამოაჭრეს მას პოლიტიკური პროვინციები იქამდე, სანამ ამის ცესია<sup>15</sup> არ მომხდარა ზავის პირობების თანახმად? ერთი შეხედვით შეიძლება მართლაც დავიჯეროთ, რომ რუსეთი მართალია.

პროფესორმა ლისცტმა რუსეთის ეს მოსაზრება სხვა იურიდიული კონსტრუქციის ძალით გაანადგურა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად დაუუშვათ, რომ რუსეთი მართალია. მაშინ იბადება კითხვა: რა უფლებით?

რუსეთს არ უნდა დააიწყდეს ის მომენტი, რომ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთს პოლონეთის მიწების ანექსია არ მოუხდენიათ, ისინი არც გერ-



მანულ და არც ავსტრიულ პროვინციებზე გარდაუქმნიათ, არამედ აღადგინეს პოლონეთის სამეფო. მათ პოლონელ ერს წართმეული იურიდიული პიროვნულობა დაუბრუნეს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია ამ შემთხვევაში. რუსეთს აქაც შეუძლია საერთაშორისო აღიარების უფლებას მიმართოს და განაცხადოს, რომ ზავის დადებამდე ახალი სახელმწიფოს შექმნა დაკავებული ტერიტორიაზე ისეთივე სამართალ-წინააღმდეგო აქტია, როგორც მისი ანექსია, იმ შემთხვევაში, თუ დამარცხებული ქვეყანა აღნიშნულ ტერიტორიას ფლობდა იმავე უფლების ძალით, რითაც რუსეთი პოლონეთს. მაგრამ საკითხის არსიც სწორედ აქ მდებარეობს. საერთაშორისო აღიარების უფლება, რომლის ძალითაც რუსეთი პოლონეთის ტერიტორიას ფლობდა და ერთ საუკუნეზე მეტ ხანს ანაშობდა პოლონელ ერს, იგივე წინაარსისა გახლავთ, რაც შაილოკის უფლება ერთ ფუნტ ხორცზე ანტიონიოს სხეულიდან. საერთაშორისო აღიარების უფლება არსებობს და მოქმედებს, მაგრამ მისი აბსოლუტური გამოყენება, განუსაზღვრელად იმისა, ეხება ეს ოკეანეში მიკარგული კუნძულისა თუ ცივილიზებული ხალხის ეროვნულ საკუთრებაში მყოფი ტერიტორიის ფლობას – ბოროტებაა. სამართლის ამგვარი გამოყენება მის ბოროტად გამოყენებას ნიშნავს, ხოლო ბოროტად გამოყენება სამართალი არ არის – ამბობს იოზეფ ჟოლერი.<sup>16</sup> საერთაშორისო აღიარების უფლება, რომლის ძალითაც რუსეთი პოლონეთს ჩაგრაევდა, სამართლად არ უნდა იწოდებოდეს. ამგვარი სამართალი - სამართლიანობის სრული უარყოფაა. ამდენად, საერთაშორისო სამართალი არასრულყოფილი და წინააღმდეგობებით აღსავსეა, როდესაც ამგვარ კანონწინააღმდეგო ელემენტებს შეიცავს<sup>17</sup>.

შემდეგ ავტორი პოლიტიკურ დასკვნებს აკეთებს პოლონელი ერის თვითმყოფადობისა და თავისთავადობის სასარგებლოდ: „გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა აღადგინეს პოლონეთის სამეფო, რათა პოლონელი ერისათვის სახელმწიფოებრივი ორგანიზებ-

ის უფლება დაებრუნებინათ.“<sup>18</sup> ეს რომ გერმანიული ეროვნული ტერიტორიაყოფილიყო, გერმანიაცა და ავსტრია-უნგრეთიც დაკავებული ტერიტორიის ანექსიას მოახდენდნენ ზავის დადებამდე ან მის შემდეგ, მაგრამ ამ შემთხვევაში აღნიშნულ ტერიტორიაზე არ შექმნიდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს. მ. ეს რომ რუსული ეროვნული ტერიტორია ყოფილიყო, გერმანიაცა და ავსტრია-უნგრეთიც ზავის დადების შემდეგ ან შეიერთებდნენ მას, ანდა რაიმე კომპენსაციის საფასურად დაუბრუნებდნენ რუსეთს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში აღნიშნულ ტერიტორიაზე არ შექმნიდნენ მეორე, დამოუკიდებელ რუსეთს! ამრიგად, აქ გადაშენებულ როლს – დასძენს მ. წერეთელი – ეროვნული მომენტი ასრულებს და არა მხოლოდ პოლიტიკური აქტის შესრულებისას, არამედ ამ აქტისადმი დამოუკიდებლობის განსაზღვრისას. აქვე ძვეს საკითხისადმი მისი სოციოლოგიური ინტერესიც.

„სახელმწიფო მოღვაწეთა და სამართალმცოდნეთა უმრავლესობა, განსაკუთრებით კი პირველნი, ერის შესახებ ცნობილი თეორიისა და ეროვნულობის პრინციპისადმი მტრული დამოკიდებულებით გამოირჩევიან. დიდი ხანია მიმდინარეობს ბრძოლა ორ: სახელმწიფოებრივსა და ეროვნულ პრინციპებს შორის.

ერის თეორია და ეროვნულობის პრინციპი ყველაზე სრულყოფილად იტელიელმა სამართალმცოდნეებმა და პუბლიცისტებმა ჩამოაყალიბეს. მათ მიმდევრები სხვა ქვეყნებშიაც გაუჩნდათ. განსაკუთრებით კი იქ, სადაც ერები პოლიტიკურ ერთობად ჩამოყალიბებას ისწრაფვოდნენ ან უცხო დამპყრობლის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ამ თეორიის მოწინააღმდეგეები ეროვნულობის პრინციპის გამოყენებასა და ეროვნული იდეალების განხორციელებაში არსებული სახელმწიფოებრივი შენობისათვის საშიშროებას ხედავდნენ და უარყოფდნენ ერის „ყვალ“ თეორიას, რომელზედაც, მათი თქმით, საერთაშორისო სამართალი ეყრასოდეს დაფუძნდებოდა. 1864 წ. 14 მარტის Corps Legislatif-ის სხდომაზე

<sup>16</sup> გერმანიული სამართალმცოდნე ვიურცბურგისა და მერლინის უნივერსიტეტების პროფესორი. მუშაობდა ძირითადად მედარემითი სამართლის განხრით, აღმოსავლური სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სპეციალისტი ვერბაში. ეკუთვნის ნაშრომები სამართლის ფილოსოფიაშიც. მათ შორისა: „Shakespeare vor dem Forum der Jurisprudenz“. Würzburg, 1883; „Das Recht als Kulturerscheinung“ [Würzburg?], 1885.

<sup>17</sup> M. von Therselt. Die Befreiung Polens... , Bern., 1917., S.S. 2-5.

<sup>18</sup> ადოლფ ტიერი (თიერი) 1797-1877 ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, საფრანკეთის აკადემიის წევრი.

ტიერმა<sup>19</sup> განაცხადა: თუ ერის თეორიას საერთოდ რაიმე აზრი გააჩნია, მაშინ უნდა წარმოედგინოთ, რომ ყველა ხალხები ერთი წარმომავლობისანი არიან და ერთსა და იმავე ენაზე ლაპარაკობენ. ამ თეორიის თანახმად ევროპაში არც ერთ სახელმწიფოს არ ექნებოდა არსებობის უფლება. — თვით ბლიუნჩლი, უკეთილშობილესი იდეების მატარებელი, საერთაშორისო სამართლის ეს უდიდესი თეორეტიკოსი, არ ეთანხმება მანჩინის<sup>20</sup>, რომელიც ამტკიცებდა, რომ არა სახელმწიფო, არამედ ერი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

მაგრამ, აღნიშნულ საკითხში გაუგებრობა ორმა შეცდომამ შეიტანა და ამ შეცდომებმა ეროვნულობის პრინციპის მონინაალმდეგეებს თავიანთ სასარგებლოდ კიდევ ერთი არგუმენტი მისცეს. 1. ერის თეორიის მომხრეებს ერის ცნების დეფინიცია მკაფიოდა და სრული სისწორით არასოდეს ჩამოუყალიბებიათ, ისინი ხშირად ერთმანეთში ურევდნენ რასის, ხალხისა და ა.შ. ცნებებს. 2. შემცდარი იყო აგრეთვე ეროვნულობის პრინციპის მომხრეთა მტკიცება, რომ არა სახელმწიფო, არამედ ერი უნდა ყოფილიყო საერთაშორისო სამართლის სუბიექტი.

მონინაალმდეგენიც — ხშირად შეგნებულად — ურევდნენ ცნებებს ერთმანეთში: ხან ერისა და რასის ცნებებს, რათა ეროვნულობის პრინციპის განხორციელების შეუძლებლობა დაემტკიცებინათ, ხან კი ერისა და სახელმწიფოს ცნებებს, რათა ეროვნული საკითხი არარსებულად გამოეცხადებინათ. *ერი სახელმწიფოა, ამბობდნენ ისინი (და მრავალი ახლაც ამბობს)...*

...შორს ნაგვიყვანდა ზემოთხსენებული ცნებების ანალიზი, ჩვენ ეს პრობლემა თეორიულად სხვაგან გვაქვს განხილული.<sup>20</sup>

ამოსავალ პუნქტად მეცნიერი შემდეგ პოსტულატებს გვთავაზობს: უპირველეს ყოვლისა იგი საზოგადოებას სოციალურ ორგანიზმად — *sui generis* — განიხილავს. ავტორი იმ აზრს იხარბებს, რომ სახელმწიფოსა და ერის ცნებები — სოციალური ცნებებია, რომელნიც საზოგადოების ძირითადი ცნებიდან გამომდინარეობენ, რომ ერი განვითარების მაღალ საფეხურზე

მდგომი საზოგადოების სახეა, რომელიც ისტორიულ პროცესში ჩამყვანდა. ამრიგად, ერი სოციალურად ჩამყვანებული, სულიერი ინდივიდუალობა, განსხვავებული ენითა და ხშირად განსხვავებული წარმომავლობით სახელმწიფო არის სულ სხვა რამ, ეს არის ერის მიერ შექმნილი ორგანიზაცია მისი შიდა და გარე ცხოვრების მოსაწესრიგებლად. ეს არის ერის იურიდიული პერსონიფიცირება, ეს არის პოლიტიკური სხეული, რომელსაც გარკვეულ ტერიტორიაზე სუვერენული ან ნახევრად სუვერენული უფლებები გააჩნია. ამ ცნებებს არავფერი აქვთ საერთო რასის ცნებასთან. რასის ცნება ანტროპოლოგიის ჩარჩოებში უნდა დარჩეს. ამის საპირისპიროდ კი ერის, ხალხისა და სახელმწიფოს ცნებები — სოციალური ცნებებია. ამიტომაც ტიერის არგუმენტს, დასძენს მეცნიერი, ეროვნულობის პრინციპის ნინაალმდეგ არავითარი აზრი და ფასი არ გააჩნია.

ამისდა მიუხედავად, პოზიტური საერთაშორისო სამართალს სრული უფლება აქვს ამტკიცოს, რომ მხოლოდ სახელმწიფო შეიძლება იყოს მისი სუბიექტი, ვინაიდან სახელმწიფო ერის იურიდიული პერსონიფიცირება გახლავთ. მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ სახელმწიფოს არმქონე ერს არ შეუძლია მოითხოვოს უფლება იურიდიული პერსონა გახდეს.

ხშირად, განავრობს ავტორი, სახელმწიფოსა და ერის უფლებები ერთმანეთს არ ემთხვევა. ასე ხდება ძირითადად მრავალეროვან სახელმწიფოებში. ამის მაგალითად მას რუსეთი მიაჩნია, რომლის 57% არარუსი ხალხები შეადგენენ, მაგრამ, ამისდა მიუხედავად სახელმწიფოს ეროვნული უმცირესობის სახელი ქვია და ეს სახელმწიფო მხოლოდ რუსი, ანუ ნამყვანი ერის უფლებებს გამოხატავს (ენა და ა.შ.). მაშინ, როდესაც სხვებს ეროვნული უფლებები ჩამოართმული აქვთ. ამგვარ შემთხვევაში სახელმწიფოსა და ერის უფლებები იდენტურნი არ არიან. ასეთი პოზიტური სამართალი უსამართლო სამართალია. ამის საპირისპიროდ შევიკარაიში ყველა ერს თანასწორია და არც ერთს არა აქვს განსაკუთრებული უფლებები. ამ შემთხვევაში ისევე, როგორც ნმინდად ეროვნულ სახელმწიფოში სახელმ-

19. პასკუალე სტანისლაო მანჩინი 1817-1888 ცნობილი იტალიელი მეცნიერი და სახელმწიფო მოღვაწე, რომის უნივერსიტეტის პროფესორი საერთაშორისო სამართლის დარგში.

20. M. von Tsereteli, დანახ. ნაშრ. გვ. 7-9; დანერვილებით იხ: მ. ნერვიელი. ერი და კაცობრიობა \*სოციოლოგიური ანალიზი, თბ. 1990.



ნიფოს უფლებები ემთხვევა ერის ან ერების უფლებებს. ამრიგად, უნაიდან ერი ცოცხალი სოციალური ორგანიზმია, საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის, საკუთარი იურიდიული პერსონიფიკირების უფლება – ყველა ერის წმინდათა წმინდა უფლებაა და ამის აღიარება სამართლიანი საერთაშორისო სამართლის ამოცანა უნდა გახდეს. თავისთავად ცხადია, სახელმწიფოებრიობის არმქონე ერი ვერ გახდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ასე რომ, მართალი იყო ბლოუნწლი, როდესაც არ იზიარებდა მანჩინისა და მისი სკოლის აზრს, მაგრამ თუკი სახელმწიფოებრიობის არმქონე ერს სახელმწიფოებრიობისათვის საჭირო ელემენტები გააჩნია,<sup>21</sup> რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება სამართალსუბიექტი გახდეს? აი ასე უნდა დაისვას საკითხი – დაასკვნის ავტორი.

პოლონეთის განთავისუფლების საკითხში ძირითად მომენტად მეცნიერს ის გარემოება მიაჩნია, რომ გერმანიამ პოლონელები უნდა აღიქვა და პოზიტიური სამართლის მინეროლოგის მიუხედავად თავად ერს მიანიჭა უფლებები.

ავტორი აღნიშნავს, რომ მიმდინარე ომში ერების უფლებებმა, მათ შორის სახელმწიფოებრიობის არმქონე ერებისა, წინა პლანზე წამოიწია. ყოველ შემთხვევაში ომის მონაწილე თვითოეული მხარე ცდილობს მათ მიერ წარმოებული სამინელი ომი სწორედ ეროვნულობის პრინციპით გაამართლოს. ტყუიან ისინი თუ არა, უმნიშვნელოვანესი ის გარემოებაა, რომ თუკი თავს აღნიშნული პრობლემის გადაჭრის სურვილით იმართლებენ, ეს უკვე იმის ნიშანია, რომ მსოფლიო ერების თავისუფლებას მაღალ იდეალად მიიჩნევენ, რომ ხალხთა თავისუფლებასა და მათი უფლებების ცნობა დღეს აუცილებლობად იქცა და ეს მოვლენა იმდენად მძლავრია, რომ მას ვეერდეს ვეღარ უფლიან. სწორედ ამაში ხედავს მ. წერეთელი ეროვნულობის პრინციპის ტროუმფს.

ავტორი ომის მონაწილეთა კოლონიალურ პოლიტიკას მიმოიხილავს, რის შემდეგაც საგანგებოდ ჩერდება პოლონეთის განთავისუფლების ფაქტზე და ამ

გარემოებას გერმანიის მხრიდან უაღრესად კეთილშობილ საქმედ მიიჩნევს. ამ უფლებევაში მეცნიერი ამკარა მორტიკულოზს იჩენს. ცხადია, პოლონეთისათვის გერმანიისადმი ვასალურ სამეფოდ ჩამოყალიბება სამართლებრივად და პოლიტიკურადაც ამკარად წინასული და პროგრესული მოვლენა იყო რუსულ პროვინციად ყოფნასთან შედარებით. ფაქტია და მეცნიერს ეს მშვენივრად ესმოდა, რომ პოლონეთი, რჩებოდა რა ვასალურ ქვეყნად, სრულ დამოუკიდებლობას ვერ აღწევდა, მაგრამ მისი მიზანიც ხომ სწორედ ის გახლდათ, რომ აღნიშნული პრეცედენტისაგან, საქართველოს შემთხვევაში, ოთხთა კავშირთან ურთიერთობის *modus vivendi* შეემუშავებინა. ფაქტია ისიც, რომ საქართველოსათვის, რუსეთის გუბერნიის სტატუსის გაცვლა თუნდაც ვასალურ სახელმწიფოებრიობაზე პროგრესული მოვლენა და მთელი XIX ს. ეროვნული მოძრაობის მიზნის აღსრულება იქნებოდა.

ეკამათება რა ინგლისელებს, მ. წერეთელს ირლანდიის მაგალითი მოჰყავს. ინგლისი ამ ომში ირლანდიას არ ჰპირდება არც თავისუფლებასა და არც დამოუკიდებლობას, თუმცა ირლანდიური საკითხი კარგა ხანია ევროპის სინდისის საკითხად იქცა. ომის შემდგომი პერიოდისათვის იგი ირლანდიას *Home rule* – ს პირდება, მაგრამ *Home rule* ირლანდიელთა ძველი მოთხოვნაა, მოთხოვნა, რომელიც ინგლისელმა ხალხმაც და მარლამენტმაც უკვე დაკმაყოფილეს. ომის მსვლელობისას კი ინგლისელები სულაც არ ფიქრობენ ირლანდიამ *Home rule*–ის შემოღებას. კაცმა არ იცის მისცემს თუ არა *Home rule* ირლანდიელებს იმ უფლებებს, რითაც საუკუნების მანძილზე ინგლისელების მიერ განადგურებული ეროვნული ცხოვრების აღორძინება შესძლებენ და რატომ *Home rule* და არა ირლანდიის დამოუკიდებელი სახელმწიფო? თუკი მონტენეგროელ ნიკიტას შეიძლება უდიდებულესობა ენოდებოდეს და მისი სამეფო სუვერენული სახელმწიფო იყოს, რატომ არ შეიძლება იგივე ბედნიერება ირლანდიელ ხალხსაც ენიოს?<sup>22</sup> ფრანგები

21. იმდროინდელი საერთაშორისო სამართლის საფუძველზე სახელმწიფოებრიობისათვის საჭირო ელემენტებად ითვლებოდა: ერი (სახელმწიფო ხალხი), სახელმწიფო ტერიტორია, სახელმწიფო ბელისუფლება. რომელიმე გამოკლება სახელმწიფო შენობის დანგრევის ტოლფასად იყო მიჩნეულია. მ. წერეთელმა საგანგებო ნაშრომში უძღვნა იმის მტკიცებას, რომ პირველი ორი საქართველოში საბზე იყო, ხოლო მესამის უფლება მის სამართლებრივად და მორალურადაც ეკუთვნოდა. იხ: M. von Tsereteli. *Die Rechte Georgiens, Berlin, 1917.*

22. M. von Tsereteli. *Die Befreiung Polens... Bern, 1917., S.S. 21-22.*

რუმად იყვნენ და როდესაც ირლანდიაში ინგლისელებმა სისხლის ღვარი დააყენეს, არ დაიცვეს მოძმე ირლანდიელი ხალხი.<sup>23</sup> მათ ისიც კი დაუშვეს, რომ მშვენიერი და თავისუფლებისმოყვარე საფრანგეთის შვილები როგორ ქეზმენთის სიკვდილით დასჯისას გაჰყვიროდნენ, „ასე მოუბდებათ“-ო. სამაგიეროდ კი გერმანელებისაგან ელზასსა და ლოთარინგიას – ძირძველ გერმანულ მიწას ითხოვენ – ნუთუ იტალიელებს დაავიწყდათ, რომ რამდენიმე ათწლეულის წინ უცხოელთა მზრძანებლობის ქვეშ იმყოფებოდნენ და სწორედ ამ ხანაში შეიმუშავეს მათმა სწავლეულებმა, სოციალოგებმა და იურისტებმა ერის თეორია? რატომ არ კითხულობენ დღევანდელი იტალიელები მანჩინისა და მამიანის წიგნებს? იქნებ იქ ნაეანყედეთ მინიშნებას იმისას, რომ თუ ეროვნულობის პრინციპის შესაბამისად ტრიესტისა და ტრიენტის ანექსიას ვითხოვთ, იმავე პრინციპის თანახმად ალბანელებისა და სხვ. მიერ დასახლებული ადრიატიკის მთელი სანაპირო არ უნდა გვეკუთვნის მხედველობაში, ხოლო რუსეთისა და ინგლისის დაჩაგრული ერები თავისუფლების ღირსად ჩაეთვლით?.. ინგლისელთა მონობაში იმყოფება დღეს სამას მილიონზე მეტი ინდოელი, მოუხდავად იმისა, რომ პოლიტიკური ცხოვრების უნარი შესწევთ. ეს ძველი კულტურის მატარებელი, ინტელექტუალური, ხელოვნების ნიჭით დაჯილდოვებული და მშრომელი ხალხია. ინდოეთის ეროვნულ პარტიებს მაკაიური პოლიტიკური პროგრამები გააჩნიათ და ქვეყნის მართვის უნარიც შესწევთ. ხალხი, რომელმაც გერმანიის წინააღმდეგ მსოფლიო კოალიცია შექმნა, რათა იგი ეროვნულობის პრინციპის ზეიმის ინტერესებში დაამარცხოვოს და რომელსაც ინდოეთი ეკუთვნის, არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა დაემართება ასობით მილიონ ინდოელს ეროვნულობის პრინციპის განხორციელების შემდეგ. ნუთუ ქეშმარიტი პრინციპის დარღვევა იქნებოდა, რომ ინდოეთი, როგორც ავტონომიური სახელმწიფოების დიდი ფედერაცია, ხალხთა ერთობის თანასწორუფლებიან ნევრად გვეზილა?<sup>24</sup>

დაახლოებით ამ ჭრტილში მიხლავს ავტორი ანტანტის კოლონიების შექმნის უბედურებას. დაბოლოს რუსეთი, განაგრძობს იგი, რომლის 57%-ს არარუსები შეადგენენ და ეს ხალხები ქვეყანაში უბრალოდ მიმობნეული ეთნოგრაფიული ელემენტები არ გახლავთ, ეს ქეშმარიტი ერები არიან, თავიანთი ტერიტორიითა და ისტორიით. უკრაინა, ფინეთი და საქართველო – ეს ის ქვეყნებია, რომელნიც რუსეთის არასოდეს დაუპყრია, არამედ მოტყუებითა და ხელშეკრულების დარღვევის ფასად შეიერთა. მაგრამ თუკი რუსებისაგან არ შეიძლება მოითხოვდეს საქუთარი იმპერიის გაუქმებას, სად იყვნენ დასავლეთის ქვეყნები, როდესაც აღნიშნულ ნოტას აქვეყნებდნენ და რუსეთისათვის ეროვნულობის პრინციპის ცხოვრებაში გატარება არ მოუთხოვიათ? თუ მათ პოლონელების განთავისუფლების წინააღმდეგ – იმ ხალხის განთავისუფლების წინააღმდეგ, რომელიც თავისი არსითა და ისტორიით დასავლეთის ეკუთვნის – პროტესტი აღძრეს, ადვილი წარმოსადგენია, რა ვაი უშველებელს ატეხენ, თუკი ობობთა კავშირი დღის ნეკრიფში უკრაინისა და საქართველოს განთავისუფლების საკითხს დააყენებს ანტანტა რუსეთის საზღვრების გაფართოებაზე ზრუნავს და მას კონსტანტინოპოლისაც კი პპირდება. კაცმა არ იცის, რა ანგარიში აქვს ამ შემთხვევაში ინგლისს, მაგრამ ფაქტი ერთია, თუკი რუსეთს დარდაწელსა და ხმელთაშუა ზღვაში შეუშვებენ, იტალიასაც და საფრანგეთსაც საკუთარი მომავლის დაწინაურებისათვის მიცემა მოუწევთ.

ხოლო სომხეთი? მთელი მსოფლიო პროტესტს უცხადებდა თურქებს, მათ მიერ სომხების წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების გამო. ხოლო რა პასუხი მიიღეს რუსების მიერ გაგულისებულმა სომხებმა, როდესაც იარაღი აღმართეს და თავიანთი სამშობლოს – სადაც, უნდა ითქვას, მნიშვნელოვან უმცირესობას წარმოადგენენ – დაიკვასცადეს და რუსეთს დანაპირების შესრულება მოსთხოვეს? რუსებმა მათ ცინიკურად მიუგეს, სომხეთის თავისუფლება გაგებულ უნდა იქნეს, როგორც რუსეთის მიერ სომხეთის ანექსია-ო. და

23. გერმანიის ე.წ. „უჯანცების პოლიტიკის“ აშკარა შედეგი გახლდათ 1916წ. 24. ამოიღეს ირლანდიაში დანებებული აჯანყება, რომელიც ინგლისელებმა სისხლში ჩაახშვეს და მისი თავკაცები სავაროდ სიკვდილით დასაჯეს.

24. M. von Tsereteli, დასახ. ნაშრ. გვ. 23.

25. პაველ მილუტაევი. 1859-1943 რუსი პოლიტიკური მოღვაწე, ისტორიკოსი, პუბლიცისტი. დროებითი მთავრობის კაბინეტში დაიკავა სავარეო საქმეთა მინისტრის პოსტი.



ეს თქვა ე. ნ. „საუკეთესო რუსეთმა“. თვით არმწიფილი მილოუკოვიც<sup>28</sup> კი დაეთანხმა ამ პასუხს, უნაიდან კონსტანტინოპოლზე ოცნებობდა. ამრიგად, ახალი რუსეთიც ამ თვალსაზრისით მეფის რუსეთის პოლიტიკის მემკვიდრეა, ხოლო რუსეთის ბატონობა აღმოსავლეთში ხანგრძლივი ვერ იქნება, თუ კავკასია არ გადაიქცა კახათა და მუჭკათა ქვეყნად.

გაოცებით იხსენიებს მიზაკო წერეთელი ფრანგი სოციალისტების რეზოლუციას იმის თაობაზე, რომ ეროვნულობის პრინციპი ბალკანეთის ჩათვლით უნდა ყოფილიყო განხორციელებული. ე. ი. – დასკვნის ავტორი – დანარჩენი მათ არ აინტერესებთ და ცივილიზატორულ მისიას რუსეთის ულოცენ<sup>29</sup>. თუ ჩვენ ანტანტის ეროვნულობის პრინციპის შესაბამისად შედგენილ მსოფლიოს ახალ რუქას გადავხედავთ, იგი არსებულზე ბევრად უფრო ცუდად გამოიყურება. ანტანტის მხრიდან ვერ არ გაგვიგონია რაიმე კონკრეტული გეგმა ხალხების განთავისუფლების შესახებ.

არსებობდა ხალხები, განაგრძობს იგი, რომლებმაც მსოფლიო ბატონობას არა მხოლოდ მახვილით, არამედ ძირითადად შრომითა და კულტურული მოღვაწეობით მიაღწიეს. მაგრამ არსებობდა ისეთი ხალხებიც, რომლებმაც მსოფლიო ბატონობას მხოლოდ ძალადობით მიაღწიეს. ისინი ძირითადად შემოქმედებითი უუნარობით ხასიათდებიან და როგორც წესი, დაპყრობილი ხალხების ცივილიზაციებს ანადგურებენ ხოლმე, ვინაიდან არ შესწევთ უნარი მისი გაგებითა.

1. თუ რომელიმე კულტურული ხალხი სხვა კულტურულ ხალხზე ბატონობს და მას სულიერადა და ეკონომიკურად აჩანაგებს, როგორც ეს ინგლისმა ირლანდიას უქნა, ან თუ რომელიმე კულტურული ერი თავის მეტოქე კულტურული ერის პოლიტიკურსა და ეკონომიკურ განადგურებას ცდილობს, როგორც ეს ინგლისმა ბევრ დასავლეთევროპულ ხალხებს უქნა და რასაც გერმანიას უპირებს, ასეთ შემთხვევებში დამონებული ერების უზარმაზარი სულიერი და პროდუქტიული პოტენციალი იკარგება. ვინ იცის რა სულიერი ფასეულობების მიცემა შეეძლო ევროპისა და მსოფლიოსათვის ირლანდიელ ხალხს, მისი ეროვნული ძალების მობი-

ლიზებისათვის ინგლურქვეყნულ კულტურის ბატონობას რომ არ შეეფერებოდა? პანეთისა და საფრანგეთის მსოფლიო ბატონობის დამხობა ინგლისის მხრიდან სულაც არ არის გულდასაწყვეტი, რადგანაც ეს ორივე ქვეყანა თავიანთ იმპერიალისტურ მისწრაფებებს იმავე მიზნით ამართლებდა, რა მიზნითაც ინგლისმა ისინი დაამადბლა. ვერასოდეს შექმნიდნენ ამერიკის შეერთებული შტატები ამ საოცარ ტექნიკას, ამ მაღალგანვითარებულ მრეწველობასა და ორიგინალურ საზოგადოებრივ ცხოვრებას, ინგლისის კოლონიად რომ დარჩენილიყვნენ.

2. თუ დიდი კულტურული ერი სხვა ერს მბრძანებლობს, რომელიც განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე იმყოფება, ასეთ შემთხვევაში ორ განსაკუთრებულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. ან გაბატონებული ერი ანადგურებს დამონებულ ერს (სულ ერთია რა წიით) და ამით კაცობრიობა გარკვეულ შემოქმედებით ენერგიას ჰკარგავს, რამეთუ თვით უდიდეს კულტურულ ერსაც არ ძალუძს სხვა ერის ხარისხობრივად შეცვლა. ანდა გაბატონებული ერი დამონებულს გარკვეულ შიდა პოლიტიკურსა და ეროვნულ თავისუფლებას ანიჭებს და საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ბატონობით კმაყოფილდება. ასეთ შემთხვევაში გაბატონებულის კულტურული გავლენა დამორჩილებულს მხოლოდ სიკეთეს მოუტანს. მაგრამ თუ დამორჩილებულმა ხალხმა წინსვლის უნარი გამოავლინა და უცხო გავლენის შემეყობით ფეხზე დამოუკიდებლად დგომა შესძლო, ჩვენი სამართლიანობის გრძნობა მოითხოვს, რომ გაბატონებულმა უკან დაიხიოს და ვასალი საკუთარ თავს მიანდოს. ინდოეთში ინგლისისაგან ბევრი რამ შეთიფსა, მაგრამ ამავე დროს ინგლისმა იმდენი ფასეულობა გაანადგურა, თვით მრეწველობაშიც კი, რომ ევრასოდეს შესძლებს ექვივალენტის დაბრუნებას.

3. მაგრამ თუკი ხალხი, რომელიც არანაირი პოზიტიური თვისებებით არ გამოირჩევა და მასზე განვითარებულ ხალხზე მხოლოდ მიშველი სამხედრო ძალის მეოხებით ბატონობს, ეს მთელი კულტურული სამყაროს დაცემას მოასწავებს და კაცობრიობა უდიდეს შემო-





ქმედებით ენერჯიას შეარგავს. ქართველები, სომხები, ბალკანეთის ქვეყნები – ამგვარი მტრების გამოისობით საუკუნეებით ჩამორჩნენ ისე, რომ ამ ხნის განმავლობაში მათი ეროვნული განვითარება ჩანასახშივე ნადგურდებოდა. თუკი რუსეთის ახალი რეჟიმი რუსიფიკაციის ძველ პოლიტიკას გააგრძელებს, მცირე ქართველი ხალხი რუსეთის დამანგრეველ ძალას ალბათ დიდ ხანს ვეღარ გაუმკლავდება. მაგრამ რას შექმნის ანალოგურს რუსეთი ქართულ მიწაზე? ძველი, ორიგინალური კულტურის მქონე ხალხის საცხოვრებლის ნაცვლად იქ კახაკთა და მუგაკთა პროვინცია შეიქმნება. პოლინელემა, საპირისპიროდ, როგორც დიდმა ევროპულმა კულტურულმა ხალხმა, რუსული ბატონობის ატანა შესძლეს ისე, რომ არ ჩაძირულან. პირიქით, ეკონომიკის ზოგ სფეროში რუსეთი დაჯახუნეს კიდეც და თავიანთი ნაწარმისათვის რუსეთის იმპერიის ბაზრის მოპოვებაც მოახერხეს. არ გასულა ორმოცი წელი მას შემდეგ, რაც ბალკანელი ხალხები თავისუფლებას ენიჭნენ და ერთ-ერთი მათგანი — ბულგარელები, რომელნიც 500 წლის მანძილზე იკირთებოდნენ და იძარცვებოდნენ, სამხედრო და ეკონომიკურ ასპექტში დღეს ძლიერ თანამედროვე კულტურულ ერად მოგვეცილნენ. უძველესი, პოლინეთი დიდ ნაბიჯებს გადადგამს მისი განთავისუფლების შემდეგ, ორმოცდაათ წელიწადში ვერ იცნობთ თვით პატარა საქართველოსაც კი, თუკი რუსეთის გამანადგურებელი ბატონობა მისი ეროვნული ცხოვრების პარალიზებას შეწყვეტს.

ყოველი ერთი, რომელიც ამ სახელის ტარების ღირსია, პოტენციურად განვითარებადი, მამინაც კი, როდესაც უცხო ძალის ბატონობის ქვეშ იმყოფება. თავისუფლების მიღწევის შემთხვევაში იგი თავის ენერჯიას გააათქვეფს; იგი ისეთ პოლიტიკურ ორგანიზაციას შექმნის, რომელიც მის ეროვნულ სულიერებას უპასუხებს. „სოციალური ცხოვრება სულ უფრო რთულდება. ეროვნული შემოქმედების პროცესში იცვლება ერის ფსიქიკაც. იგი ნელ-ნელა ახალი კულტურული დასუფლობების შემუშავებას იწყებს. იმ დაჩაგრული მონური მასის ნაცვლად,

რასაც ერთ განთავისუფლებამდე წარმოადგენდა, ჩვენ უფრო მალევე სხვათა მტრულ ორგანიზმს უხედავთ. ამ ხნის იტყვიან კატობრიობა ერების განთავისუფლების შედეგად და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რომელიმე ერთი კულტურის არმქონე ხალხის ბატონობისაგან თავისუფლდება. რაც არ უნდა ნამგებობანი იყოს ცალკეული დიდი ხალხების მცირე მსოფლიო ბატონობის დაკარგვის გარემოება, კაცობრიობა ასევე უფრო მეტს მოიგებს.“<sup>27</sup>

მიხაკო წერეთელი ღრმად არის დარწმუნებული, რომ, კაცობრიობის სინდისი, მისი მზარდი მორალური ნორმები და ახალი საზოგადოებრივი წესრიგის იდეები ის ძალებია, რომელნიც დღესაც წინ უდგანან იმპერიალიზმის გავრცელებას და ალბათ ოდესმე ბოლოს მოუღებენ კიდეც.

ამ დაუსრულებელი ბრძოლის შემსუბუქებისა და მოწესრიგების, საერთაშორისო ურთიერთობების საყოველთაო წესებისადმი დაქვემდებარების და მსოფლიოს „ორგანიზების“ მიზნით სახელმწიფოებმა „საერთაშორისო სამართალი“ შეიმუშავეს. იგი მომდებრული უნდა ყოფილიყო ბოლო მოვლი აღნიშნულ ურთიერთობებში არსებული ქაოსისათვის. როგორც უკვე ითქვა, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ არის იდეალური სამართალი და სამართლიანი საერთაშორისო სამართალი მხოლოდ მომავალში თუ მოაწესრიგებს მსოფლიოს“<sup>28</sup>.

ეროვნულობის პრინციპის განხორციელება კი, ავტორის აზრით, განვითარებადი საერთაშორისო სამართლის უმთავრესი ამოცანაა. მაშინ ეს პროცესი თავის ლოგიკურ დასასრულს პოვებს, „თუკი რომელიმე დიდი, ვერ უხილავი ფაქტორი არ შესცვლის კაცობრიობის ისტორიის მიმდინარეობას“. ჩვენს დროში უკვე შესაძლებელია ერების ეკონომიკური და სულიერი შემოქმედება ყველა კონტინენტზე იმ შემთხვევაში, თუ დიდი და უფრო ძლიერი ხალხები უფრო პატარებსა და სუსტებს პოლიტიკურად და ეროვნულად არ მოსპობენ. საერთაშორისო კაპიტალი და საერთაშორისო მეცნიერება პოლიტიკურ საზღვრებს არ იცნობენ. ამ ომის დასრულების შემდეგ, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური ქვეყნები<sup>29</sup> გაიმარჯვებენ, ეროვნულობის პრინციპის განხორციელება ზოგიერთი საერთა-

27 M. von Tsereteli. დასახ. ნაშრ. გვ. 37

28 იქვე. გვ. 38.

29 ოთხთა კავშირი გერმანიის მეთაურობით.



შორისო საკითხის მოგვარებისას აუცილებლობად იქცევა. მთელმა ამ მოძრაობამ შეიძლება იმ ნერტილს მიაღწიოს, როდესაც, სახელმწიფოებრივი საზღვრები, — თავისთავად ცხადია, — საქირო გამოჩაღების ვარა, ეროვნული საზღვრების იდენტურნი გახდებიან. გერმანიამ პოლონეთის განთავისუფლებით დიდი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. როგორი დამოკიდებულება აქვს ამ საკითხისადმი ანტანტას? — კითხულობს მეცნიერი — ყოველ შემთხვევაში პრეზიდენტ ვილსონის პასუხიდან არ გერჩება შთაბეჭდილება, რომ იგი მსგავს ნაბიჯებს გეგმავდა.

ანტანტა ბელგიის, სერბეთისა და მონტენეგროს აღდგენას ითხოვს, ამბობს მ. წერეთელი, მაგრამ ამ შემთხვევაში ლიად რჩება საკითხი იმის შესახებ, მიიღებს თუ არა ბულგარეთი იმ პროვინციებს, რომელნიც ბუქარესტის ზავით ჩამოერთვა. იგი ევროპის რეორგანიზებასა და ხანგრძლივი რეჟიმის გარანტიას ითხოვს, რაც ერების პატივისცემასა და მცირე თუ დიდი ხალხების უფლებების აღიარებაზე, ტერიტორიულ ხელშეკრულებებზე, ისევე, როგორც საერთაშორისო წესებზე იქნება დაფუძნებული.“ მაგრამ არაფერი ფიცით იმის შესახებ თუ რატომ უნდა მოხდეს ეს რეორგანიზება ოთხთა კავშირის ტერიტორიების ხარჯზე და არა მთელს ევროპაში — განსაკუთრებით კი ინგლისსა და რუსეთში? რას გულისხმობს ანტანტა ხალხისა და ერის ცნებების ქვეშ? სახელმწიფოსა თუ სოციალურ ორგანიზმსაც? რომელსაც შეიძლება სახელმწიფოებრიობა არ გააჩნდეს, მაგრამ გააჩნდეს უფლება ჩამოყალიბდეს პოლიტიკურად და დამოუკიდებლად იცხოვროს? რატომ მხოლოდ ევროპის რეორგანიზება და არა აზიისა თუ სხვა კონტინენტების? ვინ ვართ მაგალითად ჩვენ, ქართველები, აზიელები თუ ევროპელები? თუ აზიელები ვართ, მაშინ არ უნდა გვექონდეს იმედი ჩვენი უფლებების აღდგენისა, რამეთუ საქმე ევროპის რეორგანიზებას ეხება. ხოლო თუ ევროპელები ვართ, მაშინ რატომ არაფერს ამბობს ანტანტა ჩვენს უფლებაზე ვიყოთ დამოუკიდებელი? ანტანტა იტალიელების, სლავების, რომინელების, ჩეხების, სლოვაკების და თურქთა სისხლიან ტირანიას ვადარჩენილი ხალხების განთავისუფლებას ითხოვს. რატომ არა ქართველების, ფინელების, თათრების, უკრაინელების, ირლანდიელების,

ინდოელების, ეგვიპტელების, ალჟირელების, ტუნისელების და ა.შ. განხრეკსაფელუმს? ანდა რა განთავისუფლებას უნდა ვთხოვთ ანტანტა? ახალი სახელმწიფოების შექმნასა თუ რუსულ ბატონობას აესტრიელ სლავებსა და სომხებზე? ხოლო თუ დამოუკიდებელი სომხეთი, რატომ არა დამოუკიდებელი ირლანდია ან საქართველო?

ანტანტა თურქეთის ევროპიდან გაძევებას ითხოვს, „რადგანაც იგი, ექვეარეშეა უცხოა დასავლური ცივილიზაციისათვის“, მაგრამ იდეა კი ძველი რუსეთი ამ ცივილიზაციასთან ახლოს? რაც ანტანტის მოთხოვნებს შეეხება პოლონეთის დატოვების შესახებ, იმ მოტივით, რომ რუსეთის იმპერატორის განზრახვები უკვე მკაფიოდ გამოჩენილა,<sup>30</sup> ევრაფერს იტყვი, რუსეთის განზრახვები მართლაც მკაფიოდ გამოჩნდა მისი პოლონეთში მზრძანებლობის ხანაში და განსაკუთრებით კი 1861 და 1863 წწ.

თუ ჩვენ ანტანტის ამ მოთხოვნებს გერმანიის საომარ მიზნებს შევადარებთ, — განაგრძობს იგი — შთაბეჭდილება დაგვარჩება, რომ ბრძოლა მათ შორის, შეიძლება მუიძარი მზარეებისაგან გაუცნობიერებლადაც კი, არის ბრძოლა ორ პრინციპს შორის, ანუ დამონებული ხალხების ძარცვისა და ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრინციპებს შორის. ინგლისიცა და რუსეთიც დღესდღეობით დაპყრობილი ტერიტორიების შესამედს ფლობენ და ამიტომაც, შეიძლება საკუთარი სურვილის ნინააღმდეგაც კი, იძულებული იყვნენ ხალხთა ექსპლუატაციის პრინციპის მატარებლად მოგვევლინონ. გერმანია კი, ამ ომში, ზღვების თავისუფლებას, თავისუფალ კონკურენციას ეძებს, რაც მისი ეროვნული არსებობის გარანტიაა. ამიტომაც, ხალხთა უფლებების პატივისცემა გერმანიის მზრიდან შეიძლება, პირველ რიგში, მისი მდგომარეობით იყოს ნაჯარანხევი, ვინაიდან მისი სიდიადე, არა სხვა ხალხების გამოყენებაში, არამედ მის შიდა ეროვნულ ძალაში მდგომარეობს.

ამრიგად, ჩვენ ადრეც ვითქვამს და ეხლაც ვამბობთ, რომ ის რასაც ანტანტა ამ ნოტაში ითხოვს, ეროვნულობის პრინციპი არ გახლავთ.<sup>31</sup>

იყო დრო, როდესაც ინგლისი, საფრანგეთი და იტალია, ისევე როგორც გერმანია, დიადი იდეების სამშობლონი იყვნენ. დიადი იყო კრომველის ბრიტანეთი, როდესაც ხან-

30 აქ 1914 წ. რუსეთის იმპერატორის მანიფესტი იგულისხმება, რომლის ძალითაც იგი პოლონეთის ავტონომიას პარტოვდა.

31 M. von Tsereteli. დასახ. ნაშრ. გვ. 39-43.

გრძლივი ბრძოლის შედეგად პოლიტიკური თავისუფლებების პრინციპები შეიმუშავა, რაც მომავალში მაგალითად იქცა მთელი მსოფლიოსათვის. დიდი იყო იგი, როდესაც 1787 წ. პირველად შეკრიბა „Abolition Society“, რათა მონობა დაეცმო და ეკავობრიობა ამ სირცხვილისაგან განეთავისუფლებინა. დიდი იყო, როდესაც ინგლისის უკანასკნელმა კოლონიებმა 1838 წ. მონობა საბოლოოდ გააუქმეს. დიდი იყო, როდესაც XIX ს. მანძილზე დამონებულ ხალხებს თანადგომასა და სიმამათიებს აღუთქვამდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ხშირად, ამგვარი კეთილშობილური ნაბიჯების გახსენებისას, ეკავობრიობა ინგლისის ცოდვებს პატივებს ხოლმე. მაგრამ თავისუფლებისა და ადამიანურობის კეთილშობილი პრინციპების მიმდევრობის ნაცვლად ინგლისელი ხალხი კარგა ხანია საკუთარი იმპერიალიზმის ტყვედ იქცა. ბურების რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მომხრე იმპერიალიზმის საბოლოო გამარჯვებას მონობის ერის კეთილშობილებაზე ირლანდიელთა და ინდოელთა მიმართ მრისხანე დამოკიდებულება სულ უფრო ნაკლებად ანუბებს ინგლისელი ხალხის სინდისს და დღეს იგი უკვე რუსეთის ძალმომრეობას იცავს, რომელიც რევოლუციის შედეგად საესებით არ შეცვლილა. ხოლო საფრანგეთი? ნუთუ ეს ის საფრანგეთია, რომელიც დიდი რევოლუციის დროს თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის პრინციპებს ქადაგებდა და ინლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდა? განა საფრანგეთის კონვენტი არ იყო, რომელმაც საზღვიო ვითარებაში ყოველგვარი თანადგომა აღუთქვა ჩაგრულ ხალხებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში? საფრანგეთის რევოლუციის იდეალებმა უზარმაზარი გავლენა მოახდინეს ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. დიდი იყო ეს გავლენა საერთაშორისო სამართლის განვითარებაზეც. ნაპოლეონის ძლევამოსილმა არმიებმა რევოლუციის იდეები მთელს ევროპაში განავრცეს, მაგრამ ნაპოლეონის დამპყრობლური ლაშქრობების ლოკური შედეგი – ერის თავისუფლებისა და საერთაშორისო სამართლის უარყოფა გახლდათ; იგი ევროპის ყველა ხალხს დაუბრუნებდა და თუ მისი დამარცხების შემდეგ დიდმა ხალხებმა თავისუფლებას მიაღწიეს, პატარები უფრო მძაფრ მონობაში აღმოჩნდნენ.

ავტორი გულისტკივლით აღნიშნავს, რომ საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიამ თავი ანება დიდი იდეების მატარე-

ბლობას მამინ, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა და მსოფლიოს მანძილზე „ლიბერალისტების“ სათავეში მოუწევს „მანქანის“ აგე იმედის თვალთ შესცქერის შედარებით ახალ პოლიტიკურ მოვლენას ევროპაში – სოციალიზმს, რომელსაც დიდი და კეთილშობილი იდეები შემკვიდრეობით ერგონილად. აი, უკვე ორმოცი წელიწადია, რაც ამ ახალ მოძრაობას სათავეში სოციალიზმი ჩაუდგა, ამბობს იგი, მაგრამ ახლანდელ ომში საფრანგეთსა და ინგლისში – სადაც დღეს დიდი იდეებისათვის საერთოდ არ დარჩა ადგილი – მისი დაცემა შეიძლება. თითქოს ამ ქვეყნებს საკუთარი წარსულის უარყოფა სურდეთ. ხოლო იტალია? ბრუნოს ქვეყანა, თავისუფალი აზრის უძველესი საფარველი, მადინისა და გარბილდის სამშობლო, სადაც სოციალისტები, როგორც ერთნი წინ აღუდგნენ პოგრომის იმპერიას, – ეს იტალია ამ ომში ძველი რუსეთის მოკავშირედ მოგვევლინა.

ამის შემდეგ ავტორი საგანგებოდ იხილავს სოციალისტურ მოძრაობას. სოციალისტურ მოძრაობას იგი XIX ს. ევროპის ისტორიაში ყველაზე ღრმა მოძრაობად მიიჩნევს, ბევრად უფრო ღრმად, ვიდრე პოლიტიკურ-კონსტიტუციურს, რომელიც ევროპის ცხოვრების აღნიშნული პერიოდის ასევე დიდი მოვლენა გახლდათ. იმას, ვისაც სოციალიზმი უსაფუძვლო უტოაიდა და დემაგოგების ბეჭეტურად მიაჩნია, გვაფრთხილებს მიხაკო წერეთელი, ვერაფერი გაუგია ევროპის ისტორიისა.

„სოციალიზმი – ევროპის საზოგადოებრივი განვითარების ბუნებრივი შედეგი გახლავთ. ეს შუა-საუკუნეების თავისუფალი ქალაქებისა და კომუნების დიდი მოძრაობის, რენესანსის პერიოდის სულიერი აღორძინების, რეფორმაციის დროინდელი რელიგიური და სოციალური გადატრიალების, პოლანდის, ინგლისის და საფრანგეთის დიდი პოლიტიკური და სოციალური რევოლუციების უშუალო გაგრძელებაა. ეს ევროპის საზოგადოების ყველა ძველი იდეალის მეცნიერული ფორმულირება გახლავთ..“

ახლად ჩამოყალიბებული იდეალი კი ყოველთვის გადაჭარბებულია. გადაჭარბებული იყო აგრეთვე პირველი სოციალისტების ინტერნაციონალიზმიც. მათ ხომ ინტერნაციონალიზმი სოციალიზმის გავრცობის აუცილებელ პირობად გამოაცხადეს. ეს კარგად ჩანს კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ 1848 წ. გამოცემული „კომუ-



ნისტური მანიფესტიდან“. მათი ინტერნაციონალიზმი ანუ კოსმოპოლიტიზმი, რომლის იდეალი უნივერსალური სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა გახლდათ, სრულიად უარყოფდა საერთაშორისო სამართალს, რამეთუ სპობდა ერისა და ცალკეული სახელმწიფოს ცნებებს. სხვა სიტყვებით, სამართლის სუბიექტის ცნებას მისი წინაპირობის გაუქმების საშუალებით ახდენდა. მაგრამ რეალობამ გადაჭარბებული იდეალისტები მალე გამოასწორა და სწორედ მარქსისა და ენგელსის ინიციატივით გამოცხადდა პოლიტიკური ბრძოლის საქმიანობა თვითოველ სახელმწიფოში. ამიერიდან ქემშარიტი ინტერნაციონალიზმის ცნების ქვეშ არა უტოპიური კოსმოპოლიტიზმი, არამედ თავისუფლად მწარმოებელი თავისუფალი ერების თავისუფალი კავშირი ესმოდათ. დაჩაგრული ერების უფლებების ცნობა ამ იდეების განვითარების ლოგიკური შედეგი გახლდათ, ვინაიდან დაჩაგრული ერები იმპერიალიზმისა და დაპყრობის მსხვერპლნი არიან. ამას კი სოციალისტები ებრძვიან. მართლაც, არც ერთ კლასს ახალ დროში არ დაუცვია დაჩაგრული და დამონებული ერები ისე მძლავრად, როგორც გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის პროლეტარიატმა და არც ერთი პარტია არ გამოსულა უუფლებო ხალხთა დაცვის მოთხოვნით ისეთი შემართებით, როგორც ეს საერთაშორისო სოციალისტურმა პარტიამ გააკეთა“.

ამის შემდეგ — მიმოიხილავს რა სოციალისტური იდეების განვითარებას აღნიშნულ ქვეყნებში — ავტორი დასძენს, რომ ხალხთა დამონებისა და დაპყრობის წინააღმდეგ, საბოლოო ჯამში, ყველაზე მძლავრი პროტესტი გერმანულმა სოციალ-დემოკრატებმა გამოაცხადეს და ესეც იმ კრიტიკულ მომენტში, როცა მათი საკუთარი სამშობლო ყოველი მხრიდან ათი მოკავშირის მიერ გარშემორტყვული აღმოჩნდა.

უაღრესად საინტერესოა რუსული სოციალიზმის მიხაკო ნერეთლისეული შეფასებაც: „მას ევროპული სოციალისტური აზრისათვის ორიგინალური არაფერი შეუძატებია. ბაკუნინიცა და კროპოტკინიც ქემშარიტად ევროპული მწერლები არიან. პირველი — გერმანული ფილოსოფიის, ხოლო მეორე კი ინგლისურ-ფრანგული მეცნიერული პოზიტივიზმის საფუძვლებზე იქნენ აღზრდილნი. ისინი ევროპაში მოღვაწეობდნენ და მათი ნიგნები, ბაკუნინის რამდენიმე ნაშრომის გამოკლებით, ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნდა. ამის საპირ-

ისპიროდ ლაეროვი „ქემშარიტი რუსი მოაზროვნე“ გახლდათ, ენგელსმა კი „ქემშარიტი ფილოსოფიასა და გიგანტურ ფიქრებს“ თაყვანს გამოუცხადებდა და ევროპაში უარყოფდა მათი მნიშვნელობა და აკრძავდა. სოციალისტი რევოლუციონერების რუსულმა პარტიამ სცადა ლაეროვის მოძღვრება მათი პროგრამის თეორიულ საფუძვლად ექცია, რათა მისათვის რუსული იური მიეცა, მაგრამ სწორედ ამ თეორიულ საფუძველზე იქნა იგი გამუდმებულად გაცამტყვრებული სოციალ-დემოკრატების მიერ და ნელ-ნელა კარლ მარქსი მათთვისაც სოციალიზმის უდიდესი შედეგებად იქცა. — რუსი სოციალ-დემოკრატები ყოველთვის გერმანელი სოციალ-დემოკრატების ცუდი მომხატველები იყვნენ. მარქსიზმი მათთვის ერთადერთი ფილოსოფია და ერთადერთი მეცნიერება იყო. მათი უდიდესი შეფი — პლუტანოვი, რომელიც პარტიის თეორეტიკოსად ითვლებოდა, მთელი მისი სოციალისტური მანძილზე მხოლოდ მარქსიზმის ინტერპრეტატორად დარჩა. გერმანული სოციალ-დემოკრატია რუსულსათვის მუდამ ნიშნად გახლდათ, ხოლო რუსი სოციალ-დემოკრატები არა მხოლოდ გერმანული სოციალისტი მოაზროვნეების მონაცვებადა და მომხრეებად, არამედ მათ ბრმა მონებად დარჩნენ სამუდამოდ. ქეგელიანური ფილოსოფია ერთადერთი სწორი ფილოსოფია იყო, დიალექტიკური მატერიალიზმი — მეცნიერული ფილოსოფია. ყოველი რუსი, ფრანგი ან გერმანელი, რომელიც მარქსიზმის ფილოსოფიისა ან სოციალოგიური საფუძვლების ხელის ხლებასა ან შესწორებას ბედავდა, აღარ იყო სუფთა, აღარ იყო ნამდვილი სოციალისტი. რუსული სოციალისტური ლიტერატურის საუკეთესო ნაწილი არა მხოლოდ მარქსისტული, არამედ საერთოდ გერმანული სოციალისტური ნაშრომების თარგმანი გახლავთ. საკუთარი ნააზრევი რუს სოციალისტებს არ გააჩნიათ, როგორც თეორეტიკოსები ისინი არაფერს ნაწამოადგენენ და სწორედ ამით აიხსნება, რომ საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესებზე რუსული პარტია დიდი გერმანული სოციალ-დემოკრატისა საცოდავად დანამატად გვევლინებოდა და მხარს მუდამ იმ უკანასკნელის რეზოლუციებს უჭერდა...“

„რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია არასოდეს სცნობდა რუსეთის დაჩაგრულ ერთა თავისუფლებას და უარყოფდა არარუსი ერების ავტონომიის იდეას, თუმცაღა, როდესაც 1903 წ. საბოლოოდ შემუშავდა სამოქმედო პროგრამა, დამონებულ

ხალხთა პროტესტისაგან თავდაცვის მიზნით საზეიმოდ გამოაცხადა ენ. „ერთა თვითგამორკვევის უფლება“. ცენტრალიზმი, რუსეთის იმპერიის ერთიანობა, ეს ის საფუძვლებია, რომლებიც პარტიის წევრებს უნდა დაეცვათ. მოგვიანებით, 1905, 1906 წ. რევოლუციური აღმავლობის გავლენით მან პოლინიეთისა და ფინეთის ავტონომია აღიარა, სხვა ხალხებს კი მაშინ თავისუფლების უფლებას არ აძლევდა და არც ახლა აძლევს. პარტიული დოგმების ლაღატის შიშით შეპყრობილი ქართველი სოციალ-დემოკრატები დიდი ხნის მანძილზე საკუთარი ქვეყნის ავტონომიასაც კი უარყოფდნენ (იმ მოტივით, რომ ეროვნულ საკითხს სოციალიზმთან არანაირი კავშირი არ აქვს). მაგრამ ამ აბსურდს მალე მრავალი ქართველი სოციალ-დემოკრატი ჩამოსცილდა. მათ ჯერ კიდევ ძველი რეჟიმის დროს აღიშნულეს ხმა რუსულ დუმიში ხალხთა თავისუფლების დასაცავად. რუსეთის მთავრობასა და ანტანტას საყვედურობდნენ, რომ ისინი ეროვნულობის პრინციპის გამარჯვების კი არა, არამედ სულ სხვა რამისათვის იბრძოდნენ. ქართველ დემუტატ ჩხეიძეს ხშირად დაუცავს არარუსი ერები მთავრობის თავდასხმებისაგან. სხვა სოციალ-დემოკრატი ჩხენკელი უფრო შორს წავიდა და საჯაროდ დაუჭირა მხარი „რუსეთის არარუსი ერების ლიგას“, რომელმაც მიმართვა ვაუგანვანა პრეზიდენტ ვილსონს, სადაც რუსეთის მთავრობის მიერ არარუსი ერების მიმართ გამოჩენილი სისასტიკენი და ხელშეკრულების დარღვევის ფაქტები იყო აღწერილი.

მაგრამ იგივე პლეხანოვმა – მარქსის კომენტატორმა და რუსული დიალექტიკური მატერიალიზმის<sup>12</sup> შემქმნელმა – რომელიც, ყოველი ხელსაყრელი შემთხვევისას სიამაყით იმეორებდა, რომ განსვენებულ ენგელსს მისთვის ესა და ეს უთქვამს, სხვა სიტყვებით, რომლისთვისაც ენგელსის ნათქვამი გადამწყვეტი არგუმენტი გახლდათ, – სწორედ ამ პლეხანოვმა, ბებელისა და კაუტსკის ამხანაგმა, წერილებსა და ბროშურებში ბრძოლა გამოუხსცადა ორივე ქართველ დემუტატს და მათ პროლეტარიატის ლაღატში დასდო ბრალი.<sup>13</sup>

ამრიგად – დაასკვნის ავტორი – ანტანტის ქვეყნებში ამგვარი ვითარების ფონზე მათი შირიდან ეროვნული საკითხის გა-

ლახდელი დასამის იმედი უაზრობა იქნებოდა. ამ ქვეყნების სოციალ-დემოკრატთა უყოფნით გამბედაობა ტამ სურჩეულს მტკონ ერთა უფლებები. თუ ისინი ბრძოლას უცხადებენ იმპერიალიზმს, მილიტარიზმსა და ზოგადად ომს, რასაც მათი პროგრამა პირდაპირ ითვალისწინებს, მაშინ ამ სამ უბედურებას ყველგან თანაბრად უნდა ებრძოდნენ, ვინაიდან ეს მსოფლიო მოვლენებია, რომელნიც არა მხოლოდ ანტანტის მონინაალმდეგეთა ბანაკში არიან კულტივირებულნი. ხოლო თუ ისინი ეროვნულობის პრინციპს იმდენად დიად ფასეულობად მიიჩნევენ, რომ მისი განხორციელებისათვის მსოფლიო ომის წარმოებაც კი ღირს, მაშინ ეს პრინციპი მათ საყოველთაო ღირებულებად უნდა გამოაცხადონ და იზრუნონ მისი განხორციელებისათვის მთელს მსოფლიოში და არა მხოლოდ მოკავშირეთა სახელმწიფოებში, სადაც არ არიან გაერთიენებულინი იმდენი უცხო ხალხები, და სადაც ურთიერთობანი გაბატონებულსა და ქვეშევრდომ ერებს შორის არ ატარებენ ისეთ ხასიათს, როგორც ეს სახეზე გვაქვს რუსეთში, ინგლისსა თუ საფრანგეთში. ჩვენ კიდევ ერთხელ გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მხოლოდ მსოფლიო ბატონობის გამართლება, რევანში და ახალი ექსპლოატაციის სფეროების მოპოვება და არა ეროვნულობის პრინციპის განხორციელება გახლავთ ანტანტის წვერი ყველა მხარის ტუმარიატი მიზანი.

როგორც ვთქვით, ამ ომის მსვლელობამ ცენტრალურ სახელმწიფოებს ეროვნული საკითხის მოგვარება თავად მიანიშნა. ანტანტა სანინაალმდეგე პრინციპს ადგას. ძნელი სათქმელია, თუ რომელი გამარჯვებს ამ მართვან? მაგრამ ადვილად შეიძლება გავცეს პასუხი კითხვას, თუ ვისი გამარჯვება იქნებოდა უფრო სასურველი? თუ გერმანია გამარჯვდება, რუსეთის იმპერია იძულებული იქნება, ყველაზე ცოტა, გააინთავისუფლოს არარუსი ხალხები. მაშინ ახალი სახელმწიფოები აღმოცენდება – პოლონეთი, ფინეთი, უკრაინა, საქართველო – შესაბამისად კაცოსია. სახელმწიფოთა თანამგვობობა შეიქცევა ახალი წევრებით და თუ ამ ომის შემდეგ ბრიტანული და ფრანგული ბატონობა გაუქმდება ირლანდიაში, ეგვიპტეში, ინდოეთში, აღმოსავლეთში, მაშინ მსოფლიოს რუკა ბევრად უფრო კეთილგონიერ იქნის მიიღებს.

## მე-20 საუკუნე — რატროსპექტივა და ღღჳანღლობა

ოღითგანვე ასე იყო — დროის ნიშანი აწნდა ყვეღაფერს, რასაც ადამიანი თავისი ხელით ქმნიდა. ვინ უბრალო ხელადას ძერწავდა, ვის ნათალი ლოდებით სახლის კედლები ამოჰყავდა, სხვა შეიძლება რიტუალურ პიშნებს ან სანესჩვეულებო მოტივებს თხზავდა. ყვეღაფერი იმ ნების თუ შემუშავებული თარგის ან სტერეოტიპის მიხედვით კეთდებოდა, რომელიც დროის გარვეულ მონაკვეთში იყო დამკვიდრებული. ეს ცხოვრებისეული ფაქტი ადრექრისტიანულ ხანაში, რენესანსის ეპოქაშიც და მე-19 საუკუნეშიც არსებობდა, როცა ტექნიკის წარმოუდგენელ პროგრესს დაედო სათავე.

ეპოქის ზოგადი ნიშანი სულ უბრალო ნივთებშიც — ყავის ფინჯანში და დივანზე გადასაფარებელ ფარდაგშიც გამოსჭვივის. კულტურის დონე და ელფერი, სტილი და მანერა ყოველდღიურობის გამჭვირვალე პრინციპში იკვეთება. ასევე ხელოვნებაში და ლიტერატურაშიც — დრო აქაც სრულფასოვნად ავლენს თავის თავს. აქაც არსებობს დროისმიერი ერთი გამჭოლი ტალღა, რომელიც რალაც ნიშნით ერთმანეთს ამსრავლებს სხვადასხვა რანგის პოეტებს და პროზაიკოსებს. ეს მსგავსება სავესებით სხვადასხვა კომპონენტებში შეიძლება გამოვლინდეს. იდენტურობა შეიძლება სჭვიოდეს ფრაზეოლოგიაში, ინტონაციურ რეგისტრში, ლექსიკურ სიჭრელეში, ან უბრალოდ სათქმელში, რომელიც ზოგადი პრობლემურ-შინაარსობრივი პარამეტრებით გადაკვეთს ერთმანეთს. მაგრამ რა ხასიათისაც უნდა იყოს მსგავსება, არსებითი მანც ვანსხავებაა. ხელოვნება იწყება იქ, სადაც ინდივიდუალობის მკაფიო შტრიხი იჩენს თავს. ეს შტრიხი ანიჭებს მხატვრულ ლირებულებას ამა თუ იმ პოეტის თუ პროზაიკოსის ნაწარმოებს.

ამ გრძნული, უნიკალობის და ინდივიდუალობის წარმომქენი შტრიხის უქონლობა კალმოსნებს პლაგიატებად და გრაფომანებად, უკეთეს შემთხვევაში „ტექნიკოსებად“ და ევრსიოფატორებად აქცევს. ჩვენი საუკუნის ათიან დაოციან წლებში ინდივიდის, უნიკალობის, თვითმყოფადი პიროვნებისეული სანყისის, ორიგინალობის ფასი კარგად

იციღდნენ. ეს თავისთავად იმას ნიშნავს, რომ პოეზია ვერ კიდევ ერთპიროვნულად ინარჩუნებდა თავის შეუველ უფლებებს. ვინც პოეზიაში მეტნაკლებად ვერ ახერხებდა, ის ცხოვრებაში ცდილობდა გარვეწული ნიშნებით თავისი უნიკალობა დაემტკიცებინა. საამისო ასპარეზო კი ფართო იყო. თითქოს მკითხველთა პუბლიკაც მოითხოვდა პოეტებისგან არა მხოლოდ ლექსების წერას, არამედ ექსცესების მოწყობას. ლიტერატურული მანიფესტების და დეკლარაციების ცვენა, ერთი მხრივ, ინარჩუნებდა ლიტერატურის მტკიცე უფლებამოსილებას, მეორე მხრივ კი გარვეწულილად კოლექტივიზმის სულს ამკვიდრებდა და ინდივიდს ავიწროებდა. სხვათა შორის, ეს კარგად შენიშნა ცნობილმა გერმანელმა მწერალმა ალფრედ დიობლინმა და საინტერესოდაც შეუთვალა ფუტურიზმის მამამთავარ მარინეტის: „არასოდეს არ დაიფიქროთ, რომ არ არსებობს ხელოვნება, არამედ არსებობს ის, ვინც ქმნის ხელოვნებას, რომ ყოველი ხელოვანი თავისებურად იზრდება და მათ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. ლიტერატურაში არ არსებობს მასობრივი უნივერსალური ნაწარმი. რაც საკუთარი ძალებით არ არის მოპოვებული, იმას ვერ შეინარჩუნებ. ნუ ესწრაფვით ჯოჯორობას, მისგან მხოლოდ ბევრ ხმაურს მიიღებთ და ცოტა მატყლს. გამოიყვანით თქვენი ცხვირის ფარა საზიფათო ზონიდან, იზრუნეთ თქვენს ფუტურიზმზე, მე კი ვიზრუნებ ჩემს დიობლინიზმზე“.

ვერაფერს იტყვი. მშეენიერი სიტყვებია, ოღონდ ისიც ვასათვალისწინებელია, რომ მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი ლიტერატურაში ექსპერიმენტების, რთული ესთეტიკური ძიებების, მხატვრულ სისტემათა მოუსვენარი ცვალებადობის ნიშნით წარიმართა. ეს არსებითად ამდიდრებდა გამომსახველობით არსენალს. და თუ დროდადრო დგებოდა ხიფათი ცხოვრებისაგან სრული მოწყვეტისა და თვითმიზნური ესთეტიკური გართობისა, უჭველად გამომწდებოდნენ ზოლმე დიობლინის მსგავსი ადამიანები და სწორი გეზისკენ, შინაგანი წონასწორობისაკენ მიუთითებდნენ მავანთ.

აქ სხვებთან ერთად შეიძლება გავიხსენოთ ესპანელი მწერალი ალონსო და მისი შესანიშნავი ნერილი „ხელოვნების რეკუმანიზაცია“. ამ ნერილში მართლაც რომ ნიშანდობლივი ვითარებაა ხაზგასმული. ალონსოს აზრით, მას აქვთ, რაც ორტეგამ თავის ეპოქის ესთეტიკურ მისწრაფებებს „ხელოვნების დეკუმანიზაცია“ უწოდო, მწერლებმა ამ ტენდენციის საპირისპიროდ სწორედ ადამიანის კენ აღეს გეზი, ალონსო წერს: „აბსტრაქციონისტების ძიებანი მე საინტერესოდ მესახება, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი ნამდვილად აფართოვებს ჩვენს ესთეტიკურ გამოცდილებას, ოღონდ არ უნდა დავიფიქროთ სინამდვილის ხატვა, — იმ სინამდვილისა, რომელიც ადამიანთან არის დაკავშირებული. ხელოვნება ადამიანებმა შექმნეს და იგი მუდმივად მათვე უბრუნდება“.

მოდერნისტული ხელოვნების ირგვლივ დასაყვლურ კრიტიკულ ნააზრევში ზოგჯერ სრულიად საპირისპირო, ურთიერთგამომრიცხავი თვალსაზრისები იქნეს ხოლმე თავს. ვთქვათ, ცნობილი მწერალი და ფილოსოფოსი მიგელ დე უნამუნო თავის ნერილში „ხელოვნება და კოსმოპოლიტიზმი“ მოდერნიზმს ლიტერატურაში კოსმოპოლიტიზმის ფონზე განიხილავს. სწორედ კოსმოპოლიტიზმი, მისი აზრით, მოდერნიზმის ნიშანდობლივი თვისებაა. მოდერნიზმი კი მხოლოდ პროფესიონალთათვის შეიძლება იყოს საინტერესო.

საპირისპირო თვალსაზრისს გამოთქვამს ნორვეგიელი მწერალი დაგ სულსტადი; მისი თქმით, თუკი მოდერნისტული რომანის პოეტიკისათვის ობიექტური რეალობის უგულვებელყოფა და ამ ნიშნით პირობითობა, არა ცხოვრებისეულიაა და მახასიათებელი, შესაძლებელია ამ პოეტიკის ეროვნულ ძირებზე — მითებზე და ხალხურ ზღაპრებზე — დაფუძნება, ვინაიდან ეს უკანასკნელიც მსგავსი ხერხებით არის შექმნილი. ყოველივე კი იმაზე მეტყველებს, რომ მოდერნისტული მწერლობა ევროპაში სხვადასხვა ნიშნით წარმოჩნდება, ოღონდ ერთი საერთო მახასიათებელი გააჩნდა. საგნების და მოვლენების რადიკალური ტრანსფორმაციის ხელოვნება ფართოდ და ღრმად მსოფლმხედველობრივ სივრცეს შემოქმედდა. ეპოქის სოციალური და ფსიქოლოგიური ატმოსფეროს ფონზე მე-20 საუკუნის ადამიანის რთული შინაგანი სამყარო იხატებოდა. გავიხსენოთ თუნდაც ულიას კანეტის „დაბრმავება“, ან ფრანც კაფკას რომანები.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის, როგორც ვიცით, ფორმალური ძიებ-

ბის გზა ადრევე დახშული აღმოჩნდა. ათიანი და ოციანი წლებში მსოფლიო კავშირით ელვარე ლიტერატურული უნივერსიტეტი უძველესივე ამოიძიკვა. უკვე „პერესტროიკის“ ხანაში რუსეთში დაგვიანებით გამოქვეყნდა ანდრეი პლატონოვის რომანი — „ანტიუტოპია „ჩვენგურ““. ამ ნაწარმოებში სრულიად თავისებური, უჩვეულო და უცნაური მხატვრული ენის მემკვიდრით წარმოინდა ტოტალიტარიზმის აბსურდული სახე, მისი მახინჯი ბუნება. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა სინამდვილეში ფორმისძიერი ძიებების გზა თავიდანვე დაიხშო, ანდრეი პლატონოვმა მაინც მოახერხა ისეთი მხატვრული სიმბოლოს შექმნა, რომელიც ღრმად შინაარსთან ერთად ძალზე ორიგინალური (იქნებ, — საოცარიც კი) მეთაფორულობაც ამტყვევებდა. ეს იყო და არის სრულიად თვითმყოფადი ჭტოლი, რომლის მომზადებელი ეფექტი მე-20 საუკუნის ევროპული კორიფების მიღწევების დონეზეა.

დღევანდელი მნიშვნელოვანი დღეა მოიცვა პოსტმოდერნისტულმა კულტურამ. პოსტმოდერნიზმი დღეს ყველაზე პოპულარული და მოდური კულტურაა და, ბუნებრივია, რუსეთში მისი დამკვიდრების პროცესი ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეზეც ახდენს ზემოქმედებას. პოსტმოდერნის მიმდევარნი ხშირად იმასაც ამბობენ, რომ ეს ახალი ეტაპი არა მხოლოდ მოდია, არამედ ატმოსფეროს გარკვეული მდგომარეობა, და მოგვწონს თუ არ მოგვწონს, მხოლოდ ის არის დღეს აქტუალური.

პოსტმოდერნული ხედეა მეორადი ხედვაა, რომელიც უკვე არსებული კლასიკური მწერლობის გათამამებით აღბეჭდავს სინამდვილეს. უფრო სწორად, მისი მასალა, მისი სინამდვილე ის კლასიკური ლიტერატურაა, რომელმაც თავისთავი შექმნა და დაასრულა. პოსტმოდერნისტი კლასიკური ლიტერატურის ნიაღში ისე შედის, როგორც მუზეუმში. პოსტმოდერნული ცნობიერება სხვადასხვა ნიშნით უღინდება, ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ნიშანია ტექსტის ციტატურა. პოსტმოდერნისტი ოპერირებს არა უშუალოდ ცხოვრების, გარემომცველი სინამდვილის ნიშნებით, არამედ კულტურის რეალებით. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს გაქვავებული ესთეტიკური კონსტრუქციების, მითების, უკვე ნაცნობი, ძველი სიუჟეტების გათამამებას. სხვა, ასევე გამოკვეთილ ნიშნად მიიჩნევა მოჭარბებული რეფლექსურობა, ხშირია ტექსტის მუხნით მოულოდნელად



აღძრული რეფლექსია. ავტორი ერთგვარ ნიაღვრებას მიმართავს და თავის ამა თუ იმ სახეს ან შეტყაფორას განმარტავს. ეს მომენტები ორგანულად არის ჩანერგილი თხრობაში და დინამიურობითაა აღბეჭდილი.

პოსტმოდერნული თვალსაზრისითა სისტემებში საკმაოდ მერყეულია ავტორობის კატეგორია. პოსტმოდერნული ხედვით აღჭურვილი ავტორი ხშირად ორიგინალობაზე არც ფიქრს თავს, ვინაიდან როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მუზეუმის ნიაღვრე ცხოვრობს. კლასიკური მწერლობის რეალიზებით ოპერირებისას ავტორი მეტწილად ინდივიდუალური პირველადი ტექსტით და მის ენერგეტიკულ ველში ტრიალებს. სხვათა შორის, ბოლო ხანს რუსეთის ლიტერატურულ ნრეებში გავრცელდა პოსტმოდერნისტული თამამი მელიარტი. ამ თამამის მიხედვით, ერთ ნაწარმოებს რამდენიმე ავტორი წერს. ნაწარმოები ფოსტით დაეგზავნებათ ავტორებს და ყველას თავისი „წელილი“ შეაქვს „თხზულების“ ერთ მთლიანობად ჩამოყალიბებაში.

ნუსხების შედგენა ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია პოსტმოდერნული ლიტერატურაში. შეიძლება გავიხსენოთ იოსებ ბროდსკის ცნობილი ლექსი „ვრცელი ვლეგია ჯონ დონისადმი“, ან ვლადიმირ სოროკინის მიერ გაკეთებული კლასიკური რუსული ლიტერატურის სტილურ ნაირსახეობათა ნუსხები. ეს ხერხი არაჩვეულებრივად პოპულარულია სახვით ხელოვნებაშიც.

მცირე რამ შეიძლება ითქვას სოცარტის შესახებაც: სოცარტი, ისევე, როგორც პოსტმოდერნი, ორიენტირებულია უკვე რეფლექსირებულ, მეორად მასალაზე. განსხვავება ისაა, რომ თუ პოსტმოდერნი კლასიკური მწერლობის რეალიზებს აქცევს ახალ კონტექსტში, სოცარტი იგივე კონტექსტში აქცევს სოციალისტური რეალიზმის ნიმუშებს. სოცარტმა უკიდურესობამდე, ლოგიკურ ზღვრამდე მიიყვანა საბჭოთა ხელოვნების სტილი. სწორედ აქ, ამ ზღვარზე იბადება პაროდია სოცარტის ნაწარმისა. სოცარტი

იყენებს საბჭოთა ხელოვნების ფაქტურას და ხერხებს ისე, რომ არამცდორ კონტრასტს დეფორმირებას, არამედ მთელი სტილისტური ლობით იმეორებს მას, მაგრამ სხვა კონტექსტში აქცევს და ამით ქმნის მისივე პროფანაციის უფექტს.

პოსტმოდერნზე და სოცარტზე მსჯელობისას მაგალითები რუსული ლიტერატურადან მოვიშველიე. ვინაიდან რუსეთში უკვე არსებობს საამისო მკვიდრი ტრადიცია. ყველაფერს რომ თავი დაეანებოთ, რუსულ პოსტმოდერნიზმს თავისი მამამთავარი ჰყავს – ვლადიმირ ნაბოკოვი. ცხადია, ეს მწერალი იმდენად ღრმად და მრავალნაზნაგოვანი, რომ მხოლოდ პოსტმოდერნიზმის ჩარჩოებში ვერ თავსდება, მაგრამ ამ კულტურის ნიმუშები ამკარად მსჭვალავს მის შემოქმედებას. სხვების ჩამოთვლაც შეიძლება: საშა სოკოლოვი, ანდრეი ბიტოვი, ვიქტორ ეროფეევი. პოეზიაში სოცარტის ნამდვილი კლასიკოსია დიმიტრი პრიგოვი.

ქართულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში პოსტმოდერნის და სოცარტის არაერთი ნიმუშია შექმნილი. როგორც ათიანი და ოცნაი ნლების ლიტერატურაზე საუბრისას ითქვა, აქაც გადამწყვეტი სიტყვა ინდივიდს, ავტორს, შემოქმედს ეკუთვნის. როგორი გულგრილობითაც უნდა ეკიდებოდეს პოსტმოდერნი ავტორობის რეპუტაციას, სულერთია – ავტორი ავტორად რჩება. პოსტმოდერნული კულტურის ავტორიტეტს ყველაზე მეტად სწორედ ორიგინალური და თვითმყოფადი მწერლები (ბორხესი, ან იგივე ნაბოკოვი) ინარჩუნებენ. ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ამ კულტურის პერსპექტივა ჩვენს ქართულ პოეზიაში, პროზაში და კრიტიკაში ჯერ კიდევ სამომავლოა. პოსტმოდერნი ღრმად განათლებული, დახვეწილი გამოცემების მქონე, სხვადასხვა კულტურებში ორიენტირებული ადამიანების ძალისხმევას საჭიროებს. ყოველივე ამას კი გარკვეული მიმართულებით განუვლი ხანგრძლივი შრომა უნდა დაეფოს საფუძვლად.



## ოსია მანდელშტაის უხეური მოგზაურობა

1920 წელს ფეოდოსიიდან ბათუმისკენ გამოემართა ძველი, მორყეული ბარჯა, რომელზეც იმყოფებოდა მე-20 საუკუნის ჩინებული რუსი პოეტი ოსია მანდელშტაიმი. ის ყირიმში უკანდახეულმა ვრანგელის მხარდამჭერებმა დააკავეს, რადგან ბოლშევიკების წაშლაში ეგონათ, ჯერ დასახვერტად შეაყენეს, მერე ბარჯაზე დასვეს და ბათუმისკენ გამოამგზავრეს. მის გარდა, პატარა გემით კიდევ ათი საექვო პირი მგზავრობდა, ვინ იყვნენ ისინი – ნითლები, თეთრები, ბანდიტები, მუქთახორები თუ ქურდები, არავეი იცის.

სახელი აღარ მახსოვს მისი. მე იგი საკუთარ ტკივილებს მაინებებდა, მაგრამ თითონ ცხოვრების ისეთი დიდი ტკივილი იყო, რომ მის სურნედავანეს, გული მეფლითებოდა. ოთხმოც წელს მიღწეული, წელში მოღწეული მოხუცი, ნაოჭებით ათასგვარად დახერილი სახით, კუთხეებში ედგარ და საცოდავით თვალებით შემოიყურებოდა. საოცარის ის იყო, რომ ამ თვალებს კიდევ შეერჩნოდა სიკეთის ნაპერწკალი და იმ ხლიამაზის ნაშთი, რომლითაც ისინი ახალგაზრდობაში ბრწყინავენდნენ მრავალთა გულის დასაწყობობა.

მოხუცი იყო კეთილი, თუმცა მას არაფერი, სრულიად აღარაფერი აღარ ებადა, სიკეთის საჩვენებლად ამ თვალებისა და ძელებსა და ძონებში გახვეული გულის გარდა. გული კი ისევ ძეგრადა, ჯერ კიდევ უცემდა, თითქმის მწარედ დასციროდა მისი სიცოცხლის ნარჩენებს. ტურები გალურჯებული პქონდა და სახეზე ისეთი ფერი ედო, თვალების დახუჭვალა აკლდა, რომ მისი სიკედილი გერწმუნა. თვალები კი ღია პქონდა, გახულილი და სიცოცხლეს ჩაბლაუჭებული. ღმერთო ჩემო! ნეტავი რაღად უნდოდა სიცოცხლე? იქნებ იმისათვის, რომ შეიღების სამშვიდობოზე გასულა შეეტყო, მანამდე არ მოშვედარიყო, სანამ ვიღაცა არ ეტყოდა, რომ მისი ორი ვაფი ცოცხალი იყო? მაგრამ ვანა ისეთ შეიღებს დედა ვაგვაცებს დღუძახებს, რომლებმაც სამშობლოს სახლგარი ქურდულად გადალახეს და უმთავრო ღამით უცხო მიწის სიბნელეს შეერივნენ? მე არ გამკვირვებია, რომ მათ მოხუცი დედამამა გასნი-

ბში ვიარეთ დაგვიძლი ძალღების ექსტორტი, სანამ ციხეს მივალნევიდით, ცხენებს ვეძღვებოდა მიოხრა, მენ ციხის საავადმყოფოში ვეძღვებოდა მაგრამ მე არ მინდოდა ჩამოვრჩენილიყავი თბილისიდან გამოყოლილ პატიმრებს. „ქრასნაია პრესნაია“ ციხეში მიგვიყვანეს, უკვე ღამე იყო, ჩვენ ვეღლას ისე ძალინ გენურურდა, რომ შიმშილს გვავიწყებდა ნურვული. ჩავეაყენეს რიგში და რკინის „კრუშკით“ დიდი ქვაბიდან ადუღებულ წყალს გვანვიდნენ, წყალი იყო ქაფქაფა, პირს გვწვავდა, მაგრამ მაინც ვსვამდით, ესვამდით ჩქარ-ჩქარა, რადგან ჩვენს უკან მდგომი მუჯღუგუნებს გვთავაზობდა, ველარ ითმენდა ნურვული.

მოსკოვის ციხეში, კამერებში ხის იატაკი ევო, ნარები არ ყოფილა, ან სად უნდა დაედგათ ამდენი ნარი, ტევა არ იყო, საცხე იყო ციხე ათასგვარი პატიმრებით; ერთი შეღავათი ის იყო, რომ აქ პოლიტიკური პატიმრები ცალკე საკანში ვიყავით და შიში აღარ გეჭონდა რეციდისტიების თავდასხმისა. აქაც დაახლოებით ორი კვირა დაეყავით, მერე გამოგვრეკეს ენოში, შეგვყარეს ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ „ჩორნი ვორონში“ და ახლა გორკისკენ ავიღეთ გეზი.

ახე „ენახე“ პირველად საბჭოთა კავშირის სახელგანთქმული დედაქალაქი — მოსკოვი!

რეს. კაცი, რომელიც სამშობლოს გაიმეტებს, დაუნდობელი მხენია და სადაც არ უნდა დაიდოს ბუნჯა, ყველგან მისწვება მშობლიური ცის კივილი და სიკვდილამდე შეაძრნებებს. ნუთუ მათი მოხუცი დედა (მათი მამაც ციხეში გარდაიცვალა), რომელიც ახლა მათ მაგივრად იჯდა საპრობილემში, კიდევ კეთილად ფიქრობდა უღირსი შვილებზე? მამ რატომ არ ემორჩილებოდა სიკვდილს? იქნებ იმიტომ, რომ უკუბოოდ და სამშობლოს უმინოდ არ სურდა დამარხვა, იქნებ კიდევ პქონდა ნატამალი იმედისა, რომ მშობლიური ძეგრა მიიღებდა და შეერიდომებდა მის სულს, მას ჩონჩხადექცულ სხეულს? რა ვიცი, მას კი ცოცხალი არსება ერქვა და... და მე აღარ შემძლო მისი ყურება. ეგებს ის სრული საშინელებით ვერც აღქვამდა ციხეს, მე კი მისი აღქვამდით მიღ მის საშინელებას. სახეზე მეც მისი ფერი მედო, მაგრამ საყოთარს ვერ ვხედავდი და სხვათა ნაცრისფერი და ყუითელი სახეები მზარავედა მხოლოდ.

ის ჩემზე ადრე გაიყვანეს. მოხუცმა ხელებმა კანკალით აკრიფა ძონებში და ღალასლი დატოვა საკანი. მუხლები აღარ ემორჩილებოდა, ეკეცებოდა და ეხლებოდა ციხე ცემენტს, დარჩენა უნდოდა. ეს ხომ, რაც არ უნდა იყოს, საქართველოს ცემენტი იყო და სარკმლიდანაც საქართველოს ცის ნავლუჯი იხედებოდა, პაეროდ ქართული შემოდიოდა, პაერი, რომელსაც ხარბად ვლაპავედა ყველა, ვინც იცოდა და არ იცოდა მისი მადლი და გემო. იარაღსხმულმა მცველებმა ჩაიყვანეს შუაში ეს მოლასლასე სიბერე და უბნოდ აიკლდა მამინ ჩემი სული:

სად მივყავით, სად იგი ხომ დახურული მანქანის კარამდეც ვერ მიადნებს! გაუშვით ხელი, თავი დაანებეთ, რაში ვჭირდებით ეს მოძრავი ძონძები, ნუთუ ერთი ტყეა გენანებათ, ესროლეთ, უკნით ეს სიკეთე!

მაგრამ თვალები? თვალელები კელავ კაფობ-და სიციცხლე და გულოც, ეს უღმობილო გულიც, ჯურ კიდევ ფეთქავდა. ამიტომ მიპყავდათ იგი...

ჰოი, საკვირველებავ! ეს ქალი მე კელავ ვიზილ გორკის ციხეში. გორკი როგორ ვეთყუანებოდა ამ სახელს და როგორ მენანება, რომ ამ დიდი ადამიანის სახელობის ქალაქში იმდენი უნით აუნერული სიმწარე ვიგემე. მე შეიძინე ციხის კედლები მინახავს, ციხე ყველგან ციხეა, მაგრამ გორკის ციხე რომ მახსენდება... არა, არ მინდა მოვიგონო!

კიროვის ციხიდან ვიატკის № 2 ბანაკში მივეყიანეს. ეს იყო 1946 წელი. კარგად მახსოვს, 1 სექტემბერს დიდი თოვლი მოვიდა. ეს ბანაკი, სადაც მე რამდენიმე თვე დავყავი, განმანაწილებელი ბანაკი იყო, აქედან გზავნიდნენ სხვა-დასხვა ბანაკში ჯგუფ-ჯგუფად; უამრავი პატიმარი იყო არეული ერთმანეთში, აქ მე არც ერთი ქართველი არ შემხედვარია, სომხები კი იყვნენ, ისინი მე „ზემილიაკას“ მეძახდნენ. უზარმაზარ საკანში მგონი მარტო მე ვიყავი პოლიტკურნი პატიმარი, გარს რეციდივისტები მუხიერენ. ისეთ დღეები ვიყავი, სიკვდილს ვნატრობდი. ფიზიკურად მამუშავებდნენ გაძვალტყავებულსა და დაუძღურებულს. მე-5 ბანაკში ქართველ პატიმრებს ვავიკოს, რომ ამ ვიქლივ გოგო იყო თბილისიდან და, ღმერთმა უშველოთ (დღეს ერთი იმათგანი მაინც თუა ცოცხალი), მომიხერხეს და სხვებთან ერთად მეც გამომიძახეს მე-5 პუნქტში ნასაფანად. სამუშაო ადგილაც უკვე შეერჩიათ ჩემთვის: ელექტროსადგურებში უნდა მემუშავა. ეს დახმარება გამინია ქუთაისელმა ინჟინერმა გრიშა ნულუკიძემ – სიმპათიურმა, დახვეწილმა ინტელიგენტმა, რომელიც აქ 37 წლიდან იყო. რა დამაინტერესებდა, ერთხელ სახლიდან ამანათი მიიღო და 4 ცალი კიტრა ვაშლი მაგიდაზე დამიწყო. გავიდა თუ არა, ხარბად დაუწუნე ქაშა ამ ვაშლებს და ნუთში მიუღულე ბოლო. იმაზე გემრიელი ვაშლი არც არასოდეს მიჭამია. ჩემი მფარველი გრიგოლ (გრიშა) ნულუკიძე მალე განთავისუფლდა და საქართველოში გამოემგზავრა. ეს კეთილშობილი ადამიანი მე კიდევ ერთხელ ვნახე ქუთაისში, სადაც ჩემი მეუღლე მუშაობდა (მამის რეაბილიტაცია არ უკონდა მიღებული და თბილისში არ ჩანერქეს), სხვა დროს აღარსად შემხედვარია. სახელი რომ ბრუნდებოდა, მაკრატელი და ერთი

– მაირი! (ასე მეძახდა ეს აჭარელი ქალი) – გახარებულმა შეპყვირა დმ წამქარტილული ხელები შემომხვია. ღმერთმა ჩვენს სხეს კიდევ ცოცხალი ხარ? – გავიღე გული.

მიმშილი... მიმშილი... მიმშილი... იმ ღამეს ორმა ორსმა დამ (დებო იყვნენ სრულიად ახალ-გაზრდა ღამაზი გოგონები) ერთ მიმწარე ქურდს დიდი ბუხანკა პური ააცილეს თავქვეშიდან და ხუთად გაანაწილეს. ერთი მუხუთედი მე გამომიწოდეს, მე კი მუახე გავეტყე და ხელის კანკალი მოხუცს ვაუღუე... გამოეტყედი მამონ პირველად დაუნყეველ გუნებაში მისი იქ გამოჩენა.

მე კიდევ შორს და შორს ვაუღუევი გზებს. მას კი არ ვიცი, სად, რომელ ყონულებში ჩარჩა ძვლები.

1966 წ.

უფანგავი ჩანგალი დამიტოვა; მაკრატელი საფლავ დაშუქარგა, ჩანგალი კი დღესაც ჩემი სამზარეულოს კარადის უჯრაშია.

ეს ელექტროქვესადგურები, რომლის აგებაშიც ჩემი მონაგალი შეუღლებე (ელექტროინჟინერი) მონაწილეობდა, ზონიდან ორიოდე კილომეტრზე მდებარეობდა, მე ხან ერთი ვმორიგეობდი, ხან მეორეში. დილით ადრე გამოიყვადით ზონიდან და საღამოთი გვაბრუნებდნენ „კანეიონს“ თანხლებით. შესასვლელში გვეჩრქოდნენ, რადგანაც ზოგიერთები ოდე კოლონსა თუ რაღაც დასპირტულ სასმელს მოულობდნენ და ზონაში შეჭობნათ. ელექტროსადგურებში მე შედარებით თავისუფლად ვგრძნობდი თავს. სწორედ იქ ჩავიწერე პატარა, ხელით აკონთულ რვეულში ჩემი ლექსები, თბილისის მიწსაკომში რომ „ქენრდი“ მესხიერების ფურცლებზე.

ერთხელ პატიმრებმა, რომლებიც ქურდობისათვის იხდიდნენ სასჯელს, ბანაკის ტერიტორიიდან ახალი კარტოფილი მოიპარეს, შეწვეს ელსადგურის ლუმელში და ერთი ცალი მეც მომიცეს. როგორ გგონიათ, უარს ვიტყოდი? კარტოფილი რაა, სადღაც დიდი ღორიც კი დაიჭირეს, დაკლეს და ორმინი ჩაფლეს, ლუმელში შეწვის შექმინდათ (სუნნი გასცემდათ), როგორ, სად მოხარმეს და მიირთვეს, კერაფერი ვაგიფე. მე ერთი ლექმიც არ მრგებია. დიდი მიმშილობა იყო, ბალახს ჭამდნენ, განსაკუთრებით ეგვიპტური ბოლოდათ ერთგვარი ბალახი, რომელსაც „ოვანჩის“ ეძახდნენ.

ეს არეულ-ფარეული, გადაღლილი გონებით ჩანერილი სტრაქონები ზღვაში წვეთია, იმ ზღვის წვეთისა, რომელიც მე რაღაც სასწაულით გამოუცხრე და არც ნაპირზე დამხვედრია ჩემსკენ გამოწვდილი ხელი.

ერთი პლარ ნამოზნადა

იმ ქარიშხლებმა რომ გამოიტაცეს და აჩეხილი ტყეებიდან რომ დაებრუნდი, რაღაც უზადრუკი არსება ვიყავი. თითქოს ახლად დაეებადე მობელს – უსუსური და უდღეური.

ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყივით ევგვე და სულს ვლავადი. მერე და მერე კი დაედექა ფეხზე, მაგრამ ფრთები აღარ ნამოზნადა.

1983 წ.

## კვლი კოლხეთის სახელმწიფოებრიობის ნარმოქმნის პრობლემისათვის

XX საუკუნის მეორე ნახევრის არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა მნიშვნელოვნად გააღრმავა საქართველოს ძველი ისტორიის კვლევის წყაროთმყოფდნობითი ბაზა და კოლხეთში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის საკითხის შესწავლაც ახალ ფაზაში შეიყვანა. დღეს უკვე უჭკველია, რომ სახელმწიფოს შექმნას კოლხეთში ნიადაგი მოუშხადა გვიანბრინჯაო-ადრურკონის ხანის მეტალურგიის მალაქმა დონქ და ინტენსიური მონათმოქმედების განვითარებამ. მოხუცდავად ამისა, სახელმწიფოს ჩამოყალიბების კონკრეტული დროისა და ვითარების საკითხები ჯერ კიდევ კვლევა-ძიების პროცესშია და, ამდენად, მეცნიერთა მიერ მათი გააზრების შედეგები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

ცნობილია, რომ ანტიკური ხანის გარიერთაზე აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბებამდე, ისტორიულ საშრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწაყალზე ახლო-აღმოსავლურ (ლურსმულ) წარწერებში დაიაენის, მკვლევართა აზრით, იმავე დიაოხის და კულხას (ანუ კოლხას) სახელწოდებებით მოიხსენიებიან პოლიტიკური გაერთიანებები, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველ ტომთა სოციალურ დაწინაურებასა და მათ შორის სახელმწიფოებრივი ტრადიციების განვითარებაში.

როგორც ასურულ-ურარტული წარწერების კვლევა-ძიებით არის დადგენილი, დაიაენი-დაიაოხის (იგივე ტაოს, ტაოხის) ქვეყნის საშრეთი პერიფერია მდებარეობდა შერმინდელი არხრუმის რაიონში და მდ. ყარა-სუს (დასავლეთ ეფრატის) სათავეებთან. მისი ტერიტორია აქედან ჩრდილოეთით შორს ვრცელდებოდა.

დაიაენი-დაიაოხის პოლიტიკურმა ერთულმა საყმომად დიდხანს იარსება (ძვ. წ. XIII-VIII სს.) და სამოლოოდ გადაიქცა ძლიერ, მყარ გაერთიანებად, რომელმაც გაუძლო ასურეთისა და ურარტუს არაერთ შემოტევას. ტოგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. 1115-1077 წწ.) მეფობის დროს დაიაენი წარმოდგენდა ვანის და ურმიის ტბების გარშემო, ნაირის ვრცელ ოლქში მდებარე ვეულაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ წარმონაქმნს, რომელსაც სათავეში ედგა ერთი ამეფე — სუვერენული ხელისუფალი. აკად. გ. მელიქიშვილი ვარაუდობს, რომ აღნიშნული საუკუნეების განმავლობაში დაიაენი-დაიაოხის განვითარება გასცდა სამხედრო დემოკრატიის საფეხურს და მიიღო აღმოსავლური ტიპის სახელმწიფოს სახე.

რაც შეეხება კულხას, ანუ კოლხას პოლიტიკურ ერთეულს, როგორც ეს გ. მელიქიშვილის ბოლო დროის ნაშრომებშია აღნიშნული,

კოლხას ძლიერი გაერთიანება პირველად ძვ. წ. VIII ს-დან იხსენიება ურარტუს მეფის სარდურ II-ის (ძვ. წ. 764-735 წწ.) წარწერაში. როგორც მკვლევართა დიდი ნაწილი ვარაუდობს, ეს გაერთიანება მდ. ქოროხის ქვემო წელის აუზის გარდა უთუოდ მოიცავდა დღ. აჭარას, გურიას და მის ჩრდილოეთით მდებარე შარავს. სრულიად განსხვავებული სურათი გვეხატება ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე (სახელდობრ, საშრეთი-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში) მცხოვრებ ტომთა პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისით უფრო ადრინდელ, ასურულ წყაროებში. როგორც ტოგლათფილესერ I-ის ძვ. წ. 1112 წლის წარწერიდან ირკვევა, ასურეთის მმრძანებელმა „ნაარის 23“ მეფის დამარცხების შემდეგ „ზემო ზღვამდე“ ანუ შავ ზღვამდე მისდია „60 მეფეს“, სხვა მათთან დასაზმარებლად მოსულ ამეფეებთან ერთად. „ზემო“ ანუ „დიდი ზღვის“ მახლობლად მცხოვრები ამეფეები (ტომები) ასევე გამოკვეთილად უპირისპირდებიან ასურელებს მეფე თუქულთინიურტა I (1245-1209) წარწერის მიხედვით.

აღნიშნული წარწერების შესწავლას გ. მელიქიშვილი მიჰყავს მნიშვნელოვან დასკვნამდე. უპირველესად, აქედან ჩანს, რომ ამ მრავალრიცხოვან მეფეთა საცხოვრის, სადამდასავლ მათ სდია ასურეთის მმრძანებელმა, მდებარეობდა „ზემო ზღვის“ ანუ შავი ზღვის სანაპიროს მახლობლად. და მეორე, ასურელთა მიერ დევნილი ეს ტომები ამ დროს (ძვ. წ. XIII და XII სს-ში) ჯერ კიდევ არ შეადგენდნენ მყარ გაერთიანებას ერთი მმრძანებლით სათავეში, თუმცა აღებული ხანაში, ასურელთა აგრესიული შემოტევების პირობებში, ამ ტომთა შორის, თავდაპირის ან თავდასხმის მიზნით, უკვე ნათლად იჩენს თავს მათი შეკავშირების აუცილებლობა. შემდეგში, ასურელთა და ურარტულთა ძლიერი დაზოლის კვალდაკვალ აღნიშნულ ტომებში ჩნდება უფრო მყარი გაერთიანებები და მათი განვითარებაც პოლიტიკური შეკავშირების თვალსაზრისით უფრო სწრაფი ტემპით მიდის წინ.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, უკვე ძვ. წ. VIII ს-სათვის ზემოხსენებული შავი ზღვისპირეთის ტომების არაშყარი გაერთიანებების ბაზაზე ყალიბდება კულხას (ანუ კოლხას) ერთიანი ძლიერი პოლიტიკური ერთეული თავისი ერთპიროვნული ამეფით, სამეფო ქალაქებით, პროვინციის გამგებელ მეფის ნაცვლებით და ა. შ. ეს ტრანსფორმაცია ძვ. წ. IX ს-დან არის საკარაუდებელი. სწორედ ამ დროდან გადაიქცა კოლხა მყარ და ძლიერ გაერთიანებად,





რომელმაც თავისი გავლენა განავრცო ურატუს ძლიერი იმპერიის მიერ დამარცხებული მეზობლის - დიაოხის ჩრდილოეთ პროვინციებზე და ასევე აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ვრცელ მინა-წყალზე.

დ. ხაზუტაძისეილის შეხედულებით, კოლხას სამეფოს სწრაფ წინსვლაში დიდი როლი შეასრულა რკინის სამრეწველო გამოყენებამ მის ცენტრალურ რეგიონებში, მათ შორის დღ. ქობულეთის ქვეყანაში, რომელიც რკინის ნარმოებით და ლითონის ჩამოსხმით ერთ-ერთი ყველაზე დანინაურებული მხარე იყო ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში<sup>1</sup>.

ამიტომ, მკვლევარი, სავსებით მართებულად ვარაუდობს, რომ ტექნიკურად და მეურნეობრივად მონინავე ამ მხარეს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მთელ ზღვისპირეთთან ერთად, აქტიური მონაწილეობა უნდა მიეღო კოლხას სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში<sup>2</sup>.

განსხვავებული მოსაზრებები აქვს გამოთქმული ლურსმული ნარნერების კოლხას სამეფოს ნარმოქმნის დროის, ვითარებისა და მისი პოლიტიკური ცენტრის ადგილსამყოფელის შესახებ ო. ლორთქიფანიძეს. მკვლევარის აზრით, საკამათოა კოლხას გაერთიანების პოლიტიკური ცენტრის ძიება ჭოროხის აუზში. გამომდინარე იქიდან, რომ არგონავტების თქმულებაში თითქმის კოლხეთის დაბლობზე (როონისპირეთში) შექმნილი რეალური ვითარება უნდა იყოს ასახული, მკვლევარი ვარაუდობს, რომ ამ მითის უძველეს, მიკერული ხანის ციკლში აისახა დასავლეთ საქართველოს მინა-წყალზე არსებული დიდი და ძლიერი პოლიტიკური გაერთიანება, რომლის მთავარ მონინავე ოლქს წარმოადგენდა როონის აუზი<sup>3</sup>. გარდა არგონავტების თქმულებაში დაკული ცნობებისა (შეფე აიტიკისა და უნძულად აიათის შესახებ), ასეთი დებულების ნაშთების უფლებას მკვლევარს აძლევს კოლხური გვიანბრინჯაოს კულტურის გენეზისის და მისი წამყვანი ცენტრის ადგილმდებარეობის ახლებური გაზრება. მეცნიერის მტკიცებით, მართალია მდ. ჭოროხის აუზი წარმოადგენდა კოლხური გვიანბრინჯაოს კულტურის უმთავრეს სამრეწველო საფონდს, მაგრამ ძირითადად ურკვის განის რაიონებზე ის ვარაუდობს, რომ ამ კულტურის ფორმირება იწყება ძვ. წ. XVI-XV სს-ში კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში, როონისა და მისი შენაკადების აუზში, სადაც ძვ. წ. II ათასწლეულიდან დამკვიდრდა დასავლურ-ქართული მოსახლეობის დიდი მასა<sup>4</sup>.

აღნიშნული გარემოება, ასევე გვიანბრინჯაოს კულტურისათვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი სასოფლო-სამეურნეო ბარლის არაწვეულებრივად დიდი რაოდენობით დამზადება-გამოყენება კოლხეთის დაბლობზე, ო. ლორთქიფანიძის საფუძველს აძლევს მდ. როონის აუზის ჭაობიანი ადგილების ინტენსიური ათვისება მიორნოს II მთავარ მასტაშულიურებელ ძალად, რომელიც განაპირობებდა აქ მოსახლე საზოგადოების არა მარტო ერთიან ეკონომიკურ სისტემა-

ში მოქცევას, არამედ მისი პოლიტიკური კონსოლიდაციის პროცესს. მკვლევარის ვარაუდით, ამ პროცესის შედეგად შექმნილი იქნება პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც ლიდერთა სათავეში, რომლის ხელმძღვანელობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა კოლხეთის დაბლობის უზარმაზარი ჭაობიანი სივრცის ათვისება, წყლის სანრეტი არხების გაყვანა და სხვა<sup>5</sup>. მკვლევარის აზრით, როონისპირეთიდან ამ დიდმა გაერთიანებამ თავისი გავლენა განავრცო უკრ კოლხეთის მთელ დაბლობზე, ხოლო შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში<sup>6</sup>. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ უნძოთ განხილული ლურსმული ნარნერებიდან გამოტანილ დასკვნებს, განსაკუთრებით კომას, რომ მხოლოდ მეორე ათასწლეულის II ნახევრის დასასრულისთვის (ძვ. წ. XII-XI სს-ში) შეიძლება საუბარი ანარის ოლქში<sup>7</sup>, დღ. არზრუმის ჩრდილოეთით მდებარე დაიანის დიდ და ძლიერ პოლიტიკურ გაერთიანებაზე რომელსაც შეეფე კანდებდა, ხოლო ამ გაერთიანების მეზობლად სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში სახლობდნენ ასურეთის მეფეებთან თუქულთინურტა I-თან და ტიგლათფილესურ I-თან მერკინებელი "ზემო", ანუ "დიდი ზღვის" (იმავე შავი ზღვის) სანაპიროსთან მცხოვრები მრავალი ნურული ტომები, ძვ. წ. II ათასწლეული<sup>8</sup> სათავეში და ისინი ამ დროს უკრ კიდევ არ შეადგენდნენ რაიმე მყარ გაერთიანებას, ამასთან ანგარში გავლენით იმ გარემოებასაც, რომ ეს ტომები მხოლოდ VIII საუკუნისთვის ქმნიან ერთხად ნოდებულ დიდ და ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს, ერთპიროვნული მეფით სათავეში, ცხადია არავითარი საფუძველი არა გვაქვს ურარტულ ნარნერებში მოხსენიებულ კულხას სამეფოს ცენტრის ადგილსამყოფელი ნარმოედ-გინოთ ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანების კოლხეთის დაბლობზე - როონისპირეთში.

ასეთ ვარაუდს, ჩვენი აზრით, არც კოლხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული არქეოლოგიური ძეგლების კვლევა-ძიების შედეგით უჭერენ მხარს. მართალია, დასავლეთ საქართველოს მინა-წყალზე მცხოვრები ტომები II ათასწლეულის მეორე ნახევარში ქმნიან ბრწყინვალე გვიანბრინჯაოს კულტურას, მაგრამ, როგორც თვით მკვლევარნი შენიშნავენ, დღესდღეობით აღმოჩენილი ამ ხანის მონამუშების მიუხედავად მწილი აღნიშნულ ტომთა სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების სურათის ზუსტი აღდგენა, განსაკუთრებით კი საუბარი მათი პოლიტიკური კონსოლიდაციის შესახებ, რადგან კოლხეთის დაბლობზე უმთავრესად ამ ხანის განძები და ცალკეული ნივთებია გამოვლენილი. მკვლევალი არ არის არც ჩვენთვის საინტერესო დროის (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის) სამაროვნები და არც დიდი პოლიტიკური გაერთიანებისთვის დამახასიათებელ ნაგებობათა ნაშთები. ო. ჯაფარიძე და სავლეთ საქართველოში მოპოვებული მთელი არქეოლოგიური მასალის განალიზების შედეგად შენიშნავენ, რომ კოლხეთის დაბლობის ინტენსიური ათვისება, მისი მეურნეობის ინტენსიფიკაცია მხოლოდ II ათასწლეულის



ბოლოსთვის შეიმჩნევა. ამ დროს დასტურდება აქ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ზრდაც და ბარში მცხოვრები ტომების სოციალური დაინაურება. მრავლად გვხვდება შრომის იარაღები, მატარებელს განძების რიცხვი. ამ დროიდანვე ხდება მთელ დასავლეთ საქართველოში და მის მიმდებარე მხარეებში კოლხური კულტურის განვითარება.

გარდა ამისა, როდესაც ვსაუბრობთ ძვ. წ. II ათასწლეულის შუახანებიდან ჩოინისა და მისი შენაკადების აუზის მოსახლეობის სოციალურ დაინაურებაზე, კოლხეთის დაბლობის უზარმაზარი სივრცის სამეურნეო ათვისებაზე, რაც თითქმის ვერ განხორციელდებოდა ერთპიროვნული ლიდერის და მისდაში დაქვემდებარებული თემის დაინაურებული მეთაურის გარეშე, უნდა გავთავალისწინოთ ისიც, რომ კოლხეთის დაბლობზე ცხოვრებისთვის მეტ-ნაკლებად ნორმალური პირობების შექმნა, რაც ძალზე რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო, კულექტორ ლინისძიებთან გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ ერთობლივი შრომა უნდა ყოფილიყო მის ძირითადი პირობა, რომელმაც აქ შრომის ორგანიზაციის კულექტორი ფორმა წარმოიქმნა და შემდეგაც მისი ხანგრძლივად არსებობა განსაზღვრა. აღსანიშნავია ისიც, რომ წყლის სანრები არხების გასაყვანად შრომის გავრთიანების საჭიროება ამ საქმიანობაში თემურ ორგანიზაციას დიდხანს უნახავდა ადგილს\*. უფრო მოგვიანებით (ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან) შრომის ასეთი ორგანიზაცია მხოლოდ ფორმას ინარჩუნებს, ხოლო მონაწილესობრივად იგი სახემეცველობა. ეს არის უკვე სასოფლო თემებად გავრთიანებული საშობლობების ერთობლივი მონაწილეობა ერთ საერთო საქმეში. ასეთი სამუშაოს დროს ფიზიკურ ძალასთან ერთად, შეერთებული იყო დიდი რაოდენობით შრომის იარაღები\*.

თემის წევრთა მიერ კულექტორი შრომის განხორციელებისას სამეურნეო საშობლობების და იარაღის შეერთება რიონისპირეთში დიდი ხნით ადრე წარმოქმნილი წესი ჩანს. აღსანიშნავია, რომ კულექტორი თანამშრომლობით ნაქარნავევი ეს წესი თავის ასახვას პოევის გაცემებით უფრო მოგვიანო ხანის (ძვ. წ. VII-VI სსს) კულექტორ დამარხვის წესშიც, როდესაც თემის გარდაცვლილ პირთა ძელებთან ერთად იმარხებოდა, უთუოდ, თემის საერთო სარგებლობაში მყოფი ასეულობით სამეურნეო იარაღი\*.

გვინდა ისიც შევნიშნოთ, რომ კოლხეთში მეტალურგიული წარმოების მაღალი განვითარების და დიდი რაოდენობით ლითონის იარაღის დამზადების აუცილებლობას ქმნიდა არა მხოლოდ რიონისპირეთის ჭაობიანი მიწების ათვისება, არამედ მისი მიმდებარე ჩრდილოეთ და სამხრეთ მთისწინეთში ახალი საერგულების მოსაპოვებლად მცენარეული საფარის, ბურქანების, ხშირი ტყეების გაკაფვაც. არსებობდა სხვა სამეურნეო საჭიროებანიც, საშინაო და სახმელეთო გზების მოწესრიგება, ხიდებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ასევე მუშობელ აგრესიულ სახელმწიფოებთან

საომარი ოპერაციების წარმოებისათვის საბრძოლო იარაღ-საჭურველის დამზადება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვან იმდროინდელ სამყაროს ცენტრების კოლხეთთან და ლიონის გატანის ორგანიზაცია.

ამრიგად, მეტალურგიის მაღალ განვითარებას მოთხოვდა არა მხოლოდ კოლხეთის დაბლობის ჭაობიან ადგილებში ინტენსიური მინათმომქმედების განვითარება და აქაური მოსახლეობისთვის ხელსაყრელი სამეურნეო პირობების შექმნა, არამედ პროგრესი დასავლეთ საქართველოს სხვა რეგიონების მკვიდრთა ცხოვრებაშიც. ამ მხრივ თავისი დანიშნულებული მეურნეობით და სოციალური განვითარებით გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხრიდანვე კოლხეთის ტერიტორიაზე ნათლად იკვეთება მდ. ჭოროხის აუზი და მის ჩრდილოეთი მდებარე მხარე – ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო.

ამ თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე აჭარის ტერიტორიაზე შემდგომით, თუ არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მასალას: დიდაჭარის, სახალვამის არქაული ცულების განძებს, სოფ. კონათში აღმოჩენილ მასალას, დიდი დასახლებების შესწავლას, მთ შორის ზოლოქ-ოზხამურის ხერთვისში გამოყვანილი არქეოლოგიური ძეგლების – ნაშტეფური VI-ისა და სხვათა კვლევა-ძიებას. უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ არსად საქართველოში არ არის აღმოჩენილი ისეთი რაოდენობით ადრეული სახეობის ცულების დასამზადებელი ყალიბები, როგორც აჭარის ტერიტორიაზე. სახელდობრ, საქართველოში აღმოჩენილ ყალიბთა 1/3 აჭარაზე მოდის.

მთელი ეს მონაპოვარი სხვა, ადრე გამოყვანილი არქეოლოგიური ძეგლებთან (ერგვის განძი, ქობულეთის განძი და სხვა) ერთად კიდევ ერთხელ დადსტურებს სამეცნიერო ლიტერატურაში ადრე ნამოყვანებულ დებულებას ძველი კულხას პოლიტიკური გავრთიანების შექმნაში ჭოროხის მეტალურგიული კერისა და მის ჩრდილოეთ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები, წარმოებასა და მინათმომქმედებაში დანიშნულებული მოსახლეობის მონაწილეობის შესახებ.

ამ რეგიონის, როგორც ბარის, ისე მთისწინა ზოლის საზოგადოების სამეურნეო-საწარმოო კულტურის განვითარების მაღალ დონეს ხელს უშართავდა მჭიდრო კონტაქტები ახლო-აღმოსავლეთის ცივილიზებულ ქვეყნებთან, ხოლო საუკუნეთა მანძილზე არსებული ისტორიული გარემო - სახელმწიფოებრივი ტრადიციის მატარებელ ხალხებთან შეზობლობა უთუოდ მნიშვნელოვნად აჩქარებდა კოლხეთის სამხრეთ რეგიონში განსახლებულ ქართველ ტომთა პოლიტიკურ გაერთიანებას.

ახლა შევეხები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ანტიკური ხანისათვის კოლხეთის სამეფოდ წოდებული ახალი სახელმწიფოებრივი წარმოამქმნის ჩამოყალიბებას, რაც თან სდევდა (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში)



კულხას (კოლხას) პოლიტიკური გაერთიანების დაცემას.

როგორც რიონისპირეთსა და მის ჩრდილოეთით მდებარე მთისწინეთში გამყოფილი არქეოლოგიური მასალის კვლევა-ძიების შედეგების წერილობით წყაროებთან ერთად შესწავლამ დაგვარწმუნა, ძვ. წ. VIII-VII სს-ში აღნიშნულ რეგიონში მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება, როგორც მისი მოსახლეობის ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ცხოვრებაში. კოლხეთის მთიანეთში არსებული რკინისა და სხვა საჭირო მადნეულის დიდი რაოდენობით დამუშავებამ და რკინის იარაღზე გადასვლამ შესაძლებელი გახადა კოლხეთის ჩრდილოეთ მთისწინეთში ვრცელი ტერიტორიის მომცველი ღრმა ხეობების ვათაისუფლება მცენარეული საფარისაგან და ნაყოფიერი მიწების ათვისება. მეორეს მხრივ, რკინის ფართო წარმოებამ კოლხეთის მთიან რეგიონებში დიდი სტიმული გაუჩინა ამ მხარის მოსახლეობას მჭიდრო კონტაქტი დამყარებისა ლითონის მადნეულ მცირეაზიელ ბერძენ ვაჭარ-ხელაოსნებთან, რის შედეგად ჩრდილოეთ კოლხეთ ინტენსიურად იქნა ჩართული იმდროინდელი სამყაროს ეკონომიკურ პროცესებში.

ყველაფერი ეს, ბუნებრივია, ხელს უწყობდა აღნიშნულ მხარეში მოსახლეობის ზრდას და პროგრესის მის ცხოვრებაში. რიონის აუზსა და კოლხეთის ჩრდილოეთ მთიანეთს შორის მოქცეულ მხარეში არქეოლოგიურად დადასტურებულია ძვ. წ. VIII-VII სს-ში მსხვილი გორა-სამოსახლეობის მანამდე არნახული მომრავლება, რაც აქ მომხდარი „დემოგრაფიული აფეთქების“ უტყუარი მოწმობა უნდა იყოს.

ამრიგად, არსებული წყაროების მუქზე ნათლად იკვეთება ის ფაქტი, რომ წინანტიკური ხანისთვის ზემოაღნიშნულ რეგიონში თავი მოიყარა ყველა პირობამ იმისთვის, რომ ამ მხარეს და მის მოსახლეობას ნამყვანი როლი შეესრულებინა კოლხეთის სამეფოს ფორმირების პროცესში.

მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ხსენებულ ხანაში რიონისპირეთსა და მის ჩრდილოეთით მდებარე მხარეში, სამხრეთისაგან განსხვავებით, ცხოვრება შედარებით მშვიდობიანად მიმდინარეობდა.

აქვე უნდა გავიხსენოთ წერილობითი წყაროები, სახელდობრ, ფსევდო-სკილაქს კარიანდელის ცნობა, რომლის თანახმად წინააღიანი სტურ ხანაში კოლხების მიწაზე მდებარეობდა ქ. დიოსკურია და მდ. ამაზოსის (ჭოროხი), საიდანაც ჩანს, რომ მთელი ეს ტერიტორია ამ დროს კოლხების საცხოვრების სახელით იყო ცნობილი. აღნიშნული გარემოება ვაფიქრებინებს, რომ ძვ. წ. VIII ს-ის მეორე ნახევრის დასასრულს კოლხას გაერთიანების დაცემას თან მოჰყვა სამხრეთიდან სოციალურად დაწინაურებული კოლხის მმართველ ბირთვის გადმონაცვლება და მის მიერ დომინირებული მდგომარეობის მოპოვება რიონისპირეთსა და ჩრდილოეთ კოლხეთის მთისწინეთში. აღნიშნულ ტერიტორიაზე კულხადან გადმონაც-

ვლებულ მმართველ წრეებთან ერთად სამხრეთიდან უნდა გადმოსულენო ქადაგნი-ქადაგნი-ეობის ერთი ნაწილიც, ტყე მტლქქ წყნუტტტტტტტტ დახელოვნებული ოსტატები. სამეცნიერო ლიტერატურაში (დ. ხაუტკაიშვილი) გამომწვეულია მოსაზრება, რომ რკინის დნობის ტექნოლოგია ჩრდილოეთ კოლხეთში სამხრეთიდან უნდა გადმოეტანათ ხელოსნებს, რომელთა მეშვეობით აქ, მდ. ხობის შესართავის, მდ. ოჩხომურის ორივე ნაპირას დაარსებულ იქნა მრავალი რკინისადადნობი სახელოსნო.

სავარაუდებელია, რომ კოლხას მმართველი ზედაფენის გადმოსვლას თან მოჰყვა შუარიონისპირეთში კულხას სამეფო რეზიდენციის გადმოტანაც. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ კულხას წინააღმდეგ მუფე სარდური II-ის ლაშქრობის დროს, როდესაც ურარტუს მეფემ ბრძოლით აიღო და განადგურა მისი ერთ-ერთი სამეფო ქალაქი ილდამუსა, მის მოსახლეობასთან ერთად გაქლიტა აქ მყოფი მეფის ნაცვლები, ვაკეთებინა რკინის ბეჭედი და სხვა, ურარტულებთან სანაზამდეგ საომარ ოპერაციებში მონაწილეობა არ მიუღია კულხას მეფეს. აქედან შეკვლეპრნი (ტ. მელიქიშვილი, ო. ლორთქიფანიძე) დაასკვნა, რომ ამ მეფის პოლიტიკური რეზიდენცია საბრძოლო ადგილიდან საკვირდ მოშორებით უნდა ყოფილიყო და მან უკრ მოასწრო სამხრეთ რეგიონში მდებარე ქალაქ ილდამუსას სამეფად მისვლა. მართალია, სარდურის წარწერის ასეთი ინტერპრეტაცია მხოლოდ ვარაუდია, მაგრამ მთელი ზემოთ მოტანილი ფაქტები ჩვენ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კოლხეთის ჩრდილოეთ მთისწინეთსა და რიონისპირეთში გადმონაცვლებულმა კოლხთა მმართველმა ბრძოტმა, რომელმაც თან მოიტანა თავისი სახელმწიფოებრივი ტრადიციები, ნამყვანი როლი შეასრულა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახალი კოლხეთის სამეფოს შექმნაში.

კოლხთა ამ პეგემონი ბირთვის თაოსნობით, სხვა დასავლურ-ქართველური ტომების მონაწილეობით, აქ აღმოცენდა ძლიერი პოლიტიკური (წინასახელმწიფოებრივი) სამომხაქმნი, რომელმაც ითავა გარშემო არსებული ეთნოტერიტორიული ერთეულების შემოკლება და ნამყვანი როლი შეასრულა ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრისთვის დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე ვრცელი პოლიტიკური გაერთიანების-კოლხეთის სამეფოს ჩამოყალიბებაში.

კოლხთა პეგემონობით შემოკრებილი ერთეულითა შორის, თავისი მნიშვნელობით გამორჩეული ადგილი უნდა სტროდათ-ეგრებს, ანუ „შეგრებს“, რომელთა სახელი დროებით დაიფარა კრებითი სახელწოდებით „კოლხები“. რამდენადაც ქართული წყაროების მიხედვით შეიძლება მსჯელობა, ეგრების ძირითად მიწაზელია, მათი ადგილსამყოფელის ცენტრად აღებულ ხანაში გვევლინება მდ. ენგურის შუა და ქვემო წელი და მისი მიმდებარე ტერიტორია (თ. ბერაძე). ამას მოწმობს ჰიდრონიმი ენგური, იგივე ეგური, როგორც მას



უნოდებს ვახუშტი ბაგრატიონი (ეგური-ეგრი). ყურადღებას იქცევს ასევე ტომონიმი ერგეტა, ანუ ეგრეტა მდ. ეგრეთის ქვემო დინებასთან და ქართული წყაროების ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინოლოგია (ლეონტი მროველი ეგური, ჯუანშერის შიდა ეგრი).

ეგრეთის ქვემო და შუა წელის ნაპირებზე და მათ ჩრდილო-დასავლეთით მდებარე მხარის მნიშვნელობას ეგრეთის ცხოვრებაში, გარდა არქეოლოგიური კვლევა-ძიებით მოპოვებული მასალისა, მონობის ლეონტი მროველთან დაცული გადმოცემა. ლეონტი გვამცნობს, რომ როდესაც „კეკელიანი“ შამშითავარმა თარგამოსმა გაუფო ქვეყანა რეთა მათ გმირთა, ეგრისს მსაცა ქვეყანა ზღვის ყურისა და უჩინა საზღვარი: აღმოსავლით მთა მცირე, რომელსაც ან ჰქვიან ლიხი; დასავლით ზღუა... ზოლო ამან ეგრის აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგრისი. ან მსაცა ადგილსა ჰქვიან ბედა“ (ქც, I, გვ. 5). მოტანილი ცნობიდან თვალნათლივ ჩანს, რომ ეგრეთის საცხოვრისის ადრინდელი ცენტრი ქ. ეგრისი მდებარეობდა ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში (მრეშინდელ ბედასთან).

ამრიგად, კვლევა-ძიებამ აჩვენა, რომ ანტიკური ხანის კოლხეთის სამეფოს საძირ-კვლი ეგრება ძვ. წ. VIII-VII სს-ში რიონისპირეთსა

და ჩრდილოეთ მთისწინეთში. კვლევამ, აქვე ხანებიდან ჩნდება და ვითარდება სამხარეთი კოლხთა (ანუ ეგრეთის) სამეფო-სამხელადა სამეფო ხელისუფლება.

ამაბოლოს უნდა დავასკვნათ, რომ კოლხას პოლიტიკურმა გაერთიანებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა დასავლეთ საქართველოს საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ დანინაურებაზე, აქ სახელმწიფოებრივი ტრადიციების, კულხასთის დამახასიათებელი აღმინსტრაციული მმართველობის სისტემის გადმონერგვაზე. ამ თვალსაზრისით გარკვეული პარალელები შეიძლება გავაღოთ კოლხეთის სკვპტუბესა – ქვეყნის ეთნო-ტერიტორიული ერთეულების მმართველ-გამგებელთა და ურარტუს წარწერებში მოხსენიებულ კულხას მეფის ნაცელებს შორის, რომელთაც წაბარებული ჰქონდათ სამეურნეო, სამხედრო, საკულტო და სხვა ფუნქციები. მოუხედავად ამისა, თვისობრივად განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარემოში ჩამოყალიბებული კოლხეთის სამეფო თავისი მრავალფეროვანი მეურნეობით, ფართო საერთაშორისო საეკონომიკური ურთიერთობებით, ქალაქებით, ინტენსიური ფულადი მიმოქცევით და სხვა ასპექტებით სრულიად ახალ პოლიტიკურ ფეროვნებად გვევლინება იმდროინდელ სამყაროში.

### ლიტერატურა

1. Г. Меликишвили, Древнейшие раннеклассовые государства и племенные союзы в юго-западной Грузии. Очерки истории Грузии. Том I. Тб., 1989, გვ. 192, 193, 194, 202, 203.
2. იქვე, დღ. არზრუმის რაიონის ჩრდილოეთით არსებულ ძლიერ სახელმწიფო ერთეულს ვარაუდობდა დაიანა-ფიოპის პოლიტიკურ გაერთიანებაში თ. მიქელაძე (იხ. მისი თემატიკური კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბ., 1974, გვ. 86).
3. Г. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 205.
4. იქვე, გვ. 18, 19.
5. ვ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ., 1970, გვ. 367.
6. ვ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 379, 386, 388.
7. დ. ხაზუტაიშვილი, ქობულეთის ქვეყანა, I, ბათუმი, 1995, გვ. 70, 71.
8. იქვე, გვ. 87.
9. თ. ლორთქიფანიძე, არკონაქტიკა და ძველი კოლხეთი, თბილისი, 1986, გვ. 47, 48, 69.
10. თ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 69, 70.
11. იქვე, გვ. 64, 67.
12. იქვე, გვ. 71.
13. თ. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, 1991, გვ. 211.
14. მ. ინაძე, ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბ., 1994.
15. მ. ინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 19, 20, 23.
16. თ. მიქელაძე, კოლხეთის ადრეკინის ხანის სამაროვნები (ურეკისა და ნივეზიანის სამაროვნები) – კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, II, თბ., 1985, გვ. 59-69; 85-88; 91-92.
17. დ. ხაზუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 75.
18. მ. ინაძე, ეოლოგიური სამყარო და კოლხეთი. ადრეული კონტაქტები (ძვ. წ. VIII-VII სს), კრებულში: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბ., 1999, გვ. 159-175.
19. ვ. ვრიცოლია, ქართული არქეოლოგიისა და საისტორიო გეოგრაფიის ძირითადი პრობლემები, თბ., 1992, გვ. 31-34; მ. ბარამიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები), ავტორეფერატი, თბ., 1998, გვ. 4 და შემდ.

ნატო პატარაძე

## პირველი მოსოგრაფია ილია ჭავჭავაძეზე

100 წლის წინ დაიბეჭდა მიხეილ ნასიძის ბროშურა „თ. ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი“ (დღეისათვის ეს ნიგონი ბიბლიოგრაფიული იმპიათობაა. ყველა ციტატა მოტანილია აღნიშნული ნიგონიდან „თ. ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი“, ტფილისი, 1898.) ტფილისი, 1898 წ. ეს გახლდათ დიდი ქართველი მოაზროვნის ფასდაუფებელი შემოქმედების კომპაქტურად შეფასების პირველი ცდა. ავტორმა, თითქმის შეუძლებელი გააკეთა, 48 გვერდზე შეძლო მწერლის დამსახურების ღირსეული წარმოჩენა. სწორედ ამ ნიგონს გამოუნოდა სასიქადულო მეცნიერმა პ. ინგოროვამ ამ წ. ნასიძეს „ილია ჭავჭავაძის შემოქმედების პირველი კრიტიკოსი“. 100 წლის წინ მ. ნასიძის მიერ გამოთქმული პოსტულატების ძირითადი ნაწილი, როგორც ამას ფაქტობრივი მასალა მოწმობს, შემდგომში მომავალ კრიტიკოსთა არა ერთი თაობისათვის ძირითად ამოსავალ კრიტერიუმად იქცა.

გასული საუკუნის მინურულს საგრძნობლად გამწვავდა ილია ჭავჭავაძისადმი ცილისმანამებლური კამპანია. ასეთ რთულ ვითარებაში დაიწყო ილიას იუბილესათვის მზადება. სჯეროდათ, რომ ამ ღონისძიებით ასე გათიშულ საზოგადოებას „ერთსულ და ერთხორც“ შერკავშირებდნენ. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. საიუბილეო კომიტეტმა გადაწყვიტა გამოეცა ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდი, რომელშიც აისახებოდა ის მიღწევები, რამაც აქცია ილია „პირველ ქართველად“. გამოცხადდა კონკურსი – ერთ თვეში უნდა დაბეჭდილიყო 48-გვერდიანი (კონკურსის პირობების მიხედვით) „ეტიუდი“. დაინიშნული დროისათვის საკონკურსო „პორტფელში“ აღმოჩნდა არა ილიას ირგვლივ „მოფუსფუსე“ ნაცვად კალმოსანთა ბროშურები, არამედ დიდი მონდომებით, საოცარი სიღრმით და ობიექტურობით შესრულებული მ. ნასიძის ნაშრომი.

კრიტიკული ეტიუდი შედგება შვიდი თავისაგან. პირველ თავში მ. ნასიძე იძლევა ძუნწ ცნობებს ი. ჭავჭავაძის ბიოგრაფიიდან. ორიოდე შტრიხით აღნიშნავს ილიას მშობლების ხასიათის მთავარ თვისებებს, რაც მათ შვილს მემკვიდრეობით გადაეცა – მამის ვატაცუებას გონებამახვილური ირონიით, დედის სამაგალითო სიჭკვიანეს და მამიძის დიდ განათლებულობას.

მეორე თავში კრიტიკოსი, პირველ ყოვლისა, მიმოიხილავს იმ ხანას, რომელიც წინ

უსწრებდა ილიას სალიტერატურო სარბიელზე გამოსვლას. ეს აუცილებელი იყო, რათა მართებულად შეფასებულიყო ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის პირველი პერიოდი. დაიბ, გასათვალისწინებელი გახლდათ იმ დროის ქართველობის ინტელექტუალური დონე და ესოტეტური მიდრეკილებანი. მ. ნასიძემ მშობლიური სიზუსტით წარმოაჩინა მე-19 საუკუნის 50-იანი წლების ეკონომიკურად და სულეურად დაძაბუნებული საქართველო. მ. ნასიძე აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა მოაზროვნე ამ დაძაბუნების მიზეზს მოშალვის უპერსპექტივობასა და წარსულის გაფუტხებაში ხედავდა. მან ბრძოლა გამოაცხადა ამ ილუზიებს. „საჭირო იყო კაცო, – წერს მ. ნასიძე, – რომელსაც ახალი აზრებისათვის სისტიმა მიეცა... შეეკრიბა ფორმულებად, გამოეკვლია ახალი მიმართულება, მტკიცედ დადგომოდა თვითონ ამ გზას და მოეწვია იმავად გზით სავლელად ყველა, ვინც კი შეძლებდა მას. ასეთი კაცი ილია იყო... ამ გზაზე მან ბევრი გააკეთა პირველი დღეიდანვე ილია და მხოლოდ ილია შეიქნა საქართველოსათვის სულეური და ეროვნული აღორძინების პროგრამა“.

მ. ნასიძე, რომელსაც კარგად ჰქონდა შეთვისებული თავისი დროის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ფილოსოფიურ-ესთეტიკური შეხედულებები, მართებულად აღნიშნავდა, რომ ერის პირველი მოთხოვნილება გამოითქმება პოეტებისა და ლიტერატორების პირით; ასეთ პოეტად 60-იანი წლების საქართველოს მოველი ილია ჭავჭავაძე ადიდებდა. „იგი იყო მოველი იმისათვის, რათა აღედგინა ქართული ახალი გულში განვეცილი ეროვნული ძარღვი. ქართველობა! განა ეს სიტყვა მაშინ არსებობდა? – კითხულობს მ. ნასიძე, – იყო ქართული, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, ხევსურეთი და სხვა, მაგრამ საქართველო და ქართველობა ჩვენში მე-12 საუკუნის შემდეგ აღარ არსებობდა, ეროვნული აღორძინება ჩვენი დროის ნაყოფია. ი. ჭავჭავაძემ სწორედ ამ აზრს დაუნყო სამსახური. თვით პოეზია, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, მეცნიერება, სხვა არა იყო რა იმისათვის, თუ არ საშუალება სამშობლოს სასახურისა, ორივესაც ხშირად განწინრავს მეგობრობა, ამხანაგობა, პირადი მოსვენება. არ არის მისთვის საგანი უმადლესი გარეშე სამშობლოსი“.

მესამე თავში მ. ნასიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ილიას პირველი

კრიტიკული წერილის გამო წარმოთქმულ პოლემიკას, რომლითაც დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა კონსერვატიულ მსოფლმხედველობასა და სამოციანულთა იდეოლოგიურ მრწამსს შორის. სხვანაირად არც შეიძლება და, რადგან მტკიცება, ცხოვრება განსაზღვრავს ხელოვნებას, საფუძველს აცლიდა იმ უცდარ კონცეფციებს, რომლებიც მამინ ბატონობდა. კლასიციზტური თვალსაზრისი უარყოფდა ხელოვნების კავშირს ცხოვრებასთან. „ორიოდე სიტყვით...“ ილია ჭავჭავაძემ „პირველი მკვახე ყუმბარა ესროლა“ „სხოლასტიკოსებსა“ და „კლასიციზტებს“. ისეთი დიდი იყო ილიას სურვილი, ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში შეეტანა ახალი კრიტიკული აზროვნების ნორმები, რომ მან არ დაინდო რევაზ ერისთავი. ფაქტობრივად, ამ წერილით ილიამ გაილაშქრა იმდროინდელი ლიტერატურული აზროვნების წინააღმდეგ. მ. ნასიძის გადმოცემით, 40 წლის მანძილზე ილია ვერ შეჯავრება ვლადიმერ და აკადემიურ კილოს „ის თვით იტანჯება, თუ სამწუხარო საგანზედ სწერს, და თვით ხარობს, თუ სანუგუმოზედ. ორივე ეს გრძნობა ავტორისა ყოველ სტრიქონში გამოსჭურტეს და მკითხველის გულს ჩანჯ-ჯა თავის ტურებაზედ ააფერებს ხოლმე“. მ. ნასიძე ახალგაზრდა კრიტიკოსში ხედავს თარგმანის პრობლემატიკაზე არა განყენებულად მოაზროვნე, გვერდიდან მჭკრეტელ ავტორს, არამედ თვით მთარგმნელის შემოქმედებით პროცესის უშუალო მონაწილეს. მ. ნასიძე ხაზს უსვამს ი. ჭავჭავაძის განსაკუთრებულ ნიჭიერებას, რომელიც თვალნათელი გახდა ამ კრიტიკული წერილის დაწერით. „ი. ჭავჭავაძემ მოურიდებლად და ბოდიშის მოუხდევლად ყოველ საგანს მისის საკუთარის სახელით იხსენიებდა: 1) რომ მას (რ. ერისთავს – ნ.პ.) პოეტური ნიჭი არა აქვს, 2) ენა ქართული არ იცის, 3) იმავ უნიჭობის გამო უცხო ენაში სათარგმნელად ვერა უპოვია რა უნიჭო კოზლოვის უხეირო ნაწარმოების „შემილის“ მეტი, 4) კოზლოვი რა სათარგმნელია რუსული-დგან, როდესაც პუშკინი და ლერმონტოვი არ არიან ნათარგმნი“.

მ. ნასიძე აღნიშნავს, რომ ამ წერილით ი. ჭავჭავაძემ არნაბული გამბედაობა გამოიჩინა და იერში მიიტანა საუკუნეების მანძილზე გაქვავებული ენობრივ სორმებზე. იგი ილიას ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებათა სრული გაზიარებით უღერესად საყურადღებო დებულებას აყალიბებს: „ჯერ ქართულს ლიტერატურას ასეთი არა ენახა რა. ამ წერილმა უცებ მოუპოვა ილია ჭავჭავაძის სახელი პირველის მწერლისა, პირველი კრიტიკოსის და პუბლიცისტისა“. მ. ნასიძე ყურადსაღებ ფაქტად მიიჩნევს იმ მოვლენას, „როდესაც ვევახებით დავისინენ ძველი მწერლები ილია ჭავჭავაძეს, სწენდნენ და სჯიჯგნიდნენ მას, ახალთაობის წარმომადგენელთა შორის ერთ-მაც ზმა არ დასძრა მის საქომავგოდ. ილია ჭავჭავაძეს მარტოს მოუხდა ბრძოლა, იმ წე-

ლში მანც“ (1861 წ. – ნ.პ.). ნიჭის ეკეტრიკან-მარტავს: „ილია ჭავჭავაძემ შექმნა პირველი ახალი გზა და ახალი საგნები წინააღმდეგობა ახალი პოეზიის ნიშნუბილც თვითვე მისცა ქართველობას“. დიდი მამულთაშორის პოეზიის განსაკუთრებულობამ კრიტიკოსი მოეჯანა დასაკნამდე, რომ ილია ჭავჭავაძემ დასაწყისი-სდანვე ხაზი გაუსვა ხელოვნების სოციალურ ბუნებას და სინამდვილესთან მის მჭიდრო კავშირს. მ. ნასიძე ამგვარად აყალიბებს ილიას სალიტერატურო კრიტიკის საზოგადოებრივ ხასიათს: 1) ილიას კრიტიკა არის მამულიბელი, ენერგიული და უღმობელი; 2) მისი პირველი კრიტიკული წერილის მთავარი ღირსებაა სინაირთლის თქმა; 3) ამ წერილით ილიამ იერიში მიიტანა ძველ შეხედულებებზე და ძველ მწერლებს უკიჟინა, რომ მათ თანამედროვე პირობებში უფლება არ ჰქონდათ დრომოჭმული ფორმებითა და მეთოდებით ეღვანათ; 4) პირველ კრიტიკულ წერილში ილიამ პირველმა ჩამოაყალიბა ქართულ ლიტერატურაზე, ხელოვნებასა და კრიტიკაზე თავისი ქვემარტივი შეხედულება.

მეოთხე თავში მ. ნასიძე ეხება ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ მოღვაწეობას. ნიჭიერი კრიტიკოსი საზოგადოებას ამცნობს და არწმუნებს ილიას პუბლიცისტური ღვაწლის გამოწვეულობაში, თან დასძენს: მართალია, ორმოცი წლის განმავლობაში ამ გზაზე ბევრი ნიჭიერი მოღვაწე მოდიოდა, მაგრამ ილიამ ქართულ პუბლიცისტიკას მწვავე საზოგადოებრივი ელერადობა და უკვდავი ეროვნული სული შესძინა. „ის იყო ცენტრი ყოველის საქმისა, ყოველის ფიქრისა, ყოველის მოქმედებისა, რომელსაც კი საეროვნო ელფერი ედო...“

მ. ნასიძის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი შეეცადა გაერკვია და მკითხველისათვის მიეზიდებინა დასაბუთებელი აზრი იმის თაობაზე, თუ „რომელ ღმერთს ემსახურებოდა“ ილია. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ილიას მსოფლმხედველობა ცალსახად ეროვნულია. ილიასათვის სამშობლო მეორე ღმერთი იყო. „ღვთად მოუცია მხოლოდ მამულე“ – წერდა „აზრდილში“ და ამ ღმერთს, ე.ა. სამშობლოს ემსახურებოდა იგი“.

ამრიგად, კრიტიკულ ეტოუდში მ. ნასიძემ გადაეცა პირველი სერიოზული ნაბიჯი ი. ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის შესწავლის მიმართულებით. ამასთან ერთად, მან გაამაზვილა ყურადღება ილიას შემოქმედების დიდ აღმავლობით მნიშვნელობაზე.

მიმდევრო მესუთე თავში – „თ. ი. ჭავჭავაძე როგორც პოეტი-მოღვექე“ – მ. ნასიძე მართებულად მიუთითებს, რომ ილიას პოეზია პატრიოტული მუხტით არის დატვირთული და მიხნად ისახავს ერის გამთლიანებას. კრიტიკოსმა თამამად და ხმაშალდა განაცხადა, რომ ილია ჭავჭავაძემ ეროვნული თავისუფლების უცილობელ პირობად მიიჩნია საერთო ნიადაგის მოძებნა, რაც გულისხმობდა

წოდებებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას: „ილიას მუზა ცდილობს ვველგან პარმონია და სიყვარული შეიტანოს: ერთა შორის, წოდებათა შორის, კაცური კაცობა, ადამიანობა უპარველესად, — აი, მისი იდეალი, კრედო“. აქ ნათლად ჩანს, რომ მ. ნასიძე სავეტებო იზიარებს ი. ჭავჭავაძის „წოდებათა შერიგების“ თეორიას, რომელსაც საქართველოს საკეთილდღეოდ უნდა ემსახურა. ცენტრალური ადგილი მის პოეზიაში სამშობლოს უკავია, „რომლის გარშემო ტრიალებს მისი მუზა“:

**„დიდის ღმერთის საყურთხველის  
მისთვის ღვივის ცეცხლი ველში,  
რომ ერისა მოძმედ ვიყო  
ჭმუნებასა და სიხარულში“.**

1860 წ.

ეს პანია ლექსი არის სრული პროგრამა ილია ჭავჭავაძის ღვაწლისა და მოქმედებისა. თუ რომ შესაძლებელია დიდებულის მოღვაწის ორმოცი წლის საქმე გამოიზატოს საესებით ერთ ლექსში, ამაზედ უკეთესს ძვირად იპოვით ჩვენს ლიტერატურაში. მ. ნასიძე ილიას შემოქმედების ამოძრავებელ ძალად აღიარებს ტოტალურ ეროვნულ იდეოლოგიას.

არსებობდა აზრი, რომ ილიას ლექსი პოეტურ ხილს მოკლებულია და იგი კეთილშობიანებით კი არ მოქმედებს ხალხზე, არამედ მალევე აზრებითა და შინაარსით. მ. ნასიძე სასტიკად უარყოფს ამ მოსაზრებას: „ლექსი, მოთხრობა, რომანი, რომელიც ამწებულა ტენდენციანზედ, სწავლა-მოძღვრებაზედ, თუ გინდ მთელს ქვეყნის ფილოსოფია იყოს შიგნითავე მათხრობილი და პოეზიის კომუნიკაციები, იგი ვერ გაიკვლევს გზას ადამიანის გულისაკენ, ვერ გაათბობს მას, ვერ აათრთოლებს, — ეს პოეზიის მადლია და არა ბრძოლა აზრებისა“.

შეექვსე თავეში — ა. ა. ჭავჭავაძე, როგორც ბელეტრისტიკი მ. ნასიძე იკვლევს ი. ჭავჭავაძის ფასდაუდებელ ღვაწლს ქართული ბელეტრისტიკის განვითარებაში. „ბელეტრისტიკა იმ სახისა და შინაარსისა, როგორიც დღეს ცნობილია განათლებულის ეროვნებაში, ჭავჭავაძემდის ჩვენში ჯერ არ იყო. ჩვენი ლიტერატორები უფრო მელექსებოდნენ“. ... რჩეულოვინა და არადა ზიანის სახელთან მკრთალია ერთობ ჭავჭავაძის სახელთან და მათი მოთხრობებიც ერთის გარდა („შეჯდნაუშვილი“) დაინყებას მიეცნენ“. კრიტიკოსი მ. ნასიძე აღესილი პასუხისმგებლობით გამოთქვამს, რომ „ილია ჭავჭავაძე ჩვენში უნდა ჩაითვალოს მამად ბელეტრისტიკისა რეალური სკოლისა, რადგან ტექნიკით დამარსებლად რომელისავე მიმა-

რთულებისა, ლიტერატურაში ის ერთელება, რომელიც დიდის ენერგიით გაიტანს ახალს კვალს და შექმნის ისტორიის ნაწილებს, რომელიც ავტორზედ ბეჭდის მძიმეს კვლავს“.

მ. ნასიძემ ილია ჭავჭავაძის ორმოცი წლის ლიტერატურული მოღვაწეობის შეჯამებისას განსაზღვრა ილიას ბელეტრისტიკის მიმართულება და მას რეალისტური უწოდა. რა თქმა უნდა, სხვანაირად არც შეიძლებოდა შეფასებულყოფი დიდი მოაზროვნის მხატვრული პროზა, რადგან თვით ილია იყო რეალიზმის მებაირახტრე ჩვენში და მისი მხატვრული ქმნილებანი ნარმოადგენდნენ ნამდვილ სოციალურ ტრაქტატებს, მხატვრულ სახეებში განსახიურებდნენ იმდროინდელი საქართველოს ყოფა-ცხოვრებას: მ. ნასიძის აზრით, თვით მტრებიც კი აღიარებდნენ ილიას დიდ პოეტად და ბელეტრისტად; ამ აზრის დასადასტურებლად მოჰყავს დაავით სოსლანის „კრიტიკული განხილვა ოთარაანთ ქერივისა“.

თანამედროვე სინამდვილეზე შექმნილი ილიას მხატვრული ნაწარმოებები ძველი ქართული ენის მარნუბებში ვერ გამაღიანდნენ მხრებს. მ. ნასიძე ობიექტური სამართლიანობით აღიარებს, რომ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ დიდ ღირსებას ნარმოადგენს ქართული ენის განახლება, ქართულ ლიტერატურაში ახალი ქართული ენობრივი ნორმების შემოტანა-დაწინაგვა. მან (ილიამ — ნ. ა.) განასაუბრა და გაწინადა ქართული ენა... სიმართლე, სისპეტაკე და სიქართულე ენისა კოთარაანთ ქერიში იმ სიმალემდედ აიყვანა, სადამდინაც რუსთველის შემდეგ იგი (ენა) აღარ ასულა“. და ბოლოს დაასკენს: „გადაჭარბებულს არას ვტყვივით, რო აღვიართო, ილია ჭავჭავაძემ შექმნა ახალი ქართული ენა, სწორედ ისე, როგორც დიდმა პუშკინმა შექმნა ახალი რუსული ენა“.

შეშვიდე თავეში — გვაქვს საბუთი სიამაყისა — მ. ნასიძე ასახებებს, რომ ნიჭიერი კაცის დაბადებას განაპირობებს მშობლიური ნიადაგი, ნიჭის გაჩენას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ერის გენეტიკური კოდი. „იქნება, ჩვედ საერთოდ არარანი ვიყავით, მაგრამ ჩვენზედ გაფანტული იყო პუშკინური აზრებიც, ნაციონალურიც, მაღალი გრძნობა მოძმის სიყვარულისაც, მამურალთ შველისაც. ილია ჭავჭავაძე იმით არის დიდებული კაცი, — აღნიშნავს მ. ნასიძე, — რომ ჩვენთა გაფანტულ აღნიშნებათა მასში ერთად მოიყარეს თავი. თვით ჩვენ იმიტომ გვესმის იმისი მუხის პანგებიც, იმისი აზრებიც, იმიტომ ვუსმენთ, რომ ყველა ესე ჩვენისავე ერის ნიადაგზე შეკრიბა მან, ყველა იმას ნათესაური კავშირი აქვს ჩვენთან“. და მ. ნასიძე სიამაყით აცხადებს: „ილია ჭავჭავაძე არის დიდებული მოქალაქე თავის ქვეყნის მე-19 საუკუნეში“.

# არსენ იყალთოელი — ქართველი მოღვაწე და მოაზროვნე

შემოქმედებითი ტრადიციებით მდიდარ მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას სამართლიანად ამშვენებს სახელმწიფოეული ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, ეფრემ მცირის მონაფე და იოანე პეტრინის თანამშროვე — არსენ იყალთოელი (XI საუკუნის მეორე ნახევარი — XI საუკუნის პირველი მეოთხედი). ანტონ ბაგრატიონი თავის „წყობილსტყეობაში“ სხვა მწიგნობრებს შორის გამოჰყოფს იოანე პეტრინსა და არსენ იყალთოელს.

**„სხუასა პეტრინჴსა, სხუას დიღსა იოანეს.  
სხუას არსენის, ორთავე თანაშორას;  
უცხოდ გამოჰქმელს, საკირველ პაიტკოსს,  
ღმრთისმეტყველ რიტორს, ჳემშარიტ  
ფილოსოფოსს“.**

შეუძლებელია ერთ ნერიღში სრულყოფილად განვიხილოთ და შევაფასოთ ის დიდი ღვაწლი და დამსახურება, რომელიც მიუძღვის ჩვენს განსწავლულ წინაპარს ქართული მწერლობისა და ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში. არ დარჩენილა ძველი ქართული მწერლობის არც ერთი დარგი, რომელშიც მას თავისი ჳემშარიტად განმანათლებლური სიტყვა არ ეთქვას. არსენს ეუთვნის მრავალი ორიგინალური და თარგმნილი შრომა, რომელიც, ჳერ კიდევ სრულფასოვან შესწავლას მოითხოვს.

არსენ იყალთოელი რომ ფართო ერუდიციისა და ღრმა განათლების მქონეა, ეს ნათლად ჩანს მისი ლიტერატურული შრომებიდან. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული, ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, მან ასეთი ღრმა მიახუფებელიანი ცოდნა მიიღო კონსტანტინე მონომახის მიერ დაარსებულ აკადემიაში — მანგანას წმ. გიორგის მონასტერში, სადაც მოღვაწეობდნენ XI საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი ბიზანტიელი მოაზროვნეები: მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალი. აქვე იყო მოძღვრად ცნობილი მწერალი და სამართლისმცოდნე იოანე ნომოფილაქსი (ქსიფილისის), რომელიც მთავარი მოქმედი პირი უნდა ყოფილიყო არსენ იყალთოელის, ორიგინული განათლების დაუფლების საქმეში. ამის თაობაზე აკად. კორნელი კეკელიძე შენიშნავდა: „მხოლოდ მიქაელ ფსელოსისა და იოანე ნომოფილაქსის მიერ მანგანის აკადემიაში შექმნილსა და განმტკიცებულ ტრადიციებს შეეძლო ალეზარდა არსენ იყალთოელის პიროვნებაში ის ფილოსოფოსი და ორისტი, რომელიც გამოსჭვივის უკანასკნელის ფილოსოფიურ-ორიგინულ ნათარგმან თხზულებებში და მის მიერ, გადმოცემით, დაფუძნებულ იყალთოს აკადემიაში“.

არსენის, როგორც მწიგნობრის ნამოყალიბებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პერიოდაა მისი საქმიანობა შვე შთაზე, ეფრემ მცირის იქ ყოფნისას. არსენ იყალთოელი შვე შთაზე ძირითადად მთარგმნელობით მოღვაწეობას ეწეოდა — თავისი მასწავლებლისა და მოძღვრის ეფრემ მცირეს ხელმძღვანელობით. ეფრემ თავის თავს არსენის მოძღვრად მიიჩნევს. არსენ იყალთოელისა და ეფრემ მცირეს შემოქმედებითი ურთიერთობის ნარმოჩენა კიდევ იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მკითხველს ნათელი ნარმოდგენა შეეძენას ჩვენი სახელოვანი ნინამურების მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთ სპეციფიკურ მომენტზე. საქმე ის არის, რომ არსენ იყალთოელი იმ მთარგმნელობითი სტილის მიმდევარი და დამძველი იყო, რომელიც ბიზანტიურ თხზულებებს ზემოწინებით ზუსტად გადმოცემდა. იყალთოელს მიერ თარგმნილი ბერძნული ტექსტების ენა ერთგვარი გარდამავალი ეტაპია ეფრემ მცირესა და იოანე პეტრინის შორის. არსენს აღარ აკმაყოფილებდა ეფრემის მიერ შესრულებული თარგმანები (ხელმწიფედ თარგმნა იოანე დამასკელის „გარდამოცემა“, რომელიც სხვათა შორის, თვით არსენთან თანამშრომლობით თარგმნა ეფრემ მცირემ). შეიძლება ითქვას, რომ არსენ იყალთოელი არის დამწყები იმ მთარგმნელობითი მეთოდისა, რომელიც ქართულ მწერლობაში მოგვიანებით დამკვიდრდება, როგორც თარგმანის პეტრინოული სკოლი სტილი.

თავისი მოძღვრის, ეფრემის გარდაცვალების შემდეგ არსენი დაბრუნებულა მანგანის მონასტერში, სადაც იგი სწავლობდა და იქიდან ნამოსულა საქართველოში. საქართველოში არსენ იყალთოელი მოღვაწეობდა გელათსა, შიომღვიმესა და იყალთოში, სადაც მან აკადემია დააარსა. არსენი, რომ დიდად განათლებული პიროვნება იყო, ამას ზემოთ აღენიშნავდით, ამასთანავე იგი დავით აღმაშენებლის თანამედროვე და დაახლოებული პირი გახლდათ. ქართველ ისტორიულ წყაროებში ნათქვამია, რომ დავით მეფემ სომხ-ქართველთა პაექრობაზე დასასწრებად, რომელიც ენებოდა მონოფიზიტებსა და დიოფიზიტებს შორის არსებულ სადავო საკითხს, მოწოდდა არსენ იყალთოელს, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენისასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა“. ეს გარემოება ნათლად მეტყველებს იყალთოელის ავტორიტეტსა და მნიშვნელობაზე ერის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ არსენ იყალთოელის ლიტერატურული მოღვაწეობა სამპერიოდს მოიცავს. პირველი პერიოდაა შვე შთაზე მისი საქმიანობა, სადაც იგი ეფრემ მცირის-



თან ერთად და მისი ხელმძღვანელობით თარგმნიდა ნიგვანდ, როგორც ამას ზემოთ აღვნიშნავდით. იგი ისეთი ოსტატობით თარგმნიდა ბიზანტიურ თხზულებებს ქართულ ენაზე, რომ თავისი მასწავლებლისა და მოძღვრის ქება-აღმდეგე დაიხსნა. როგორც ქართული მკვლევარი ივანე ლოლაშვილი აღნიშნავდა: „უფრომეა არსენში დაინახა დიდი განათლება, ღრმა ერუდიცია, მთარგმნელობითი ნიჭი და ქართული ენის შესანიშნავი ცოდნა“. ეს გარემოება უფრო ნათელი რომ იყოს, მკითხველს გვინდა ვაუწყოთ შემდეგი: შავ მთაზე მოღვაწეობის პერიოდში არსენ იყალთოელს უთარგმნია ბერძნული აგიოგრაფიული-პოეზიული-კურთხეული ნაშრომები სამთა აღმსარებელთა: გურიი, სამონა და აბიხოისი, და თხრობაი სახსნაულსა ევეფშიათს ზედა ქალისა“, რომელსაც უფრომე მცირე იყალთოელის მთარგმნელობის „მესამე ნაყოფად“ თვლიდა. მანამდე არსენს ორი სხვა ბიზანტიური თხზულება უკრძალავდა თარგმნილი.

როდესაც უფრომე მცირე არსენის აღნიშნული თხზულების ქართულ თარგმანს ვაეცნო, იმდენად მოეწონა, რომ ის შეტყფრასულ კრებულში შეიტანა და ბოლოს ასეთი მენიშნავდაურთო: „წმიდანო სამო მონაწერო, სამებისა ყოვლად წმიდისანო, მისსა მიმართ მუხებითია თქუენითა და ლოცვითა ბერის ჩუენისა ანტონისითა მითუალად ყუთ მესამე ესე ნაყოფი ჩუენისა ყოვლად განათლებულისა მეუფისა არსენისი და კნინისა ამის წილ-ძღუნობისა მიჰმადლეთ ნათესავსა ჩუენსა წარმართებათ თარგმნობისა მისისა, რამეთუ შეუძლებელი კაცოთაგან მისდა და მის მიერ თქუენდა შესაძლებელ არს. ამას, გლახ, უფრომე იტყვის მცირე, მონა მისი და უფროისდა მოძღვარო“.

ამ ციტატადან მკითხველს არ უნდა გაუჭირდეს, ჩვენი აზრით, ერთი არსებითად ეკნის გამოტანა, სახელდობრ, უფრომე მცირე იმდენად აღფრთოვანებული იყალთოელის ნიჭით და თარგმნით, რომ ზოტბას ასხამს არსენს და აღნიშნავს: მისთვის (არსენისთვის) არ არსებობს შეუძლებელი საქმე. ძნელია უფრომის ამ შეფასებას არ დაეციანამოთ. მართლაც, არსენ იყალთოელსა თვისი სამწერლო შემოქმედებითა და სახელმწიფო მოღვაწეობით ადამიანთაგან შეუძლებელი საქმე გააკეთა. აღნიშნული ამონაწერი სხვა მხრივაც არის საინტერესო. კერძოდ, აქ ნახსენებია ბერი ანტონი. ეს ანტონი არის ცნობილი ქართველი სასულიერო მოღვაწე XI საუკუნისა ანტონ ტბელი, რომელიც უფრომე მცირეს სხვადასხვა თხზულებების თარგმანს უკეთავდა.

განსაკუთრებით, აღსანიშნავია არსენ იყალთოელის შემოქმედებითი მოღვაწეობის მეორე პერიოდი, როდესაც იგი ცხოვრობდა კონსტანტინოპოლში მანგანის წმ. გიორგის მონასტერში, დაახლოებით მეოთხედიდან საუკუნის პირველ ათწლეულში. აღნიშნული პერიოდი იყალთოელის ლიტერატურული საქმიანობისა ჩვენთვის უმთავრესად იმით არის საყურადღებო და საინტერესო, რომ აქვე მანგანის მონასტერში შეადგინა არსენმა ერთი დოგმატიკურ-პოლემიკური კრებული, რომელიც ქართულ მწერლობაში

„დოგმატიკონის“ სახელწოდებით არის ცნობილი. შეიძლება ითქვას, რომ ეს თხზულება ყველაზე მნიშვნელოვანია არსენ იყალთოელის მხედარ ლიტერატურულ შემოქმედებაში. ეს ნაშრომად ამის გამო მასზე უფრო დაწვრილებით გვსურს მკითხველს უკრძალვით მიჰყრობა.

„დოგმატიკონი“ წარმოადგენს პოლემიკურ-დოგმატიკური და ფილოსოფიური ტრაქტატების თავისებურ კომპენდიუმს, რომელიც დიდი მოცულობითაც გამოირჩევა. ნაშრომის თავისებურება იმითაც გამოიხატება, რომ ამ კრებულში არსენის შემდეგ შესულთა სხვა პირთა მიერ თარგმნილი თხზულებებიც, თხზულების არსენისეული რედაქცია კი შეიცავს იყალთოელის მიერ თარგმნილ და ორიგინალურ ნაწერებს, რომელთა შინაარსი ძირითადად პოლემიკური, დოგმატიკურ-ფილოსოფიური და ეტიკური ხასიათისაა. კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ „დოგმატიკონი“ ჩვენი წინაპრებისთვის საქართველოში „ქრისტიანობის დოგმატიკურ-ფილოსოფიური შინაარსის შესაგნებად და სხვადასხვა ხარნმუნოებისა და მწველებლობის პირის დასაყოფად“.

შუა საუკუნეების კულტურული ცნობიერება რელიგიური იყო, ბუნებრივია, რომ ქართველების შემოქმედებითი აზროვნება რელიგიისკენ და კერძოდ, ქრისტიანულ-მარტალადიდებულად აღმსარებლობისკენ იყო მიმართული. ისიც ცნობილია, რომ მწველებლობას და ერესს მაშინდელი საქართველოს საეკლესიო წრეებში უკონია ადგილი, როგორც ეს შესანიშნავად დაასაბუთა თავის დროზე ივანე ჯავახიშვილმა. არსენ იყალთოელაც თავისი ეპოქისა და სააზროვნო ვითარების ერთ-ერთი ღირსეული და თვალსაჩინო წარმომადგენელია საქართველოში. მისი ორიგინალური სულისკვეთება მხოლოდ მონოფიზიტების წინააღმდეგ გამართულ დისკუსიაში არ გამოვლენილა, როგორც ამას ზემოთ აღვნიშნავდით. იყალთოელის მიზანს წარმოადგენდა ერეტკოსთა თეორიული დაძლევისა და ქრისტიანული დოგმატების დაცვის მყარი საფუძვლების შექმნა. „დოგმატიკონის“ შედგენაც არსენის მიერ უშთაფრესად ამ მიზნით იყო გამოწვეული.

„დოგმატიკონი“ რომ არსენის მიერ არის შედგენილი და მასში მოთავსებული თხზულებები თარგმანიც მასვე ეკუთვნის, არავითარ ტყუას არ იჩევეს. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს შემდეგი ფაქტი: ანასტასი სინელი „წინამძღუარს“ თავში მინაწერი აქვს: არსენი თარგმანი, ხოლო ბოლოს ანდერძის სახით აქვს დართული: „ღირს ექჷმნ მე, უუნდოესი ყოველთა დაბადებულთა შერთაი, მდებარე მონაზონი არსენი, ბერძულისაგან ქართულად თარგმანებასა წმიდისა ამის წიგნისასა“. და კიდევ, იოანე დამასკელის „გარდაღმაცემია“-ს ბოლოს ეკითხულობთ: „დასასრული შრომითა იოვანე მანასტრისთაი, ხოლო ითარგმნა არსენისაგან ვაჳს ძიანა“ [არსენ იყალთოელი და არსენ ვაჳს ძე, დღეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ ერთი და იგივე პიროვნებაა, ერთ შემთხვევაში აღნიშნულია მისი სამშობლო ამ მოღვაწეობის ადგილი – იყალთო, მეორეში კი გვარი



ან მამის სახელ-ებ.) სხვა მაგალითების მოყვანაზე შეიძლება ამ დოგმატიკურ-პოლემიკური კრებულებიდან, რომელიც საფუძველზე უტყუარად საბუთდება, რომ არსენ ივალთოელია „დოგმატიკონის“ შემდგენელი და მასში შესული თხზულებების მთარგმნელი, მაგრამ, ჩვენი აზრით, მოკვანალი ფაქტებიც სასებებით საკმარისია საპასუხოდ.

„დოგმატიკონის“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულება, რომლითაც იწყება არსენ ივალთოელის კრებელი არის ანასტასი სინელის „წინამძღვარი“. ანასტასი სინელი იყო VII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი საეკლესიო მწერალი და ლეთისმეტველი. მოღვაწეობდა სინას მთის საჯანგში (აქედან მიიღო ზედწოდება „სინელი“). მასთან პირველ ივალთოელად უკონდა თავისებური კავშირი ქართულ კულტურულ ცნობიერებას. X საუკუნის მეორე ნახევრისა და XI საუკუნის პირველი მეოთხედის გამოჩენილ ქართველ წინამძღვრებს, მოაზროვნებსა და საულიერ მამა უფთვიმე მთაწმიდელს, სხვა ბიზანტიელი მწერლებს წინაერებთან ერთად უკონდა გამოყენების ანასტასი სინელის ეს ნაშრომიც, თავის მთავარ თხზულებაში, თავისებურად, გამოკრებით თარგმნილ ნაწარმოებში, რომელიც ქართულ მწერლობაში უფთვიმე მთაწმიდელის „წინამძღვარის“ სახელწოდებით არის ცნობილი. ანასტასი სინელი „პერსიული ეკლესიის“ თვალსაზრისით ნარმომადგენელი და თავისი დროის თეოკრატის იყო. აღსანიშნავია ის, რომ მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და თეორიული მოღვაწეობა მან მოანდომა სხვადასხვა ერეტოკული მიმდინარეობისა და განსაკუთრებით, მონოფიზიტობისა და მისი მრავალგვარი განშტოებების წინააღმდეგ ბრძოლას. ანასტასი სინელის „წინამძღვარი“ ერთ-ერთი მთავარი თხზულება იყო ორთოდოქსიის დაცვისა და მონოფიზიტობის წინააღმდეგ გამართულ კამპანიაში. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი ნარმოადგენდა ერესების დასაბრუნებელ სახელმწიფანელი; მას ხშირად იყენებდნენ მომდევნო ეპოქის დროინდელი მწერლები და არსენიც, რომელიც სასებებით გარკვეულ და კონკრეტულ მიზანს ისახავს, რასაც ზემოთ აღვნიშნავდით, ბუნებრივია, მიმართავს ანასტასი სინელის „წინამძღვარს“ და მშობლიურ ენაზე თარგმნის მას. მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს თუ როგორ აფასებს „წინამძღვარს“ არსენ ივალთოელი: ... წინამძღვარი არს წმინდასა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიისაი და თუალი, რომლითა შედგას, და პირი, რომლითა ზრახავს, და სასმენელი, რომლითა ესმინან ღმერთმეხოლითა მამათა უფთომელნი მოძღვრებანი, და საყნოსელი, რომლითა იყნოსს სულნელებსაი ღმრთისუფლიერთა ყუაილისასა, და მარჯუნე მკლავი, რომლითა ესერის და სდევნის სამწიგნობელთა მხეცთა გუსლანსა ხიბროტესა“. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ „დოგმატიკონი“ არსენ ივალთოელმა შექმნა კონსტანტინოპოლში, მანგანას წმიდა გიორგის მონასტერში და „წინამძღვარს“, როგორც კრებულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თხზულება იქვეა გადმოქართულებული. არსენის შრომა და რუფინება არ

დაუკლია იმისათვის, რომ თარგმანის ლიტერატურული და მეცნიერული დონე დაკვაივალთოელი ამის თაობაზე კვებუნებს: „ეს სობნელე რაიმე სადამე ანუნიდუხორე მსტტება, იგი ბერძელისა შედარებულბობისაკან არს და არა ქართულთა სიტყუთა ვერმეცნიერობისაკან“. ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტის თარგმნის შესრულებულია ზედმიწევნით სიზუსტით, დედნის სრული დაცვით. თარგმანს დართული აქვს სქოლიოები ქართველი მკითხველისათვის ბუნდოვანი და გაუგებარი ადგილების განსაზრებად. ეს სქოლიოები კიდევ იმითაც არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო, რომ მათი საშუალებით შეიძლება გარკვეული ნარმოადგენა შევუქმნას არსენის მეცნიერულ ცოდნასა და მის რელიგიურ მრწამსზე. „წინამძღვარის“ არსენისეული თარგმანი კი ერთ-ერთი უძველესია მსოფლიო ქრისტიანულ ლიტერატურაში.

არსენ ივალთოელის მიერ „დოგმატიკონში“ შეტანილი მეორე თხზულება იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისა“, რომელიც მის მიერვე არის თარგმნილი იმ სახით, როგორითაც ეს ნაშრომი მცირე ხნით უფრო ადრე თარგმნა ეფრემ მცირემ. თანვე დამასკელი (VIII ს.), ქრისტიანული აღმოსავლეთის ეკლესიის უდიდესი ავტორიტეტი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, არის სქოლასტიკური ქრისტიანობის ერთ-ერთი უფუძემდებელი. ძველი ქართული მწერლობა მას საკმაოდ კარგად იცნობდა. ეფრემ მცირესა და არსენ ივალთოელის მიერ თარგმნილი იოანე დამასკელის ამ თხზულების დედანი სამ ნაწილს შეიცავს – დიალექტიკას ანუ „ფილოსოფიურ თავებს“, პოლემიკას მწვალებელთა მიმართ და მართლმადიდებლური სარწმუნოების გარდამოცემას. „დიალექტიკა“ ძირითადად დანერგლია არისტოტელის ფორმალური დიდი მიხედვით და შუა საუკუნეების ფილოსოფიას ითვლებოდა საკმაოდ ცნობილ თხზულებად. ავტორის მიზანს ნარმოადგენდა ქრისტიანული დოგმატიკის დაცვა მწვალებელთა შერყენისაკან და მისი ფილოსოფიური დასაბუთება ფორმალურ-ლოგიკური მეთოდებით. ტრადიციის მეორე ნაწილი ქართველებს არ უთარგმნიათ.

უკანასკნელი დროის ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიქმნული მუხედულებების მიხედვით, იოანე დამასკელის აღნიშნული თხზულებების ეფრემისეული და არსენისეული თარგმანები თითქმის თანადროულია ერთმანეთისა. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში იბადება კითხვა თუ რატომ თარგმნა არსენ ივალთოელმა მეორედ ეფრემ მცირეს მიერ ცოტათი უფრო ადრე თარგმნილი თხზულება.

ამის პასუხად უნდა ითქვას, რომ ქართულ მეცნიერებაში „დიალექტიკის“ ორი თარგმანის შესახებ სხვადასხვა მუხედულება არსებობს. კ. კეკელიძის აზრით, მთავარი მიზეზი ამისა იყო არსენ ივალთოელის შევებაში მომხდარი იდეოლოგიური გარდატეხა, რომლის საფუძველზეც შეზრულდა თარგმანი არისტოტელის შიშის პოზიციად. შალვა ნუცუბიძე კი ფიქრობდა, რომ არსენ ივალთოელი კონსტანტინოპოლში და დოგმატიკური მიმართულების მეთაური იყო XII ს. ქართული ფილოსოფიის განვითარებაში და ისევე

როგორც ე. კეკელიძე, ამ ფაქტს ხსნიდა ეფრემისა და არსენის შეხედულებების პრინციპული განსხვავების საფუძველზე. მ. ნუცუბიძის ეფრემ მცირეს თარგმანი მაინც და პლატონის შიშის პოზიციებიდან შესრულებულად, ხოლო იყალიბებისა — არისტოტელის შიშის. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეფრემ მცირემ თავის თარგმანს ნაუბრძვარა შესავალი, რომელიც მისი ორგინალური შრომა და მრავალმხრივ არის საყურადღებო. მასში ჩამოყალიბებულია შეხედულება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა უქონდა დამასკელის „დიადექტიკას“ ქართული შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისათვის. ეფრემ მცირე აღნიშნავს: „უნყოფილი, ეთიარმედ ქვეითარი საფილოსოფოსოსია სწავლია... საჭიროდ სახმარად შემოუღებუბეს წმიდასა იოვანე დამასკელსა, რათა ამით მიერ წინააღმდეგობდინ შვილნი ეკლესიისანი გარემეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე აღრმეთა განგურმდებ მათ, რამეთუ თვინერ ამით სიტყუათასა სხუებრ შეუძლებელ არს სიტყუებათი წინააღმდეგობითა სიტყუებასა გვკებდუნენ რას გარემუნი იგი განუკუთვლილსათვის, რომელ არს გუამი, და ბუნებისათვის, რომლისათვის ვეროვანად მოუხუმან ესე წმიდასა იოვანე დამასკელსა და ამითითა ეკლოენებითა მოუზღუდაეს ევნახისა ამის თვისისა ნაყოფთა შეუნერებანი“. ამგვარად დამასკელთა ეფრემმა „დიადექტიკის“ თარგმანის აუცილებლობა და მიუთხველს განუმარტა თუ როგორ დაეხმარებოდა მას „გარემეთა“ წინააღმდეგ ფილოსოფორ კამათში. ასეთი განმარტება არსენ იყალიბებულს თავის თხზულებაში არ მოუცია, ვინაიდან მან შესანიშნავად უწყობდა, რომ ეფრემ მცირეს შესავალი ქართული შიშითხველისათვის კარგად იყო ცნობილი. მოუხდავად იმისა, რომ მეგლის ხელახალი თარგმანის მიზნად მკვლევარები სხვადასხვა გარემოებას ასახელებენ, ჩვენ ყველაზე დამაჯერებლად მიგვაჩნია „დიადექტიკის“ ორივე ქართული თარგმანის გამოცემის მთავარ ფაქტორს თვალსაზრისი, რომლის თანახმად მთარგმნელები ბერძნული ტექსტის სხვადასხვა დედნით სარგებლობდნენ და ამასთან, არსენმა „ეფრემისაგან განსხვავებით შედამინეებით სიზუსტით“ გადმოიღო ქართულად ბერძნული თხზულება. ჩვენ ზემოთ აღვნიშნავდით, რომ იყალიბებდა აღარ აკმაყოფილებდა ეფრემის მთარგმნელობითი მეთოდი, და ესეც უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ბიზანტიური თხზულების ხელმოკლე მთარგმნისა. სანატრესოა, რომ არსენ იყალიბებლის მიერ თარგმნილმა „დიადექტიკამ“ გაცილებით უფრო მეტ გავრცელება პოვა მუხა საუკუნეების ქართულ მწერლობაში, ვიდრე ეფრემის თარგმანმა. ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლეს ის, რომ არსენის თარგმანის შემცველი ხელნაწერები მრავლად არის, ხოლო ეფრემისეული თარგმანი მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერშია დასტურდება. გარდა ამისა, XII საუკუნეში „დიადექტიკა“ სწორედ არსენ იყალიბებლის თარგმანიდან სომხურად თარგმნა სომეხმა ქალეკდონიტმა ბერმა სიმეონ პლინაძეძემ.

არსენ იყალიბებლის მიერ თარგმნილ „ყოფნის წყაროს“ შესამე ნაწილის — „გარდამოცემის“ შესახებ, უნიარეს ყოვლისა, შეიძლება ითქვას,

რომ ეს თხზულება გვანადის თავედ არსენის მსოფლმხედველობის შესწავლისათვის გვერსაინტერესო და საყურადღებო წესწავლას. საქმე ის არის, რომ იოვანე დამასკელის „დიადექტიკაში“ ქრისტიანი, იძულებული გახდა დაეცვა მართლმადიდებლური ქრისტიანობა სხვადასხვა ჯურის მწვალებელთაგან. ამ მიზნით, მან დანერგა ხუთი შრომა, რომელიც შეიტანა „გარდამოცემის“ არსენ იყალიბებლის ყველა ეს თხზულება თარგმნა და მათ შორის ერთს, „სიტყუანი წმიდათა მამამანი“-ს საფუძვლიანი კომენტარებიც დაურთო. კომენტარებში ყურადღება გაამახვილებული ქრისტეს ორბუნებოვნების დასახუთებაზე და მორალურ-ეთიკურ მხარებზე. ეს საკითხი იყალიბებლის შემქმნელ გუამში საგანგებო მსჯელობის საგანია და შემდგომ დამუშავებას მოითხოვს.

არსენ იყალიბებლის „დოგმატიკონის“ შემადგენლობაში აგრეთვე იოვანე დამასკელის მონაფის, ცნობილი საეკლესიო მწერლის, თეოდორე აბუკურას (740-820) ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტრაქტატები. თეოდორე თავის დროის ღრმად მოაზროვნე თეოლოგი და შესანიშნავი მოპაეკრე, ქრისტიანულ მათორლმადიდებლური სარწმუნოების ერთგული დამცველი იყო. მისი ტრაქტატები მიმართულია ებრაულ, მაშინდელი რელიგიისა და სხვადასხვა ერეტუკულ მოძღვრებათა წინააღმდეგ ბუნებრივია, რომ ასეთი მოაზროვნე ვერ დარჩებოდა არსენ იყალიბებლის ყურადღების გარეშე და ამიტომაც მის კომპენდიუმში შევიდა თეოდორე აბუკურას თხზულებებიც. მაგრამ „დოგმატიკონის“ ეს ნაწილი იმითაც არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საყურადღებო, რომ აქ ვეცნობით თვით ქრისტიანულ მოძღვრებას შიგნით ნარმოქმნილ მიმდინარებებს. მათ შორის ნესტორიანობას, სევერიანთა ანუ იაკობიტთა ერესებს, განსაკუთრებით კი მონოფიზიტობასა და მის განსტოლებებს. აბუკურა ქართველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ამასვე მეტყველებს ის, რომ არსენისეულ „დოგმატიკონში“ დაცულია ზოგიერთი ისეთი ბიოგრაფიული ცნობა და ფილოსოფიური ნაწარმოები, რომელთაც დიდ მნიშვნელობა აბუკურას ცხოვრებისა და მისი თხზულებების შესწავლის საქმეში.

არსენ იყალიბებლის თხზულებაში ერთი ტრაქტატი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს. ეს ტრაქტატი მიეწერება ევსტრატე ნიკელს, რომელიც საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო ბიზანტიის ისტორიაში. მოღვაწეობდა XI-XII საუკუნეების მიჯნაზე და ავტორია მრავალი საღვთისმეტყველო შრომისა. „დოგმატიკონში“ იგი მოხსენიებულია, როგორც „ყოვლად ბრძენი ევსტრატე ნიკელ მატროპოლიტი“. მისი ტრაქტატი „მოსახსენებელი გამოკრებილი, თუ ოდეს ჰქონდა და ეკლესიათა მათი და რაისათვის საღმრთოთა აღმოსავლესა ეკლესიათაგან განიტყნეს“ მიმართულია რომის კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. ამ შრომაში ძირითადად განხილულია რომისა და ბიზანტიის ეკლესიათა ურთიერთობა. ევსტრატე ნიკელი აკრიტიკებს რომის საეკლესიო წეს-ჩვეულებებს, დისციპლინარულ საკითხებს, აგრეთვე კიცხავს კა-



თლიკური ეკლესიის თვალსაზრისს დოგმატიკურ საკითხებზე.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია არაერთგვაროვანი მოსაზრება ამ ტრაქტატის ივალთოელის მიერ თარგმნის თაობაზე, ჩვენთვის მას უწინარეს ყოვლისა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმით, რომ, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ეს ტრაქტატი ქართულად თარგმნილი ერთადერთი ანტიკათოლიკური თხზულებაა ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში. ამ ფაქტს, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად ხსნადა კ. კეკელიძე, რომელიც აღნიშნავდა, რომ საქართველოში თავდაპირველად მიუღებელი იყო ბიზანტიის კონსერვატორული შეხედულება რომის ეკლესიის შესახებ, რადგანაც ჩვენს ნინაძემ ბატონობდა სხვა აზრი, რომელიც გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნოდა. იგი თვლიდა, რომ „... პრომთა ენაითგან ერთ ზნის იცნეს ღმერთი, არაოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალებათ შემოსულ არს მათ შორის“.

არსენ ივალთოელის „დოგმატიკონში“ შესულია ერთი მცირე ზომის ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტრაქტატი, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არსენის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარკვევისათვის. მხედველობაში გვაქვს თხზულება „პირმშობისათვის“. ეს ძველი „დოგმატიკონის“ ყველა სრულზე ნაწილში ასეა დასათარგმნელი: „აღიანა ფილოსოფოსისა ფსელისისაი მონაფეთა თვისთა მიმართ თარგმანებაი სიტყუასა მას ღმრთისმეტყუელისასა, მეტყუელთა: კითარცა იქმნა პირმშო მრავალთა მბათა შორის, ეგრეთვე პირმშო მეუფართავან ღირს ბინა ყოყად“. სათაურის მიხედვით პრომა ეკუთვნის XI ს. უდიდეს ბიზანტიელ მოაზროვნეს მიქაელ ფსელისს. აქ ერთი გარემოებაა აღსანიშნავი. ფსელისის თხზულებათა ბერძნულ სიბრძნე ამგვარი ტრაქტატი მოხსენიებული არ არის. ასეთი ფაქტი საბაში გახდა იმისათვის, რომ აღნიშნული ძველი ხან ორადე პეტრიწისათვის მიეკუთვნებინათ (კ. კეკელიძე), ხანაც თავად არსენ ივალთოელისათვის (მ. ნუცუბიძე). ჩვენ ამ ნერილში, რასაკვირველია მიზანს არ ვისახავთ დავასაბუთოთ ამ შეხედულებათა ქვეშარიტება-მცდარობა. უბრალოდ, გვიჩვენა ვთქვათ, რომ, როგორც ამას ე. ლოლაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, არც ერთი შეხედულებისათვის ქართულ მეცნიერებაში საკმარისი საფუძველი არ არსებობს. ტრაქტატი გატარებული ფილოსოფიური აზრი კი დაბეჭდვითი შეიძლება ითქვას, რომ ნეოპლატონიზმის ნინაძემდე არის მიმართული.

ყოველ შემთხვევაში, ტრაქტატის დანერა თუ თარგმნა არსენ ივალთოელის მიერ და „დოგმატიკონში“ შეტანა იმაზე მეტყველებს, რომ XII საუკუნის საქართველოში ფილოსოფიური აზრი საკმაოდ მაღალ დონეზე იყო, რასაც ადა-

სტურებს ტრაქტატში კრიტიკულად განხილული შეხედულებანი, ლოგიკურმა და მკვლევარული მსჯელობები და დასახებულებები, რომლებიც შეიქმნა.

შეხედულება არსენ ივალთოელის კრებული სრულად და ამომწურავად განიხილო, მიუხედავად საფუძვლად ნერილში. ასეთ მიზანს არც ვისახავთ, მაგრამ უდავოა ის, რომ „დოგმატიკონი“ არის ძველი ქართული მწერლობის უწინმეტყველებანი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ნაშრომი, დოგმატიკურ-პოლემიკური ხასიათისა. მასში თავმოყრილია შუა საუკუნეების ბიზანტიური ქრისტიანული ლიტერატურის ცნობილი ძეგლები, რომლებიც დიდი როლი შეასრულეს სხვადასხვა ერეტიკულ მოძღვრებათა და მხედველობათა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ეს თხზულებები თარგმნილია არსენ ივალთოელის მიერ ბრწყინვალე ქართულით, იმ დიდი მთარგმნელობითი საქმიანობისა და ტრადიციების ღირსეული გაგრძელებით, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ჯერ ეფთვიძემ და გიორგი მთაწმიდელმა, შემდეგ კი ეგრემ მცირემ და ორადე პეტრიწმა. „დოგმატიკონი“ არის XI-XII საუკუნეების ქართული მწერალთა და მოაზროვნეთა შემოქმედებითი სულისა და უნარების საუცხოო გამოვლენა, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ძველ ქართულ სასულიერო და საერო მწერლობაზე.

არსენ ივალთოელის მოღვაწეობის შესახებ პერიოდი, როდესაც იგი ძირითადად საქართველოში ცხოვრობდა, იმით არის აღსანიშნავი, რომ ამ დროს გელათის მონასტერში მან თარგმანი ადგილ სჯულისკანონი“. ეს იყო მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც არსენმა საქართველოში მოსვლისთანავე გააკეთა. „ადილ სჯულისკანონის“ თარგმნა და მის მიერვე აქეგლისნერის“ შედგენა-რედაქტირება შეცნობილად საფუძვლად დაედო რუს ურბნისის 103 წლის საეკლესიო კრებას. ამგვარად, არსენ ივალთოელმა ქართული საეკლესიო სამართალი დააფუძნა მყარ იურიდიულ კოდექსზე, რომლითაც ხელმძღვანელობდა შაშინ მსოფლიოს მართლმადიდებლური საქრისტიანო სამყარო. არსენის ასეთმა თავდაუზოგავმა პრომამ შედეგად ის მოიტანა, რომ საქართველოში მონესრივდა ეკლესიის მართვა, ორგანიზაცია და მრევლისადმი მომსახურება.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ერთ საეკლესიო ნერილში ვერ ამოქმედრავთ სათქმელს არსენ ივალთოელის შემოქმედებაზე, მის უწინგარი პრომასა და მოღვაწეობაზე ქვეყნისა და ერიის საკეთილდღეოდ. არსენის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ყოველმხრივი შესწავლა-ანალიზი ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. ნერილის ავტორის მიზანი იყო კიდევ ერთხელ გაავსესენებინა ჩვენი დიდი და სახელოვანი ნინაძარი, რომელსაც გამოჩენული და ღირსეული ადგილი უკავია ქართული აზროვნებისა და კულტურის განვითარების ისტორიაში.



## შემწყნარებლობა, როგორც ადამიანთა ურთიერთობის ურთიერთობის ერთ-ერთი ფორმა

შემწყნარებლობა ადამიანთა ურთიერთობების თავისებური წესია. ადამიანთა ურთიერთობა შეიძლება იყოს დაპირისპირებული ან მოწესრიგებული, სამართლიანი ან უსამართლო, კეთილი ან ბოროტი. რეალურად როგორია ეს ურთიერთობები თვითონ ადამიანზე და მოკიდებული.

რატომ დაროგორ შეიძლება იყოს შემწყნარებლობა ადამიანთა ურთიერთობის საფუძველი? შემწყნარებლობა შეუწყნარებლობის საპირისპირო ცნებაა, მისი უარყოფაა და მოითხოვს ადამიანთა შორის არაძალადურ ურთიერთობებს. შეუწყნარებლობა ძალადობას გულისხმობს. ძალადობა არის ადამიანთა შორის ურთიერთობის განსაზღვრული ტიპი, როცა ერთის კეთილდღეობა მოიპოვება სხვათა ტანჯვის ფასად, რომლისთვისაც გამოიყენება ძალა, იძულება. ძალადობად შეიძლება მივიჩნიოთ ისეთი მოქმედება, რომელიც სრულდება თავისუფალი ნებით და ზნეობრივ შეფასებას იმსახურებს. ფიზიკური ტყვილი (კბილის ტყვილი) და ტკივილი პოლიციელის ხელკეტის დარტყმისაგან გამოწვეული – სხვადასხვა (აქ შეიძლება გავიხსენოთ არა კენთი და კოდლი). ძალადობის საგნობრივი სფეროა ადამიანური ნების ურთიერთმიმართება. ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც ერთი ნების ბატონობა მეორეზე.

შემწყნარებლობა არ შეიძლება დახასიათდეს როგორც შეუწყნარებლობის უბრალო უარყოფა. მას პოზიტიური შინაარსიც აქვს, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უარყოფითი. საქმე ისაა, რომ ძალადობის უარყოფა სხვადასხვა წესით შეიძლება.

შემწყნარებლობა შეიძლება გამოიხატოს შეუწყნარებლობისა და ძალადობისადმი შერიგებით, პასიურობით, წინააღმდეგობის გაუნეულობით? მიიჩნევენ, რომ შერიგება შემწყნარებლობის სპეციფიკური ნიშანია და არაძალადობის უპირატესი ფორმაა.

სინამდვილეში პასიურობა და შერიგება ძალადობის უარყოფა კი არ არის, არამედ

შეუწყნარებლობის აუცილებელი და ორგანული პირობა.

მეორე, ფართოდ გავრცელებული ფორმა ძალადობის წინააღმდეგოდ არის კონტრძალადობა. ძალადობის ნებისმიერი ფორმა (სამართლიანია თუ უსამართლო) ერთიკური თვალსაზრისით ჩაითვლება ბოროტებად. ძალადობაზე ძალადობით პასუხი არის ბოროტებაზე ბოროტებით პასუხი.

შეუწყნარებლობასთან და ძალადობასთან ბრძოლის ადექვატური საშუალება არის არაძალადობა, შემწყნარებლობა, რომელიც ადამიანთა ურთიერთობის საფუძველში ამკვიდრებს სიკეთეს. ადამიანთა შორის შემწყნარებლური ურთიერთობა არაძალადობის საფუძველზე სიყვარულით, სიამართლით, სხვისი პატივისცემით აღინიშნება.

შემწყნარებლობის, როგორც არაძალადური ურთიერთობის და კეთილ მიზნებით ან მისი ორგანული კავშირის წარმოსაჩენად აუცილებელია მისივე თავისებურების ჩვენება, რადგან კეთილი მიზნების ქონასრულიადაც არ გამოიცილება არაძალადური შემოქმედების საშუალებით ბოროტების კეთებას კონკრეტულ ვითარებაში. არაძალადობა არის გზა ნებათა თანახმობით ურთიერთობისათვის, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ძალადობისაგან.

შემწყნარებლობა, არაძალადობა მოითხოვს ადამიანთა ან საზოგადოებათა შორის დაპირისპირება გადაწყვეტის თანამშრომლობით. შემწყნარებლური, არაძალადური პოზიცია გულისხმობს გაუუგოთ მოწინააღმდეგე მხარეს, ვალიაოთ მისი ინტერესები; ვიპოვოთ ისეთი გამოსავალი, როცა მოგებული დარჩება ორივე მხარე და არცერთი არ აღმოჩნდება გამარჯვებულის მდგომარეობაში. ადამიანი ამ პრინციპის მიხედვით, როგორც თავისუფალი არსება ატარებს ღირსეული არჩევანის უნარს, ამიტომაც იმსახურებს თავდაპირველ, არაფრით განპირობებულ ნდობას.

შემწყნარებლობა, არაძალადობა მოითხოვს ადამიანის მთლიანი პიროვნების სი-



ძლიერეს (ე. ი. ძალას კი არ გამოვიცხავს, ძალის უარყოფითი მიზნით მოქმედებას), ცნობიერების, გრძნობის და ნების ერთიანობას, გონიერებას და ზნეობრივ სიმტკიცეს – „სიმაჰაცეს“. ზნეობრივი მომენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. შემსწარებლობა და არაძალადობა ისეთ სიძლიერეს, სულიერ მამაცობას მოითხოვს, რომელიც მოტივირებულია სამართლიანობით და სიყვარულით. ეთიკური აზრით ასეთი მამაცობა უფრო მაღლა დგას, და უფრო ძნელია, ვიდრე მამაცობა მოტივირებული შურით და ბოროტებით.

ტრადიციული გაგებით, შემსწარებლობა, არაძალადობა, როგორც ეთიკური ცხოვრებისეული პოზიცია მშვენიერია, მომხიბვლელია, მაგრამ არაეფექტური, არაპრაქტიკული. ზნეობრივი ასპექტით მას შეუძლია კონკურენცია გაუნიოს შეუნყარებლობას და ძალადობას, მაგრამ პრაქტიკულად მთელი ცივილიზაციის ისტორია ძალადობაზეა დაფუძნებული. ერთი შეხედვით, შემსწარებლობის და არაძალადობის ეთიკის არგუმენტაცია აზრს კარგავს.

ძნელია შემსწარებლობის, არაძალადობის პრაგმატული და ეთიკური არგუმენტაცია, შეიძლება თუ არა მათი ერთიანობის დასაბუთება? საკითხი ეხება შემსწარებლობის, არაძალადობის იდეის შემოქმედებითობას, შესაძლებელია, რომ შემსწარებლობის, არაძალადობის იდეამ პრაქტიკულად ხელი შეუწყოს თანამედროვე ცივილიზაციას, შეიძლება თუ არა გახდეს ის ყოველდღიური საქციელის მოტივი, თუ ის უნდა დარჩეს ცალკეული ადამიანების გმირულ საქმედ?

თავის დროზე თომა აქვინელმა თქვა: „აბსოლუტური ბოროტება შეუძლებელია, რადგან ის თავის თავს აუქმებს“. თანამედროვე ეტაპზე საზოგადოების ბოროტებამ იმ ზღვარს მიაღწია, რომლითაც თავის თავს უქადას განადგურებას. ამ მიზეზით და თავის გადარჩენის მიზნით ყველა უნდა მივიდეს ამავე აზრამდე. გლობალური სამიმორობანი

– ბირთვული, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა – კაცობრიობას არჩევანის ნიშანზე აყენებს: ან უარი თქვას ძალადობაზე – მტრობის ეთიკაზე, ან დაილუპოს. ამრიგად, მიზანშეწონილია კაცობრიობის გადარჩენა, ეს არის არაძალადობის აუცილებლობის ღრმად პრაქტიკული არგუმენტაცია, რომელსაც შემსწარებლობის, ურთიერთგაგების და თანამშრომლობის ეთიკასთან მივეყვართ. სიკვდილის თავისებურება ისაა, რომ ადამიანს საკუთარი სი-

კვდილი ცდაში არ ეძლევა, ამიტომ ის ისე მოქმედებს, ანგარებით და მტრულ განწყობილებას სიკვდილის სამიმორობასთან დადგას. შემსწარებლობის და არაძალადობის ეთიკა კაცობრიობის ისტორიის ახლანდელ კრიტიკულ ფაზაში პრაგმატულ მნიშვნელობას იძენს. შემსწარებლობა, არაძალადობის გზა ადამიანს (კაცობრიობას საერთოდ) აძლევს მორალური არჩევანის შესაძლებლობას, გადაიჩინოს საკუთარი თავი და გადაიჩინოს სიკვდილზე. თუ ადამიანს სურს, იხსნას თავი ზედმეტი ტანჯვისა და დალუპვისაგან, მან უნდა აირჩიოს, რა გზით შეუძლია ამის გაკეთება? სიკვდილის პატივისცემით. ეს ნიშნავს სხვისი სიკვდილის უფლების აღიარებას, რომელიც რელიგიაში გამოითქვა ზნეობრივი ნორმით „არა კაც ჰკლა; მაგრამ სიკვდილის პატივისცემა უფრო მეტია, ვიდრე სხვისი სიკვდილის ხელყოფისაგან თავშეკავება“. ის არც მხოლოდ საკუთარ სიკვდილზე ზრუნვით ამოიზრუნება, რადგან საკუთარი არსებობის შენარჩუნებისათვის ცხოველიც ზრუნავს. ადამიანი არა მარტო საკუთარი სიკვდილისათვის იღწვის, არამედ სხვისთვისაც და თანაც სურს, რომ მისი სიკვდილზე ღირებული იყოს. ადამიანის სიკვდილზე ღირებულია თავისუფლებით.

თავისუფლების პატივისცემა. – ურთიერთობის ეს ფორმა გამოირჩევა სხვა ადამიანების ცხოვრებაში ჩარევას, „მართვას“, „მანიპულირებას“. სხვის ცხოვრებაში ჩარევა გამართლებულია მხოლოდ დახმარების მიზნით. კრძალავს ძალადობის გამოყენებას, მონობას, ექსპლოატაციას და საერთოდ ყველაფერს, რითაც მორე ადამიანი შეიძლება გახდეს საშუალება სხვისი მიზნების მისაღწევად. სიკვდილზე და თავისუფლება პიროვნებად ყოფნას ნიშნავს. შემსწარებლობის ზნეობრივი პრინციპი მოითხოვს მხოლოდ პიროვნების კი არა, საერთოდ ადამიანის პატივისცემას, მასზე ზრუნვას და ყველაფრისაგან თავშეკავებას, რაც სხვისთვის საზიანოა.

ადამიანთა ურთიერთობები ქვეშაირიტი და სამართლიანი უნდა იყოს. პატივისცემის ღირსია „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“. სიტყვე ქვეშაირიტი ადამიანური ურთიერთობებისათვის ხელისშემშლელია, უნდობლობას ნარმოშობს და ერთმანეთისაგან თიშავს ადამიანებს.

შემსწარებლობას და ძალადობას ნიშნავს სხვისი საკუთრების ხელყოფაც. სხვისი საკუთრების ხელყოფა არ ნიშნავს მხოლოდ ქურდობას, არამედ ძალადობით

მისაკუთრებას იმისა, რაც სხვას ეკუთვნის და სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრებას. ამიტომ ადამიანთა შორის ურთიერთობის ზნეობრივი პრინციპები საკუთრების პატივისცემასაც მოითხოვს.

ადამიანი ვალდებულია იშრომოს თავისი უნარების მაქსიმალური გამოყენებით. შრომით ლოცვა სიტყვით ლოცვაზე აღმატებულიაო — ნერდა აკაკი ნერეთელი. ქვემარტივ ადამიანური შრომა და შემოქმედება პროგრესის პირობაა. ასეთი შრომა პროგრესისადმი პატივისცემას გულისხმობს.

რანაირად შეიძლება იყოს სიყვარული შემწყნარებლობის ზნეობრივი პრინციპის საფუძველი? ანუ რას ნიშნავს, როგორ უნდა გავიგოთ ქრისტიანული რელიგიის ზნეობრივი ნორმა: „გიყვარდეთ თქვენი მტერნი, დალოცეთ თქვენი მანყვეარნი, კეთილი უყავით თქვენს მოძულეს და ილოცეთ თქვენსავ მძევნელთა და შურაცხმყოფელთათვის“ (სახარება მათესი, 5-44).

როგორ არის შესაძლებელი „უცხო“ და „მტრის“ სიყვარული? ზნეობრივი ნორმა „გიყვარდეს მტერი შენი“ ყველაზე ძნელი მისაღებია. რეალურად მისი განხორციელება ადამიანისთვის თითქმის დაუჯერებელია. ადვილია იმის სიყვარული, ვისაც შენ უყვარხარ. ნიც შე თვლიდა, რომ ქრისტიანული მორალი სუსტი და მშიშარა ადამიანებისთვის არის შექმნილი და არა ძლიერებისა და მამაცობისთვის. ეს მორალი რეალურ ცხოვრებას მოწყვეტილია. მიუხედავად ასეთი სიძნელისა, ადამიანის ცხოვრება სულ უფრო მეტად მოწმობს მის მნიშვნელობას. კონფლიქტების და დაპირისპირების, უნესრიგობისა და მშვიდობის დარღვევის მომხრენი გვახსენებენ, რომ სიძულვილის გზა არის მუდმივი ტანჯვისა და განადგურების მომტანი. „გიყვარდეს მტერი შენი“ არ არის განუხორციელებელი ფორმულა, არ არის სურვილი მეოცნებე უტოპისტიკისა, არამედ არის სიცოცხლის გადარჩენის პირობა. მტრის სიყვარული არის ადამიანთა ურთიერთობებში არსებული პრობლემების მოგვარების პირობა. ადამიანმა უნდა შეძლოს მისი აუცილებლობის გაცნობიერება, როგორც მოქმედების ზნეობრივი წესისა. ადამიანი, როგორც თავისუფალი და პასუხისმგებელი არსება, ვალდებულია სიცოცხლის გადარჩენის მიზნით გააცნობიეროს ამ ნორმის საზრისი. რის მუშევობითაა შესაძლებელი მტრის სიყვარული?

უპირველესად, ადამიანმა უნდა შეძლოს მოთმენის და პატიების უნარების განვითარება.

მტრის სიყვარული შეიძლება გავიგოთ, როგორც მოთმენა და პატივითა და პატივით გაგებული, როგორც ზნეობრივი მსაჯულება, რომელიც გამორიცხავს მონიანალმდევე მხარის ცნობა-აღიარებას, არ ნიშნავს პატიების ნამდვილ გაგებას. პატიება აღნიშნავს შერიგებას, კვლავ გაერთიანებას. ამის გარეშე შემწყნარებლობა, „მტრის სიყვარული“ სრულიად შეუძლებელია.

ადამიანი რთული არსებაა და მისი ცალმხრივი გაგება არ შეიძლება. ეს ნიშნავს იმას, რომ ყველაზე დიდი ბოროტების ჩამდენ ადამიანშიც კი შეიძლება აღმოვაჩინოთ სიკეთის მარცვალა, რომელსაც თუ ხელს შეეუწყობთ, აუცილებლად გაღვივდება. არ შეიძლება ადამიანი იყოს აბსოლუტურად ბოროტი ან კეთილი. ადამიანის საქციელი ყოველთვის არ არის მისი ზნეობრივი არსების სრულყოფილი (აბსოლუტური) გამოვლენა, ბოროტება, ძალადობა, შეუწყნარებლობა, სიძულვილი შეიძლება დაიძლიოს ადამიანში ისეთი თვისებების მოძებნით, რაც დასაფასებელია.

შეუძლებელია მოგვწონდეს მტერი, და ვიყოთ ერთგული მისი, ვინც ბოროტება გავიკეთა. როგორ შეიძლება მოგვწონდეს ადამიანი, რომელსაც სურს გავგვანადგუროს. ეს შეუძლებელია, მაგრამ სიყვარული უფრო მაღლა დგას, ვიდრე „სიშაპითა“ და „ერთგულება“. ეს არის სიყვარული, რომელიც ადამიანთა ურთიერთობებს აგებს თანხმობაზე და შემწყნარებლობაზე. ასეთი ურთიერთობით შეძლებს ადამიანი მშვიდობისა და წესრიგის დამყარებას. მხოლოდ ასეთი ურთიერთობა გულისხმობს ადამიანს, როგორც მიზანს და არა საშუალებას.

როგორ შეიძლება შემწყნარებლობის დამკვიდრება ადამიანთა ურთიერთობაში? პირველი, რაც გასათვალისწინებელია: ამკარა, რომ სიძულვილზე სიძულვილითვე პასუხი სიძულვილს ამრავლებს, უფრო აუტანელს ხდის ადამიანთა ურთიერთობებს. ბოროტებას არ შეუძლია ბოროტებაზე გამარჯვება, ამის გაკეთება მხოლოდ სიკეთეს ძალზეს. ომი ახალ ომს წარმოშობს, რომელიც ანადგურებს ყველას და ყველაფერს. ერთმანეთის განადგურებით ადამიანები საკუთარ თავსაც ანადგურებენ. ძალადობა და სიძულვილი სიკვამლეშია. ეს ნიშნავს, რომ სიძულვილი დამლუპველია არა მხოლოდ იმისთვის, ვინც სძულს, არამედ იმისთვისაც, თვისაც სძულს. მეცნიერული გამოკვლევებით არის დადასტურებული, როგორ ანადგურებს სიძულ



ლელი ადამიანის ნორმალურ ფსიქოლოგიურ და სულიერ ბუნებას: ამერიკელი ფსიქოლოგების დასკვნით, სიძულელი ანადგურებს ადამიანს, სიყვარული, მიუხედავად ყველაფრისა, გარდუვალად ალაღვენს მას. ამიტომ გაისმის მონოდება: „ისწავლეთ სიყვარული, თორემ დაილუპებით“.

შემწყნარებლობა და სიყვარული ერთადერთი ძალაა, რომელსაც შეუძლია მტერი შეგობრად აქციოს. სიძულელის დამანგრეველი და სიყვარულის გამაერთიანებელი ძალა ადამიანს კარგად უნდა აქონდეს გაცნობიერებული. სიყვარულით, შემწყნარებლობით ადამიანი გადაარჩენს საკუთარ თავსაც და სხვასაც, გადაარჩენს სიცოცხლეს და შეძლებს თავის ნამდვილი დანიშნულების განხორციელებას.

არაძალადობის ეთიკის ფუძემდებლები განდი, კინგი და ტოლსტოი თვლიდნენ, რომ მონინალმდევე ძალის მიერ მიყენებულ ტანჯვას ადამიანი ყოველთვის მოთმინებით და შემწყნარებლობით უნდა დაუპირისპირდეს. მაგრამ ეს არ ნიშნავს უსამართლობისადმი დამორჩილებას, რადგანაც ბოროტებისადმი დაუმორჩილებლობას ადამიანის ისეთივე ზნეობრივ მოვალეობად თვლიან, როგორც სიკეთესთან თანამოქმედებას. მოთმინება და შემწყნარებლობა მიაჩნიათ მათ თავისუფლების მიღწევის საშუალებად. მოთმინება და შემწყნარებლობა არა მარტო გამარჯვების სანიინდარია, არამედ

სანიინალმდეგო მზარის მომჭერებზე ფაქტთან შერიგების, რაც ადამიანთა ურთიერთობებში გამარჯვებაა.

შემწყნარებლობა მოითხოვს მოთმინას, არაძალადობას, მაგრამ მათზე მეტია. შემწყნარებლობა არაძალადობისა და მოთმინის გარდა სიყვარულს, პატივისცემას, პატიებას, უცხოთა და განსხვავებულის ცნობა-ალიარებას მოითხოვს. შემწყნარებლობა უბრალოდ მოთმენა კი არ არის, არამედ როგორც სამართლიანად აღნიშნავს არისტოტელე „წყენის მოთმენით ატანა“, უბრალოდ პატიება კი არ არის, არამედ ურთიერთობის და თანხმობის საფუძველია.

შეუწყნარებლობა მოუთმენლობასა და ძალადობას ეყრდნობა. შეუწყნარებლობა სხვისი ცნობა-ალიარება კი არ არის, სხვისი არცნობაა, შეურაცხყოფა, დამცილება და ცინიზმი. შეუწყნარებლობა კულტურის სანიინალმდეგო მოქმედებაა. ის, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, ანტიკულტურაა. შემწყნარებლობის კულტურა მშვიდობის და ნესრიგის გარანტიაა, კულტურის მშენებლობაა: ამიტომ არის აქტუალური შემწყნარებლობის კულტურის აღზრდა-რამოყალიბება. შემწყნარებლობის იმ უნარს, რომელიც არ შეიძლება შესაძლებლობის სახით არ „იდოს“ ადამიანში, აღზრდა და განვითარება სჭირდება. რას აიჩქევს ადამიანი „მგლად, თუ ღმერთის ხატად და მსგავსად ყოფნას“, ეს განსაზღვრავს მის მომავალს.







ბაკი ბჟუაძე

## გარდასულ ღრთა გაუნებალი

გელათის მეცნიერებათა აკადემიამ, ქართულ ტრადიციონალისტთა კავშირის ხელშეწყობით, პროფესორ ზურაბ ქუმბურდის რედაქციით და წინასიტყვაობით დასტავა 460 გვერდინი ნიჭი — „იმერეთის თავადათა და აზნაურთა ოჯახები“.

ვიდრე ამ ნიჭის ღირსებას შევხებით, განდობთ ჩემს კერძო დამოკიდებულებას აქაიქ შემონახული ძველი ხელნაწერებისადმი.

არავინ შეგულება, თავისი გვარისა და ჯილაგის წარმოშობა არ აინტერესებდეს, არ ენადოს, არ ენიაზებოდეს იმის გავება, ვინ იყო მისი შორეული თუ ახლობელი წინაპარი.

ინგლისის ლორდათა შორის თურმე შეხვედრით კაცს, ზუთი თითოვით რომ იცის შეიფი საუკუნის წინანდელი თავისი წინაპრის სახელი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი ბუნება-ხასიათის ცხოვრებისეული ზოგი წერილმანიც, ასე ეთქვამთ, ხელის გულზე უდევს იმ ქამიდან მოყოლებული თავის წინაპართა ორმოცდაათსამოცი თაობის ასავალ-დასავალი.

ქართულები ამ მხრივ თავმჯდომელები ხალხი უჩანვართ. ჩვეულებრივმა მოკვადებმა ბაბუის მამის სახელიც კი იშვიათად იციან. არადა, რატომ არ უნდა ვიცოდეთ, საიდან მოვადვართ?

ქარგა ბნის წინათ ჩვენი სოფლის ეკლესიაში შევედი და თვალი მოვკარი, ამბიონთან უყარა დრო-გამისაგან შელანძლულ-დახეული, ბერაკტორივით გაყვილებული ფურცლები. ცნობისმოყვარეობამ წამძლია და რამდენიმე ავიღე. ეს იყო სიები აღსარების სათქმელად და ზიარების მისაღებად ეკლესიაში მისული ოჯახებისა. თარიღი ფურცლებს არ ეწერა. უცებ ერთზე პავლე დავითის ძე გოგობერიშვილს შევაღე თვალი. მერმე ქორწინების ორ ქალაღზეც წავანყდი მის სახელს. მაშინ რვეოლუციამდელ ამბებზე რომანის დასაწერად მასალებს ეაგრეობდი და ვიფიქრე: ეგება ესენიც გამომადგეს-შეთქა, წამოვიღე და სარომანე მასალებში შეუვრავ. იმ რომანის დასაწერად მაშინ კალმის ძალა არ შეყო, მასალები კი შემომრჩა.

და, აი, ჩემ წინ დევს იმერეთის ეპარქიის რაჭის მაზრის სოფლის წესის მთავარანგელოზის ეკლესიაში აღსარებისა და ზიარებისათვის მოსულ კომლთა სია, შედგენილი რუსულად. ერთ-ერთ ფურცელზე აღნიშნულია: 16 (ეს კომლის რიცხით რიცხვია). გოგობერიშვილი პავლე დავითის ძე, 57 (წლოვანებაზე მიგვანიშნებს). ცოლი მისი ანუსია ფარსადანის ასული, 45. ქალიშვილი მათი — ქრისტინე — 20. მისი ქმარი

სამსონ გენაძე — 25. მათი შვილები: ფედოსია — 3. ისმაილი — 1<sup>2</sup>

ეს თითქოსდა უბრალო ფურცელი ამჟამად ჩემთვის მოაქვლამნიშვნელოვნად ხაინტკერესო გამოდგა. ამის წყალობით ბევრი რამის გარკვევა და დაზუსტება შეიძლება. ვიცი ერთი, მაშარეზი ისმაილი დაბადებულია ათას ცხრაას წელს და ვინაიდან იგი აქ მხოლოდ ერთი წლისაა, მაშასადამე, საბუთი შედგენილია ათას ცხრაას პირველ წელს. თუ ბაბუარეზი სამსონ გენაძე ამ დროს ოცდახუთი წლისაა, ესე იგი, დაბადებულია ათას რვაას სამოცდათექვსმეტ წელს. ოცი თუ ოცდაერთი წლისას შეურთავს თვითმეტ-თექვსმეტი წლის ქრისტინე. 1898 წელს შესძენათ პირველი შვილი — ფედოსია, შემდეგ — მამაჩემი. მალე თურმე პავლეს ოჯახს უბედურება დაატყდა თავს — გარდაიცვალა ქრისტინე და დარჩა წერილ-შვილი. დაქვრივებულმა სამსონმა სხვა ქალი მოიყვანა. მე ამ ბებიის ხელში გავიზარდე. სანამ უშანვილი არ წამოვეყვინილავედი, მომიტყვოს ქრისტინეს ნათელმა სულმა, მისი სახელიც კი არ ვიცოდი.

ახლა მერე საბუთოც გავსინჯოთ. ესაა „გამოკითხვა ქორწინებისა“, შედგენილი ქართულად მღვდელ სვიმონ ლორთქიფანიძის მიერ 1870-სა (ე.ი. 1870) წელსა. სოფელ ბარის მცხოვრები გლეხი სტირნასტი პავლეს ძე კახთელიძემ ირთავს წესილი გლეხის გიორგი გოგობერიშვილის ასულს მათას. ჯერ სწერია სასიძოს თავდები ორი კაცი, მერმე — საძილოს თავდებიც: „მისსავე სოფლის გლეხნი პავლე დავითის ძე და იორდანე ივანეს ძე გოგობერიშვილები. რადგან იორდანემ წერა არ იცის, ამისდა ნაცვლად ხელს ვანერ და ჩემდა თავადაც იგივე პავლე გოგობერიშვილი“.

აგერ კიდევ „გამოკითხვა ქორწინებისა, შედგენილი 1869 წელს. აქ პავლე სასიძოს თავდებია და ვინაიდან მერე თავდებმა წერა არ იცის, მის მაგივრადაც მარტო პავლე ანერს ხელს. მაშინ იგი 25 წლისაა. ვინ იცის, რამდენ აგვარ ქალაღზეა მისი ხელრთვა, რამეთუ სხვამ წერა არ იცის და პავლეს სთხოვს, ჩემს მაგივრადაც ხელი შენ მოაწერო.“

აქამდე ჩემთვის მამაჩემის დედუღეთის ბაბუა პავლე იყო მარტოოდენ განყენებული, უსახური ადამიანი, ვთქვამთ, ისეთივე წინაპარი, რომლის ცარიელი სახელის გარდა არც იერი ვიცი, არც სხვა რამ. ამ თითქოსდა უბრალო, სხეებისათვის ალბათ სრულიად უმნიშვნელო, ყოვლად გამოუსადეგარმა ქალაღებმა კი ეს კაცი მე უცებ გამიცოცხლეს, კონკრეტულად დასაწახავ ადამიანად მიქციეს, მისი სხეულისა



და სულის მოძრაობაც კი მაგრძნობინეს. და-  
კვურზე ბერაკტირით გავითვლებულ ქალაქ-  
დას, სადაც პავლე გოგობერიშვილის ოჯახის  
ნეტარები არიან ჩამოთვლილნი, და თვალწინ  
მიდგა, როგორ შედის იგი ეკლესიაში თავისი  
ცოლ-შვილისა და სიძის თანხლებით, თი-  
თოუელი ცალცალკე იშოკებს და ამბობს აღს-  
არებას ჯვარშემართული, გრძელოლარინი  
მღვდლის წინაშე... იმასაც ვხედავ: ამ დროს  
მამაჩემი – ერთი წლის ჩვილი, როგორ წევს აკვ-  
ანში არტახებით გაკოჭილი და იბრძვის, რომ  
ხელები ვაითავისუფლოს და აკვანზე  
ჩამოკიდებულ ღინჭილოებს ჩამოსაგლეჯად  
მინდეს.

ერთ მშვენიერ დღეს, ამ საბუთს რომ  
ჩაკურკატებდი, ჩემი უმცროსი ქალიშვილი მაია  
შეშოვიდა და გახუნებულ ფურცებს დააკერ-  
და, ნამით ჩაფიქრდა, უცნაური გოცნებით გა-  
დაიკისკისა, მოციმციმე ცრემლები წამოსცვი-  
ვდა და აღტაცებით წამოიძიხა:

– ღმერთო ჩემო, ეს რა ვნახე, ბაბუაჩემი  
ერთი წლისა?!

სხვა არაფერი უთქვამს. პირისახეზე სად-  
ღაც შორს გაქცეული ფიქრის შუქი გადაეფინა.  
მაიას ამ ბაბუის მხოლოდ სურათი აქვს წა-  
ნახი და, აი, ანაზღად... უშმაღ მივხვდი, რომ ეს  
იყო ადამიანის მიერ თავისი ფეხების ძივებისა და  
პოვნის ქვეცნობიური სიხარული და კიდევ რა-  
ღაც უფრო სხვა დიდი გრძნობა, ალბათ, აღტა-  
ცება იმ ჭამის გაცოცხლებისა და აწინდელ  
დროსთან შიშხლოებისა, როცა ბაბუამისი ერთი  
წლის იყო.

ვიფიქროთ ასე: ადამიანი წარსულთან არა-  
სდროს მიდის, პირიქით, რალაცნაირად თვითონ  
წარსული მოდის ადამიანთან და, ჩანს, წარსუ-  
ლის შეცნობაც ამიტომ გესიამოვნებს ხოლმე.

ძველი ფურცლის მხილველი ჩემი ქალიშ-  
ვილი გოცნებით იღიმება და მის გოცნებაზე მეც  
გულწრფელად მელიძება.

მე ახლა თითქოს იმ აკვანში მწოლარე ერთი  
წლის ბაბუასა და აქვე მდგარი დაქალაქული  
შეილიშვილის შუა ვედავარ, როგორც შემე-  
რთებელი ხიდი. სიცოცხლის რალაც უხილავი  
პარმონიული კავშირია იმ აკვნის ბავშვსა და  
დაქალაქებულ ქალიშვილს შორის, მეკავშირე კი  
მე ვარ... და განა მხოლოდ ამ ორ სიცოცხლეს  
შორის! დრო-გამი მზესავით ბებურია და მზესა-  
ვით მარად ჩვილიც. ყოველი ადამიანის არსება-  
ში შემოსულია უძველესი სიცოცხლის მდინარე,  
მისი არსებობიდან კი სათავეს იღებს ახალი სი-  
ცოცხლე. ყოველი ადამიანი მარადმედიონი სი-  
ცოცხლის ჯაჭვის შემეწერებელი პატარა  
რგოლია.

მაია ისევ კისკისებს და ჩემთვის უხილავ  
შორეთს გასცქერის უცნაური გოცნებით, მე  
კი... კვლავ ვაკვირდები პავლეს ხელრთვას.  
სწორედ ამ ხელმწიფრის წყალობით ჩემმა წი-  
ნაპარმა თითქოს ქვესწელი ამოარღვია, სულ-  
ეთიდან აღდგა და ხორცშესხმული გამომეცხა-  
და... ხანდაზმული, თეთრწვერა მიხუცი კი არა,

ახოვანი, ბეჭებფართო, თვალნებასთვებული,  
სოფელში გამორჩეული ჭაჭიკეცეცე მუჭეცის  
ნაქონი რაიმე საოჯახო ნივთი რთმ დაჭრეცე-  
და, არა მკონია ასე მკაფიოდ წარმომდგინა  
ჩემი წინაპარი, ასე გაცოცხლებულიყო მისი  
სახე ჩემს წინაშე. ეს სასწაული მოახდინა თი-  
თქოსდა უბრალო ფურცელმა, პაიპარად გადა-  
დებულმა და შემთხვევით ნაპოვნმა.

ეს კურძო ამბავი აქ გრძლად იმიტომ გაეი-  
ხენე, რათა მკითხველმა უფრო მკაფიოდ წარ-  
მოედგინოს, მასმტაბურად რა მნიშვნელოვანია  
ის ნიგნი, რომელშიც შეცხრაძმეცე საუკუნის  
შუანლებში რუსულად შედგენილი საბუთებით  
წარმოჩენილია იმერეთის თავადთა და აზნაუ-  
რთა ოჯახები.

აქვე ისიც არის საფურადღებო, რომ იგი გა-  
რძელებაა ადრე დასტამბული ამ სერიის  
პირველი ნიგნისა: კომელოც გურიის თავა-  
აზნაურთა ოჯახების აღწერის შედეგებს წარმ-  
ოგვიდგენდა, თან გეპირდებთან: მესამე ნიგნი  
აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალური  
ოჯახების აღწერას მიძღვებოდა. ღმერთმაც  
ინებოს! იმედა, ბევრი ადამიანი სწორედ ამ  
პუბლიკაციებით იპოვის თავისი წინაპრის  
ფეხესა და ბალავარს, დაადგენს, საიდან მოდის  
და ფრთად გაიხარებს კიდევაც ამით. ამ ნიგნე-  
ბით ისიც გაორკვედა, რომელ ოჯახს რა ბედი  
ენია.

იყო დრო, რადიკალური სულის თავადები  
პირველობისათვის ერთმანეთს სამკედრო-  
სასიცოცხლოდ ებრძოდნენ და არა მარტო  
ერთმანეთს, გადიდგულელებური მეფეცაც კი  
ემუქრებოდნენ ტახტის წართმევით. არგვეთის  
თავადი ლევან ბაბიძე თავის შეილიშვილ  
სოლომონ პირველსაც კი შეებრძოლა ხრესა-  
ლის ომში და როცა იგი მოკლეს, შეილიშვილი  
ცას ენია სიხარულით. ისიც ისტორიულად არის  
ცნობილი, სოლომონ პირველმა განდგომილი,  
ურში როსტომ რაჭის ერისთავი ცრუდაპირე-  
ბით როგორ შემოიტყუა თავის საბრძოლესში,  
სანადიროდ წაიყვანა და არა მარტო როსტომს,  
მის ვაებესაც დასათხარა თვალები... როცა  
რუსეთის ორთავიანმა არნივმა საქართველო  
თავის ფრთებქვეშ მოაქცია, სამეფოები გააუ-  
ქმა და გუბერნიებად აქცია, თავადთა ბრძო-  
ლა მწყნარდა, მაგრამ მერმე ოქტომბრის რევო-  
ლუციამ პროლეტარიატის დიქტატურის სახე-  
ლით ყველა ნოდება გააუქმა, კლასთა ბრძო-  
ლის საბაბით თვით სიტყვა „ბატონოს“ ხმარე-  
ბაც კი აკრძალა, თავიანი მინაღმუნებს და  
მიმართვის ნიშნადაც კი, მის მაგერიად სიტყვა  
„ამხანაგო“ გააბატონა. პრივილეგიების გაუქ-  
მებას არ დასჯერდა, დაიწყო თავად-აზნაურთა  
დენდა და ფიზიკური განადგურებაც. ვინ გააუ-  
რჩა ფეოდალური მუღლის თუ საბჭოთაო სისხ-  
ლიან ორომტორიას, ისტორიკოსებსა და ეთნო-  
ოგრაფებს ეს პუბლიკაციები ამის გაპარკვე-  
ადაც გამოადგებათ და მის მნიშვნელობას  
ჩემზე უკეთაც შეაფასებენ. ჩემდა თავად კი  
დაუძენ, ეს ნიგნები ლიტერატორებსაც დასჭი-



რდებათ. კერძოდ ჩემთვის საინტერესოა, ქალთა და კაცთა რა სახელები იხმარებოდა შამონ უფრო ხშირად. მეორე ნიგნში, მაგალითად, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ როსტომ წერეთლის ძე, საქართველოს მომავალი ბუღალერი, აკაკოს სახელით არის მოხსენიებული, თანაც ეს სახელი მთელ ნიგნში მხოლოდ ერთხელ გვხვდება, რაც იმის დამადასტურებელია, მეცხრამეტე საუკუნის შემდეგ ამ სახელის გაპოპულარება სულმანათი პოეტის დიდების შარავანდედმა გამოიწვია.

ამ ნიგნში ერთი გვარის საქთბი ნინასიტყვაობაში ბატონ ზურაბ ქუმბურიძეს დაუხუსტებლად აქვს დატოვებული.

მოგახსენებთ, მეცხრამეტე საუკუნეში ქართული გვარები, განსაკუთრებით ნარჩინებულ შორთა თუ სახელმწიფოს სამსახურში მდგარ „ჩინოვნიკ-მოსხელეთა“, ხშირად რუსულდებოდა. ვაჟა-ფშაველაც კი სიამაყით იგონებდა, რაზიკოვად რომ მწერდნენ, მიხაროდო. ჰოდა, რა გასაკვირი, მიხილვ ვორონცოვის დავალებით შედგენილი კომისია წოდებთა შაძიებლების გვართა უმრავლესობას თუ გაარუსულებდა. ბატონი ზურაბი წერს:

„ბუნებრივია, ამ ტიპის ქართულ გვარებს უკანვე ფორმოტანისას უნდა დაუბრუნდეთ ქართული გვრთა: ერთთავი, ბაინდურამშვილი, გაბაშვილი და ა.შ. მაგრამ ამ დროს უფოედ დაიხსინის კითხვა: ქართული კია ყველა ზემოხსენებული გვარი?“

იქვე სარწმუნოდ არკვევს, რომ თინთაკოვი და მოიევი ნამდვილად არ არის ქართული.

„მესამე გვარი, რომლის ოვ დაბოლოების გაქართულებისაგანაც ჩვენ თავი შევიკავეთ, გახლავთ ზუბოვი. თუმცა ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ქართულ გვართან უნდა გვკონნდეს საქმე. ზუბ (ზუბა) ფუძიდან ქართულში გვაქვს გვარები: ზუბაძე, ზუზმაძე, ზუბაშვილი, ზუბიაშვილი. ჩვენ დაბეჯითებით ვერ ვტყვივით, რომელი ამთავანი იგულისხმება ზუბოვში და ამიტომ ეს ფორმაც უცვლელად დაეტყვივთ“.

ნიგნში ზუბოვის გვართი ორი ოჯახია:

„804. გიორგი რამაზის ძე. მისი ცოლი სიდონია. მათი ვაჟიშვილი პეტრე.“

805. დიმიტრის ქვერივი ელისაბედი. მისი ვაჟიშვილი ლეონტი. ქალიშვილი დათი“.

პრინციპით – ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი რომ უკეთ დაიჭერს, ვაზუსტებ ზუბოვის გვარის ნარწმუნაველობას საქართველოში. ზუბოვის ოჯახი ამბროლაურის რაიონის სოფელ ნების მაკხოვრებელია, უფრო ზუსტად, ჩემი კარის მეზობელი.

სიადან ვაჩნდა ეს გვარი აქ? საქმე ის არის, ამ გვარს ზედწოდებად ახლდა მესტამბიშვილები. სწორედ ამ ზედწოდებას აბარია ამ გვარის ნარწმუნების გასაღები.

ქართული ნიგნის ბიბლიოგრაფიის პირველ ტომში (გვ. 86-87) ვკითხულობთ: „99. საეჯდრებელი ლეთისშობილისა. ნესი. 1809. ადამ“

ბეჭდა ნიგნი ესე... სამეფოსა ჯეჯანასა წესს: ხელთა რომანოზისათა“ *ქართული*

იქვე: „გამოკრებულსა კიდესასაწოდოსა ნესი. 1811. (თავფურცელზე). დაიბეჭდა საღმრთო და საეკლესიო ნიგნი ესე გამოკრებული სადღესასწაულო სოფელსა შინა წესს... ხელთა მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათა, რომელიცა მიცულებულ იქნა უწინარეს ბეჭდულისა ამის. ხოლო შემდგომად მიცულებულსა მისისა მე. ძემან მისმან, მესტამბემ დაეთი, ვინყე და აღვასრულე ძალითა ღმრთისათა“.

სადამდეც ჩემი ცოდნა მიმინდება, არსად მგეულება, რომ ნიგნი სხვა საოფლის სტამბაში იყოს დაბეჭდილი. როგორ მოხდა ეს?

მკვლევარი ეთნოგრაფი ლევან ფრუიძე ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის დოკუმენტების ფონდში № 1339 საბუთზე მითითებით გვაუწყებს, რომ სოლომონ მეორეს მესტამბე რომანოზ ზუბაშვილისათვის 1798 წლის 1 ოქტომბერს უპოქებია „ნესს... ეწახი ბარაკონის ვენაზის გვარდით“.

რომანოზ ზუბაშვილი ალა-შამაშდხანის შემოსევის დროს მოზღო კმა გაქცეულა და იქიდან მოუნვევიათ ქუთაისში, სადაც დაუბეჭდა ნიგნები „სახარება ნების ეკრიაკისა“ (1803 წ.), „ადავითნი“ (1807 წ.), ვაშნი (1808 წ.), შემდეგ გადახულა ნაბოძებ თავის მამულში და მისი ნაშთიერე ნესში დამკვიდრებულა.

ამრიგად, ექვს არინევეს, იმერეთის აზნაურთა შორის მოხსენებული გიორგი რამაზის ძე მესტამბე რომანოზ ზუბაშვილის ერთ-ერთი მემკვიდრეთაგანი რომ არის. ოღონდ აქ დასაზუსტებელია აგრეთვე გიორგის რამაზის ძეობა. არ არის გამორიცხული, რუსს ერთმანეთში არეოდა რომანოზ და რამაზი. როცა რუსები საქვეყნოდ ცნობად მსახიობს აკარი ზორაძეს ხარავად იხსენიებდნენ, ასეთი აღრევა არ უნდა გაგვიკვირდეს. ამის დამადასტურებელია ჩემ ხელთ არსებული, რუსულად 1803 წლის 18 მარტს შედგენილი საქატი ფურცელი მონის ვაყიდვის თაობაზე, სადაც აზნაური გიორგი ზუბოვი რომანოზის ძედ მოიხსენიება. სახელი რომანოზი ნესელი ზუბოეების ოჯახში კვლავაც მეორდება. ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში გარდაცვლილ კაპიტონ გიორგის ძეს (გიორგის მინაშრულად ბიჭიას ევახანდე) პყავდა ორი ძმა: ილიკო (დაიღუბა პირველ მსოფლიო ომში) და რომანოზი. რომანოზ ზუბოვი ოფიცერი იყო, ნაეიდა რუსეთში და საქართველოში აღარ დაბრუნებულა.

რაც შეეხება ზუბაშვილთა ვაზუბოეებას, ქართული გვარების გარუსულება, როგორც ზემოთ ვთქვე, ჩვეულებრივი ამბავი იყო. ჩვენი საამაყო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილი კარგა ხანს, სკვდლის შემდეგაც კი, ბარათაშვილ იხსენიებოდა. თეთი თურნალი კოსიკარი“ კი ასე აცხადებდა – ნ. ბარათოვის ლექსებით.

ამგვამდ ნესში ზუბოვი აღარავინ ცხოვრობს. კაპიტონი უშვილოდ გადაეგო, მისმა მეუღლემ ანეტა გამყრელიძემ იშვილა მისიშ-



ვილი უსა და ზუბოვად დანერა. უნა მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. მისი მეუღლე ოლია კერესელიძე ზუბოვად ეწერა სიკვდილამდე, გარდაიცვალა მარტან, 1999 წელს. მათი ქალიშვილი ნათელა (გვრიშან) უნივერსიტეტში გასტუდენტებად ზუბოვად იწერებოდა, მერმე კი მამის ნამდვილი გვარი – გამყრელიძე დაიბრუნა.

ასეთია ამ გვარის ისტორია მოკლედ.

ადგილის კურდღლის ადგილის მწვერვითვე დაჭერის პრინციპით შვევებები ნიგნში მოხსენიებულ თავად ერისთავებს, რადგან ესენიც ჩემი სოფელლები არიან.

სოლომონ პარველი ვერაგულად გაუსწორდა როსტომ რაჭის ერისთავის ოჯახს, დაარბია სასტიკად, მაგრამ ეს ოჯახი მთლიანად როდი გადაშენდა. ერთმა შვილმა მეთოდემ ერეკლე მეფის კარზე გაქცევით უშველა თავს. პატარა ანტონს თონეში ბურთი ჩაუგდეს, მერე თავი იმ ცეცხლმოკიდებულ თონემივე ჩააყოფინეს და ისე ამოსწევს თვალები, მაგრამ ცოცხალი კი გადაარჩა. ჩანს, სხვა შვილებმაც გააგრძელეს სიცოცხლე და ისე გამარჯვდნენ, რომ თავად ერისთავთა შ ოჯახშია უკვე XIX ს. ორმოცდაათიან წლებში. ისინი უმთავრესად სამხედრო მოსამსახურენი არიან, ზოგი პრაპორშჩიკი, ზოგი პოდპორუჩიკი, ზოგიც მაიორი. გვარში იხსენიება ანტონი, სიმონი, ივანე, დავითი, ლუარსაბი, გრიგოლი, გიორგი, თეოდორე, როსტომი, პეტრე, შოშიტა, უფრო ხშირად კი მეთოდე. აქ ვხედავთ პოდპორუჩიკ გიორგი მეთოდეს ძეს და მის ვაჟიშვილს ასლანს, რომელიც 1907 წელს გარდაიცვალა და სახსოვრად დატოვა ასლანური მრავალვაშიერი და რამდენიმე შვილი – ზოგი კანონიერი, ზოგიც უკანონოდ გაჩენილი. სხვათა შორის, უკანონოდ გაჩენილ ვაჟებს თავის გვარს (ერისთავს) ანლევდა, ქალებს კი სხვების გვარზე ანერინებდა. ასლანის შვილთაგან ყმაწვილკაცობისას ხშირად ვხედავთ მამადავლებს. სწორედ შამადავლეთი შეწყდა ზეენს სოფელში რაჭის ერისთავთა საბრძანისი... და ბარემ აქვე გავიხსენებ მის ამბავს, რადგან იგი ტიპური ჩვენს დროში თავად-ახნაურთა ბედობლის ნარმოსაჩუნდა.

ოციან წლებში შამადავლებს, როგორც თავადს, ბარაკონიდან კუდის ამოსკვნას უპირებდნენ, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო რაინებ მიზნის გამოწახვა და გარკვეულ პირთა ჯგუფი საბაბის საპოვნელად ეწვია ბარაკონს. იქ, ეკლესიასთან, ერთი ჭა იყო, ძველი, ხავსმოვებული, იშვიათად რომ იყენებდნენ. მაადგენ და ერთ თავისიანს იმ ჭიდან ამოღებული წყალი დააღვინეს. ჭის-წყალდაღვნილი ორიოდე წუთში აკენესდა: ვაიშე, დედა, მიშველეთ, ვკვდებით. ცხენით გააქანეს ექიმთან. შამადავლებს კი დაჭერა დაუპირეს: წინდანინ გაიგე, ჩვენ რომ მოვიდით და თუ შა მოვინახლეო, ახალი დროების პირწაეარდნილი მტერი ხარ და უნდა დაგა-პატიმროთო.

– ვიმ, ვიმ, ბატონები! – ასე სჩვეოდა თქნა, – დაპატიმრება რა საკადრისაა? უნდა ვიქნებოდა მთავარი შამადავლები – ვეცხვებოდა, ვეცხვებოდა, თქვე კაი კაცებო. ჭა თუ მონამლულია, მარტო-კა თქვენთანს ხომ არ ანეუნდა და თავადს ზიარებად ხეარ შემურგება? აგერ, ამ წუთას მეც დაეღვე და, თუ მართლა მონამლულია, დაჭერა და გასამართლება რა ჭირად მინდა, ისედაც ქვე გამძვრება სულუკა და აქვე კვახვით გავგორდები თქვენ წინ, ამა! – არც აცხვია, არც აცხვია, ეედროთი ამოიღო წყალი, კარგა ბლომად დაღია და უღეამებზე მშვიდად გადაისვა ცურა.

ტყუილად როდია ნათქვამი: შარიანმა კაცმა შარიანთის შარა მოხნაო, ჯგუფის: თავკაცი მაინც არ მოეშვა – შენ ადრევე ისეთ ნამალს დაღეუდი, მონამლულმა ჭამ რომ ვერაფერი გაეოსო, თქვენისთანებმა-ამნაირი მზაკრობის მტერი რა იქვითო.

ჯგუფში ერთი ერთი ღვთისნიერი ჭაბუკი, რომელიც გამოეჭომაგა შამადავლებს: კარგად ეიცნობ, როგორც ვეფხა ადამიანს, ამასაც თავისი ნაკლი მოეძებება, უწინაური ზუმტურები სჩვევია ხოლმე, მაგრამ ამავე დროს ნამდვილი მშრომელია კაცია, ბოროტების არმთესელი. მისი სინდისიერება რომ დაიჯეროთ, ამ წყალს მეც დავღვეო და ეედრო პირზე ხარბად მიიყუდა.

იმ დღეს შარიანთა ჯგუფი ხელმოცარული გაბრუნდა უკან.

კოლექტივობის დანებებისას, ბოპოლება მონათლული მდიდარი გლეხების განკუთვლება რომ გააზარეს, მეუ სიამო შამადავლებე ჩანერეს, ასე ეთქვათ, წინაპრების ცოდვების მოსაკითხავად. სასახლე, მიწა-წყალი, სხვა უძრავ-მძირაკე ქონებაც ჩამოართვეს და ბარაკონიდან აბარგება უბრძანეს. თავისიანები თბილისში გაისტუმრეს, თვითონ კი რაინის პირას სახელდავლებად პატარა ქობნაში აიშენა: რაჭას ეერ მეველევი, სხვაგან რომ ნაიდევი, სეუდა მომკლავსო.

ეტყობა შამადავლებე ყმაწვილკაცობაშივე ეზიარა იმ ზღაპრის სიბრძნეს, ერთ მეფეს ტყვე-ობისას მეფობამ რომ ვერაფერი უსაშველა და მხოლოდ ადრე ნასწავლმა ხელობამ გადაარჩინა, თვითონაც სანუთრობის ვაზა აირჩია: არ ენდო მხოლოდ ერისთავობის ტიტულს, დურგლობამიც გაინაფა ხელი. რაინისპირა ქობნაშიც, უპირველეს ყოვლისა, სადურგლო დაზვა გამართა. შალაშინის შრიალი ერჩია ვეულა საჯალობელს, ხოლო ხის სუნი – ვარდის სურნელს.

აქაც მიადგნენ მოშარენი – აიბარგეო.

– ვიმ, ვიმ ბატონები! – სამოიდუეჯერ გაიმეორა ვადურგლებულმა თავადმა და რაკი შეატყო, არ ეხუმრებოდნენ, შეემუდარა:

– რას გიმაღებე, გეთაყუ? ლუქმას არაივს ვართმე, ჩემს ყოფილ სასახლესა და ბაღე-ნახებსაც აღარაივს ეეცილები, ამ ჩემი მარჯე-ნით და ხელობით ვირჩენ თავს, თუ მიკადრებთ,



თქვენც დაგეხმარებით ხოლმე, ოღონდ აქაურ-ობას ნუ მომაშორებთ, გარჯის საშუალებას ნუ მომისპობთ! აღარა ვარ ერისთავი, მხოლოდ დურგალი ვარ, შალაშინის კაცი.

ისევე გამოექომაგა ერთი გულმართალი კაცი. ამჟამად უკვე ველარ გასჭრა მართალი კაცის სიტყვამ. ქოხმახი დაუნგრის, სადურგლო იარაღი წაართვეს (შეუძლია, ესეც ჩვენს სამტროდ, მოსაკლავ იარაღად გამოიყენოსო) და ნათავადარი დურგალი სოფლიდან კინნისკურით გააგდეს.

ძალა აღმართს ხნავსო, თბილისს შეეხიზნა (აღბათ, თავის ქალიშვილს, ჩუტას). თბილისში კი თურმე ერთ პატარა ბაღში უფვარდა ჯდომი და ხალხმა ამ ადგილს შამადავლე ერისთავის ბაღი შეარქვა. ნათავადარმა ეს რომ გაიგო, მწარედ გაიციხა: თქვენი ქირიშე, ასე ნუ ამბობთ, თვარა ჩემი მდეურები აქედანაც გამაგდებენ და სად ჯანდაბაშილა წაიფეო.

არ ვიცი, შამადავლე როგორ მოკვდა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს უკვლავ დურგლობის ოცნებაშია. ვინ მოთელის ჩვენს დროში რამდენმა თავად-აზნაურმა შამადავლეზე უარესად დაასრულა სიცოცხლე.

რაჭის ერისთავთა სასახლე დიდი ხანია აღარ არსებობს, მისი ეზოც ამჟამად სასაფლაოდ არის ქცეული.

ასევე, ვინ მოთელის რამდენი ქართველი თავადის სასახლე აღგვიღა პიროსავანი მონია... და მათი სახელები მხოლოდ ისეთ ნიგნებსღა შემორჩა, ჩემს წინ რომ დევს.

იმედია, ამ ნიგნში მოხსენიებულ თავად-აზნაურთა ამბებს სხვებიც გაიხსენებენ და დალოცავენ იმ ადამიანებს, ამ ნიგნის დასტამბავს რომ შეუნუეს ხელი.

მეჯრა, მესამე ნიგნიც ასევე საინტერესო იქნება.



თბილისი, რუსთაველის გამზ. №28

ტელეფონები: მთ. რედაქტორის — 99-51-61

პ/მგ. მდივნის და განყოფილებების — 99-91-00

გადაეცა ასაწყობად 18.07.2000 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 05.09.2000 წ. ტირაჟი 300. შეკვეთა №40.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის გამზ. №42



ქართული

ინფორმაციის ცენტრი

76125

ფანი მარი ლარი